

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ქირი მუზაფერ

ნოდარ დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” თურქულად

10.01.01 \_ ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელები:  
ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ცისანა აბულაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქუთაისი

2010

## შინაარსი

|  |     |
|--|-----|
| შესავალი.....  | 4   |
| თავი I. ნოდარ დუმბაძის რომანის დედნისა და თურქული<br>თარგმანის ურთიერთმიმართება.....               | 14  |
| 1.1 რომანის პროზაული ტექსტის თარგმანი .....  | 14  |
| 1.2 რომანში ჩართული ლექსების თარგმანი .....  | 34  |
| თავი II. თურქული თარგმანის მხატვრული ღირებულება.....   | 45  |
| 2.1 მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი .....   | 46  |
| 2.2 თარგმანის ენა.....   | 66  |
| 2.2.1. ფრაზეოლოგიზმები.....  | 67  |
| 2.2.2. დიალექტიზმები.....  | 80  |
| 2.2.3. ნასესხები სიტყვები.....   | 90  |
| 2.2.4. საკუთარი სახელები.....  | 94  |
| თავი III. ქართველი და თურქი ხალხების კულტურათა<br>ურთიერთმიმართება რომანის თარგმანის მიხედვით..... | 113 |
| 3.1. რელიგიური წარმოდგენები და ტრადიციები.....   | 114 |
| 3.2. ნ. დუმბაძის რომანი და თურქი მკითხველი.....  | 135 |
| დასკვნა.....   | 149 |
| ბიბლიოგრაფია.....  | 153 |

## შესავალი

ქართველი ხალხის ისტორია განვითარების ყველა ეტაპზე მდიდარია მისი შინაგანი ენერჯის საუკეთესოდ წარმომჩენი ცნობილი ადამიანების მრავალფეროვანი სახეებით. მათ შორის მწერლებს ყოველთვის ეჭირათ გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი. ხანდახან მეჩვენება, რომ ქართველებს ენითა და კალმით აუხსნელი რაღაც განსაკუთრებული თავისებურებანი გააჩნიათ, რაღაც ძალიან მიმზიდველი და ძალზე საინტერესო. ამიტომაც არიან უცხოელები ესოდენ მოხიბლულები საქართველოთი, განსაკუთრებით კი ქართული კულტურით, მათ შორის მხატვრული ლიტერატურითაც.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივი უნდა იყოს გადაწყვეტილება ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის – ნოდარ დუმბაძის რომანის – “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანით დაინტერესება. ვფიქრობთ, ნ. დუმბაძესა და მის ამ რომანზე არჩევანის შეჩერებას მყარი საფუძველი აქვს: უნიჭიერესმა მწერალმა ძალადაუტანებლად შექმნა საკუთარი შემოქმედებითი სამყარო.

ნ. დუმბაძის შემოქმედების გაცნობა ნებისმიერ ადამიანში, მათ შორის, უცხოელშიც, აღძრავს სურვილს, რაც შეიძლება მეტმა მკითხველმა შეიგრძნოს მისი სამყარო. სწორედ ამ სურვილმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ნ. დუმბაძის ლიტერატურული მემკვიდრეობით, კერძოდ კი რომანის – “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანით.

ნ. დუმბაძემ მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება უშურველად მიუძღვნა მშობელ ერსა და სამშობლოს; იგი მგზნებარე მქადაგებელია ადამიანური სიკეთისა და სიქველისა, სამართლიანობისა და სიყვარულისა. N ნ. დუმბაძე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა დიდ ჰუმანისტად, სიკეთით სავსე მწერლად და პიროვნებად. მისმა ნაწარმოებებმა სწორედ დიდი მხატვრული სიმართლით, მომხიბლავი მშვენიერების ძალით დაიპყრო მკითხველთა გულები. იგი იყო ჭეშმარიტი მწერალი და მოქალაქე. ამიტომაც მოიმკო მან ხალხის სიყვარულიც. მწერლისთვის ყველაფერი ერთი უმთავრესი საზომით – სიკეთის ძალით იზომებოდა.

ნ. დუმბაძე ქართული მწერლობის ღირსეული დესკანია. მისი წიგნების გავრცელების არეალი მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს. დღესაც მრავალგან იდგმება მწერლის შემოქმედების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, უჩვენებენ პროზაული ნაწარმოებების საფუძველზე გადაღებულ ფილმებს.

ნ. დუმბაძის შემოქმედება უაღრესად ქართულია არა მარტო მასში გამოხატული გარემოთი, ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვევებით, არამედ, რაც მთავარია, იგი ქართულია ფესვებით, რითაც წარსულის ეროვნულ კულტურას უკავშირდება. მწერლის შემოქმედებაცა და მთელი ცხოვრებაც ერისა და ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული. სუცხო გარემოში და უცხო გმირებით დასახლებულ მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან ეს სამყარო უაღრესად ადამიანური და ნათელია. სწორედ ეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიომდე ამალლების ძალაშია მწერლის გამარჯვების გასაღები.

როგორც წესი, ნ. დუმბაძე საკუთარ ნაწახს, განცდილსა და გადატანილს აღწერს, Eგვიჩვენებს ცხოვრებას თავისი შუქ-ჩრდილებით. ამის შესახებ თავადაც აღნიშნავდა: “ჩემს სიცოცხლეში გამოგონილი არაფერი დამიწერია, ყველა პერსონაჟი თუ მოქმედება ცხოვრებისეული სინამდვილიდან მაქვს აღებული” (ჭუმბურიძე 1988: 85).

ნ. დუმბაძის პირველი რომანი “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი” 1959 წელს დაიბეჭდა ჟურნალ “ცისკარში”. ამ რომანით არა მარტო თავად მწერლის შემოქმედებაში დაედო სათავე ახალ მხატვრულ სამყაროსა და ლიტერატურულ ტენდენციებს, არამედ მთელ იმჟამინდელ ქართულ მწერლობაშიც. პირველ რომანს მოჰყვა: “მე ვხედავ მზეს”, “მზიანი ღამე”, “ნუ გეშინია, დედა!” “თეთრი ბაირაღები”, შემდეგ მოთხრობების კრებულები გამოქვეყნდა, მერე კვლავ რომანი – “მარადისობის კანონი”, ბოლოს – ისევ მოთხრობები და ასე შეიქმნა ის განუმეორებელი, ემოციური სამყარო, რომელსაც ნ. დუმბაძის შემოქმედება ჰქვია და ურომლისოდაც წარმოუდგენელია XX საუკუნის II ნახევრის ქართული მწერლობა.

“ზედით, ხასიათით, ცხოვრებით ნოდარის მხატვრული ქმნილებები ძალზე ჰგვანან ნოდარს, მათ შემოქმედს, ისინი ადვილად იკვლევენ გზას მკითხველის გულისაკენ, ხიბლავენ, აჯადოებენ და ნუსხავენ ადამიანებს, ირგვლივ ფეიერვერკით აფრქვევენ სიხარულს და სიკეთეს” (სულაკაური 1986: 329).

ნ. დუმბაძემ მთელი ცხოვრება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ღირსეულად გაატარა, ბოლომდე დაიხარჯა ერისა და ქვეყნის სიყვარულში და ქართველმა ხალხმაც, სათანადო პატივი მიაგო მის ხსოვნას.

რაც უფრო ფართოვდებოდა მწერლის შემოქმედებითი სამყარო, მით უფრო მატულობდა მისი პოპულარობაც. ნ. დუმბაძის თხზულება თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში გამოიცა, მათ შორის, თურქეთშიც, და ყველგან აღტაცება გამოიწვია.

თურქი მკითხველი მეტ-ნაკლებად იცნობს ნ. დუმბაძის ნაწარმოებებს: “მე ვხედავ მზეს” (მთარგმნელი მეჰჯურე ქარაორენი \_ 1982), “მარადისობის კანონს” (მთარგმნელი ალი ალთუნი \_ 1987 წ.), “კუკარაჩას” (მთარგმნელი გულიზარ იბრაჰიმოვა-ჭელიძე \_ 1990წ.). რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, მთურქულად არის გადათარგმნილი ასევე: “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, “თეთრი ბაირალები” და “მზიანი ღამე”, მმაგრამ ეს თარგმანები ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. L

**“მე ვხედავ მზეს” ლიტერატურულ კრიტიკაში.** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ჩვენი კვლევის საგნად იქცა ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანი. ეს არჩევანი არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნ. დუმბაძის რომანი არა მარტო თავად მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შენაძენია, არამედ მთელი ქართული პროზისაც.

“მე ვხედავ მზეს” არაერთგზის ქცეულა ქართველ კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა საფუძვლიანი განხილვის საგნად (ტ. კვანჭილაშვილი, რ. მიშველაძე, ა. ნიკოლეიშვილი, ა. სულაკაური, ჯ. ჭუმბურიძე...). ა. ნიკოლეიშვილის შეფასებით, “რომანში მასშტაბურად და სიღრმისეულად წარმოჩინდა ომისდროინდელი ქართული სოფელი და მის მკვიდრთა ყოფით-ზნეობრივი პრობლემები. ნაწარმოების მთავარი გმირი \_

სოსოია მამალაძე, თავისი ასაკის მიუხედავად, ცხოვრებამ მრავალი განსაცდელისა და მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა. სწორედ ამ წინააღმდეგობებთან ჭიდილში ყალიბდება მისი ხასიათი და ზნეობრივი სახე... პერსონაჟთა მრავალსახოვნებითაც და პრობლემატიკითაც “მე ვხედავ მზეს” ომისდროინდელი ქართული ყოფის ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებია” (ნიკოლეიშვილი 2005: 215).

გულთბილ პერსონაჟებს კარგად ახასიათებს რ. მიშველაძე: “ნ. დუმბაძემ შემდგომში ყველა ნაწარმოები და მათი პერსონაჟები აავსო ასეთი გრძნობით. სოსოიასა და ხატიას ურთიერთობა საოცარი სისპეტაკითა და სითბოთი გამოირჩევა რომანის მთელ მანძილზე. ამ მხრივ ძალზე მეტყველია რომანის ეპიზოდი, სადაც ნაჩვენებია ომში დაღუპული ტყუპი ვაჟის მშობლების ბაბილოსა და კაკალოს გამხნელება ხატიას მიერ – თითქოს ვიღაცას ამბავი მოეტანოს, რომ ტყუპი ძმა მეომრები ენახოს, კარგად არიან და მალე შინ დაბრუნდებიანო. ეს კეთილშობილი ტყუილი ხატიას საოცარი სათნოებიდან და ადამიანთა მიმართ თანადგომის სურვილიდან მოდის. ააქვე არანაკლებ მიმზიდველია ბაბილოს კეთილშობილებაც, როცა ის სოსოიას და ხატიას უსასყიდლოდ გაატანს სიმინდის ფქვილს, თუმცა იგი არც მას მოსჭარბებოდა. ამ ეპიზოდების წაკითხვისას მკითხველი შეძრული და მოხიბლულია, თვითონაც სიკეთისა და სათნოებისათვის განეწყობა. ეს ისეთი ეპიზოდებია, სადაც მწერალი თავის იდეალებს მკითხველებში ნერგავს და ახარებს” (მიშველაძე 1990: 432).

საინტერესოა ტ. კვანჭილაშვილის შეხედულება რომანის სათაურთან დაკავშირებით: “ახლა შევხედოთ სათაურს “მე ვხედავ მზეს”, სადაც მზე აგრეთვე დიდი აზრობრივი დატვირთვით გამოირჩევა. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის სოსოიას მეგობარი ხატია ბრმა ქალიშვილია, რომელიც თითქმის მხოლოდ მზეს ხედავს. ის “ხედავს” აგრეთვე სოსოიას. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ეს ჭაბუკი ხატიასთვის არის თვით მზე, რომელიც მას სულს უთბობს, ქვეყნიერებას უნათებს. ხატიასთვის სოსოია გატოლებულია მზესთან და ეს სავსებით დამაჯერებელია. მკითხველს იგი ძალდაუტანებელ, ბუნებრივ სინამდვილედ ესახება: ხატია ხედავს მზეს და სოსოიას, რადგან ისინი ორივენი არიან ძლიერი სინათლისა და სითბოს წყარო, რაც სიკეთესა და სიყვარულში ჰპოვებს გამოხატულებას.

სოსოია არა მარტო ხატიასთვის არის მზიანი ჭაბუკი, არამედ იგი მზიური ჭაბუკია საერთოდაც: მამიდასთვისაც, ბეჟანასთვისაც, “სოსოიას რუსისთვისაც”, მკითხველისთვისაც, რადგან ამ ჭაბუკში თავმოყრილია ყველაზე საუკეთესო ადამიანური თვისებები: სათნოება, სიკეთე, ხალისი, სიცოცხლის სიყვარული, სითბო, კეთილშობილება, ადამიანთა გაჭირვებაში თანადგომა. ყოველივე ეს კი არის მზიური თვისებები, რითაც კაცი მალღდება და მზეს უტოლდება” (კვანჭილაშვილი 1985: 123).

**რომანის თურქულად თარგმნის ისტორია.** Nნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” თურქულ ენაზე გადათარგმნა ქალბატონმა მეჰჯურე ქარაორენმა. სამწუხაროდ, თარგმანი შესრულებულია არა უშუალოდ ქართული ენიდან, არამედ გერმანულიდან (მთარგმნელები: გიუნთერ და თრაუთე შთაინები), თავის მხრივ, გერმანულენოვან თარგმანს საფუძვლად უდევს რუსული თარგმანი. რუსულ ენაზე არსებობს ორი თარგმანი. გერმანულ მთარგმნელებს წყაროდ გამოყენებული აქვთ მ. ზავერინისა და კ. კორინთელის მიერ შესრულებული თარგმანი. ასე რომ, თურქმა მთარგმნელმა აიღო თარგმანის თარგმანი. ეს ფაქტი გვახსენებს მოლა ნასრედინის ერთ ანეგდოტს:

ერთ დღეს ერთმა სოფელელმა მოლა ნასრედინს კურდღლის ხორცი მიუტანა. მოლამ მიიღო სოფლელი და წვნიანზე დაპატიჟა. რამდენიმე დღის შემდეგ კაცი კვლავ მივიდა და მოლამ ისევ უმასპინძლა მას; რამდენიმე კვირის შემდეგ კიდევ რამდენიმე ადამიანი მივიდა მოლასთან, რომ ისინიც მიეღო მას. მოლამ ჰკითხა: \_ თქვენ ვინ ბრძანდებითო? მათ უპასუხეს: \_ ჩვენ კურდღლის მომტანი კაცის მეზობლები ვართ. მოლამ მათაც უმასპინძლა.

გავიდა დრო და მოლასთან ისევ მივიდა რამდენიმე კაცი. მოლამ მათი ვინაობა იკითხა. მათ უპასუხეს: \_ ჩვენ კურდღლის მომტანი კაცის მეზობლის მეზობლის მეზობლები ვართ. ამის პასუხად მოლამ მოიტანა ერთი ვედრო წყალი და მოსულებს წინ დაუდგა.

\_ ეს რა არისო? \_ ჰკითხეს მათ. მოლამ უპასუხა: \_ ეს კურდღლის წვენის წვენიაო (<http://www.kesfetkendini.com.icerik.aspx.?id=10433>).

ეს ფაქტი კიდევ უფრო საინტერესოს ხდის საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იცვალა სახე სხვადასხვა ენობრივ სისტემებში მოხვედრილმა უაღრესად ორიგინალურმა ნაწარმოებმა. ბუნებრივია, თანაბრად საჭირო გახდა მუშაობა როგორც გერმანულ, ისე რუსულ თარგმანებზე. გასათვალისწინებელი იყო ის გზა, რომელიც გაიარა ქართულმა ტექსტმა თურქულ ენაზე თარგმანის მიღებამდე. ამიტომაც საანალიზო მასალის ავკარგიანობაზე მსჯელობის დროს ყურადღებას ვამახვილებდით შესაბამის გერმანულ და რუსულ თარგმანებზე.

თურქი მთარგმნელის ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირადად მასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, მაგრამ შედგა ძალიან საინტერესო სატელეფონო საუბრები.

მ. ქარაორენი დაბადებულია თურქეთში. მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი). გერმანულიდან თურქულად შესრულებული აქვს უამრავი თარგმანი. იგი Nn. დუმბაძეს პირველად შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრების თურქეთში, კერძოდ, ქ. სტამბოლში, სტუმრობისას, მაგრამ მან ნ. დუმბაძე უფრო ახლოს გაიცნო მაშინ, როცა 1999 წელს ნაწარმოების – “მე ვხედავ მზეს” თურქულ თარგმანთან დაკავშირებით იყო მოწვეული თბილისში. ააქვე დაათვალიერა “მზიურში” ნ. დუმბაძის სახლ-მუზეუმი, სადაც მასპინძლობას უწევდნენ მწერლის მეუღლე და ქალიშვილი. მისივე თქმით, რომანის – “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანი ხუთჯერ დაიბეჭდა გამომცემლობა “E”-ში. ამ გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი წიგნი მას სთხოვა გამომცემლობა “ჯან”-მა და 1994 წელს გამოსცა ხელახლა იგი. როგორც მთარგმნელმა აღნიშნა, თარგმნისას ის ითვალისწინებდა ოთურქი მკითხველის ინტერესებს. მნიშვნელოვანია ისიც, თუ საიდან გაუჩნდა მას ამ წიგნის თურქულ ენაზე თარგმნის სურვილი. ამის შესახებ მ. ქარაორენი განმარტავს: “სიმართლე რომ ვთქვა, ეს თარგმანი ძალიან შემთხვევითია. მე დიდი ხანია ვთანამშრომლობ გამომცემლობა “E”-სთან. ერთ დღეს მისი რედაქტორი მოვიდა ჩემთან და ამ წიგნის თარგმანი შემომთავაზა. მძე ჯერ თავი შევიკავე, იმიტომ რომ არანაირი წარმოდგენა არ მქონდა ამ წიგნზე და ვნერვიულობდი, თუ როგორი თარგმანი გამოვიდოდა უცხო წიგნისა. ხსენებული



წიგნი იყო გერმანულ ენაზე. მე რედაქტორს ვუთხარი, რომ ჯერ 30 გვერდს გადავთარგმნიდი, შემდეგ ვაჩვენებდი და, თუ მოეწონებოდა მას, გავაგრძელებდი თარგმნას. ასე შევთანხმდით. მერე 30 გვერდის თარგმანი შევასრულე და ვაჩვენე რედაქტორს. მმან წაიკითხა, მოეწონა და მთხოვა გაგრძელება. ასე შევასრულე რომანის მთურქული თარგმანი გერმანულიდან”.

მ. ქარაორენი ნაცნობებში ბევრს ქართველი ჰგონია და ამიტომაც ქართულ ქორწილებში ხშირად პატიჟებენ მას. ხალხში ასეთი წარმოდგენა, ალბათ, მის მიერ ქართული ნაწარმოების თარგმნას უკავშირდება.

მწერლობა ცხოვრებას ასახავს, მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდება საზოგადოების კულტურა, სულიერი ღირებულებანი. ამდენად, ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნას დედანზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია ნ. დუმბაძის თხზულების თურქული თარგმანის ავკარგიანობის დადგენა, რასაკვირველია, რუსული და გერმანული თარგმანებზე დაყდნობით, უფრო სწორად, მათი საგანგებო შესწავლითა და შეპირისპირებით.

ჩვენს ნაშრომში პირველად არის გამოკვლეული ნ. დუმბაძის ერთ-ერთი მაღალმხატვრული ნაწარმოების თურქული თარგმანი.

სამწუხაროდ, არათუ ნ. დუმბაძის, არამედ არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედების თურქულენოვანი თარგმანების შეფასება ორიგინალის ტექსტებთან შედარება-შეპირისპირების თვალსაზრისით დღემდე არავის უცდია. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ენის მცოდნე სპეციალისტი, რომელიც ქართველოლოგიური პრობლემების შესწავლით იქნება დაინტერესებული, ფაქტობრივად დღემდე არ ყოფილა.

ზემოთქმული, რასაკვირველია, იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ნაშრომს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზია აქვს. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში გაცილებით მოკრძალებულია. ჩვენ ვაპირებთ ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ ქართული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლის – ნ.

დუმბაძის თურქულ ენაზე თარგმნილი ნაწარმოების შესწავლისა და ორიგინალთან შეპირისპირების გზაზე.

**მხატვრული თარგმანის თეორიული პრინციპები.** დედნისა და თარგმანის იდენტურობა ნამდვილად სადავო საკითხია, მაგრამ საკამათო არ არის ის, რომ თარგმანი არის დედნისკენ მიმავალი ერთადერთი გზა. ამის გარეშე წარმოუდგენელია ორიგინალის შესახებ საუბარი. თარგმანის გზით, ორი ენობრივი სამყაროს შერწყმის შედეგად დედანი კიდევ უფრო მდიდრდება და თვალსაჩინო ხდება. “თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა” (ფანჯიკიძე 1988: 5).

თარგმანი – ეს თავისებური, განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სახეა სიტყვიერი ხელოვნებისა, მაგრამ ეს ხელოვნება, – როგორც ვ. ვინოგრადოვი განსაზღვრავს, – “მეორეულია”. მთარგმნელის შემოქმედებითი თავისებურება შეზღუდულია ორიგინალით. “სრული იგივეობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, – წერს იგი, – არ შეიძლება არსებობდეს. ორიგინალი – ეს ერთადერთი და განუმეორებელი მატერიალური შედეგია მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებისა და, ამავე დროს, ეროვნული სიტყვიერი ხელოვნების ნაწილი. თარგმანი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ადეკვატური. იგი შეიძლება უსასრულოდ უახლოვდებოდეს დედანს, მაგრამ არასოდეს არ შეერწყმის მას, რადგან თარგმანს ჰყავს თავისი შემოქმედი, აქვს თავისი ენობრივი მასალა და თავისი ცხოვრება ენობრივ, ლიტერატურულ და სოციალურ სფეროში, რომელიც განსხვავდება ორიგინალის სფეროსგან” (Виноградов 1978: 8).

მთარგმნელობითი საქმიანობა მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობაა. მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე დგას. ვფიქრობთ, რომ თარგმნის დროს სიტყვის გამოტოვებამ, სხვა სიტყვებით შეცვლამ ან ჩამატებამ არ უნდა დაამახინჯოს მშობლიური ენა, პირიქით, შეიძლება ის მოუხდეს კიდევ მშობლიურ ენას. ამ გზით იქმნება მხატვრული თარგმანი, რომელიც კავშირს ამყარებს ავტორსა და თარგმანის მკითხველს შორის. უშუალოდ

შეუძლებლად მიგვაჩნია თარგმანის გზით სხვა ხალხის კულტურის, ყოფაცხოვრების გაცნობა.

შემოქმედ-მთარგმნელს, მართალიც რომ იყოს თავის ერთგულ მკითხველთან, არა აქვს უფლება, რომ თარგმანის ნაკლი დააბრალოს დედანს. შეიძლება მკითხველი თარგმანს კითხულობდეს არა დედნის ინტერესით, არამედ მთარგმნელის სიყვარულისთვის. ამდენად, მთარგმნელმა სწორად უნდა გააკეთოს არჩევანი, აირჩიოს სათარგმნი მასალა და თავისებურად გადმოსცეს ის საკუთარ ენაზე. ეს იმავდროულად გულისხმობს, რომ ვერ უარყოფ მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილს.

მაშასადამე, თარგმნის პროცესში დიდი სირთულის წინაშე დგას მთარგმნელი. მთარგმნელობითი საქმიანობა ჰგავს ქალაქის დათვალიერებას მიწიდან და ციდან აანუ, თუ ჩვენ საკუთარი ადგილსამყოფელიდან გავხედავთ გარემოს, დავინახავთ მხოლოდ ახლომდებარე კორპუსებსა და ხეებს; თუ სახურავზე ავალთ, ეს ხედი, გარემო გაფართოვდება; თუ მთაწმინდაზე ავალთ, მთელი ქალაქი თვალწინ გვექნება, მაგრამ აქედან დეტალურად ვერ დავათვალიერებთ სამების ეკლესიას, მაგრამ ასევე სამების ეკლესიიდანაც ვერ დავათვალიერებთ მთელ ქალაქს.

არსებობს დებულება, რომ მთარგმნელმა თარგმნისას უნდა გაითვალისწინოს თავისი ხალხის რწმენა, ტრადიციები და ა. შ. ჩვენ ვფიქრობთ, ეს უნდა მოხდეს არა კულტურის, არამედ ენის დონეზე. თუ მთარგმნელის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება რაღაცა, მაშინ უკეთესია, ან საერთოდ არ დაიწყოს თარგმნა, ან გაითვალისწინოს თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები, კერძოდ, პირველი ფაზა (სათარგმნი მასალის შერჩევა).

მართალია, თარგმნისას დიდ პრობლემას ქმნის მთარგმნელის მიერ დედნის სათანადოდ არცოდნა, მაგრამ ამაზე უარესია დედნის მაღალმხატვრულობის გამო მისი უთარგმნელობა. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ მთარგმნელმა ვერ გადათარგმნა, პირიქით, მას ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო ან არ გამოუვიდა.

ასეთ შემთხვევაში მთარგმნელის პირველი მაშველი უნდა იყოს საკუთარი მხატვრული ლიტერატურული გემოვნება და გადმოცემის დიდი უნარი. ააქ საქმე ეხება თარგმანის თავისებურებას. როცა მთარგმნელი თარგმნის, ის ფიქრობს თავისი საქმის ხარისხზე. პირველ რიგში გასათვალისწინებელია მთარგმნელის განწყობა. თუ მთარგმნელი სათანადო განწყობით თარგმნის და, ვთქვათ, გაუჭირდა რომელიმე ნაწარმოების ან შესიტყვების, ან თუნდაც ერთი სიტყვის თარგმნა, ის ეძებს, ცდილობს ნახოს შესატყვისი ნიუანსი მეორე ენაში, გადაფურცლავს ლექსიკონს და დიდი წვალეების შემდეგ მიაგნებს გამოსავალს. აადვილი წარმოსადგენია, რა სიხარულს განიცდის იგი. A

მართალია, თარგმანის ხარისხი კრიტიკოსმა ან მკითხველმა უნდა შეაფასოს, მაგრამ მანამდე პირველ რიგში მთარგმნელს უნდა მოეწონოს თავისი ნაშრომი. აანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი თავის საქმეში უნდა იყოს დარწმუნებული. ააქ, რა თქმა უნდა, გამართული თარგმანის ავკარგიანობაზეა საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთარგმნელმა მანამდე უნდა გააგრძელოს თარგმანზე მუშაობა, ვიდრე არ სრულყოფს მას. ეს პროცესი თანამდევია ყველა შემოქმედისა (მხატვრისა, მომღერლისა...), თუნდაც ხელოსნისა.

მხატვრული ნაწარმოების სათანადოდ თარგმნა უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ მთარგმნელი რამდენად ერკვევა იმ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია მის მიერ სათარგმნად არჩეულ დედანში. ააქ ცოცხალი სინამდვილის ცოდნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადამწყვეტ როლს თამაშობს. მაგალითად, დღეს გამოთქმას – “თერთმეტი სექტემბერი” აქვს პირველადი და გადატანითი მნიშვნელობა. ყველასთვის გასაგებია, რომ ამ დღეს ამერიკაში მოხდა ტერორისტული აქტი. როცა ამაზე ვსაუბრობთ ანუ ვახსენებთ “თერთმეტ სექტემბერს”, განმარტება არაა საჭირო. მაგრამ, თუ ოდესმე, ვთქვათ, უცხო პლანეტელებისთვის გადათარგმნიან, მაშინ “თერთმეტ სექტემბერს” უნდა ახლდეს ახსნა-განმარტება; ასევე, ქართულ კულტურაში ყველამ იცის, რომ “ფიალა” არის ღვინის დასალევი თასი და ქართულ ტექსტში არ არის აუცილებელი, რომ მწერალმა დაწეროს: “ფიალა ღვინით შეავსო”. საკმარისია: “ფიალა შეავსო”, მაგრამ ამ გამოთქმის სხვა ენაზე გადათარგმნისას ეს არ იქნება საკმარისი. Nმაგალითად, ნ.

დუმბაძის რომანში M“მე ვხედავ მზეს” ნახსენებია “ხაჭაპური” (“*ხაჭაპურზე როგორ ხარ?*” – გვ. 376). თურქმა მთარგმნელმა დატოვა იგივე და დაურთო განმარტება: Kaçapuri: კვერცხიანი და ხაჭოიანი ნაზუქი. “ხაჭოიანის” მაგივრად ჯობდა მთარგმნელს “ყველიანი” დაეწერა, მაგრამ ეს მან გერმანული ტექსტის საფუძველზე გააკეთა.

ამ შემთხვევაში მთარგმნელის მხატვრული გემოვნება და ოსტატობა გადაჭრით არ წყვეტს ზემოთ ხსენებულ ზოგიერთ საკითხს. მმხატვრული თარგმანის შესახებ ისიც შეიძლება ითქვას, რომ, როცა მთარგმნელი ორ სხვადასხვა ენას თანაბრად ფლობს ანუ მშობლიურ ენასავით იცის მეორე და მესამე ენა, ეს არის საუკეთესო შემთხვევა იმისათვის, რომ თარგმანი დედნის სიმაღლეზე დადგეს. აუცილებელია, ამ კუთხიდანაც შევხედოთ ჩვენს საანალიზო მასალას, რომანის – “მე ვხედავ მზეს” თურქულ თარგმანსა და მის ავტორს. მთარგმნელმა არ იცის ქართული, რაც მთავარია, თარგმანი შესრულებელია ორი სრულიად განსხვავებული ენის გავლით, რაც განსაკუთრებით ართულებს დედანთან მისი ადეკვატურობის საკითხს. სასამართლოში ხომ ითვალისწინებენ დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებას. ეს თურქული თარგმანიც ძალიან საინტერესო უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობისათვის, რადგან ასეთ პირობებში იგი ბევრ საკითხს სვამს, ბევრ კითხვაზე მოგვცემს პასუხს და კვლევითვისაც უფრო საინტერესო არის.

# თავი I. ნოდარ დუმბაძის რომანის დედნისა და თურქული თარგმანის ურთიერთმიმართება

## 1.1 რომანის პროზაული ტექსტის თარგმანი

მხატვრული ლიტერატურა ერის ცხოვრების გამოხატულებაა. მასში ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა, ტრადიციები, ხალხის აზროვნება. ამდენად, მწერლობის ნიმუშების თარგმნას ხალხთა შორის ურთიერთობისთვის, გაცნობისთვის უაღრესად დიდი როლი ენიჭება. მთარგმნელის ხელთაა არა მარტო დედნისეული სინამდვილე, არამედ, საერთოდ, ცოცხალი სურათი ხალხის ცხოვრებისა. მან უნდა შეძლოს როგორც უცხო ენობრივი სამყაროს, ისე მასში ჩადებული შინაარსის, აგრეთვე ტექსტისა და ქვეტექსტის გააზრება. როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, “მთარგმნელისათვის მთავარი უნდა იყოს, “რას ფიქრობს” დედნის ავტორი სინამდვილეზე. მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ ასახავს სინამდვილეს, მის შემეცნებაში არსებობს სინამდვილესთან რომელიმე მწერლის დამოკიდებულების მოდელი, განსხვავებული კონკრეტული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობით” (ფანჯიკიძე 1988: 6).

მაშასადამე, მთარგმნელი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის, შემდეგ გადააქვს იგი მშობლიურ ენაზე ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის შენარჩუნებით ანუ გარდასახავს საკუთარ მსოფლმხედველობრივ პრიზმაში. როგორ ახერხებს ამას, ეს მკითხველისა და სპეციალისტის განსჯის საგანია.

მხატვრული ნაწარმოების სხვა ენაზე გადატანას ვუწოდებთ “თარგმანს”. თუ კარგი თარგმანია, ვამბობთ, რომ მთარგმნელმა კარგად გადათარგმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – მთარგმნელმა ცუდად გადათარგმნა. მჯობია ვთქვათ, რომ მთარგმნელმა დიდი მონდომებით სცადა ამა თუ იმ ნაწარმოების გადატანა უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა კარგად გადათარგმნა ან მთარგმნელმა ნახა ტექსტი, კარგად გაიგო და შეძლო მისი გადათარგმნა. უარეს შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ მთარგმნელმა

სათანადოდ ვერ გადათარგმნა. მან სცადა, კარგად გადაეტანა აზრი მეორე ენაზე, მაგრამ ვერ შეძლო. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა ტექსტი გაიგო, მაგრამ ენის თავისებურების გამო ვერ შეძლო კი არა მისი მხატვრული თარგმანი, არ გამოუვიდა. მაგალითად, თუ მთარგმნელის თვალით გადავხედავთ გამოთქმას “შე კაცო” ან “კი კაცო”, გაძნელება მათი გადატანა თურქულ ენაზე. ასეთი სირთულე ბევრია.

მთარგმნელობა ისეთი საქმეა, რომ თარგმანი ჯერ იწყება საკუთარი აზრის მშობლიურ ენაზე გადმოცემით და მერე გრძელდება მისი გადატანა საკუთარი ენიდან სხვა ენაზე, იმ ენიდან კი ხდება მკითხველის მიერ თავისებურად აღქმა და ა. შ. საკუთარი აზრის მშობლიურ ენაზე თარგმნაში იგულისხმება, რომ მწერალი ამზადებს სათქმელს და საკუთარ პრიზმაში კარგად აყალიბებს. მთავარია, როგორ გამოხატავს იგი თავის ემოციებს და როგორ გადასცემს აზრს მკითხველს. ესეც ხომ თარგმანია და ვერ ვიტყვით, რომ ავტორმა კარგად არ იცის საკუთარი ენა, თუმცა საჭიროა ლიტერატურული მხატვრული გემოვნების გათვალისწინება.

რაც უფრო ახლოს დგას მთარგმნელი დედანთან, ბუნებრივია, მით უკეთესია მისი თარგმანი. “მთარგმნელი აუცილებლად დაიმსხვრევა ორიდან ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეზე. მაშინაც, თუ თავისი ხალხისა და ენის გემოვნების ხარჯზე ზედმიწევნით ზუსტად გაჰყვება დედანს და მაშინაც, თუ თავისი ხალხის მთარგმნელისათვის მთავარი უნდა იყოს, რას ფიქრობს დედნის ავტორი. მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს უშუალო კავშირი. რაც უფრო თავისებურებებს უერთგულებს და დედანს გასწირავს. ამათ შორის რაღაც საშუალო არამცთუ ძნელი მისაღწევია, უბრალოდ შეუძლებელიც არის” (ფანჯიკიძე 1988: 6).

სამყაროში უამრავი რამ არის უსასრულო. მწერლობის ნიმუშად დასახელებული მხატვრული ნაწარმოების რაოდენობაც უსასრულოა, მაგრამ ამ უსასრულობაში თარგმანი ასრულებს ჯაჭვის ფუნქციას. მართლაც, თარგმანის საშუალებით უძრავი ხელოვნება იქცევა მოძრავ ხელოვნებად. თარგმანის გზით გვეძლევა ამა თუ იმ ერის შედეგისა თუ ნაწარმოების განსჯის საშუალება, ასევე თარგმანის გზით ვეცნობით სხვა ერისთვის დამახასიათებელ თვისებებს.

შეიძლება თარგმანმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვოს, მაგრამ საკმარისია, შევადართო იგი დედანს, რომ აღმოჩნდეს ბევრი ხარვეზი. ამიტომ მაქსიმალურად ობიექტურად უნდა შეფასდეს იგი; აგრეთვე შეიძლება თარგმნამდე შესანიშნავი ტექსტი (ორიგინალი) შემდეგ აღარ იყოს ისეთივე ღირებულებისა.

მაშასადამე, დედანთან შეპირისპირების შემდეგ ხდება შესაძლებელი თარგმანის ხარისხის დადგენა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მკლევრის პოზიცია. მან მაქსიმალურად ობიექტურად უნდა შეაფასოს თარგმანი, დაშვებული შეცდომების თუ ნაკლოვანი მხარეების განმაპირობელი მიზეზები მეცნიერულად უნდა დაადგინოს, ასევე უნდა ისაუბროს თარგმანის დადებით მხარეზეც. მძან კარგად უნდა იცოდეს არა მარტო დედნისა და თარგმანის ენა, არამედ ორივე ხალხის ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები და ა. შ.

ჩვენი მსჯელობის ობიექტი არის ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” ორიგინალისა და მისი თურქული თარგმანის ადეკვატურობის საკითხი. ამ თავშივე შევაპირისპირებთ დედანსა და თარგმანს, რის შემდეგაც გამოჩნდება დედნის სახე თარგმანის ტექსტში და ასევე თარგმანის მიმართება დედანთან. ჩატარებული ანალიზის შედეგად ვლინდება ადეკვატური, არაადეკვატური, გამოტოვებული და ზედმეტი (ჩამატებული) თარგმანის ნიმუშები:

### 1. მთარგმნელი ტექსტს ადეკვატური თურქული რეალიებით გადმოსცემს:

“არ მინდოდა ჯვრის დასობა, მაგრამ აკვირინე ბებია არ ქნა, ქრისტიანს ყველას უნდა ჯვარიო” (გვ. 300). დედანში უბრალო სიტყვებით გადმოცემული ზემოთ ხსენებული ფრაზა თურქულ თარგმანში ძალიან ცნობილი ანდაზით არის გამოხატული:

“*Akvirine Nine 'ye söz anlatmak deveye hendek anlatmaktan daha zor. Bir Hristiyan 'in hiç değilse bir haçı olmalı*” (აკვირინე ბებიასთვის სიტყვის ახსნა უფრო ძნელია, ვიდრე აქლემისთვის არხიდან ამოხტომა. ქრისტიანს ერთი ჯვარი მაინც უნდა ჰქონდესო) (გვ. 118). ეს აზრი მოგვაგონებს საქართველოში გავრცელებულ ანდაზას: “როგორც აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში...” შდრ.: გერმ: “*Ich habe eigentlich kein Kreuz aufstellen wollen, aber Großmutter Akvirine hat darauf bestanden*” (მე არ მინდოდა ჯვრის დადგმა, მაგრამ აკვირინე ბებია მაიძულა) (გვ. 115); რუს.: “Я



*не хотел крест ставить, но бабушка Аквиринэ настояла, христианин, говорит, нельзя без креста”* (მე არ მინდოდა ჯვრის დადგმა, მაგრამ ბებია აკვირინემ მაიძულა, ქრისტიანი არ შეიძლება ჯვრის გარეშეო) (გვ. 305). ყოფითი საუბარი შეცვლილია თურქულში გავრცელებული ანდაზით, რაც კარგად მიესადაგება სიტუაციას. გერმანული და რუსული თარგმანები მიჰყვება დედანს. თურქი მთარგმნელი არ თარგმნის სიტყვასიტყვით. მას კარგად ესმის შინაარსი და აზრს მშრალი სიტყვების ნაცვლად უფრო საინტერესოდ, თურქული ანდაზით გადმოსცემს, რაც მიუთითებს მის დამოუკიდებლობაზე, გადაწყვეტილების მიღების უნარზე, მკითხველის ინტერესის გათვალისწინებაზე. ამით დედნისეული აზრი არც იცვლება და არც იკარგება. ბებია აკვირინეს სიჯიუტე უფრო ხაზგასმულია თურქულ თარგმანში.

ნ. დუმბაძემ შესანიშნავად იცის სოფლის ცხოვრება. იგი დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით გადმოსცემს სოფლის ყოფას. შებინდებისას ნახირთან ერთად ბრუნდება შინ ტყესა და ყანაში დამამზრალი გურული: *“მზე ნელ-ნელა ჯდებაოდა სუფსას ჭალაზე. ტყესა და მინდორში გასული სოფელი აბღავლებულ ნახირთან ერთად შინ ბრუნდებოდა”* (გვ. 240).

ადეკვატურია ამ ეპიზოდის თურქული თარგმანი, თუმცა მდინარის სახელი “სუფსა” გამოტოვებულია გერმანულში და, შესაბამისად თურქულშიც, მაგრამ ამით დედნისეული შინაარსი მაინც არ ირღვევა: *“Uzakta yemyeşil tepeler, duru mavi gökle kucaklaşıyordu bir çizgide, güneş ağır ağır çekiliyordu ufuktan. Sürüler otlaklardan köye dönüyor, melemeleriyle akşamı selamlıyorlardı sanki”* (შორს ძალიან მწვანე მწვერვალები ერთ ხაზზე ეხუტებოდა სადა ლურჯ ცას. მზე ნელ-ნელა იხევდა ჰორიზონტიდან. ნახირი საძოვრებიდან სოფელში ბრუნდებოდა, თითქოს საღამოს ბღავილით ესალმებოდნენ) (გვ. 37). შდრ. გერმ.: *“Dort, wo der blaue Himmel mit den grünen Höhen verschmolz, sank langsam die Sonne. Von den Weiden kehrten die Herden ins Dorf zurück und erfüllten den Abend mit ihrem Blöken”* (იქ, სადაც ცისფერი ცა ერწყმოდა მწვანე მწვერვალებს, ნელ-ნელა ჩადიოდა მზე. საძოვრებიდან უკან ბრუნდებოდა ნახირი და საღამოს ავსებდა მისი ბღავილი) (გვ. 36); რუს: *“Солнце медленно спускалось туда, где синее небо сливалось с зелеными холмами. В деревню с выгонов и пастбищ возвращались стада, оглашая мычанием и бляением зеленые дали”*

(მზე ნელა ეშვებოდა იქ, სადაც ლურჯი ცა ეხებოდა მწვანე მწვერვალებს. სოფელში სამოვრებიდან ბრუნდებოდა ნახირი, რომელიც ბლავილით ავსებდა მწვანე სივრცეს) (გვ. 229).

შემდეგი ეპიზოდის: *“რა უნდა, ქეთო, ამ ბიჭს, რომ მჭამს ცოცხლად? – ჰკითხა ბრიგადირმა მამიდაჩემს”* (გვ. 218) თურქული თარგმანი შესატყვისი აზრით არის გადმოცემული: *“Keto dedi. Yeğenin neden kızıyor bana? Bir kaşık suda boğacak beni elinden gelse”* (რა უნდა, ქეთო, ამ ბიჭს, რომ შეძლებდეს, ერთი კოვზი წყლით დამახრჩობს? – ჰკითხა ბრიგადირმა მამიდაჩემს) (გვ. 9). შდრ. გერმ.: *“Warum verfolgt mich dein Neffe so mit seinem Zorn? Es wird mich eines Tages gar noch mit Haut und Haaren verschlingen!”* (რატომ არის შენი ძმისშვილი ჩემზე ასე ალესილი? ერთ დღეს თმიან-კანიანად გადამცლაპავს) (გვ. 7);

რუს.: *“ – Keto, с чего это твой племянник так взялся на меня? Того и гляди живьем проглотит! – обратился бригадир к тетке”* (ქეთო, რა უნდა ამ შენს ძმისშვილს ჩემთან? საცაა, ცოცხლად მჭამს! – მიმართა ბრიგადირმა მამიდაჩემს) (გვ. 203). ერთი და იგივე აზრი როგორც თურქულში, ასევე გერმანულშიცა და რუსულშიც, სხვადასხვა ფორმით არის გადმოცემული.

აადამიანზე გაბრაზების შემთხვევაში გამოთქმა **ცოცხლად ჭამა** არ იხმარება თურქულში. ჩანს, ეს უცხოა როგორც გერმანულისთვის, ისე რუსულისთვის. სამივე მთარგმნელი თავს იკავებს პირდაპირი თარგმანისგან. ისინი უნიკალურად გადმოსცემენ დედნისეულ აზრს თარგმანის ენებში.

საინტერესოა სოსოიასა და ქეთო მამიდას შორის ძილის წინ გამართული დიალოგი:

– *მამიდა!*

– *რა გინდა, ბიჭო?*

– *გძინავს მამიდა?*

– *თქვი, რა გინდა.*

– *რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?*

– *ხომ არ გავაგდე, ბიჭო?”* (გვ. 19).

ზემოთ მოცემული დიალოგი თურქულ თარგმანში უფრო თბილი და ალერსიანია, ვიდრე ორიგინალში:

– *Hala!*

– *Ne var yavrucuğum*

– *Uyudun mu?*

– *Niçin sordun, ne vardı canım?*

– *Hala be söylesene bana bu Datiko ne istiyor? Her gece, her gece niye geliyor bize?*

– *Bilmem ki sevgilim!*”

( \_ მამიდა!

– რა მოხდა, შვილო?

– გეძინა?

– რატომ მეკითხები, რა იყო, ჩემო საყვარელო?

M\_ მამიდა, ხომ არ მეტყვი, რა უნდა ამ დათიკოს, ყოველ ღამე, ყოველ ღამე რატომ დადის ჩვენთან?

– *არა ვიცი, საყვარელო!*) (გვ. 11).

როგორც ვხედავთ, სოსოიასა და ქეთო მამიდას დიალოგი თურქულ თარგმანში უფრო თბილი და ალერსიანია, ვიდრე დედანში. მთარგმნელს კარგად აქვს გაგებული სოსოიას მიმართ მამიდას დამოკიდებულება და სიყვარული. მთარგმნელი ითვალისწინებს ურთიერთობას, რომელიც სოსოიასა და მამიდას შორის არის დამკვიდრებული მთელ რომანში. ნამდვილად, მამიდას ძალიან უყვარს სოსოია და სულ ყოველთვის სითბოთი და მოფერებით ეკიდება მას. როგორც დიალოგის პირველი სტრიქონი გვიჩვენებს, მამიდა მიხვდა, რომ სოსოია მის და დათიკოს სიყვარულზე ეჭვიანობდა. ამიტომ მას არ უნდა სოსოიასთან ამ თემაზე საუბარი და ამის თავიდან ასაცილებლად და განწყობის გამოსახატავად თავისთავად ამ დონეზე ისაუბრებდა მასთან. შდრ. გერმ.:

– *Tante?*

– *Was hast du, mein Junge?*

– *Schläfst du, Tante?*

– *Sag schon, was du willst.*

– *Tante , was will dieser Datiko? Warum kommt er jeden Abend zu uns?*”

– *Ich weiß es nicht mein Lieber.*

– *Er soll nicht immerzu kommen!*

– *Ich kann ihn doch nicht hinauswerfen!*”

( \_ მამიდა!

– რა გინდა, ჩემო ბიჭო?

– გძინავს, მამიდა?

– თქვი ჩქარა, რა გინდა.

– მამიდა, რა უნდა ამ დათიკოს? რატომ მოდის ჩვენთან ყოველ საღამოს?

– არ ვიცი, ჩემო საყვარელო.

– ის არ უნდა მოდიოდეს.

– ხომ არ გავაგდე მას... (გვ. 8);

რუს.:

– *Тетя!*

– *Что тебе, мой мальчик ?*

– *Ты спишь, тетя?...*

– *Ну говори , что ты хочешь.*

– *Тетя, что нужно этому Датико-бригадиру, чего он каждый вечер к нам ходит?*

– *Не знаю, родной.*

– *Пусть не приходит!*

– *Не выгоню же я его!*”

( \_ რა გინდა, ჩემო ბიჭო?

– გძინავს, მამიდა?

– თქვი, რა გინდა

– რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?

– არ ვიცი ჩემო კარგო

– ხომ არ გავაგდე?) (გვ. 204).

დიალოგის გერმანული თარგმანი რუსულთან შედარებით უფრო შერბილებულია.

შემდეგი ეპიზოდის თურქული თარგმანი უმნიშვნელოდ არის დარღვეული, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ადეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს:

“ *თუთუნი!* – წინა მერხებზე მსხდომმა ათმა კაცმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მაგიდა თუთუნით გაივსო. ათმა კაცმა მოხია გაზეთი და მაგიდა ქალაღით აივსო, ათმა კაცმა ჩამოჰკრა კვესაბედი და ოთახი დამწვარი აბედის სასიამოვნო, ტკბილი და დამატრობელი სუნით აივსო” (გვ. 270).

თურქული თარგმანი ასეთია:

“*Tütün, 'dedi, tütün verin bana. Bir yığın el uzandı ona doğru, on, on beş el en azından, hepsinde de bir tütün kesesi; sonra bir o kadar el daha , hepsinde gazete kağıdı; ardından bir o kadar el daha, hepsinde fitilli çakmak, ortalığa yanık pamuk kokusu dağıldı*” (თუთუნი, თუთუნი მომეცით, – თქვა. უამრავს ჰქონდა ხელი გაწვდილი მისკენ, მინიმუმ ათი-თხუთმეტი ხელი, ყველა ხელში თუთუნის ყუთი, მერე კიდევ იმდენი ხელი. ყველა ხელში გაზეთის ქალაღი, მერე კიდევ იმდენი ხელი და ყველა ხელში ფითილიანი სანთებელა. შიგნით დამწვარი ბამბის სუნი დადგა) (გვ. 79).

დედნისეული კვესაბედის შესატყვისია: **fitilli çakmak** (ფითილიანი სანთებელა) და **აბედის სუნიც** აღქმული არის **დამწვარი ბამბის სუნად**;

შემდეგი ეპიზოდის: “*დათიკოსაც უყვარხარ*” (გვ. 220) ჩვეულებრივი სიტყვებით გადმოცემული აზრი თურქულ თარგმანში უფრო გაძლიერებულია და იდიომური გამოთქმით არის გადმოცემული: “*Hele Datiko çıldırıyor senin için*” (დათიკო გიჟდება შენზე) (გვ. 12). შდრ. გერმ.: “*Und Datiko liebt dich, so ist das!*” (დათიკოს უყვარხარ, ასეა ეს!) (გვ. 9);

რუს.: “*...Датико тебя любит вот*” (დათიკოსაც უყვარხარ) (გვ. 205). მთარგმნელი კარგად სწვდება სიტუაციას. თურქული თარგმანი აქაც არ მიჰყვება გერმანულს, გერმანული მიჰყვება რუსულს, რუსული კი – დედანს. თარგმანში ამგვარი მაგალითი ბევრია.

მსგავსი ვითარებაა შემდეგ ეპიზოდშიც: “*ქალო, სიცოცხლესავით ველოდი შენს ნახვას და გამიცინე ერთი*” (გვ. 247)

თურქულად: *“Keto: dedi, “biri, aç biri bir dilim ekmeğe nasıl özlem duyarsa ben de sana öyle susamıştım, seninle buluşmanın, seninle yüzyüze olmanın düşünüyü kurdum hep”* (ქეთო, თქვა, როგორც მშიერს ენატრება ერთი ნაჭერი პური, მეც ისე მენატრები შენ. შენთან შეხვედრაზე, შენთან პირისპირ ყოფნაზე ვოცნებობდი სულ) (გვ. 48).

სიტყვასიტყვითი ანუ პირდაპირი თარგმანი ყოველთვის არ არის უარსაყოფი. ხანდახან ადეკვატური თარგმანის მიღწევა შეიძლება მოხერხდეს პირდაპირი თარგმანის გზით, მაგრამ დედნისეული ეპიზოდი *“სიცოცხლესავით ველოდი შენს ნახვას”* თურქულ ენაზე არც გადაითარგმნებოდა პირდაპირ, მაშინ აზრი გაუგებარი იქნებოდა. თარგმნილი ტექსტის აზრი შესაბამისად გადმოსცემს დედნისეულ აზრს. ვხედავთ, რომ თურქული თარგმანი ეყრდნობა გერმანულს, ხოლო გერმანული – რუსულს. შდრ.: გერმ.: *“Keto, wie ein Hungeriger von einem Stück Brot habe ich von dem Wiedersehen mit dir geträumt”* (ქეთო, როგორც დამშეული ერთი პურის ნაჭერზე, ისე ვოცნებობდი შენს ხელახალ ნახვაზე) (გვ. 46);

რუს.: *“Keto, я мечтал о встрече с тобой, как голодный о хлебе, улыбнись же мне хоть раз”* (ქეთო, მე ვოცნებობდი შენთან შეხვედრაზე, როგორც დამშეული – პურზე, გამიღიმე ერთხელ მაინც) (გვ. 238).

დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა შემდეგი ეპიზოდის თურქულ თარგმანში: *“მოვა, დაჯდება, წყალი მოიტანე, ძაღლს გახედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე”* (გვ. 218).

რუსულსა და გერმანულში მთლიანად გადატანილია ქართული ტექსტი, თურქულში კი თითქოს აფასებს მთარგმნელი ბრიგადირის მოქმედებას. გერმანული და რუსი მთარგმნელები ამ ეპიზოდს პირდაპირ თარგმნიან, მაგრამ თურქი მთარგმნელი ძალიან თავისუფლად ახერხებს გრძელი სიტყვის მოკლედ თქმას ისე, რომ არც არღვევს შინაარსს, პირიქით, თარგმნის ზედგამოჭრილი გამოთქმით: *“Ne zaman gelse bir oyun çıkıyor altından”* (როცა მოდის, რაღაცას ოინბაზობს). შდრ. გერმ.: *“Bald muß ich ihm Wasser holen, bald nach dem Hund sehen, hierhin und dorthin laufen”* (ხან წყალი უნდა მოვუტანო, ხან ძაღლს უნდა გავხედო, აქეთ-იქეთ დამარბენინებს) (გვ. 9);

რუს.: *“Придет, рассядется, то воды ему принеси, то за собакой присмотри, туда пойдю, сюда пойдю... Я-то знаю, чего он хочет”* (წყალი მოიტანე, ძაღლს გახედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე) (გვ. 205). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: *“დიდი ხანია, ცნობილია, რომ არც თავისუფალი თარგმანია მისაღები და არც სიტყვასიტყვითი, არამედ ზუსტი და მხატვრულად დედნის შესატყვისი. თარგმანი უნდა გამოხატავდეს დედნის ყველა ძირითად ელემენტს და ამავე დროს არ უნდა შლიდეს მთარგმნელის ინდივიდუალობას”* (გ. გაჩეჩილაძე, 1966, გვ. 148).

მნ. დუმბაძის *“მე ვხედავ მზეს”* უშუალოდ, ბუნებრივად და ნათლად ასახავს ცხოვრებისეულ სინამდვილეს. მწერლისათვის პირდაპირ იდილიაა სოფლის წისქვილში ღამის გათევა, გაუცრელი ფქვილისაგან ბუხარში გამომცხვარი მარილიანი კვერის ჭამა, ოდნავ ჩაძინებულს სიზმარში წყალს რომ მოგანდომებს და გაღვიძებული დაეწაფები წისქვილის ღარში მოთქრიალე სუფსის წყალს: *“თუ ჩემი სოფლის წისქვილში ღამე არ გითევია, ბეგლარასთან არ გიჭორავია დილამდე, ღადარში ჩაკრული, მისი გამომცხვარი გაუცრელი მარილიანი კვერი არ გილოღნია, მერე ჩათვლემის სიზმარი არ გინახავს, რომ წყურვილით კვდები, არ წამომხტარხარ, წისქვილის ღარზე არ გადამხობილხარ და ცხენივით დიდხანს არ გისვამს სუფსის წყალი, არ თქვა სოფელი მინახავსო”* (გვ. 308).

დედნის შინაარსი ადეკვატურად არის გადმოცემული თურქულ თარგმანში, თუმცა გამოტოვებულია სიტყვა **გაუცრელი**, მაგრამ მაინც, დედნისეულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თითქმის არანაკლებად დედნისა: *“Bizim köyü bilmek demek, Beglar'ın değirmeninde hiç değilse bir gece geçirmeyi gerektirir. Beglar'ın değirmeninde bir gece geçirmeyi, Beglar'la sabaha kadar çene çalmayı, köyde olup bitenleri tartışmayı, onun kepekli undan yapılmış ekmeğini, tuzsuz, pişkin ekmeğini yemeyi, sabah tanyeri ağarırken gevezelikten bitkin düşmüş, yorgun, uykulu ve susamış bir at gibi değirmenin buz gibi suyundan içmeyi gerektirir. Yoksa bizim köyü hiç ama hiç bilmiyorsunuz demektir”* (ჩვენი სოფლის ცოდნა ნიშნავს ბეგლარას წისქვილში ერთი ღამის გათენებას მაინც, ბეგლარასთან დილამდე ლაქლაქს, სოფელში მომხდარის შესახებ მსჯელობას, ფქვილის ნაცერისგან გამომცხვარი უმარილო პურის ჭამას, ალიონზე ლაქლაქისგან უძლური, დაღლილი და მწყურვალი

ცხენივით წისქვილის ყინულივით წყლის დალევას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ჩვენი სოფელი იცი) (გვ. 129).

ასეთივე უბრალოა გერმანული თარგმანიც: *“Wenn ihr noch keine Nacht in Beglars Mühle verbracht, noch nie mit ihm bis zum Morgengrauen geplaudert und alle Begebenheiten im Dorf erörtert, noch nie sein zu scharf gebackenes, zu schwach gesalzenes Brot aus ungesiebttem Mehl gekostet habt und noch nie vor Tag, des Redens müde, bei ihm eingnickt und nach dem Erwachen halb verdurstet zum Mühlteich gestürzt seid, um wie ein Pferd kaltes Supaswasser zu trinken – dann sagt nicht, daß ihr unser Dorf kennt!”* (თუ თქვენ ერთი ღამე მაინც არ გაგიტარებიათ ბეგლარას წისქვილში, არ გილაყბიათ გათენებამდე და არ გაგირჩევიათ სოფლის ყველა ამბავი, თუ არასდროს გაგისინჯავთ მისი ზედმეტად გამომცხვარი ოდნავ მარილიანი, გაუცრელი ცომისგან გამომცხვარი პური და საუბრისაგან დაღლილი დილამდე ძილ-ბურანში თუ არ ყოფილხართ და შემდეგ გაღვიძებისთანავე ნახევრად მწყურვალი თუ არ მივარდნილხართ წისქვილის წყალს, რათა როგორც ცხენს, სუფსის ცივი წყალი დაგელიათ, მაშინ ნუ იტყვით, რომ იცნობთ ჩვენს სოფელს) (გვ. 126).

თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არა მხოლოდ ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, ტრადიციები. ეს განსხვავება აისახება ლექსიკაში. დედნისეული ამა თუ იმ ტერმინის შესატყვისის მოძებნა უცხო ენაში ძნელდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ენის მატარებელ ხალხს არ მოეპოვება შესაბამისი ნივთი, საგანი.

საერთოდ, სოფელში ძაღლის ყეფა ოჯახში სტუმრის მოსვლასთან არის დაკავშირებული:

– *სოსოია, გახედე ერთი, რა აყეფებს იმ ძაღლს?*

– *თუ ვინმეა, დაიძახებს, – ვთქვი მე*” (გვ. 218).

თურქული თარგმანი არ მიჰყვება დედანს, მაგრამ სიტუაცია სწორად აქვს წარმოდგენილი თურქ მთარგმნელს და შესაბამისად გადმოსცემს მას: *“Hep havlar dedim, yabancı biri geldimi boyuna havlar durur böyle”* (სულ ყეფს-მეთქი. როცა უცხო ვინმე მოდის, სულ ყეფს ასე) (გვ. 8).

ამ მხრივ სცოდავს გერმანული თარგმანი. სოფელში მოსული კაცი მასპინძელს ეძახის და არ აკაკუნებს კარებზე: *“So bellt er, wenn jemand kommt,”* –



*antwortete ich*” (ასე მაშინ ყვეს, როცა ვინმე მოდის, – ვუპასუხე მე) (გვ. 6). შდრ. რუს.: *“Если кто пришел, так позовет, – ответил я”* (თუ ვინმე მოვა, დაიძახებს, – ვთქვი მე) (გვ. 202).

თურქული თარგმანი სამივესგან განსხვავდება და არც ერთს არ მიჰყვება, მაგრამ რეალური სურათი მაინც არ იცვლება. ფგაქტი ისაა, რომ უცხოვს გამოჩენაზე ძალიან მუდამ ყვეს. საქმე იმაშია, რომ სოსოიას არ უნდა დათიკო ბრიგადირის მამიდასთან მარტო დატოვება.

## 2. თურქული თარგმანი არაადეკვატურია, დედნისგან არის დაშორებული:

ნ. დუმბაძის რომანის თურქულ თარგმანში გვხვდება ისეთი ეპიზოდები, სადაც დედანში გადმოცემული აზრი სრულიად საპირისპირო ან არასწორი გაგებით არის შესრულებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ეპიზოდების თურქული თუ წყაროების თარგმანები: *“შეხვედები კაცს გზაში, გამარჯობას ეტყვი, თუთუნს მოგაწვდის, ცოტა ბევრის აღება მოგინდება და, იმ წუთში: – რა ამბავია, შე კაცო, ბეგლარას მინდი ხომ არაა?..”* (გვ. 309).

თურქულად: *“Yolda biri tutup, size bir sigara sunsa da geri çevirseniz hemen sözü yapıştırır size: “Ne o bizim sigaramızı Beglar’ın mısırı mı sandın yoksa”* (გზაში ვინმემ სიგარეტი რომ შემოგთავაზოთ და უარი უთხრათ, იმ წუთშივე სიტყვას შემოგაგებებს: რაო, ჩვენი სიგარეტი ბეგლარას სიმინდი გეგონა?) (გვ. 129).

თარგმანი სრულიად არ შეესაბამება დედანს. კერძოდ, თურქულ ტექსტში საპირისპირო აზრია გადმოცემული – ვითომ შემოთავაზებულ სიმინდზეც უარს ამბობენ სოფელში. პირიქით, ომის პერიოდში სიმინდის უქონლობა დედნისა და თარგმანის ტექსტებში, კერძოდ, იმ თავში, რომელშიც მოთხრობილია წისქვილის შესახებ (*“ბეგლარას წისქვილი”*), დაწვრილებით არის აღწერილი. ამის მაგალითია შემდეგი ეპიზოდი: *“აი, ის პატარა პარკი, ლურჯი პარკი, თეთრწინწკლებიანი, სამი ოყა სიმინდი იქნება შიგ, მეტი არა...”* (გვ. 314). შდრ. გერმ.: *“Begegnete dir jemand auf der Straße, begrüßte dich, bot dir, falls du es nicht tatest, etwas zu rauchen an, und du bedienstest dich reichlich, fragte er zurechtweisend: „Was soll das heißen, mein Lieber? Du verwechselst meinen Tabak wohl mit Beglars Mindi?”* (თუ ვინმე შეგხვდება ქუჩაში, მოგესალმება, მოსაწევს შემოგთავაზებს, თუ არ ეწევი და,

თუ უხვად აიღებ, მაშინვე საყვედურით შეგეკითხება, რას შვრები, შე კაცო, შენ ჩემი თამბაქო ბეგლარის მინდი ხომ არ გგონია?) (გვ. 127);

რუს.: *“Встретишь кого-нибудь по дороге, поздороваешься, остановишься, угостит он тебя табаком... – Что такое, парень, или ты думаешь, это минди Беглара”* (შეხვედები ვინმეს გზაზე, მიესალმები, გაჩერდები, გაგიმასპინძლება ის თამბაქოთი, უკიდურეს შემთხვევაში შენ მას და, თუ ცოტათი ბევრს აიღებ, მაშინვე გეტყვიან: რა არის ეს, ბიჭო, შენ რა გგონია, ეს ბეგლარას მინდია?) (გვ. 316).

გერმანული და რუსული თარგმანები ადეკვატურია დედნისა. მაშასადამე, თურქულ თარგმანში დაშვებული შეცდომის მიზეზი თვით თურქი მთარგმნელია. ეს არის არასწორი თარგმანის ნიმუში.

სრულიად მსგავსი ვითარებაა შემდეგი ეპიზოდის: *“ვეუბნები, იმიტომ რომ ვიცი, ყველა დაბრუნდება, სულ ყველა, მე ჯერ არ მინახავს კაცი, რომელიც ჯარში წასულიყოს და არ მობრუნებულიყოს”* (გვ. 225) თურქულ თარგმანში: *“Hepsinin tümünün eksiksiz gittiği gibi geri dönmesini istiyordum ama yaşadığım kadariyla, birinin savaşa gidip de döndüğünü göremedim”* (როგორც ყველა უკლებლივ წავიდა, ისევე მინდოდა ყველა უკლებლივ დაბრუნებულიყო, მაგრამ, როგორც მე მახსოვს ცხოვრებაში, არ მინახავს კაცი, რომელიც ომში წასულიყოს და მერე დაბრუნებულიყოს) (გვ. 19). შდრ. გერმ.: *“Bisher hatte ich noch nie erlebt, daß einer zur Armee gegangen und nicht zurückgekommen wäre”* (აქამდე ჯერ არასდროს გამომიცდია, რომ კაცი წასულიყოს ჯარში და უკან არ დაბრუნებულიყოს) (გვ. 17);

რუს.: *“Все вернутся! – уверенно говорю я. я \_ знаю \_ все вернутся, все. Я еще не видел человека , который бы ушел в армию и не вернулся”* (ყველა დაბრუნდება. დარწმუნებული ვამბობ მე, მე ვიცი, ყველა დაბრუნდება, ყველა, ყველა. მმე ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელიც წასულიყოს ჯარში და არ დაბრუნებულიყოს) (გვ. 212).

შემდეგ ეპიზოდში თურქული თარგმანი სრულიად საპირისპირო გაგებით არაა, მაგრამ მაინც არასწორად არის გადმოცემული: *“მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია”* (გვ. 219). თურქულ თარგმანში სიტყვა **ქართულის** ნაცვლად არის **ქართველი**: *“Halam bir Gürcü öğretmeni”* (მამიდაჩემი ქართველი მასწავლებელია) (გვ. 10).

მამიდა ქეთო თავისთავად ქართველია, მაგრამ დედანში ხაზი ესმება იმას, რომ ის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. შდრ. გერმ.: *“Meine Tante, eine Schwester meines Vaters, war Georgischlehrerin”* (მამიდაჩემი, მამაჩემის და, ქართულის მასწავლებელი იყო) (გვ. 8);

რუს.: *“Моя тетка, родная сестра отца, учительница грузинского языка”* (მამიდაჩემი, მამაჩემის და – ქართული ენის მასწავლებელია) (გვ. 204).

აქაც არაადეკვატურია თურქული თარგმანი დედანთან შედარებით, გერმანული და რუსული ტექსტები კი შეესაბამება დედანს.

შემდეგი ეპიზოდი სხვა შინაარსისა არის, მაგრამ თარგმანის თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობაა: *“მიხედე მამიდაშენს, შენ ვაჟკაცი ხარ ახლა”* (გვ. 217).

თურქულად: *“Bak halan seni kucakliyor daha erkek olmadın da ondan”* (ხომ ხედავ, მამიდა შენ გეხუტება. ჯერ კაცი ვერ გახდი და იმიტომ) (გვ. 21). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქულ თარგმანში სრულიად განსხვავებული აზრი არის გადმოცემული. აღნიშნული ეპიზოდის გერმანულ და რუსულ თარგმანებში მსგავსი შემთხვევა არ დასტურდება. ოორივე შეესაბამება დედანს. შდრ.: გერმ.: *“Kümmere dich um deine Tante! Du bist doch schon ein Mann”* (მოუარე მამიდაშენს, შენ ხომ უკვე კაცი ხარ) (გვ. 20); რუს.: *“Присмотри за тетей ты ведь мужчина”* (მიხედე მამიდაშენს, შენ ხომ უკვე კაცი ხარ) (გვ. 214).

ასევე არასწორი მიდგომაა შემდეგი ეპიზოდის თურქულ თარგმანშიც: *M“მამიდამ ლამპა გარეთ გამოიტანა”* (გვ. 219).

თურქულად: *“Halam lambayı mutfığa götürdü”* (მამიდაჩემმა ლამპა სამზარეულოში წაიღო) (გვ. 10). შდრ.: გერმ.: *“Die Tante nahm die Lampe, die in der Küche stand”* (მამიდამ აიღო ლამპა, რომელიც სამზარეულოში იდგა) (გვ. 8); რუს.: *“Тетка взяла из кухни лампу”* (მამიდამ ლამპა სამზარეულოდან გამოიტანა) (გვ. 205).

თურქული ტექსტის მთარგმნელს არ ესმის, რომ ლამპა სამზარეულოში იდგა და იქიდან გამოიტანა მამიდამ. გაქაც არაადეკვატურია თურქული თარგმანი დედანთან მიმართებით.

ამგვარი მაგალითები გვიჩვენებს, რომ თურქი მთარგმნელი იშვიათად, მაგრამ მაინც სწორად არ თარგმნის ორიგინალის ამა თუ იმ ადგილს, სათანადო

ყურადღებით არ უდგება დაკისრებულ საქმეს. მტექსტის ნაწილი ესმის, მეორე ნაწილს კი შინაარსის მიხედვით ინტუიციით ასრულებს. ანალოგიური დარღვევა არ ფიქსირდება გერმანულსა და რუსულ თარგმანებში. მთარგმნელმა მაქსიმალური ყურადღებით უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება. მძან კარგად უნდა შეამოწმოს როგორც მთლიანი წინადადება, ისე წინადადების შემადგენელ თითოეული დეტალი. ზოგ შემთხვევაში შეპირისპირების გარეშეც იგრძნობა თარგმანის დანაკლისი.

**3. თურქული თარგმანი არათუ ზედმიწევნით არ მიჰყვება ორიგინალს, არამედ დამატებულია:**

ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” იწყება ხმელ ტოტზე დამჯდარი ჩხართვის გალობით: *“ჩხართვი იჯდა და ისე გალობდა, მამიდამ საქმეს თავი დაანება, სამფეხა სკამი ეზოში გამოიტანა, დაჯდა და სმენად იქცა”* (გვ. 217).

თურქულად: *“İspinoz şakıyordu. Yürekten coşkun bir ötüşü vardı; Keto Halam kendini tutamadı, üç bacaklı iskemlesini alıp kuruldu kirazın karşısına”* (ჩხართვი გალობდა. გგულიანად გალობდა, ქეთო მამიდამ ვერ მოითმინა, სამფეხა სკამი აიღო და დაჯდა ბლის ხის მოპირდაპირე მხარეს) (გვ. 7).

ისე გალობდა თურქულად თარგმნილია ასე: *Yürekten coşkun bir ötüşü vardı* (გულიანად გახარებული გალობდა), რაც დამატებულია, მაგრამ აზრობრივად შეესაბამება დედნისეულ შინაარსს.

კვიდევ ერთი დამატებული პასაჟი თურქულ თარგმანში. დედანში არის: *“ \_ სოსოია, წყალი დამალევიე შენს გაზრდას, \_ მთხოვა მან. დოქთან მივედი”*.

*“ \_ მაგი არა, ცივი მოიტანე”* (გვ. 218).

თურქულად: *“Masanın üstünde duran testiye uzandım; aceleyle engel oldu davranışına. Yok, yok, dedi, şöyle buz gibi taze bir su istiyorum”* (მაგიდაზე მდგომ დოქს მივწვდი, მაგრამ უცებ ხელი შემეშალა. არა, არა, \_ თქვა, ყინულივით ახალი წყალი მინდა) (გვ. 8).

თურქულში დამატებულია *aceleyle engel oldu davranışına*, რაც განპირობებულია თვით მთარგმნელის ინიციატივით და აზრობრივ პრობლემას არ ქმნის. უბრალოდ, მთარგმნელს სიტუაცია კარგად აქვს გაგებული და შინაარსის

მიხედვით ლოგიკურად განაგრძობს საუბარს. ასევე არის დამატებული სიტყვა taze bir su (ახალი წყალი).

შემდეგ ეპიზოდშიც გვხვდება ჭარბი (ზედმეტი) თარგმანი:

*“ეზოში გამოვედი, ზღმარტლზე აყუდებული ახალმოპირული თოხი დარზე ჩავიტანე და ყუით წყალში ჩავდე”* (გვ. 219).

თურქულად: *“Bahçeye çıktım, muşmuların altında duran çapayı alıp su ırmağının içine koydum. Mısır çapasına temiz bir çapayla gitmeyi düşünüyordum”* (ეზოში გამოვედი ზღმარტლის ქვეშ დადებული თოხი ავიღე და წყლის არხში ჩავაგდე. სიმინდის სათოხნელად სუფთა თოხით ვაპირებდი წასვლას) (გვ. 10).

თოხის წყალში დატოვება გლეხისთვის წესია. დროთა განმავლობაში თოხის ტარი ხმება და თოხს სცილდება. ამის თავიდან ასარიდებლად სამუშაოდ ერთი-ორი საათით ადრე ან წინა საღამოს თოხს წყალში დებენ, რომ გაიჟღინთოს და გლეხს მუშაობის დროს ხელი არ შეუშალოს. თურქი მთარგმნელი კი ამას ყანაში სუფთა თოხით წასვლასთან აკავშირებს, რაც ნაწილობრივ სწორია, მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზანი. აღნიშნული მონაკვეთი მხოლოდ თურქულ თარგმანშია დამატებული.

შემდეგი ეპიზოდის თურქული თარგმანი ვრცელია დედანთან შედარებით: *“ \_ სოსოია, გახედე ერთი, რა აყეფებს იმ ძაღლს? \_ მითხრა ბრიგადირმა”*. თურქულად: *“Sosoia, dedi bu kez Datiko, bak bakalım şu köpek niye huysuzlanıyor, niye havlayıp duruyor? Eliyle avluya açılan kapıyı gösteriyordu bana”* (სოსოია, \_ მითხრა ამჯერად დათიკომ, \_ გახედე, ერთი, რატომ ჭირვეულობს ძაღლი, რა აყეფებს გამუდმებით? ხელით ჭიშკარს მანიშნებდა, რომელიც ეზოსკენ იღება) (გვ. 9). მხოლოდ წინადადება საერთოდ არ არის დედანში.

შემდეგი დამატებული მონაკვეთების წყარო გერმანული და რუსული თარგმანებია.L

თურქულში არის: *“Böyle güzel bir günde kendi tarlanın bozulmasına boş verecekmişsin, gidip kolhozun toprağını çapalayacakmışsın”* (ასეთ მშვენიერ დღეს არ უნდა მიაქციო ყურადღება საკუთარ ყანას, რომელიც შესაძლოა დაზიანდეს. ამ დროს უნდა წახვიდე და კოლმეურნეობის ყანა უნდა თოხნო თურმე) (გვ. 14). შდრ.

გერმ.: *“Fragst du unsern Brigadier, mußt du den lieben langen Tag den Kolchosacker hacken, während auf deinem eigenen Grund und Boden alles verkommt”* (ჩვენს ბრიგადირს რომ ჰკითხო, მთელი დღე კოლმეურნეობის ყანები უნდა თოხნო, როცა შენს საკუთარ მამულში ყველაფერი ფუჭდება) (გვ. 13);<sup>G</sup>

რუს.: *“Спросить нашего бригадира, так ты каждый ден должен мотыжить колхозное поле, а свое – пусть хоть пропадом пропадет”* (ჩვენს ბრიგადირს რომ ჰკითხო, მთელი დღე კოლმეურნეობის ყანები უნდა თოხნო, იმ დროს, როცა შენს საკუთარში ყველაფერი ფუჭდება) (გვ. 208).

საინტერესოა, რუსულ თარგმანში რატომ იჩენს თავს ამგვარი ზედმეტი მსჯელობა. სიტუაციის მიხედვით ასეთი რამ უადგილოა ამ მონაკვეთში, სადაც სულ სხვა შინაარსისაა დედანი: *“ლუკაიამ თუთუნს უსუნა და განაგრძო, – კაი სამუშაო დღეა დღეს, მარა ვიფიქრე, ერთ-ორ კაპიკს გავაკეთებ მეთქი...”* (გვ. 222). საუბარი ეხება თარგმანის უზუსტობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იუჯინ ა. ნაიდას მოსაზრება: “იმის გამო, რომ არ არსებობს ორი იდენტური ენა არც იმ მნიშვნელობათა მიხედვით, რომლებიც ამა თუ იმ სიმბოლოებს გამოხატავენ და არც აღნიშნულ სიმბოლოთა წინადადებაში ორგანიზაციის წესის მიხედვით, ბუნებრივია, რომ ენათა შორის შეუძლებელია ზუსტ შესაბამისობათა დადგენა, აქედან ის გამომდინარეობს, რომ სავსებით ზუსტი თარგმანის არსებობა წარმოუდგენელი რამ არის” (ნაიდა 1982: 15).

თურქულში კიდევ არის ერთი ზედმეტი ფრაზა, რომლის წყაროა გერმანული და რუსული თარგმანები:

*“მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია, იგი ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში. მამიდა ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს, მარიამს და ქეთევანი ჰქვია”* (გვ. 219).

ამ ეპიზოდში სოსოია მამიდას ღვთისმშობელს ადარებს, რითაც ხაზს უსვამს მის გარეგნულ სილამაზეს, რაც ხშირად მეორდება რომანში. ეს კარგად აქვთ დანახული მთარგმნელებს და ამიტომ ამას ფიცით ხსნიან. მაგალითად: თურქული: *“Bu konuda neyin üstüne isterseniz yemin edebilirim”* A(ამის შესახებ რაზედაც გინდათ ფიცს დავდებ) (გვ. 10); გერმ.: *“Ehrenwort, sie sah aus wie die Madonna, wie die Mutter*

*Gottes auf der Ikone in Großvaters Truhe*” (პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ის ისე გამოიყურებოდა, როგორც მადონა, როგორც ღვთისმშობელი იმ ხატზე, ბაბუაჩემის სკივრში რომ არის...) (გვ. 8);

რუს.: *“Честное слово, она похожа на богородицу, – икона хранится в дедушкином сундуке”* (პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ის ისე გამოიყურებოდა, როგორც მადონა, როგორც ღვთისმშობელი ხატზე ბაბუაჩემის სკივრში) (გვ. 204).

**4. ზოგჯერ დედნისეული ზოგიერთი წინადადება თუ ფრაზა თურქულ თარგმანსა და წყაროებში ნაწილობრივ ან მთლიანად არის გამოტოვებული. ამ მხრივ თარგმანებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა:**

ა) **გამოტოვებულია თურქულში:** ზოგჯერ ქართული ტექსტის თურქული თარგმანი არ არის სრულყოფილი, ზოგიერთი ადგილი გამოტოვებულია. ამის მიზეზი ყოველთვის არ არის წყარო ენები. მაგალითად: *“მამიდა უხმოდ იჯდა და ბუხარში ჩაფერფლილ ნაკვერჩხლებს ჩასცქეროდა”* (გვ. 217). შდრ. გერმ.: *“Meine Tante saß vor dem Kamin, hielt mit den Händen die Knie umschlungen und sah unverwandt in die glimmenden Kohlen”* (მამიდაჩემი იჯდა ბუხრის წინ მუხლებზე ხელებმობვეული და გაშტერებით უყურებდა ჩაფერფლილ ნახშირს) (გვ. 6);

რუს.: *“Тетка сидела перед камином, обняв руками колени, и пристально смотрела на тлеющие в золе красные угольки”* (მამიდა იჯდა ბუხრის წინ, მუხლებზე ხელებმობვეული, და გაშტერებით უყურებდა მოწითალო ჩაფერფლილ ნახშირს (გვ. 202).

ასევე არის გამოტოვებული დედნისეული წინადადებები: *M “მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს. თუ არა და რა უშლის აბა ხელს”* (გვ. 219). თურქულად: *“Halamı çok seviyordum, çok, pek çok. Bu yüzden de tanrının günii tedirgin oluyordum, ya evlenirse diye”* (მამიდაჩემი ძალიან მიყვარდა, საკმაოდ ძალიან, ამიტომ ყოველდღე ვნერვიულობდი, რომ გათხოვდებოდა) (გვ. 10). საერთო ჯამში დედნისეული ეპიზოდი თურქულად გადმოცემულია, მაგრამ ნაწილი, კერძოდ, წინადადება *“თუ არა და რა უშლის აბა ხელს”* მხოლოდ თურქულ თარგმანში არის გამოტოვებული. შდრ. გერმ.: *“Ich habe meine Tante sehr gern und bange vor dem Tag*

*an dem sie heiraten könnte* (მამიდაჩემი ძალიან მიყვარს და მეშინია იმ დღის, როცა ის გათხოვდება) (გვ. 8);

რუს.: *“Я очень люблю свою тетку и все время боюсь, как вы этого не случилось... и сейчас потому ее ничто не может принудить к такому шагу”* (... და ახლა ამიტომაც ვერაფერი ვერ უბიძგებს ამ ნაბიჯისაკენ) (გვ. 204).

შემდეგი ეპიზოდი მთლიანად არ არის თურქულ თარგმანში გამოტოვებული. უბრალოდ, როგორც ჩანს, ქართული ტექსტი არა აქვს სწორად გაგებული თურქ მთარგმნელს. მაგალითად: *“ნუ გათხოვდები-მეთქი, და იგი არავის მიჰყვება, იხდის საქორწინო კაბას, მოდის ჩემთან, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ”* (გვ. 220).

თურქულად: *“Ondan, üstündeki giysilerden soyunmasını, benimle birlikte eve dönmelerini istiyorum”* (მე მას ვთხოვ, რომ უნდა გაიხადოს ჩასაცმელები და ჩემთან ერთად უნდა დაბრუნდეს სახლში) (გვ. 12). შდრ. გერმ.: *“Da bitte ich sie, nicht zu heiraten, und sie legt das Kleid ab, nimmt mich an die Hand, und wir gehen miteinander nach Hause”* (ნუ გათხოვდები-მეთქი, ვთხოვ, ის იხდის კაბას, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ) (გვ. 10);

რუს.: *“– а я прошу ее не выходить замуж, и она снимает это белое свадебное платье, берет меня за руку и мы вместе идем домой”* (ნუ გათხოვდები-მეთქი, ვთხოვ, ის იხდის თეთრ საქორწინო კაბას, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ) (გვ. 205).

გერმანულ თარგმანში გამოტოვებულია სიტყვა **თეთრი**. მას მიჰყვება თურქული, რომელიც მწირ შთაბეჭდილებას ტოვებს. თურქულში დაკარგულია არსებითი ნიუანსი – მამიდა იხდის **საქორწილო კაბას** და მის ნაცვლად მთარგმნელი წერს, რომ იხდის **ტანსაცმელს** – *üstündeki giysilerden soyunmasını*. რუსული მიჰყვება ორგინალს, თუმცა **საქორწილო კაბის** ნაცვლად აქ **თეთრი კაბა** წერია.

ასევე გამოტოვებულია შემდეგი ეპიზოდების თურქული თარგმანები:

*“პირზე წყალი შევისხი, მერე თოხი წყლიდან ამოვიღე...”* (გვ. 221). შდრ. გერმ.: *“Dann wusch ich mich am Bach, holte die Hacke aus dem Wasser und ging eilig zur*



*Post*” (შემდეგ ნაკადულზე პირი დავიბანე, წყლიდან თოხი ამოვიღე და ფოსტისკენ გავეშურე ) (გვ. 10);

რუს.: *“Потом умылся у ручья”* (შემდეგ პირი დავიბანე, წყაროსთან) (გვ. 206);

*“თუ რამე გაქვს სათქმელი, ჩემთან უთხარი, – ვუპასუხე და ისე მოხერხებულად დავჯექი, ვინმე სკამიანად თუ გამიტანდა გარეთ, თორემ ისე ვერაფრით ვერ ამგლეჯდა ადგილიდან”* (გვ. 218).

თურქულად: *“Ne konuşacaksan benim yanımda konuşabilirsin dedim”* (რისი თქმაც გინდა, ჩემი თანდასწრებით უთხარი-მეთქი) (გვ. 9); შდრ. გერმ.: *“Ich setzte mich und klammerte mich so fest, daß man mich wahrscheinlich nur mitsamt dem Stuhl hätte hinausbefördern können”* (მე დავჯექი და ისე მყარად ჩავვჭიდე სკამს, რომ აქედან, ალბათ, მხოლოდ სკამიანად თუ გამიტანდნენ) (გვ. 6);

რუს.: *“Отвечил я и так прочно уселся, что меня, вероятно, смогли бы вынести отсюда только вместе со стулом”* (ვუპასუხე და ისე მჭიდროდ დავჯექი, რომ მე აქედან, ალბათ, მხოლოდ სკამიანად თუ გამიტანდნენ) (გვ. 202);

საერთოდ არის გამოტოვებული თურქულში ეს წინადადება: *A”არასდროს არ მინახავს ამდენი ხალხი ერთად დამუნჯებული, გაფითრებული, შეშინებული”* (გვ. 222). შდრ. გერმ.: *“Niemals hatte ich so viele finstere und zugleich verstörte Gesichter beinander gesehen”* (მე ჯერ არასდროს მინახავს ერთად ამდენი შეშინებული და თან შემლილი სახე) (გვ. 12);

რუს.: *“– Я никогда не видел так много хмурых и в то же время растерянных лиц...”* (მე არასდროს არ მინახავს ამდენი შექმუხნული და ამავდროულად და გაფანტული სახე) (გვ. 207).

**ბ) გამოტოვებულია მხოლოდ გერმანულსა და თურქულში:** შემდეგი დედნისეული კოლორიტული სურათი ძალიან კარგად არის თარგმნილი რუსულ ენაზე და, სამწუხაროდ, არ არის გადატანილი გერმანულში და, ბუნებრივია, იგი არ გვხვდება თურქულ თარგმანშიც:

*– ანდრია, გამოდი გარეთ!*

*– სოსოია, გაახილე თვალი.*

*– მინადორა, გადაასხი შენს მუტრუკს წყალი.*

– ქესკინა, უუუ... (გვ. 230).

შდრ. რუს.: “ – *Андро, выходи скорее!*

– *Эдемика, ты меня в гроб вгонишь, пошевеливайся !*

– *Сосойа, протри глаза!*

– *Минадора, окати водой своего верзилу!*

– *Кескина, у-у-у!..”*

(– ანდრია, გამოდი გარეთ!

– ედემიკა, შენ მე კუბოში მაგდებ, გაინძერი!

– სოსოია, თვალები გაახილე!

– მინადორა, წყალი მიახხი შენს გოლიათს!

– ქესკინა, უუუ!) (გვ. 216).

ზემოთ გადმოცემული შემახილების შესატყვისი ეპიზოდი მეორდება იქვე. ვფიქრობთ, გერმანელმა მთარგმნელმა ამიტომ არ გადათარგმნა იგი.

ასევე, შემდეგი ეპიზოდიც გამოტოვებულია თურქულსა და გერმანულ თარგმანებში, ხოლო რუსულში დაცულია: “*ბავშვი ვისთან დატოვე, დედასთან?... მადლობა ღმერთს, გათავდა ყველაფერი... გათავდა ეს ხეტიალი... დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, მარია?.. დედა და ბავშვი ხომ კარგად მოაწყვე, ხო და გათავდა, ამდენი ხეტიალი, ჩემო მარია...*” (გვ. 307). შდრ. რუს.: “*Где ты оставила ребенка у кого? у мамы? Слава богу, все кончилось... кончился этот кошмар, и твои скитания... Теперь мы всегда будем вместе, моя Мария... когда мы проходили нашу деревню, ее уже не было, Мария, я увидел только пожарище и пустоту... Даже собаки не лаяли, да их и не было. Но ты где была? Ты много страдала, мария?.. А мама и ребенок здоровы? Ты хорошо их устроила? Ну, вот и все, теперь вто позади , моя Мария...*” (ბავშვი ვისთან დატოვე, დედასთან? მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა. დამთავრდა ეს კოშმარი და შენი ტანჯვა. აახლა ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით, ჩემო მარია, როდესაც ჩვენ გავდიოდით ჩვენს სოფელში, ის უკვე აღარ იყო, მარია, მე მხოლოდ ნამწვარსა და სიცარიელეს ვხედავდი. ძაღლებიც კი არ ყეფდნენ. ისინი აღარც კი იყვნენ, მაგრამ შენ სად იყავი, შენ ძალიან იწვალე, მარია. დედა და ბავშვი ჯანმრთელად არიან? ისინი კარგად მოაწყვე და მორჩა. აახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ჩემო მარია” (გვ. 314).

ჩვენთვის აუხსნელია, რატომ, რა მიზეზით თქვა უარი გერმანელმა მთარგმნელმა ამ ადგილის თარგმნაზე.

**გ) გამოტოვებულია რუსულშიც, გერმანულშიც და თურქულშიც:** “*დგას ორი კაცი, ორი ქვეყანა, წითელი და თეთრი, წითელი და შავი, ვარსკვლავი და არწივი, დგას და უშენს ერთმანეთს ტყვიას*” (გვ. 268). ვფიქრობთ, რუსმა მთარგმნელმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გამოტოვა ეს მონაკვეთი.

დედნისეული ტექსტი სამივე ენაში სრულყოფილად არ არის გადატანილი შემდეგ ეპიზოდებშიც:

“*და კაკვის გატყავება დაიწყო კბილით*” (გვ. 287);

“*მერე ყანაში მოხშირდა ბალახი, მერე დადგა სამთვალა წისქვილის ერთი თვალი*” (გვ. 229). სიტყვა **სამთვალა** სამივე ენაშია გამოტოვებული. თურქულ თარგმანში არ ჩანს დედნისეული ფაქტი, რომ ადრე წისქვილში სამი თვალი მუშაობდა, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს თურქი მთარგმნელის შეცდომად. სამი თვალის არსებობის ფაქტი გამოტოვებულია რუსულ თარგმანში, შესაბამისად, გერმანულსა და თურქულშიც.

## 1.2. რომანში ჩართული ლექსების თარგმანი

ნ. დუმბაძის “*მე ვხედავ მზეს*” პროზაული ნაწარმოებია, მაგრამ მწერალი თავის ნაწარმოებში პოეტურ ნიმუშებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს და გარკვეულ ფუნქციასაც აკისრებს. ამა თუ იმ ეპიზოდში სიტუაციის შესაბამისად ჩართული ლექსები თუ სიმღერები ალამაზებს თხრობას, გამოხატავს პერსონაჟის, საზოგადოების განწყობილებას. მაგალითად, ლექსებითა და სიმღერებითაა გადმოცემული სიყვარულის გრძნობით გამოწვეული განცდა, სიხარული. ადამიანები მღერიან შრომის პროცესში, სიმღერით ამხნევენ ერთმანეთს ომში მიმავალი მებრძოლებიც. შთამბეჭქდავია რომანში ის ადგილი, სადაც სოსოია ცდილობს, ხატეას ლურჯი ფერი წარმოადგენინოს. ამას ის პოეტურად გამოხატავს, იშველიებს ნ. ბარათაშვილის ლექსს: “*ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...*”

(გვ. 358). ის, რაც ქართველმა პოეტმა მაღალი პოეტური ოსტატობითა და მუსიკალური ტონალობით გადმოსცა, თარგმანში გაუბრალოებულა, თუმცა აზრი შენარჩუნებულია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მთარგმნელს თურქულ ტექსტში შეტანილი აქვს ზედმეტი ტაეპი: *“Güzel nedir? Güzel...”* აქ გალექსილია ტექსტის ის მონაკვეთი, სადაც გრძელდება სოსოისა და ხატიას დიალოგი. ხატია სვამს კითხვას: *“ლამაზი როგორია, სოსოია?”*

*“ცისა ფერს, ლურჯსა ფერს”* – თურქულ თარგმანში ასე ჟღერს: *“Güzel rengi, mavisi göğün...”* (ცის ფერი, ლურჯი ცის...). ამ შემთხვევაში თარგმანი მთლად ადეკვატური არ არის დედნისა, თუმცა ჩანს, რომ მთარგმნელი შეეცადა შეენარჩუნებინა აზრიცა და ტონალობაც.

პოეტური ნიმუშების უცხო ენაზე გადატანას ტექსტის თარგმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არ არის ადვილი იმის შეფასებაც, თუ როგორ ახერხებს მთარგმნელი საკუთარ ენაზე დედნის შესატყვისი თარგმანის შესრულებას, ლექსის სწორად გაგებას, მთავარი სათქმელის გააზრებას, რიტმის შენარჩუნებას. “თუმცა მეტამორფოზა, რომელსაც მხატვრული სიტყვა განიცდის თარგმანისას, გარდაუვალია, ამის შემდეგ კიდევ დგას ბევრი რთული, მაგრამ არა დაუძლეველი საკითხი, რადგან პოეტურ სიტყვასა და პოეტურ აზროვნებას “განუმეორებლობის” გარდა სხვა მხარეებიც გააჩნია. რამდენად სწორად გაითვალისწინებს მთარგმნელი დედნის კულტურულ კონტექსტს და როგორ ადასრულებს “სხვის” ხელოვნებას თავის ენაზე, ეს მის შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული” (ხუციშვილი 1989: 9).

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სიტყვა, რამდენადაც ის დაკავშირებულია ხალხის ყოფიერებასთან, წარმოადგენს ისეთ ფენომენს, რომელიც მიუწვდომელია სხვა ენის მქონე ადამიანისთვის. სიტყვაში ითარგმნება მხოლოდ რაციონალური შინაარსი, ხოლო ის, რაც ჭეშმარიტია მასში, ყოველთვის ინდივიდუალურია და თარგმნა შეუძლებელია. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მხატვრული თარგმანი მაინც არსებობს.

განსაკუთრებით ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს პოეტური თარგმანი. “პოეტური ქმნილების სხვა ენაზე თარგმნა შეუძლებელია, ეს ფაქტი დიდი ხანია

აღიარებულია, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს აზრი მაღალი პროზის მიმართაც სწორი იყოს?” – წერდა თომას მანი” (ფანჯიკიძე 1988: 30). ამავე აზრისა იყო რუსი პოეტი და მთარგმნელი ბ. პასტერნაკი. “პოეზია არ ითარგმნება”, – უთქვამს პოეტს, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებითი ენერჯის დიდი ნაწილი პოეზიის თარგმნას შეაღწია. ამიტომ ეს სიტყვები ნაწილობრივ ხატოვანი გამონათქვამია, ნაწილობრივ კი პოეზიის თარგმანის სირთულეს გამოხატავს. ეს აზრი უკვე უარყოფილია თარგმანის თეორეტიკოსების მიერ და პრაქტიკულადაც არაერთი “დაუმორჩილებელი” დედანი გამხდარა თვინიერი ჭეშმარიტი შემოქმედი მთარგმნელის ხელში (ხუციშვილი 1989: 102).

იგივე შეიძლება ითქვას ნ. დუმბაძის რომანში ჩართული პოეტური ნიმუშების თურქული თარგმანის შესახებაც. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთარგმნელს გამოყენებული აქვს არა დედანი, არამედ მისგან რუსული გზით მიღებული გერმანული თარგმანი. პირდაპირ დედნიდან რომ გადათარგმნილიყო ლექსები თურქულად, ალბათ, უფრო სრულყოფილი თარგმანი გამოვიდოდა. ნაწილობრივ ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ შედარებით ადეკვატური თარგმანი არის გაცილებით ნაკლები (დაახლოებით ორი ლექსი), ვიდრე – არაადეკვატური. მაგალითად, ნ. დუმბაძეს თავის ნაწარმოებში “მე ვხედავ მზეს” სიტუაციის შესაბამისად აქვს გამოყენებული ვაჟა-ფშაველას სიმღერადქცეული ლექსი:

*“გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ,  
შუა ჩაგვიდის მდინარე”* (გვ. 242).

თურქულ თარგმანში ეს ლექსი ასე გამოიყურება:

*“Bir yakasında sen  
Bir yakasında ben  
Ve bir ırmak gürüldeyen aramızd”* (გვ. 42).

ეს ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს:

ერთ მხარეს შენ,  
მეორე მხარეს მე  
და ერთი ადიღებული მდინარე ჩვენ შორის.

შეიძლება ითქვას, რომ დედნის მთელი შინაარსი დაცულია თარგმანში. კარგად არის გალექსილი თურქულად რიტმულადაც და ინტონაციურადაც, განსაკუთრებით I-II ტაეპები. შენარჩუნებულია ვაჟა-ფშაველას ლექსის ხალხური ფორმა სათანადო ფორმის მისადაგებით.

თარგმანი საინტერესოა პირთა დასახელების თვალსაზრისითაც. დედანში პირველად დასახელებულია პირველი პირი: *“გამოდმით მე ვარ...”* გერმანულ თარგმანში კი, პირიქით, პირველად ნახსენებია მეორე პირი, შემდეგ – პირველი:

*“Jenseits stehst du am andern Ufer,  
ich – auf diesem,  
und zwischen uns tost der Fluß”* (გვ. 40).

ეს ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს:

გაღმა შენ დგახარ იქით ნაპირზე,  
მე – აქეთაზე,  
ჩვენ შორის ჩაედინება მდინარე.

თურქული თარგმანი ამ თვალსაზრისით უფრო ახლოს დგას რუსულთან, სადაც პირველად მოხსენიებულია მეორე პირი:

*“Ты на том берегу,  
Я – на этом,  
Между нами бушует река”*

ქართულად:

შენ იქითა ნაპირზე ხარ,  
მე – აქეთაზე,  
ჩვენ შორის ხმაურობს მდინარე (გვ. 232).

თურქულის ბოლო ტაეპიც რუსული თარგმანის მსგავსია. დედნისეული *“შუა ჩაგვიდის მდინარე”* მთარგმნელმა ასე აღიქვა: *“Ve Bir irmak güürüldeyen, aramızda”* (იქვე).

ადეკვატური თარგმანის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ლექსი, რომელსაც სამხედრო გაკვეთილზე მღერიან მოსწავლეები:

*“მტერს რომ გულში მოხვდება,  
მებრძოლს გაუხარდება,*

*მაშინ აკაკანდება,  
ვარალალო,  
ჩვენი ტყვიამფრქვევები...*

შემდეგ ორჯერ მეორდება:

*“მაშინ აკაკანდება,  
ვარალალო,  
ჩვენი ტყვიამფრქვევები...”* (გვ. 328).

თურქულად: *“Karşıladin mı düşmanı kursunla*

*Yeter de artar askere bu sevinç.*

*Bizim makineli tüfek, hurraa...”* (გვ. 156).

ეს ქართულად ასე ჟღერს:

მტერს რომ ტყვიით დახვდები,  
ეყოფა ეს სიხარული ჩვენს ჯარისკაცს,  
ჩვენო ტყვიამფრქვევებო, ვაშა...

თურქული თარგმანი ახლოს დგას გერმანულთან, გერმანული კი – რუსულთან. ქართულ ტექსტში ნახსენები არ არის სიტყვა **ტყვია**, თუმცა იგულისხმება. ის, რაც დედანში არის ნაგულისხმები, თარგმანში (რუსულშიც, გერმანულშიც და თურქულშიც) გამოხატულია სიტყვიერად. დედანში აზრი მკაფიოდ არის გამოკვეთილი. ნათქვამია, რომ, როცა მტერს გულში მოხვდება ტყვია, მაშინ აკაკანდება ტყვიამფრქვევები. თარგმანში ეს აზრი უბრალოდ, შორისდებულთ **Hurra** არის გადმოცემული. თარგმანი მოცემულ შემთხვევაში მიახლოებითია. აზრი ასე თუ ისე დარღვეული არ არის.

არსებობს შეხედულება, რომ “მთარგმნელს განუსაზღვრელი უფლება აქვს, ნებისმიერად გამოტოვოს ან შეცვალოს ტექსტის ესა თუ ის ნაწილი, ოღონდ შეინარჩუნოს ლექსის ძირითადი აზრი და განწყობილება, შეუცვლელად მოიტანოს მკითხველამდე ავტორისეული მხატვრული სახე” (ხუციშვილი 1989: 34). მაგალითად, დედანში არის:

*“ომში მიდის ჩემი ბიჭი,  
თან მივყვები მეცო,*

*ვერაფერი დაგვაცილებს,  
აწი ერთმანეთსო...*” (გვ. 227).

ამ ლექსის თურქული თარგმანი არ ემთხვევა არც დედანს და არც წყაროს (გერმანულს):

*“Sevgilim gidiyor vuruşmaya  
Yolun açık olsun diyorum ona”* (ჩემი სატრფო ომში მიდის, გზა გახსნილი  
გქონდეს, – ვეუბნები მას) (გვ. 22).

გერმანულში სიმღერას ლექსის ფორმაც არა აქვს, განსხვავებით ქართულისა და რუსულისაგან. გერმანული ტექსტი ახლოსაა რუსულთან. თურქი მთარგმნელი ცდილობს ტექსტის ისე გალექსვას, რომ არ შეცვალოს დედნის შინაარსობრივი და ფორმალური მხარე, მაგრამ არ გამოსდის. მისთვის მთავარია, ლექსს მისცეს სალექსო ფორმა. დედანში ქართული ლექსი არ არის იმ დონეზე რთული, რომ შეუძლებელი იყოს მისი ადეკვატური თარგმანი.

პირველი სტრიქონის აზრი თურქულში შენარჩუნებულია, ხოლო მეორესი – არა. თავისუფლად შეეძლო მთარგმნელს მეორე სტრიქონის გადმოცემაც, რაც უკეთ მოახერხეს გერმანელმა და რუსმა მთარგმნელებმა.

დედანში მთავარი აზრია შეყვარებულთან მუდამ ერთად ყოფნა და არა ომში წასვლა. თურქულ თარგმანში კი ხაზგასმულია *“ომში წასვლა”* და არა სიყვარული.

ზოგჯერ თარგმანი საკმაოდ დაშორებულია დედანს – როგორც შინაარსით, ისე ფორმალურადაც. *“არის შემთხვევები, როდესაც ერთ ფრაზას, თუნდაც ერთ სიტყვას ლექსში უდიდესი მოვალეობა აკისრია. მისი დაკარგვა ორიგინალის მხატვრულ სახეს საგრძნობ ზიანს მიაყენებს”* (ხუციშვილი 1989: 34). დ. ფანჯიკიძის აზრითაც, თარგმანში ლექსის ფორმალურ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (ფანჯიკიძე 1988: .....).

დედანში არის:

*“მინადორა შავთვალაო,  
რა ეშმაკმა გაგთვალაო...  
ვარდი ვნახე შენს სულშიო,  
ჩამოგყობი ქვესკნელშიო...”* (გვ. 253).



თურქულ თარგმანში არ არის გამოხატული ისეთი განწყობა, როგორცაა დედანში. თარგმანი არ გამოირჩევა არც მხატვრული სრულყოფილებით, არც ემოციური ზემოქმედებით, რითმაც დაკარგულია. მაგალითად:

*“Ey, Minadora.*

*Kıvılcımlanıyor kömür gözlerin*

*Sev beni, okşa beni Minadora*

*Senin ardından cehenneme bile giderim”* (გვ. 57).

ქართულად დაახლოებით ასე იქნება:

ეი, მინადორა,

მზინვარე ნახშირთვალემა,

შემიყვარდი, მომეფერე მე, მინადორა,

ჯოჯოხეთშიც გამოგყვები შენ.

დედანში ბეჟანა შეყვარებულის მიმართ ერთგულებას გამოხატავს, რაც გადმოცემულია თურქულშიც, მაგრამ სიყვარულის სიმბოლო **ვარდი** თარგმანში გამოტოვებულია. ქართულ ტექსტში **ვარდი** სიყვარულისა და მოფერების სიმბოლოდ არის აღქმული. ასეა გერმანულში და, შესაბამისად, თურქულშიც. აქედან გამომდინარე, დედანში მოცემული ტაეპი: *“ვარდი ვნახე შენს ხელშიო”* თურქულ ტექსტში ასე გამოიყურება: *“Sev beni...”* (იქვე).

ასეთი კონკრეტული სიტყვა-სიმბოლოს გამოტოვება თარგმანში, აზრიც რომ იყოს სრულიად შენარჩუნებული, მაინც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. აქ, მართალია, დედნისეული აზრი შენარჩუნებულია, მაგრამ ემოცია, განწყობა, ლექსის რიტმი და ფორმა თითქმის დაკარგულია.

როგორც ცნობილია, რითმიანი ლექსის თარგმნისას, რომ არ დაირღვეს რითმა, მთარგმნელი რაიმეს ან აკლებს დედნის ტექსტს, ან ამატებს. დანაკარგი ან დანამატი სწორედ ამგვარი მცდელობით უნდა აიხსნას (ფანჯიკიძე 1989: 52). ჩვენს საანალიზო მასალაშიც არის ასეთი შემთხვევები. მაგალითად, ქართული რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ბეჟანა მღერის თავის საყვარელ სიმღერას:

*“მინადორა შავთვალაო,*

*რა ეშმაკმა გაგთვალაო”* (გვ. 250).

მთარგმნელი თურქულ ტექსტში ამატებს ტაეპს, იმეორებს პირველ სტრიქონს სინონიმური სიტყვით. ამის გარეშე ნამდვილად გაღარიბდებოდა დედნის თარგმანი, დაირღვეოდა რითმაც და რიტმიც: „*Kara gözlu Minadora*” (გვ. 53). ზოგჯერ დანამატი რაღაც გაუგებრობის ნიადაგზეც კეთდება, ტექსტიდან მოდის. ამის მაგალითია ზემოთ წარმოდგენილი ლექსის *“ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...”* დანამატი თურქულ თარგმანში. დედანში საჭირო არ იყო დამატებითი სტრიქონი, რადგან რიტმულადაც კარგად არის მიყოლებული ბოლოს სართიმო სიტყვები: *“შავთვალაო – გაგთვალაო”*. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ლექსში მიმართვის ადრესატი მინადორა დედანშიც და თარგმანშიც ყურადღების ცენტრში დგას, თუ პატარა ნიუანსებს არ გავითვალისწინებთ, თარგმანი კარგად არის შესრულებული.

ზედმეტი თარგმანი დასტურდება სხვა ლექსებშიც. მაგალითად:

*“ქაშაყმა უთხრა წვერასო,  
აუტანიხარ წერასო...”* (გვ. 386)

თურქულში არის:

*“Falcı sazan, uyardı barbunyayı.  
Aç gözünü felek çarpmasın seni  
Daha acıkmasa da evin hanımı  
Vurur ateşe seni, erkenden pişesin diye”* (გვ. 218).

ქართულად დაახლოებით ასე იქნება:

მკითხავმა ქაშაყმა გააფრთხილა ბარბუნია,  
გაახილე თვალი, რომ ბედმა არ დაგჩაგროს,  
რომ არ მოშივდეს დიასახლისს,  
მაინც შეგაგდებს ცეცხლში შენ,  
რომ მალე შეიწვა.

აქ საინტერესოა ფრაზეოლოგიზმის თარგმანის ტექნიკა. დედნისეული *“აუტანიხარ წერასო”* თურქულ თარგმანში ასე გამოიყურება: *“Aç, gözünü...”* (ბედმა არ დაგჩაგროს). ქართული ფრაზეოლოგიზმის უცხო ენაზე გადატანას მოჰყვა დროში შესაბამისობის დარღვევა და, საფიქრებელია, დანამატიც. ბოლო ორი ტაეპი: *“Daha acıkmasa...”* რომელიც მომდინარეობს გერმანული თარგმანისაგან,

ჭარბია თვით გერმანულშიც. რუსულისაგან განსხვავებით ზედმეტია მესამე ტაეპის ნაწილი: *“daß länger sie nicht darbe...”* (რომ დიდხანს არ იშიმშილოს...) (გვ. 215) და შინაარსიც შეცვლილია. ის, რაც ნ. დუმბაძემ ფრაზეოლოგიზმში იგულისხმა, მთარგმნელმა (გერმანელმაც და თურქმაც) სიტყვიერადაც განავრცო, წარმოგვიდგინა დასრულებული აზრი და, შესაბამისად, ჭარბი თარგმანი.

ზოგჯერ თარგმანი მთელი სტროფით აღემატება დედანს:

*“გენაცვალე, რაისაო,  
რა კარგად ჰკრეფ ჩაისაო,  
წრეულსაც თუ ვერ გათხოვდი,  
მე წავიყვან გაისადო...”* (გვ. 338).

თურქულში არის:

*“Nasıl da çabuktur elin,  
Sürgün dalım, narinim  
Gidiyorsun bak işte topladın da çayı  
Ama Natella, biriciğim, sevgilim.  
Hele bir dinle gitmeden beni.  
Dolan dur ta sonbahara, dolan dur.  
Dilersen bakarım sana, dilersen  
Boy at, büyü hele tezelden  
Aşkımı söylerim sana mayısta”* (გვ. 166).

ქართულად თურქული თარგმანი დაახლოებით ასე ჟღერს:

რა სწრაფია შენი ხელები,  
ჩემო ნაზო ხის ყლორტო,  
ხომ ხედავ, მოკრიფე ჩაი და მიდიხარ,  
მაგრამ, ნათელა, ჩემო ერთადერთო, შეეყვარებულო.  
აბა, მომისმინე ჯერ, სანამ წახვიდოდე.  
თუ გსურს, მოგივლი შენ, თუ გინდა,  
გაიზარდე მაღალი, გაიზარდე მალე.  
სიყვარულს აგიხსნი შენ მაისში.

თურქული თარგმანი ეყრდნობა გერმანულს, გერმანული ახლოსაა რუსულთან, მაგრამ საგრძნობლად არის დაშორებული დედანთან. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: სახელი რაისას შესატყვისი თურქულ თარგმანში არის ნათელა (ვრცლად იხ. 2.2.4).

განსხვავებას ისიც ქმნის, რომ დედანში სათქმელი იუმორის გრძნობით, თითქოს უხეშადაც, არასერიოზულად არის გამოხატული, მთარგმნელი კი ამას მეტ სერიოზულობასა და სინაზეს სძენს.

საერთოდ ლექსისთვის, განსაკუთრებით კი სასიმღერო ლექსისთვის, დამახასიათებელია ტაეპის განმეორება, რაც ხაზს უსვამს ძირითად აზრს, სათქმელს. განმეორებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თარგმანშიც. დ. ფანჯიკიძეს მიაჩნია, რომ “ეს პოეტური ხერხი ამძაფრებს ემოციას და დინამიკურს ხდის რიტმს” (ფანჯიკიძე 1989: 52). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნ. დუმბაძის რომანში ჩართული რამდენიმე ლექსის თურქული თარგმანი. მაგალითად:

*“გოგონია, შენი კოფთა  
ვინ შეკერა ასე კობტა,  
იმის შემკერავი მოკვდა,  
იმან ჩემი გული მოკლა...  
სიყვარულმა მე კი არა,  
გადარია ტარიელი,  
ჩემისთანა კი არ იყო,  
ჭკუა იყო ცარიელი...”* (გვ. 262).

აღვნიშნავთ, რომ ეს ლექსი დედანში მეორდება (გვ. 297), ოღონდ პროზის სახით, რაც გერმანულსა და თურქულ თარგმანებში გამოტოვებულია, რუსულში კი ლექსადვე არის გადათარგმნილი.

თურქულ თარგმანში განმეორებულია მეორე ტაეპი:

*“Güzel kız, canım benim, mintanını kim dikti?  
Kim dikti mintanını.  
Dargınım sana, kırdın kalbimi  
Herkes her zaman bu dünyada  
Yeminler eder sevdiğine*

*Oysa bak işte mil çekiyorlar gözüme,  
Bak yok ediyorlar beni işte”* (გვ. 68).

ქართულად:

ლამაზო გოგონა, ჩემო ძვირფასო, ვინ შეკერა შენი კაბა?

ვინ შეკერა შენი კაბა.

ნაწყენი ვარ შენზე, გული გამიტეხე,

ყველა ყოველთვის ამ დედამიწაზე

ფიცს დებს სიყვარულზე,

მაგრამ ნახე, თვალებს მიშანთავენ,

ხომ ხედავ, მანადგურებენ უკვე.

ამ შემთხვევაში განმეორებას არა მხოლოდ ემოციური ან რიტმული, არამედ აზრობრივი ფუნქციაც აქვს.

საინტერესოა ეს ლექსი თარგმანის ტექნიკის თვალსაზრისითაც. თურქული თარგმანი ნაწილობრივ მიჰყვება გერმანულს, რომელიც დაშორებულია დედანს. ბოლო სტროფი თარგმნილია რუსულშიც და გერმანულშიც, მაგრამ არ არის თურქულში. მაგალითად, მთარგმნელი ტარიელს საერთოდ არ ახსენებს. საფიქრებელია, რომ მისთვის გაუგებარია სიყვარულის კონტექსტში ტარიელის ხსენება. დედანში ზოგადააა გამოხატული აზრი სიყვარულის შესახებ. ქართველისთვის “ვეფხისტყაოსნის” გმირი ტარიელი არის მიჯნურის სიმბოლო, ხოლო თურქი მთარგმნელისთვის ეს ნაკლებად გასაგები იქნებოდა, რადგან ის, ალბათ, არ იცნობდა ამ პოემას. ტარიელი მისთვის ერთი კონკრეტული პიროვნებაა. ამიტომ მან შეცვალა თარგმანი და აზრი უფრო განაზოგადა: “*Herkes her zaman...*”

ზოგჯერ განმეორებას ადგილი აქვს დედანში, მაგრამ მთარგმნელი ტექსტს არღვევს, არ იმეორებს. ამის მაგალითია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ერთ-ერთი ლექსი, რომელშიც მეორდება სამი ტაეპი:

*“მაშინ აკაკანდება,*

*ვარალალო,*

*ჩვენი ტყვიამფრქვევები...”*

მთარგმნელის ამგვარ მიდგომას თავისი საფუძველი აქვს: სალექსო ფორმა ზოგჯერ ზღუდავს მთარგმნელს, დაიცვას დედნისეული სიზუსტე.

ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გერმანული და რუსული ტექსტები თურქულთან შედარებით უფრო პირდაპირი თარგმანია. თურქი მთარგმნელი ხშირად შორდება დედანს ფორმალურად, მაგრამ მთავარია, შინაარსი ხშირად ადეკვატურია, რასაც განაპირობებს ორი რამ: 1. მთარგმნელი ეძებს ორიგინალის შესატყვისს თურქულში; 2. მთარგმნელი ცდილობს შეალამაზოს, მხატვრულად გადმოსცეს სათქმელი და ამით თავიდან აიცილოს ღარიბული თარგმანი... ყოველივე ეს მიუთითებს მის ოსტატობაზე, დამოუკიდებლობაზე, გემოვნებაზე. ყველაზე მთავარი, რაც ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქულ ენაზე მთარგმნელის ღირსებაზე მეტყველებს, ის არის, რომ იგი ითვალისწინებს მკითხველის ინტერესებს.

## თავი II. თურქული თარგმანის მხატვრული

### ღირებულება

ქართული ლიტერატურა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის დიდი გამოხატულებაა. ამბობენ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა. შეიძლება ყოველი ქართველი არ იყოს მწერალი ან პოეტი, მაგრამ უდავოა, რომ ყველა ქართველს აქვს მაღალი ლიტერატურული გემოვნება, მხატვრული სიტყვის სათანადოდ შეფასების უნარი. ამის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრია: ალბათ, ყველას უნახავს, როგორ ეჭირა ხელში წიგნი მზესუმზირის გამყიდველს ან ზამთარში უშუქობისა და, შესაბამისად, სიცვივის გამო საწოლში დაწოლილ 75 წლის კაცს; ქართული სუფრის კულტურაც ამისათვის საკმარისი მაგალითია.

ყოველივე ეს უცხოელს თავიდან აოცებს, მაგრამ შემდეგ ბუნებრივ მოვლენად იქცევა მისთვის. ამით იმის თქმა შეიძლება, რომ ასეთი მდიდარი ლიტერატურული გემოვნების მქონე ერის წიაღში დაბადებული მწერლის შემოქმედების სხვა ენაზე გადატანა არ იქნება ადვილი მთარგმნელისთვის, რომლისთვისაც უცხოა ამ ერის ყოფა-ცხოვრება, მხატვრული გემოვნება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დ. ფანჯიკიძის მოსაზრება: “თარგმანში არაა

აუცილებელი ორიგინალის ხატოვან თქმებს ან სხვა გამომსახველობით ხერხებს ყოველთვის მოვუნახოთ წმინდა ქართული შესატყვისი. აქ უნდა გავარჩიოთ ავტორისეული და ტრადიციული მხატვრული საშუალებანი. ავტორისეული გამომსახველობითი ხერხების ხშირად შესაფერისი ფორმით ზუსტად გადმოტანა ამდიდრებს მშობლიურ ენას და, გარდა ამისა, ანიჭებს თარგმნელ ნაწარმოებს იმ უცხო ელფერს, რაც ჩვენი აზრით, თარგმანს უეჭველად უნდა ახლდეს თან” (ფანჯიკიძე 1980: 19).

თურქი მეცნიერი ბ. აქსოი მხატვრული თარგმანის თავისებურებაზე მსჯელობისას აღნიშნავს: “მხატვრული ტექსტები სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავებულია და მწერლის გემოვნებითა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე არის შედგენილი. მათში გამოყენებულია გამოხატვის არაჩვეულებრივი და ჩვენთვის უჩვეულო საშუალებები, რაც მიზნად ისახავს მკითხველზე გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენას. პირდაპირ რომ ვთქვათ, მხატვრულ თარგმანს პრობლემატურს ხდის ტექსტის ენის ცვალებადობა და გადატანითი მნიშვნელობის თარგმნის აუცილებლობა” (Aksoy 2002: 53).

საზოგადოდ, თარგმანზე დაკვირვება მ. ხუციშვილს აფიქრებინებს, რომ “რიგ შემთხვევაში საკმაოდ აპრობირებულმა თეორიამ არ გაჭრა, რადგან მთარგმნელს აქ დახვდა თავისთავადი ქართული მხატვრული აზროვნება, რომელიც არა ჰგავს არც ევროპულს, არც რუსულს, არც აღმოსავლურს” (მ. ხუციშვილი, 1989, გვ. 4). ჩვენი მოსაზრება ქართული მხატვრული აზროვნების შესახებ სრულიად ემთხვევა ამ შეხედულებას. ამავე დროს მიგვაჩნია, რომ, როცა თეორია ვერ წყვეტს საკითხს, მაშინ, რაც ვერ წყვეტს, სწორედ ის უნდა იქცეს თვით შესწავლის საგნად.

## 2.1. მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი

### თარგმანში



ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სიმართლე ცოცხალი სინამდვილის ზუსტი განმეორება არ არის. იგი ყოველთვის გულისხმობს სინამდვილის წვდომასა და გარდასახვას ხელოვნების ნაწარმოების ენაზე. მხატვრულ ტექსტში თავისებურად აირეკლება სინამდვილის რეალური მიმართებანი, სინამდვილის ობიექტური ლოგიკა, მაგრამ ლიტერატურაში სინამდვილის ასახვა სარკისებურ არეკვლად არ უნდა მივიჩნიოთ. რა შეიძლება ამ მხრივ ვთქვათ მხატვრულ თარგმანზე? M მხატვრული თარგმანის არსი უკეთ რომ გავიგოთ, საჭიროა, გავიხსენოთ სპეციალისტების Gგანმარტებები: არსებობს მოსაზრება, რომ “მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიაც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე” (ფანჯიკიძე 1988: 6);

მხატვრული თარგმანის რეალიები ვლინდება მის ესთეტიკურ აღქმაში. ზოგჯერ მთარგმნელი ვერ ახერხებს ტექსტის კარგად თარგმნას. მხატვრული თარგმანის ენა შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით დიდად განსხვავდება ყოველდღიური სასაუბრო ენისაგან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თურქი მკვლევრის ნ. აქსოის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მხატვრული ნაწარმოები მკითხველს გადასცემს არა მარტო ინფორმაციას, არამედ იგი თავისი გამომსახველობითი შესაძლებლობებით აღძრავს მასში ჩანაფიქრის ადეკვატურ ემოციას. ამ მიზნის შესაბამისად მთარგმნელი ისეთ ფორმას მიმართავს, რითაც გამოსახულია მისი ინდივიდუალური გემოვნება და არჩევანი. მის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხები, მეტაფორები, რიტმი ჩვეულებრივ ტექსტებში არ გვხვდება. ავტორი დედნის ბუნებასა და ფუნქციას აქამდე არნახული საგულისხმო ნიშნებითა და განსხვავებული ფორმებით გადმოსცემს. იგი თავს ვერ აარიდებს მხატვრული ქმნილების ორიგინალურსა და შემოქმედებით მხარეს. სწორედ ამიტომაც რთული მხატვრული თარგმანის შესრულება, რომელიც, თავისი ბუნებრიობიდან გამომდინარე, აიძულებს მთარგმნელს, რომ დედნის ენის ფარგლებში იყოს შემოქმედი (Aksoy 2002: 57);

თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური

ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი, გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. “მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვა სემანტიკური ტევადობა, სიტყვის განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმნელს დედნის ენის ცოდნის გარდა ეხმარება “რეალური სიტუაციის, ანუ ამ გარეენობრივი სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი, ეს უნარი კი, თავის მხრივ, ობიექტური რეალობის ფაქტების ცოდნას ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის” (ფანჯიკიძე 1988: 5);

სრულიად განსხვავებულად მსჯელობს თურქი მეცნიერი ნილგუნ სოქმენი. მისი აზრით, “Hiçbir tercüme aslının güzelliğini, yazıldığı dildeki inceliklerini, şekil ve mükemmelliğini zevkini veremeyeceği tartışılmaz bir gerçektir” (უდავოა, რომ ვერც ერთი თარგმანი ვერ გადმოსცემს დედნისეულ სილამაზეს, დეტალებსა და გემოვნებას) (Sökmen 2003: 47).

ნ. ღუმბადის რომანში “მე ვხედავ მზეს” მხატვრულად დემონსტრირდება ხალხის საწუხარი, მაგრამ დემონსტრირდება არა ზოგადად, საერთოდ, არამედ როგორც ერთნაირი ინფორმაციის ნიადაგზე აღმოცენებული მწუხარების სხვადასხვანაირი განცდა. “ამ ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა სატკივარი და მწუხარება მოაქვს ინფორმაციას ომზე, არამედ უფრო იმას, თუ რა ძალით განიცდიან ამ ინფორმაციით აღძრულ სატკივარს რომანის გმირები. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეაგირების არა ჩვეულებრივ, არამედ ფსიქოლოგიურ შემთხვევებთან. ფსიქოლოგიური მომენტი უაღრესად წამყვანია “მე ვხედავ მზეში” (იოვაშვილი 1984: 21).

რომანში მთავარია პერსონაჟთა განწყობა, შინაგანი დამოკიდებულება იმ ვითარებასთან, რაც, თავის მხრივ, საერთოა ყველასათვის.

დ. იოვაშვილი ყურადღებას ამახვილებს ე. წ. გუმანსა და მის ზემოქმედებაზე. მისი აზრით, ყოველ ადამიანს აქვს სულიერი და ფიზიკური

მოქმედების გამომწვევი რაიმე გაუცნობიერებელი, რეალურ გარკვეულობას მოკლებული სტიმული, რასაც ყველაზე ხშირად გუმანის სახელით მოიხსენიებენ. მკვლევარი ნ. დუმბაძის რომანში ყველაფერს (პერსონაჟთა შორის საუკეთესო ურთიერთობებს, თანადგომას...) უკავშირებს გუმანს. ვიდრე ამ საკითხზე გავაგრძელებდეთ საუბარს, ზოგადად წარმოვადგენთ საანალიზო ტექსტის მხატვრულობისადმი ჩვენეულ დამოკიდებულებას.

ნ. დუმბაძის შემოქმედების, კერძოდ, რომანის “მე ვხედავ მზეს”, მხატვრულობაზე საუბრობს უამრავი სპეციალისტი, რომელთა ნაშრომებში დეტალურად არის განხილული ნ. დუმბაძის შემოქმედება და მისი მნიშვნელობა ქართველი ხალხისთვის. სამწუხაროდ, ამ დიდ ჰუმანისტზე უცხოური, განსაკუთრებით თურქული, კრიტიკული მასალა ძალზე ცოტა არსებობს.

მხატვრული ნაწარმოების ღირებულება იმითაც განისაზღვრება, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ის მკითხველზე. მჩნდება კითხვა: რამდენად არის ან რატომ არის მხატვრული “მე ვხედავ მზეს?” რომანში მაღალ დონეზე აღწერილი ომის პირობებში მომხდარი მოვლენები, ფაქტობრივად დიდი გამოცდის წინაშე დგას თითოეული ადამიანი. ხატისა და სოსოიას ურთიერთობაში გამოხატულია მთელი ერის ჰუმანური დამოკიდებულება ადამიანის მიმართ. ზუსტად ამიტომ არის ეს რომანი მხატვრული. ამ ორი პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, ერთად ყოფნა გვიჩვენებს ჭირსა და ლხინში მთელი ერის ერთად ყოფნას. რომანი იმიტომაც არის მხატვრული, რომ, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, მთელი სოფელი აცოცხლებს ერთ ადამიანს – სოსოიას რუსს, სოსოიას რუსი – ანატოლი კი აცოცხლებს იმ ადამიანებს, მაგალითად, ბაბილოსა და კაკანოს, რომლებიც ომში დაღუპულ შვილთან – კუკურასთან ერთად ცოცხალ-მკვდარი არიან. “მე ვხედავ მზეს” იმიტომ არის დიდებული და მხატვრული, რომ მისი გაგება არ უჭირს ქართველ მკითხველს და სათანადოდაც აფასებენ მას. საყურადღებოა, რომ არც ისე ვრცელი რომანის თარგმანით თურქი მკითხველი დედნის მკითხველზე არანაკლებად არის მოხიბლული და აფასებს ავტორს. მეტსაც ვიტყვით, რომ ერთ-ერთი თურქი მკითხველი ამბობს: “მე არ მეჩვენებოდა

კითხვისას, რომ სხვა ქვეყნის რომანს ვკითხულობდი. მწერალმა მაგრძნობინა, რომ რომანში გადმოცემული ამბები ახლობელი იყო თურქი ხალხისათვის” (დ. ეშმეკია) (ქირი 2008: 150).

როგორ აგრძნობინა ავტორმა მას, რომ ის თითქოს მისი მშობლიური მწერალი იყო, მაშინ როცა დიგი მხოლოდ ნაწარმოებით იცნობს ნ. დუმბაძის მთელს შემოქმედებას? მწერალს უბრალო ინფორმაციის დონეზე ხომ არ აქვს აღწერილი თავისი სოფლის თუ ხალხის ცხოვრება? ბუნებრივმა ავტორმა ბუნებრივად შექმნა საკუთარი შემოქმედება და შესანიშნავად გამოამჟღავნა მშობელი ხალხის ყოფა-ცხოვრება თავის რომანში “მე ვხედავ მზეს”. სწორედ ამით უნდა შეფასდეს მისი მხატვრული მხარე.

პერსონაჟების სახით ამ რომანში ჩვენ ვხედავთ იმას, თუ როგორია ადამიანი, როგორია სოფელი, ქვეყანა ან როგორი უნდა იყოს ეს ყველაფერი. ნ. დუმბაძე რომანში პერსონაჟებსა და მკითხველს ისე აახლოებს და აკავშირებს ერთმანეთთან, რომ თითქოს მკითხველიც პერსონაჟად იქცევა. ხატია უსინათლოა, მაგრამ ბოლოს ის ხედავს მზეს, იმ მზეს, რომელიც იქცევა მის თვალად. ამით აიხსნება ავტორის **გუმანი** და ამიტომ არის რომანიც მხატვრული.

რაფინირებული იუმორისტი მწერლის მიერ აღწერილი პიროვნება თუ პერსონაჟი სხვა მწერალთან მწარე სატირის ობიექტი გახდებოდა. ნ. დუმბაძე დიდი იუმორის მქონე პიროვნებაა და, ბუნებრივია, მისი ნაწარმოებებიც იუმორით გამოირჩევა. მწერალი დაცინვის დროსაც კი ეფერება და ადამიანური სითბოთი ავსებს პერსონაჟს. დაცინვის გამომხატველი სიტყვა, ჩვეულებრივ, შეურაცხმყოფელია, ნ. დუმბაძის ნათქვამი კი თანაგრძნობით, მოფერებითა და სიყვარულითაა აღსავსე. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას მწერლის **გუმანი** და ამიტომ არის მხატვრული “მე ვხედავ მზეს”. ის გაჭირვებაშიც ახერხებს ადამიანის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას და დადებითი განწყობის შექმნას. ნ. დუმბაძემ კარგად იცის, რომ იუმორით რეალური სიტუაცია არ შეიცვლება, მაგრამ მაინც ახერხებს თავისი ჰუმანისტური ხასიათის გამოვლენას. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი ომის განცდებში მყოფ ადამიანებს ამხნევეს სევდანარევი იუმორით. **ასე ხდება, მაგალითად, სამხედრო გაკვეთილზე:**

– მასწავლებელო!..

– მასწავლებელო, გამიგონია, სიკვდილმისჯილ კაცს სიკვდილის წინ თხოვნას უსრულებენო, მართალია?

...– თქვი, ბიჭო, რა გინდა? – მოლბა მასწავლებელი.

– ერთი პაპიროსი მოგვეცით, მასწავლებელო, მთელ კლასს, აგერ გავიქცევით და ისე მოვწევთ, თქვენ არც კი დაგანახვებთ, – დავეჯღანე...

– რაო? ვის უბედავთ თქვენ მაგას...

– გეხუმრეთ, მასწავლებელო, მაპატიეთ! – ვთქვი...

– მასწავლებელო, – დაიწყო ხატია, – წელან, თქვენ რომ სუფსის პირას ჩაბრძანდით, თქვენი კიტელიდან ბიჭებმა პაპიროსი მოიპარეს და ერთი თოფის წამლით გატენეს, ჩვენ მაინც არ გვაწევინებსო; მაგათ ეგონათ, რომ ვერ ვხედავ, ვერც გავიგონებდი.

– გაგიჟდი, გოგო?..

– თოფის წამლით გატენეს, არა?..

– ...კარგი, აბა, მიყურეთ ახლა მე, – სოსო მამალაძე, ამოიღე პაპიროსი და მოწიე, – მითხრა მან და კოლოფი გამომიწოდა.

– არ მინდა, მასწავლებელო!

– რაო? არ მინდაო? აახლავე ამოიღე და მოწიე!

– მაფეთქებთ, მასწავლებელო?..

ავიღე პაპიროსი ხარბად გავაბოლუე.

– კიდევ დარჩა ერთი ღერი და ამ ბოლო პაპიროსსაც შენ მოსწევ, სოსო მამალაძე, – მითხრა მასწავლებელმა ჩურჩულით.

– აღარ მინდა, მასწავლებელო, დიდი მადლობელი ვარ, მომკლავს ამდენი ნიკოტინი...

– ეს ბოლო პაპიროსი თქვენ მოსწიეთ, მასწავლებელო, არ აფეთქდება, – თქვა უცებ ხატია. ყველამ ხატიას შევხედეთ... იგი იდგა კაკლის ძირში და ილიმებოდა.

რომ დავწყნარდით, მასწავლებელი ხატიასთან მივიდა, ხატია იგრძნო მასწავლებლის მოახლოება და სახით მისკენ შემობრუნდა.

– შენ გგონია, ხატია, მე პაპიროსი მენანება მაგათთვის?

– არა, მასწავლებლო, მინდოდა ბიჭებს მოეწიათ. *ახლა მაგათ მთელ წელს ეყოფათ სატრაბახოდ, “ტემპი” მოვწიეთო. მაპატიეთ, ჩემო მასწავლებლო...*” (გვ. 334). A

ამ შედარებით ვრცელი ეპიზოდის თურქული თარგმანი ასეთია:

– *Duydum ki biri tutsak düşmüş, duyudum ki bir tutsak ölüme hüküm giymiş; eh ölüm cezası da cezaların en ağırıdır: Ölüme hüküm giymiş bir garibin son isteği yerine getirilir bizim bildiğimiz. Öyle değil mi?*

– *Peki, peki, dedi Levan. Anlat bakalım neymiş son isteğın?*

– *Bana bütün sınıf için hiç değilse üç beş papirosa verin lütfen. Çalıların arasına sineriz, siz de görmezsiniz sigaraları tellendirdiğimizi.*

– *Ne? Bana mı? Anlamadım, bir daha söyle bakalım.*

– *Şakaydı efendim, düpedüz bir şakaydı işte. Bağışlayın bizi.*

*Levan Gurulidze. Ne olur bırakın da içsinler. Yalvarırım size. Sonra bir yıl anlatırlar birbirlerine “Tempo içtik, Tempo içtik” diye... Kusura bakmayın ama”* (გამიგონია, რომ ტყვედ აყვანილ კაცს სიკვდილით სჯიან. ეჰ! სიკვდილით დასჯა სასჯელთა შორის ყველაზე უმძიმესია. ჩვენ ვიცით, რომ, როგორც წესი, სიკვდილმისჯილ კაცს სიკვდილის წინ ბოლო სურვილს უსრულებენ, ასე არ არის?

– კარგი, კარგი. ააბა, მომიყევი, რა არის შენი ბოლო სურვილი?

– მთელი კლასის სახელით სამი-ხუთი პაპიროსი მაინც მომეცით, თუ შეიძლება! ბუჩქებში დავიმალეობით, თქვენც ვერ დაგვინახავთ და ისე გავაბოლებთ.

– რა, მძე მითხარი? აარ მესმის, აბა, კიდევ მითხარი!

– ხუმრობა იყო, ბატონო, აშკარად ხუმრობა იყო, გვაპატიეთ.

– ლევან გურულიძე, რა იქნება, აცალეთ და მოწიონ, გეხვეწებით. მერე ერთი წელი მოუყვებიან ერთმანეთს, ტემპი მოვწიეთ, ტემპი მოვწიეთო... მაგრამ გვაპატიეთ) (გვ. 164).

იუმორით სავსე დედნისეული ეპიზოდი თურქულ თარგმანში ნაწილობრივ გამოტოვებულია. ქართულ ტექსტში ჩანს, რომ მასწავლებელი ბავშვებს პაპიროსს იმიტომ კი არ აწვევინებს, რომ მათ ძალიან უნდათ მოწევა, არამედ, ჯინაზე აწვევინებს. ხატია მ რომ უთხრა პაპიროსის ღერში თოფის წამლის ჩატენის ამბავი,

ლევან გურულიძეს ამ ოინის მოტრიალება უნდოდა და ამიტომ აძალეზდა ზავშეებს, პაპროსი მოეწიათ, რათა თოფის წამალი მათ პირში აფეთქებულიყო, სინამდვილეში კი თოფის წამალი არც იყო პაპროსში ჩადებული. ეს ხატის მოწყობილი საქმე იყო თანაკლასელების სასარგებლოდ. ამ დამაბულ სიტუაციაში ზავშეებმა ბოლოს და ბოლოს მოსწიეს პაპროსი და ოცნებაც შეისრულეს. თურქულ თარგმანში არც თოფის წამალზეა საუბარი და არც ამ ოცნების ასრულებაზე. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ავტორი ომის განცდებში მყოფ ადამიანებს ამხნეებს სევდანარევი იუმორით, ხუმრობით, თანაც სამხედრო გაკვეთილზე, თითქოსდა ტყვედ აყვანილი სოსოს საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ომი მძვინვარებს და სოფელი ომში აცილებს ახალგაზრდებს, იუმორის განცდა მაინც არ ტოვებს მათ. ისინი ხუმრობენ:

“\_ სოსოია, შეხედე, ბიჭო, რამდენ გოგოს გიტოვებთ, მიხედე ამ თხებს, ტურამ არ შეგიჭამოს, თორემ რომ ჩამოვალთ, ოთხში ამოვიღებთ, \_ მემუქრება ჯუმბერა.

\_ რაც ტურები იყავით, ყველანი მიდიხართ და ვინ შეჭამს? \_ ვეკითხები” (გვ. 226).

იუმორით სავსე მთელი დიალოგი თურქულ თარგმანში გაუბრალოებულია: “\_ *Sosoya, bak bu kızların hepsi sana teslim. Dikkat et bu yavrucukları çakallara kaptırma. Yoksa hesabını senden sorarız döndüğümüzde. Kimse bir şey yapamaz onlara, çakalların hepsini toplayıp götürüyorlar baksanıza*” (\_ სოსოია, შეხედე, ეს გოგოები სულ შენ გყავს ჩაბარებული. მშიაქციე ყურადღება ამ ბარტყებს, ტურებს არ წაართმევიწო, თორემ ანგარიშს მოგთხოვთ, რომ დავბრუნდებით. ბვერავინ ვერაფერს ვერ უზამს მათ, ტურები შეკრიბეს და მიჰყავთ, ვერ ხედავ?! ) (გვ. 20).

ფერაზა *მიხედე ამ თხებს* თურქულად გადათარგმნილია ასე: “*yavrucukları çakallara kaptırma*” (ბარტყები არ ჩააგდო ტურების ხელში). შდრ. გერმ: “*Sossoja, sieh mal, wieviel Mädchen wir dir zurücklassen! Paß gut auf, daß die Schakale diese Zicklein nicht fressen! Sonst machen wir Hackfleisch aus dir, wenn wir zurückkommen, drohte Dshimscher.*

*Alle Schakale, die es hier gegeben hat, ziehen heute ab. Wer soll sie dann fressen?*” (სოსოია, შეხედე, რამდენ გოგოს გიტოვებთ, კარგად მიხედე, რომ ტურებმა არ

შეჭამონ ეს თხები, თორემ შენგან კატლეტს გავაკეთებთ, როცა დავბრუნდებით. ყველა ტურა, რაც აქ იყო, დღეს მიდის. ვინ უნდა შეჭამოს ისინი?) (გვ. 18); რუს.: *“Сосойа, посмотри-ка, сколько девушек мы тебе оставляем, присмотри за этими козами, чтобы их шакалы не съели! А то вернемся, котлету из тебя сделаем, \_ грозитя джимшер.*

*\_ Все шакалы, какие были, уезжают сегодня, кто же их съест!”* (სოსოია, ნახე, რამდენ გოგოს გიტოვებთ, უყურე ამ თხებს, რომ ტურებმა არ შეჭამონ, თორემ დავბრუნდებით და შენგან კატლეტს გავაკეთებთ, \_ იმუქრება ჯიმშერი.

*\_ რაც ტურები იყო, ყველა მიდის დღეს და ვინ შეჭამს მათ?)* (გვ. 213).

ქართველი ავტორი გოგოებს ადარებს **თხას**, რაც სიტუაციას ხუმრობის სახეს აძლევს, თურქულში კი თხის მაგივრად არის **ბარტყები**, რასაც ვერ ავხსნით გერმანული თარგმანის გავლენით. იქ ნახსენები არ არის **ბარტყები**, მაგრამ არც **თხებია** ნახსენები. ამ თვალსაზრისით რუსული თარგმანი უფრო სრულყოფილია.

ზოგჯერ პერსონაჟთა მსჯელობა სცდება რეალობას და გადადის ტრაბახში, რაც მკითხველში იწვევს იუმორის განცდას, სიცინს:

*“ნაშუადღევს სამხედრო კომისარი კლუბის აივანზე გადმოდგა და ორსაათიანი სიტყვა თქვა. პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომ ვერ გაიხსენა კარგად, უცებ მეორე მსოფლიო ომის წარმომშობ ფაქტორებზე გადავიდა და გერმანია მიწასთან გაასწორა, არც იტალიას და იაპონიას მოფერებია მაინცდამაინც. ბოლოს ჰიტლერი და მუსოლინი მოხარშული კარტოფილივით შემოეფცქნენ ხელში და იმდენი ილაპარაკა ჩვენი ჯარის კონტრდარტყმებზე, ჩვენს თვითმფრინავებზე...”* (გვ. 227).

თურქულად ეს ეპიზოდი ასეა გადათარგმნილი: *“Ardından şubenin balkonunda bir subay belirdi ve hemen bir söyleve başladı. İkinci Dünya Savaşının nedenlerini anlatıyordu. Ordumuzun savaş gücünü övüyordu. Berlin’in yakınlarına kadar sokulmamızdan, uçaklarımızdan, tanklarımızdan...”* (მერე კლუბის აივანზე ერთი ოფიცერი გამოჩნდა. მმეორე მსოფლიო ომის მიზეზებზე საუბრობდა, ჩვენს სამხედროს ძალიან აქებდა, საუბრობდა ბერლინთან მიახლოებაზე, თვითმფრინავებზე, ტანკებზე...) (გვ. 22).



როგორც ჩანს, რუსი მთარგმნელი გარკვეული პოლიტიკური თვალსაზრისით ტოვებს ამ ადგილს, რის გამოც ბუნებრივად გამოტოვებულია გერმანულსა და თურქულ თარგმანებში. ტექსტი კი გურული გლახისთვის დამახასიათებელი ჰუმანური იუმორით არის სავსე. მმარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ავტორი ჰიტლერისა და მუსოლინის დამარცხებას ცხელი კარტოფილის გაფცქვნას ამსგავსებს!

ქვემოთ მოცემული ეპიზოდი თურქულ თარგმანში მთლიანად არის გამოტოვებული. ასეა გერმანულშიც:

*“ – გეყურება, ბიჭო? – ბეჟანამ რაღაცას მიუგდო ყური და მერე სუსტი ხმით აყვა ვიღაცას: “სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელი, ჩემისთანა კი არ იყო, ჭკუა იყო ცარიელი...” – იღიმებოდა და ღიღინებდა ბეჟანა, მერე თანდათან გაუქრა ხმა, მაგრამ მაინც ღიღინებდა”* (გვ. 297).

საერთოდ, რომანში ბეჟანა ხასიათდება, როგორც სიცოცხლის, ხალისის, მხიარულების შემომტანი პერსონაჟი. მმისი სიხარული და სიყვარული ყოველთვის ჩანს ლექსებსა და სიმღერებში. სიცოცხლესაც სიმღერით ამთავრებს იგი. სწორედ ეს უკანასკნელი სიმღერაა დაკარგული გერმანულ და თურქულ თარგმანებში, რუსულში კი, პირიქით, ხაზგასმით – ლექსის ფორმითაა გადმოცემული:

*“Ведь любовь безумным сделать*

*Может всякого, любого!*

*Тариэла ослепила,*

*Сбила с толку.*

*А меня совсем убила...”* (გვ. 301).

როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, “სინამდვილე მთარგმნელს ეძლევა მხატვრული სახით, როგორც ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, როგორც მხატვრული ნაწარმოების ობიექტური და სუბიექტური მხარის, სახისა და განცდის, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთიანობა და მან უნდა გაიმეოროს ეს სინამდვილე ამავე ერთიანობის შენარჩუნების გზით. სადაც შინაარსი ავტორის მიერ კონკრეტულ დროულ-სივრცობრივ ფარგლებში მოქცეული სინამდვილის საფუძველზე შეიქმნება, ხოლო ფორმა ავტორისავე შერჩეული მხატვრული

საშუალებების ეკვივალენტური საშუალებებით იქნება რეპროდუცირებული” (ფანჯიკიძე 1988: 7).

ნ. დუმბაძის რომანის თურქულენოვან თარგმანში დასტურდება მხატვრულობის თვალსაზრისით როგორც ადეკვატური, ისე არაადეკვატური ადგილები.

დედანში უხვად არის გამოყენებული ეპითეტები. მაგალითად: “... (ხატია) სადაც შორს იცქირებოდა უსასრულობაში და ისე იღიმებოდა თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით” (გვ. 230). რომანში ხატია გამოირჩევა მაქსიმალურად ადამიანური, კეთილი, გულთბილი, ასევე ლამაზი თვისებებით და ავტორი მის თვალებს ადარებს “ცას”. ამ ეპიზოდის თურქული თარგმანი ასეთია: “... Gökyüzünü andıran derin mavi gözleriyle uzaklara, ta ötelere bakardı” (ცის მსგავსი ღრმად ლურჯი თვალებით შორს, ძალიან შორს იყურებოდა) (გვ. 25).

მთარგმნელი ცდილობს ადეკვატურად ასახოს არა მარტო პერსონაჟის მოქმედება, არამედ მისი სახეც. ეპითეტები **დიდრონი**, **ცისფერი** თურქულად მხატვრული თვალსაზრისით დედნისეული დატვირთვით არის გადმოცემული: “Gökyüzünü andıran derin mavi...” (ცის მსგავსი ღრმად ლურჯი). შდრ. გერმ.: “...blickte mit ihren schönen Augen, die zartblau wie der Himmel waren, in die Ferne” (იყურებოდა თავისი მშვენიერი ნაზი ცისფერი თვალებით უსასრულობაში) (გვ. 23); რუს.: “...Сидела на краю поля, глядя в бесконечную даль своими красивыми голубыми глазами” (იჯდა ყანის პირას და იყურებოდა უსასრულობაში თავისი ლამაზი ცისფერი თვალებით) (გვ. 217);

ასევე საინტერესოა შემდეგი ეპიზოდიც: “ცა იყო ლურჯი, ლურჯი და ძალიან ჰგავდა ხატის თვალებს” (გვ. 359). თურქული თარგმანი ადეკვატურად არის გადმოცემული: “Gökyüzüne bakıyordum, Matya'nın gözleriydi gökyüzü” (ცას ვუცქეროდი. ხატის თვალები იყო ცა) (გვ. 195);

დედნისეული **იისფერი ნისლი** (გვ. 379) თურქულად ასეა გადათარგმნილი: “Mavi, leylak rengi bir sis” (ლურჯი, იისფერი ნისლი (გვ. 211);

კიდევ ერთი ეპიზოდი: “(ზუხარი) ...ტკბილად ღუღუნებდა და მკრთალი მუქით ანათებდა კედლებს” (გვ. 306) თურქულად ასე გამოიყურება: “Ama çitirtıyla

*yanmalarını sürdürüyor, hafif hafif pırıltularla odaya garip bir ışık yansıtıyorlardı*” (...შემა ტკაცუნებდა და ოთახში მსუბუქი კაშკაშით აირეკლებოდა სხივები) (გვ. 125).

თარგმანში დედანი ხშირად შემოკლებული სახითაა წარმოდგენილი. მთარგმნელი ამარტივებს, აღარიბებს მწერლის მიერ დახატულ სახესა და ვითარებას: **“კარი ფრთხილად გაიღო. ჩვენს წინ იდგა გულგაღელილი, თმაგაბურძენული, სუფთად წვერგაპარსული, ქამარში რევოლვერგაჩრილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასდაკიდებული დათიკო ბრიგადირი, ხელში მოკლედ გადაჭრილი შაშხანა ეჭირა და ფეხზე ქალამნები ეცვა**” (გვ. 246).

ამ ეპიზოდის თურქული თარგმანია: *“Kapı ağır ağır büyük bir özenle açıldı. Darmadağın saçları, yakası bağı açık üniformasıyla Datiko girdi içeri. Bir elinde tüfek, ötekinde tabanca vardı*” (კარები ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით გაიღო, არეულ-დარეული თმებით, საყელო- და მკერდგაღელილი უნიფორმით დათიკო შემოვიდა, ერთ ხელში თოფით, მეორეში კი – დამბაჩით) (გვ. 46).

დედანში დათიკო ბრიგადირის გარეგნობა დაწვრილებით არის აღწერილი, რაც მისი შინაგანი სამყაროსა და ცხოვრების წესის ჩვენებას ემსახურება. თურქულ თარგმანში აზრი არ იკარგება, მაგრამ ეს მიზანი ნაწილობრივ დარღვეულია, ნახსენები არ არის ისეთი დეტალები, როგორცაა: **წვერგაპარსული, ქამარში რევოლვერგაჩრილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასდაკიდებული...** ეს განპირობებულია გერმანული თარგმანით: *“Vorsichtig wurde die Tür geöffnet. Ins Zimmer trat ein Mann mit zerzaustem Haar, aufgeknöpfter Uniformbluse, einem Revolver am Koppel, einem Gewehr in der Hand und mit Kalamanis statt Stiefeln. Ja, es war unser Brigadier Datik*” (კარი ფრთხილად გაიღო. ოთახში შემოვიდა კაცი აწეწილი თმით, დიღებგახსნილი უნიფორმით, წელზე რევოლვერით, ხელში იარაღით და ჩექმების ნაცვლად ქალამნებში. დიახ, ეს იყო ჩვენი დათიკო ბრიგადირი) (გვ. 44);

ზოგჯერ ეპითეტი საერთოდ არის გამოტოვებული თურქულ თარგმანში: **“(სუფსა) მერე მიდიოდა ისევ ქვევით, ქვევით, და გაუთავებელი სიცოცხლის ნაკადად შედიოდა ზღვაში**” (გვ. 239).

მმდინარე სუფსა ხშირად არის ნახსენები დედანში. იგი ავტორს ქვეყნის ბედთან აკავშირებს. მთლიანი პარაგრაფის თურქულ თარგმანში სუფსაზე საუბარი კი არის, მაგრამ ზემოთ მოცემული ეპითეტი გამოტოვებულია. A

საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეპითეტები კარგად არის თურქულად გადათარგმნილი.

რაც უფრო სავსეა ლიტერატურული ნაწარმოები გამომსახველობითი საშუალებებით, მით უფრო ძლიერია იგი მხატვრული თვალსაზრისით. ნ. დუმბაძის რომანის წაკითხვის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალი სხვა ხერხებთან ერთად ოსტატურად იყენებს მეტაფორებსაც.

“მეტაფორები ჩვენი გამოცდილების ერთგვარ საცავებს წარმოადგენენ. ისინი ახალი მოვლენების აღქმაში გვეხმარებიან. ამასთან, მეტაფორები შესაძლოა გაჩნდეს სხვადასხვა ცნობიერებაში. მეტაფორები წარმოადგენს საერთო სოციალურ გარემოში წარმოქმნილ აზროვნების პროდუქტს. ამრიგად, მეტაფორები არის გარესამყაროსთან ურთიერთობის კონცეპტუალური საშუალება, რომელიც მიღებულია მოცემულ ლინგვისტურ და კულტურულ საზოგადოებაში” (დარასელია 2005: 38). K

კოლმეურნეობის კრებაზე დამსწრე ხალხი ბეჟანას აბრალებს თხის რძის მოპარვას. ბეჟანა ვერ ითმენს და ამბობს: *“რომ გამოვიდა ჩვენი თავმჯდომარე და თქვა, ომს დიდი კუჭი აქვს, მართალია, მეც დიდი კუჭი მაქვს, ამიტომ გამოვლექე”* (გვ. 277). ეს ეპიზოდი გამოტოვებულია თურქულ თარგმანში, რადგანაც ის არ არის გერმანულში, თუმცა არის რუსულში: *“Наш дорогой председатель изволил заметить, что у воины большой желудок. Верно! И у меня тоже большой желудок. Вот я решил заролнить его козьим молоком”* (ჩვენმა ძვირფასმა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ომს დიდი კუჭი აქვს. მართალია! მეც დიდი კუჭი მაქვს. ამიტომაც გადავწყვიტე, ამომევსო ის თხის რძით) (გვ. 275). თურქულად არ ითქმის, **ომს დიდი კუჭი აქვს**. ვერც იტყოდა მთარგმნელი, რადგან ეს ადგილი გამოტოვებულია გერმანულში.

ასაინტერესოა მ. დარასელიას მსჯელობა მეტაფორაზე: “ყველაზე მარტივ მეტაფორას შეიძლება დისკურსის ე. წ. არხის “conduit metaphor” ეწოდოს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მოლაპარაკე მის მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობას ტექსტობრივი სახით აყალიბებს. მიღებული ტექსტი შეიცავს მოსაუბრის მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობას და მიეწოდება მსმენელს ზეპირი ან წერილობითი

ფორმით. შემდეგ ტექსტი მოიაზრება და მსმენელი მისგან იღებს შესაბამის მნიშვნელობას” (დარასელია 2005: 3).

ნ. დუმბაძის რომანში **გასულიერება-გაპიროვნების** ნიმუშებიც დასტურდება. ამის კარგი მაგალითია შემდეგი ეპიზოდი: *“გუგუნებდა, მღეროდა წისქვილი უთვალავი სხვადასხვა და მაინც ერთნაირი ხმით”* (გვ. 314).

თურქულად: *“Uyumlu, düzgün bir koroydu değirmen. Yüzlerce değişik ses, ıslık çalıyor, değişik bir yağın ezgiyi uyuşturuyordu”* ( ჰარმონიული, აწყობილი დასი (გუნდი) იყო წისქვილი. ასობით განსხვავებულ მელოდიას სტვენდა, სხვადასხვა უამრავ მელოდიას უწყობდა ერთმანეთს) (გვ. 136).

ნ. დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით, სოფლის ბედი ნახევრად წისქვილთან იყო დაკავშირებული. მთელი სოფელი წისქვილში დაფქვილი მჭადით იკვებებოდა. ააქ სიმინდის ტომრებით მოსულ ხალხში გამოსახულია სოფლის სახე. ასე რომ, წისქვილის ხმაურიც არ იყო ჩვეულებრივი. ამიტომ მწერალი ცოცხალ არსებასავით, სულიერით წარმოგვიდგენს წისქვილის სცენას. წისქვილის სიმღერა, გუგუნი თურქულ თარგმანში შინაარსობრივი თვალსაზრისით ნამდვილად ადეკვატურად არის გადმოცემული, მაგრამ წისქვილის შესახებ დედნისეული სიტყვები: *“გუგუნებდა, მღეროდა წისქვილი”* ისე კარგად და ემოციურად ჟღერს, რომ თარგმანში მაინც იგრძნობა ეს დანაკლისი, თუმცა არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ იგი არ არის დედნის ადეკვატური. როცა თარგმანს დედნისაგან დამოუკიდებლად კითხულობ, ის ახდენს გარკვეულ შთაბეჭდილებას, შესაძლებელია, მაქსიმალურსაც, მაგრამ დედანთან შედარება გაცილებით სხვა ელფერს იძენს. ეს მაშინ ხდება, როცა თარგმანი და ორიგინალი საგრძნობლად სცილდება ერთმანეთს.

ანალოგიურად შეიძლება შეფასდეს წინა ეპიზოდის გაგრძელებაც: *“ჩამწკრივებული საფქვავეები წისქვილის გაუთავებელი სიმღერის ხმაზე ყვებოდნენ ჩემი სოფლის ამბებს, მეზობლების ამბებს, მოსავლის ამბებს, ომის ამბებს”* (გვ. 314).

თურქულად: *“Kasanın hemen yanında mısır çuvalları dizilmişti. Sakin ve sessiz duruyordu çuvallar, sırasını bekliyordu. Değirmenin o eşsiz korosuna mırıltılar ezgiler karışıyordu. Bizim köyün öyküleri, savaşın öyküleri, mısırların, her şeyin öyküleri, bildik*

*bütün öyküler işte*” (იქვე, დოლაბთან სიმინდის ტომრები იყო ჩამწკრივებული. წყნარად და უხმოდ იდგნენ ტომრები და თავიანთ რიგებს უცდიდნენ. წისქვილის იმ შეუდარებელ დასს უერთდებოდა გაურკვეველი ხმები, ჩვენი სოფლის მოთხრობები, ომის ამბები, ყანების, სიმინდების, ყველაფრის, აი, ნაცნობი მოთხრობები) (გვ. 136).

ბებულარას წისქვილი იყო მთელი სოფლის ემოციის, განწყობის სახე, სადაც ხალხი მიდიოდა არა მარტო მარცვლის დასაფქვავად, არამედ ემოციის გასაზიარებლად და ერთმანეთის გასამხნეველად. ამის განწყობა იგრძნობოდა ყველაფერში, ჩამწკრივებულ ტომრებშიც. ავტორი წისქვილის დოლაბის ხმას ძალიან ოსტატურად ადარებს მელოდიას და სიმღერის ტექსტში გადმოგვცემს სოფლის ამბებს. ეს ემოცია თურქულ თარგმანშიც კარგად იგრძნობა.

წინადადება *“სუფსა გიყდებოდა”* (გვ. 380) თურქულად ასე არის გადატანილი: *“Coşar Supsa Irmağı”* (აღფრთოვანდება სუფსა) (გვ. 212).

მდინარის დინებაზე ზუსტად ასეთი გამოთქმა **Coşar Supsa Irmağı** იხმარება თურქულში. ააქ მთარგმნელი თავს არიდებს პირდაპირ თარგმანს და მშობლიურ ენაში მიღებული ფრაზით თარგმნის.

ტექსტის მომდევნო ნაწილიც დედანში ასევე მხატვრულად გრძელდება, მაგრამ მისი თურქული თარგმანი არაადეკვატურია:

*“ათ საბარგო მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად, რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს”* (გვ. 228).

ეს ადგილი თურქულად ასეა გადათარგმნილი: *“On ağır taşıt; babalarımızı alıp götürdü...”* (ათმა დიდმა მანქანამ აიყვანა და წაიყვანა ჩვენი მამები) (გვ. 222).

როგორც აქედან ჩანს, თარგმანის თითქმის არც ერთი პასაჟი მხატვრული და ემოციური თვალსაზრისით არ არის დედნის ადეკვატური. დედანი მკითხველში სულ სხვა გრძნობებს აღძრავს და პოეტური შთაბეჭდილებით გვავესებს, თარგმანში კი ყველაფერი ეს მშრალად არის გადმოცემული. მკითხველზე ზემოქმედებაც არის შესაბამისი. უდრ. გგერმ.: *“Die Wagen fahren an. Zehn Lastwagen. Sie fahren unsere*

*Brüder und Väter fort*” (მანქანები მოვიდა. ათი საბარგო მანქანა. მათ მიჰყავდათ ჩვენი ძმები და მამები) (გვ. 21);

რუს.: *“Десять грузовиков увозили наших братьев и отцов”* (მანქანები მოვიდა, ათი საბარგო მანქანა. მათ მიჰყავდათ ჩვენი ძმები და მამები) (გვ. 215).

“დედანსა და თარგმანს შორის დგას უფრო მეტად დაუძლეველი ბარიერი. დედნის ემოციური დატვირთვა, მხატვრული სიტყვის ირაციონალური მხარე არ ხორციელდება ახალ ენობრივ სისტემაში, რადგან შეუძლებელი ხდება ორი სხვადასხვა ენის იდენტური შინაარსისა და აზრის შემცველი სიტყვების მხატვრული იგივეობის განხორციელება, მთარგმნელი ვერ აღწევს მხატვრული სიტყვის იდენტურობას, რადგან საგნები თუ მოვლენები, აღქმული საკუთარ ენაზე, გვეძლევა ამ ენის ბგერათკომპლექსისა და სიტყვების ურთიერთმიმართების მეშვეობით და ფსიქოლოგიური და ემოციური დატვირთვაც ამ ენაში გააჩნია მხოლოდ” (ხუციშვილი 1989: 5).

ნ. დუმბაძე თავის რომანში მაღალმხატვრულად აღწერს პერსონაჟებს, მოვლენებს, რისთვისაც ძალიან გააზრებულად, ოსტატურად იყენებს შედარებებს. ამის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია შემდეგი ეპიზოდი: *“ეს დღე გავდა უზარმაზარ ზღვის უკუქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები”* (გვ. 228).

ავტორი ახალგაზრდების, ვაჟკაცების ომში წასვლის სცენას ადარებს ზღვის უკუქცევას და ამ ამბავს მოგვითხრობს არა მშრალი სიტყვებით, არამედ ძალიან მხატვრულად, შედარების გზით. აქ ვხედავთ, რომ იგი მთელი არსებით გრძნობს და განიცდის ომის სიმწარეს. ეს მიუთითებს მის სულიერ სიძლიერეზე. ნამდვილად, თევზი წყლის გარეშე და უმამოდ დარჩენილი ბავშვი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამრიგად, შედარების ობიექტებიც კარგად აქვს მწერალს არჩეული.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნული ეპიზოდის თურქულ თარგმანს, იგი ადეკვატურად არის შესრულებული და არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე: *“Sanki bir gelgit olayıydı bu, deniz çekiliyordu sanki. Kumların üstünü örten sudan örtü çekilmiş, balıklar, yengeçler, midyeler kalakalmıştı ortalıkta”* (თითქოს ზღვის უკუქცევის მოვლენა იყო ეს. თითქოს ზღვა უკან იხევდა, თითქოს სცილდებოდა

წყალს საფარი, რომელიც ქვიშას ფარავდა. მხოლოდ თევზები, კიბორჩხალები, მიდიები დარჩა ღია ცის ქვეშ) (გვ. 23);

ნ. დუმბაძის რომანი თავიდან ბოლომდე არის შემკული ხატიასთან დაკავშირებული ეპიზოდებით. ავტორი მას ხან ღვთისმშობელს ადარებს, ხან – ანგელოზს. მაგალითად: “*შენისთანა ანგელოზი მზეს და დღის სინათლეს როგორ არ უნდა ხედავდეს*” (გვ. 348).

ბიბლიიდანაც ცნობილია, რომ ანგელოზებს განსაკუთრებული თვისებები აქვთ. მმათთვის არანაირი ფიზიკური, მათ შორის, მხედველობის ბარიერიც არ არსებობს. პირიქით, შეიძლება ადამიანმა ვერ დაინახოს ანგელოზი, მაგრამ ანგელოზები ყოველთვის ხედავენ ადამიანებს. მაშასადამე, თითქმის ღვთისმშობლისა და ანგელოზის დონეზე წარმოდგენილი ხატიას უსინათლობა რომ აწუხებს ავტორს, ეს ფრიად გასაგებია მკითხველთათვის.

თურქულ თარგმანში **ანგელოზი** შენარჩუნებულია, ხოლო **მზე** გამოტოვებულია და ნახსენებია მხოლოდ **ღღის სინათლე**: “...*böyle güzel melek gibi bir kızın gözlerine biraz olsun gün ışığı bağışlayamaz mıydı?*” (...ასეთ ანგელოზივით ღამაში გოგოს თვალებს ცოტა ღღის სინათლეს ვერ აჩუქებდა?) (გვ. 180).

გამოთქმა **ღღის სინათლე** იხმარება **მზის** მაგივრადაც თურქულ ზეპირ მეტყველებაში. ამასთან დაკავშირებით თურქულში არსებობს გამოთქმები: **gün doğdu** (ღღე ამოვიდა = მზე ამოვიდა), **gün ışığı** (ღღე განათდა = მზე ამოვიდა);

ავტორი სხვადასხვაგვარად ახასიათებს ხატიას: “*ხატიას თვალები ნუშივით დაუწვრილდა*” (გვ. 393).

თურქულად: “*Gözleri badem şekeri kadar ufaldı*” (მისი თვალები ნუშის კანფეტით დაპატარავდა) (გვ. 226).

დედაწში ნახსენები **ნუში** თურქულად გადათარგმნილია, როგორც **ნუშის კანფეტი**. აქ თარგმანი სცილდება დედანს; მთარგმნელმა დაატკბო და, რაც მთავარია, თვალს ფორმა შეუცვალა;

ავტორი ნაწარმოების პერსონაჟებს ემოციური განწყობის მიხედვით ახასიათებს და შესაბამისად ადარებს რაღაცას. მაგალითად: “*ქალადივით გაფითრებული მამიდა*” (გვ. 231). ქეთო მამიდამ დეზერტირ დათიკოს სოფელში



გამოჩენის ამბავი რომ გაიგო, ინერვიულა და ქალაღდივით გაფითრდა. ავტორი ამ ემოციას კარგად ასახავს დედანში.

აღნიშნული შედარების თურქული თარგმანიც შესანიშნავია: *“Halamin yüzü mum gibiydi”* (მამიდაჩემის სახე სანთელივით იყო) (გვ. 26). თურქი მთარგმნელი ფრაზას თარგმნის არა სიტყვასიტყვით, არამედ მას ესმის შინაარსი და მშობლიურ ენაში ეძებს შესატყვისს. ეს მიუთითებს მის პროფესიონალიზმზე. თურქულში არ არსებობს გამოთქმა **ქალაღდივით გაფითრებული**. შეშინებულ ადამიანს თურქები სანთელს ადარებენ;

კვიდევ ერთ-ერთი პერსონაჟის \_ დათიკო ბრიგადირის შედარებაა დედანში: *“სისხლის დანახვაზე დათიკო ნადირით გაცოფდა”* (გვ. 294). სისხლის დანახვაზე დათიკო ბრიგადირის გაცოფება მკითხველისთვის არ არის გასაკვირი. დედანში მოცემული ამ ფრაზის თურქული თარგმანი გვიჩვენებს, რომ დათიკო ბრიგადირის ხასიათი თურქი მთარგმნელისთვისაც არანაკლებადაა გასაგები. ის დედანთან შედარებით გადაჭარბებით ახასიათებს ხსენებულ პერსონაჟს: *“Kan görünce büsbütün vahşileşmiş, kudurmuştu”* (სისხლი რომ ნახა, სულ გამხეცდა, გაცოფდა) (გვ. 109). თურქი მთარგმნელი აქაც კარგად ახერხებს შესატყვისი ფორმის მოძებნას. დათიკოს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ნამდვილად ასეთ გამოთქმას (**vahşileşmiş** = გამხეცდა) აკადრებენ თურქეთში;

მომდევნო ეპიზოდში ავტორი პერსონაჟებს ახასიათებს გარეგნობის მიხედვით: *“ეზოში ორი მამაკაცი გამოვიდა, ერთი შუახნის, წისქვილის დოლაბივით სახედაკენკილი; მეორე \_ ჩემხელა, ცხვირგაბუმტული ბიჭი”* (გვ. 343).

თურქული თარგმანი ზუსტად და ადეკვატურად არის შესრულებული: *“Evden iki kişi çıktı. Değirmen taşı suratlı bir adam, poturlu, orta yaşlı biri; bir de ben yaşlarda bir çocuk. Çocuğun hemen göze batan upuzun bir burnu vardı”* (სახლიდან ორი კაცი გამოვიდა, ერთი შუახნისა, სახედაკენკილი; მეორე \_ ასე ჩემი ასაკის, თვალსაჩინო ცხვირგაბუმტული ბიჭი” (გვ. 173);

ნ. დუმბაძე შედარებებს იყენებს არა მარტო პერსონაჟების დასახასიათებლად, არამედ უსულო საგნების საჩვენებლადაც, სიტუაციის მიხედვით. ხანდახან ერთმანეთთან არის შედარებული საგნები, სურსათი,

ბუნების მოვლენები, მნათობები... საინტერესოა ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც ავტორი ერთმანეთს ადარებს ბუხარსა და ცას: “*ბუხარი თანდათან დაბურულ ცას ემსგავსებოდა*” (გვ. 308).

ერთი შეხედვით ჩანს, რომ დედნისეული ცა თურქულ თარგმანში გამოტოვებულია, მაგრამ, პირიქით, მთარგმნელს კარგად აქვს აღქმული ცეცხლმოკიდებული ბუხრის პოზიცია და წინ უსწრებს დედანს: “*Kıpkırmızı gökyüzüne daldım, korları erimekte olan gökyüzüne*” (წითელ მოელვარე ცას მივაშტერდი, რომლის ნაკვერცხლებიც დნებოდა) (გვ. 128). აქ მთარგმნელი სიტყვასიტყვით კი არ თარგმნის **ბუხარსა და ცას**, **ბუხრის** მაგივრად ახსენებს **ცას**, რაშიც გულისხმობს **ბუხარს**. მაშასადამე, ირიბად მაინც არის შედარებული ხსენებული რეალიები;

ასევე საინტერესოა შემდეგი ეპიზოდიც: “*ახლა ამ გაზაფხულზე ყველაფერი მრგვალ მჭადს გავდა, რატომღაც წისქვილის დოლაბიც, სალესი ქვაც, მზეც და მთვარეც, მაგრამ მთვარე უფრო კვერს გავდა, ნაცრიანს, ხან მთელსა და ხან გატეხილს*” (გვ. 322).

ფორმალური თვალსაზრისით მჭადი ჰგავს მზეს, მთვარესა და წისქვილის დოლაბსაც, მაგრამ, ვფიქრობთ, სხვადასხვა საგნის ან ბუნების მოვლენების, მნათობების მჭადთან დაკავშირება, ალბათ, ამ პროდუქტის უქონლობაზე, ნატვრაზე მიუთითებს. ისე, საინტერესოა, მეწისქვილეს მჭადის შოვნის პრობლემა ექნებოდა?

რაც შეეხება თურქულ თარგმანს, აქ ყველაფერი მთლად ადეკვატური არ არის: “*Bu ilkbaharla birlikte bana her şey ekmeği anımsatıyor, yusuvarlak, tepsi gibi kocaman ve kızarmış saç ekmeğini anımsıyorum, biley taşı görsem öyle. Güneşi, ayı görünce de öyle. Yok yok, ay daha çok has ekmeğe benziyor, kimi zaman bütün bir ekmektir ay, kimi zaman bölünmüş, yarılanmış bir ekmek*” (ამ გაზაფხულთან ერთად მე ყველაფერი პურს მახსენებს, – მრგვალი ლანგარივით უზარმაზარ და შებრაწულ კეცის პურს. წისქვილის ქვა რომ დავინახო, კეცის პური მახსენდება, სალესი ქვაც ასეა. მთვარე და მზეც ასეა. აარა, მთვარე ხორბლის პურს უფრო ჰგავს, ხანდახან მთლიანი პურია მთვარე, ზოგჯერ განახევრებული, გაყოფილი) (გვ. 148);

კიდევ ერთი მსგავსი ეპიზოდი: “იგი (მზე) საოცრად გავდა კეცზე კარგად გამომცხვარ ოხშივარავარდნილ მჭადს” (გვ. 322). თურქულად: “*Saçtan hemencecik inmiş bir ekmeğe benziyor güneş, sıcacık saç ekmeğine benziyor*” (კეცზე სულ ახლახანს გამომცხვარ პურს ჰგავდა მზე, ძალიან ცხელ კეცის პურს) (გვ. 147). აქაც შედარებით ადეკვატურია თურქული თარგმანი;

ნ. დუმბაძე შესანიშნავად ასახავს სოფელში თოვლის სცენას: “(ოდა) უზარმაზარ სოკოს გავდა” (გვ. 301). თოვლში ხეები და სახლები ნამდვილად ჰგავს სოკოს. ამ ეპიზოდის თურქული თარგმანი სიტყვასიტყვით, მაგრამ ადეკვატურად არის შესრულებული: “*Ev bu haliyle uzaktan kocaman mantara benziyordu*” (სახლი ამ ფორმით შორიდან უზარმაზარ სოკოს ჰგავდა) (გვ. 118).

დრომანში მოცემული სხვა შედარებებიც საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისით. მთარგმნელი მაქსიმალურად ცდილობს, მაგრამ ვერ აღწევს დედნისეულ მიზანდასახულობას. ვფიქრობთ, ეს არ მიუთითებს მთარგმნელის სისუსტეზე. აქ გასათვალისწინებელია დედნის ენისა და ავტორის გადმოცემის სიძლიერე. მაგალითად: “*სპილენძის ლანგარივით წითელი უზარმაზარი მზე ზანტად ჩადიოდა*” (გვ. 217). A

აი, რას წერს თურქი მეცნიერი სუნდუზ ოზთურქ ქასარი: “მხატვრული თარგმანი არის ის სფერო, სადაც სიტყვებს ყველაზე მეტად უჭირს აზრის გადმოცემა. მხატვრული ნაწარმოების ენა თავისებურია და საკმაოდ განსხვავებულია ყოველდღიური ენის სიტყვებთან შედარებით. სიტყვა ხშირად იხმარება სულ სხვა და გადატანითი მნიშვნელობით. მაგალითად, იუნუს ემრეს გამოთქმა “ერთი “მე” არსებობს ჩემში ჩემზე უპირველესი”. ამ ფრაზაში სიტყვა მე გამოყენებულია ჩვეულებრივი გაგების გარეშე” (Kasar 2003: 56).

ზემოთ მოცემული ქართული ეპიზოდი თურქულად ასეა თარგმნილი: “*Güneş uzak ufukta bir bakır tepsi gibi kocaman batmak üzereydi*” (უზარმაზარი მზე შორს ჰორიზონტზე ერთი სპილენძის ლანგარივით ჩადიოდა (გვ. 7).

თარგმანში ძირითადი აზრი გადმოცემულია ადეკვატურად. ავტორი დედანში მზეს ამსგავსებს სპილენძის ლანგარს. მთარგმნელიც ასე იქცევა, თუმცა ქართული ფრაზა “*ზანტად ჩადიოდა*” თურქულში არც არის ნახსენები. შდრ. გერმ.:

“*versank die Sonne am Ende der Ende*” (უზარმაზარი მზე დედამიწის დასასრულს ჩადიოდა) (გვ. 5);

რუს.: “*Солнце, огромное, красное, похожее на круглый медный поднос, лениво опускалось куда-то за край земли*” (მზე, უზარმაზარი, წითელი, მრგვალი ლანგარის მსგავსი, ზანტად ჩადიოდა სადღაც, დედამიწის დასალიერში) (გვ. 201). თურქულ თარგმანში დედნის მხატვრული მხარე შედარებით დაჩრდილულია, შინაარსობრივი პრობლემა კი არ არსებობს;

მომდევნო ეპიზოდის თურქულ თარგმანშიც დედნისეული მთავარი აზრი არ არის დარღვეული, უბრალოდ პატარა ნიუანსია დაკარგული. ფრაზა: “*დათიკო მშვილდივით იყო დაჭიმული*” (გვ. 293) თურქულ თარგმანში ასეა გადმოცემული: “*Datiko gerilmiş bekiyordu*” (დათიკო დაჭიმული იცდიდა) (გვ. 107).

თურქულ თარგმანში დედნის მნიშვნელობა სწორად არის მოცემული, ხოლო სიტყვის მშვილდივით გამოტოვებით რომანის მხატვრულობა არ არის დაცული;

ავტორი ხშირად ადარებს ერთმანეთს ბუხარსა და ცას: “*ცას გავდა ბუხარი, მოღრუბლულს და ვარსკვლავიანს, დანაცრული ნაკვერჩხალი ვარსკვლავებივით ციმციმებდა აქა-იქ, მერე ნაცრის ღრუბელი ეფარებოდა და ქრებოდა*” (გვ. 308).

თურქულად: „*Ocağı görünce gökyüzü aklıma geldi. Harlı yanan odunun kıvılcımları gökyüzündeki yıldızlara benziyordu. Tıpkı yıldızlar gibi yanıp söniyordu kıvılcımlar...*” (ბუხარი რომ დავინახე, ცა გამახსენდა. აალებული შეშის ნაკვერცხლები ცაში მყოფ ვარსკვლავებს ჰგავდა. ზუსტად ვარსკვლავებივით ინთებოდა და ქრებოდა ნაკვერცხლები) (გვ. 128).

მთარგმნელს კარგად აარა აქვს აღქმული ის სურათი, რაც ორიგინალშია აღწერილი. ბუხართან მჯდომი სოსოია ვარსკვლავებით მოჭედულ ცას ამსგავსებს წითელ ნაკვერცხლებად დამწვარ შეშას და მოღრუბლულ ცას აგონებს ის ნაცარი, რადაც იქცა ცოტა ხნის წინ ვარსკვლავებივით მოკაშკაშე ნაკვერცხალი. შდრ. გგერმ.: “*Er erinnerte mich an den Himmel. Blinzeln wie Sterne glommen die verkohlten Holzstücke und erloschen in grauen Wolken von Asche. Immer mehr glich der Kamin dem bewölkten Himmel, immer mehr verschleierte der Schlaf meine Augen. Traurig betrachtete ich diesen Himmel, an dem die schönen roten Kohlesternchen erloschen*” (ბუხარი ცას მახსენებდა. დანახშირებული შეშა ისე ღუოდა, როგორც ვარსკვლავები და ფერფლის

ნაცრისფერ ღრუბლებში ქრებოდა. სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ბუხარი მოღრუბლულ ცას, სულ უფრო და უფრო მიბინდავდა ძილი თვალებს. მოწყენილი ვუყურებდი ამ ცას, რომელზეც ნახშირის მშვენიერი წითელი ვარსკვლავები ქრებოდა) (გვ. 126);

თურქულ თარგმანში გამოტოვებულია: *“მე ვხედავდი მზეს, რომელიც ოქროს ჯილასავით ადგა ამ ქვეყანას”* (გვ. 239). აღნიშნული მონაკვეთი გამოტოვებულია გერმანულ ტექსტშიც, მაგრამ მოცემულია რუსულში: *“Я видел золотое солнце, которое сверкало над землей”* (მე ვხედავდი ოქროს მზეს, რომელიც ბრწყინავდა დედამიწის ზემოთ) (გვ. 228);

როგორც უკვე აღინიშნა, ნ. დუმბაძე მაღალმხატვრულ დონეზე ახასიათებს პერსონაჟებს, მოვლენებს, მნათობებსა თუ საგნებს. ასევე ოსტატურად შემოაქვს მას წინადადებაში ერთდროულად სხვადასხვა მხატვრული ხერხი (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა...). მაგალითად: *“ჭალას სისხლის დედო-მარღვივით მისდევდა სუფსა და ქვევით მიჰქონდა ამ ვეებერთელა მიწაზე დაღვრილი ოფლი და ცრემლი”* (გვ. 239).

თურქულად: *“Supsa ırmağı ülkenin damarlarında dolanan kan gibi süzülüp akıyordu. Alın terini ve gözyaşını toplayan bir koca su, ülkenin kanı gibi”* (მდინარე სუფსა ქვეყნის სისხლმარღვებში მოძრავი სისხლივით დაღმა მიედინებოდა ისე, როგორც ოფლისა და ცრემლის შემაგროვებელი ვეებერთელა წყალი და ქვეყნის სისხლი) (გვ. 37).

თურქულ თარგმანში დედნის ზოგადი შინარსი მხატვრულადვე არის გადმოცემული. სუბრალოდ, შესიტყვება **ვეებერთელა მიწაზე** გადათარგმნილია ასე: **ვეებერთელა წყალი**. ამით შინაარსი არ ირღვევა;

თურქულ თარგმანში შენარჩუნებულია მომდევნო ეპიზოდის *“დგას პარკი უზარმაზარი ტომრების გვერდით, თოჯინასავით თეთრწინწკლებიან ლურჯ პერანგში გამოწყობილი”* (გვ. 314) დედნისეული სიზუსტე: *“Bakın bakın çuvalın hemen yanında bir kesecik duruyor, beyaz noktalı basmadan entari giymiş bir bebeğe benziyor”* (შეხედეთ, შეხედეთ ტომარასთან ახლოს, იქვე გვერდით დგას პარკი, რომელიც ჰგავს ჩვილ ბავშვს, თეთრწინწკლებიანი ნაჭრის პერანგი რომ აცვია) (გვ.

136). ავტორი დედანში პარკს ადარებს **თოჯინას**, ხოლო თურქი მთარგმნელი კი – **ბავშვს**, რომელშიც, ვფიქრობთ, იგულისხმება თოჯინა. სიტყვა **თოჯინას** ზუსტი თურქული თარგმანი არის **სათამაშო ბავშვი** (ხელოვნური ბავშვი – იგივე თოჯინა).

ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” უნიკალურია მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების (იუმორი, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება...) თვალსაზრისით. ავტორი ამ ხერხებს შესანიშნავად, მიზანშეწონილად იყენებს. განსაკუთრებით მოვლენებისა თუ საგნების სხვა მოვლენებთან და საგნებთან შედარების დროს მკითხველში ქმნის განწყობას, თითქოს იგი პერსონაჟია. ამიტომ სარგებლობს რომანი დიდი მოწონებით.

როგორც განხილული ეპიზოდებიდანაც ჩანს, თურქულ თარგმანში არის ადეკვატური და იშვიათად – არაადეკვატური ადგილებიც. გვარდა იუმორისა, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები თითქმის დედნის ტოლფასია, მაგრამ იუმორის თვალსაზრისით იმავეს ვერ ვიტყვით. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის არაუშუალო თარგმანის ცუდი შედეგი. ამ შემთხვევაში მთარგმნელს რთული პროცესი ელოდა. იგი ბუნებრივად მოხვდა რთულ სიტუაციაში და, გამოუცდელი მთარგმნელი რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა მეორე უბედურება. ეს ხარვეზი თუ დანაკლისი ანაზღაურდა მთარგმნელის გამოცდილების წყალობით.

## 2.2. თარგმანის ენა

ორიგინალური ნაწარმოების ენისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს თარგმანის ენის ზოგიერთი საკითხი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თარგმანის ენის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენასთან. ენას მხატვრულ ნაწარმოებში კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად ეკისრება ესთეტიკური ფუნქცია, რადგან იგი აზრის გამოხატვის გარდა მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. ამიტომ, ერთი მხრივ, მიჩნეულია, რომ თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება. “მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების

ფორმაა. მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა, როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკურ ნარევს. ასევე უპირატესია მხატვრული თარგმანის ენისთვის ესთეტიკური ფუნქცია, მაგრამ მხატვრული თარგმანის ენა ორიგინალის ენისაგან მაინც განსხვავდება სალიტერატურო ენის სტილისადმი და, მით უმეტეს, სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სტილისტური შრეებისადმი თავისი დამოკიდებულებით. კერძოდ, მხატვრული თარგმანის ენა თავისი სპეციფიკის გამო (თავისი ორმაგი, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო) ორიგინალური ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია ენის მთელი რესურსების გამოყენების სფეროში, მხატვრულ თარგმანში ენობრივი რესურსების სრულიად გამოყენებას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემული უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა” (ფანჯიკიძე 1980: 9).

**2.2.1. ფრაზეოლოგიზმები.** ყოველი ენის ლექსიკურ მარაგში უხვად არის შედარებით მყარი სიტყვათშეხამებანი (სიტყვათა ნაერთი), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ურთიერთგაგებინების (კომუნიკაციის) პროცესში. ესაა ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ანუ ფრაზეოლოგიზმები.

ფრაზეოლოგიზმი, იდიომი არის განუყოფელი ლექსიკური ერთეული, რომელიც ფორმით ჩვეულებრივ შესიტყვებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი – სიტყვას. ფრაზეოლოგიზმის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებიც ფორმით სიტყვებს ემთხვევიან, დამოუკიდებლად არა აქვთ მნიშვნელობა. მნიშვნელობის მატარებელია მთელი გამოთქმა ერთად აღებული (ქართული ენა – ენციკლოპედია: 486).

საყოველთაოდ მიღებული შეხედულების მიხედვით, ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს სემანტიკურ სიტყვათშეერთებებს, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული გამოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი ან შეგონება. ფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთების ცალკე კორელატები (წევრები) მეტაფორულად არის გაგებული.

იდიომებით მეტყველება ნაწარმოების მაღალმხატვრულობაზე, მწერლის შესაძლებლობებზე მიუთითებს. ფრაზეოლოგიზმს თავისი ადგილი აქვს, მას ნებისმიერ მომენტში ვერ გამოიყენებ. მაგალითად, თურქულ ენაში არის გამოთქმა, რაც ნიშნავს მოწონებას, შეფასებას: **gözüme girdin** (თვალში მომხვდი). ეს ყველას მიმართ არ ითქმის. ამ ფრაზით ასაკით უფროსი მიმართავს უმცროსს და არა პირიქით.

მთარგმნელობით პრაქტიკაში ფრაზეოლოგია ერთ-ერთ რთულ უბნად რჩება. ამ სირთულის დაძლევა თარგმნის ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. ნაკლებად არის დამუშავებული ამ საკითხის თეორიული მხარე. ზოგიერთი მეცნიერი ფრაზეოლოგიზმის თარგმნას შეუძლებლად მიიჩნევს. რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ფაქტობრივი მასალის მიხედვით?

ჩამა თუ იმ ენაში ფრაზეოლოგიზმები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და დამკვიდრებულია გარკვეული სახით. ამიტომ თარგმანის შემაფერხებელ ფაქტორად მიჩნეულია ტრადიციის კანონიც. მაშასადამე, ადეკვატური ვერ იქნება იმ ფრაზეოლოგიზმის თარგმანი, რომელიც ერის ტრადიციებსა და ისტორიას ეხება ანუ ნაციონალური ხასიათისაა.

ეცნობილია, რომ ენები განსხვავდებიან სიტყვათშეკავშირების კანონებით. ამიტომ ერთი ენისთვის დამახასიათებელ ფრაზეოლოგიზმს სხვა ენაში არ მოეპოვება ზუსტი შესატყვისი. თარგმანის შემთხვევაში გაგებინებისა და ემოციური თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა შეიძლება დაიკარგოს.

შედარებით ადვილი სათარგმნელია ის გამოთქმები, რომლებშიც გაწყვეტილი არაა კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის. ასეთია, მაგალითად, **göz yummak** (თვალის დახუჭვა), **iştahı kabarmak** (მადის მომატება), **eli kaşınmak** (ხელის მოქავება), **kafa yormak** (თავის დაღლა)...

როგორც ჩანს, ფრაზეოლოგიზმის თარგმნის ერთ-ერთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გათვალისწინებული იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის.

ფრაზეოლოგიზმის უთარგმნელობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ მისი ზოგადი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი



კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს, ასეთ შეუსაბამობას მშობლიურ ენაზეც აქვს ადგილი. მაგალითად, ქართულში არის გამოთქმა: **წყალს ნაყავს**, რაც ნიშნავს უშედეგო გარჯას, მოქმედებას. “წყლის ნაყვა – ამო, ფუჭი და უსარგებლო შრომა: *“სხვა გზა და სხვა აზრი ტყუილია. და ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულათ ეს აზრი არ დაედება, წყლის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო”* – ი. ჭავჭავაძე. (შავიშვილი 1967: 155). აღნიშნული გამოთქმის ამოსავალი მნიშვნელობა განუხორციელებელია (თაყაიშვილი 1961: 105). ანალოგიურია თურქულ ენაში დამკვიდრებული გამოთქმები: **Karnım zil çalıyor** (ჩემი კუჭი ზარს რეკავს), **Dizleri kesildi** (მუხლები მოეკვეთა), **Gözlerim kan çanağına döndü** (თვალები სისხლის თასად მექცა), **Kulakları çınlasın** (მისმა ყურებმა ზარები დარეკოს)... (Aksoy 1998: 728). აქაც ხომ არარეალური მოქმედებებია გადმოცემული, თუმცა ამ გამოთქმებში გადატანით სულ სხვა აზრი იგულისხმება.

თურქი მეცნიერი ო. აქსოი თარგმანის მიხედვით (შესაძლებლობისა და შეუძლებლობის მიხედვით) ფრაზეოლოგიზმებს ყოფს სამ ჯგუფად: A ა) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც სპეციფიკური ხასიათის გამო არ ითარგმნება სიტყვასიტყვით ანდა ითარგმნება, მაგრამ არ ემთხვევა დედნისეულ მნიშვნელობას. მაგალითად, თურქული ფრაზა **baş vurmak** პირდაპირი თარგმანით ნიშნავს “თავის დარტყმას”, გადატანითი მნიშვნელობით კი – “მიმართვას/საბუთების შეტანას”; Bბ) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თურქულში იხმარება ზოგადი მნიშვნელობის (ამოსავალი/პირველი მნიშვნელობის გარეშე) გარეშე და სხვა ენებშიც ითარგმნება გადატანითი მნიშვნელობით. ასეთია: **Balık kavağa çıkınca** (როცა თევზი ალვის ხეზე ავა): “Gerçekleşmesi mümkün olmayan işleri anlatmak için kullanılır: *O kız, o çocukla ancak balık kavağa çıkınca evlenir*“ (იმ მოქმედების შესახებ ითქმება, რისი განხორციელებაც შეუძლებელია: ის გოგო იმ ბიჭს მაშინ გაჰყვება, როცა თევზი ალვის ხეზე ავა) ([http://www.turkceciler.com/deyimler/deyimler\\_sozlugu\\_b.html](http://www.turkceciler.com/deyimler/deyimler_sozlugu_b.html)). ასე ამბობენ თურქეთში განუხორციელებელი საქმის შესახებ; გ) ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც თურქულში იხმარება ზოგადი მნიშვნელობით და სხვა ენებშიც

ითარგმნება სიტყვასიტყვით. ასეთია: **Alan razi satan razi** (მყიდველიც თანახმაა და გამყიდველიც) (Aksoy 1998: 120).

სხვა ენაზე გადატანისას ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობას იძლევა სიტყვათა სხვაგვარი შეხამება. *É* აქ უპირისპირდებიან ენები ერთმანეთს თავისი მხატვრული აზროვნებით, ერთი შინაარსის სხვადასხვა ფორმით გადმოცემის შესაძლებლობით. ყოველ ერს სახოვნების (გამოსახვის) საკუთარი არსენალი აქვს და აქედან ხდება სხვადასხვა ცნებებისა და მოვლენების სახელდება (თაყაიშვილი 1961: 106).

საინტერესოა, არაუშუალო თარგმანის საფუძველზე რა სახე მიიღო ნ. დუმბადის რომანისთვის დამახასიათებელმა საკმაოდ უხვმა ფრაზეოლოგიზმებმა თურქულში. ამ თვალსაზრისითაც იქმნება მრავალფეროვანი სურათი:

1. თურქულ ტექსტში ძალზედ იშვიათია ფრაზეოლოგიზმების აბსოლუტურად იდენტური თარგმანი. მაგალითად, ფრაზა: *“სისხლი გამეყინა ძარღვებში”* (გვ. 275) იგივეა თურქულად: *“Kanim sanki donmuştü damarlarımnda”* (სისხლი თითქოს გამეყინა ძარღვებში) (გვ. 84); **Kanı donmak** (სისხლის გაყინვა) თურქულში საკმაოდ გავრცელებული ფრაზაა. **“Kanı donar”** – “სისხლი ეყინება” (გაოცებისგან, შიშისგან) – შეშდება, ხევდება. **“Korkudan kanım dondu”** – შიშისგან სისხლი გამეყინა (მამულია 2006: 186).

*“მადას გაგეხსნის”* (გვ. 302). თურქულად: *“İştah açar”* M(მადა გაგეხსნება) (გვ. 120).

როგორც ზემოთ აღინიშნა, აქ დასახელებულ გამოთქმებშიც არაა გაწყვეტილი კავშირი მეტაფორიზაციის საფუძველსა და შედეგს შორის. ამიტომ ადეკვატურად არის ისინი თურქულად გადათარგმნილი.

2. ხშირად მთარგმნელი ცდილობს, არ დაარღვიოს ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა, მაგრამ ამას ახერხებს განსხვავებული ფორმით. მაგალითად: დედანში არის: *“ლუკაიას უცბად მკვდრის ფერი დაედო”* (გვ. 223).

ეს ფრაზა თურქულად თარგმნილია ასე: *“(Luka) Beti benzi attı, kül gibi oldu”* (სახეს ფერი დაეკარგა, ფერფლივით გახდა) (გვ. 15). შდრ. გერმ.: *“plötzlich wurde Luka totenbleich”* “(უცებ მკვდარივით ფერმკრთალი გახდა) (გვ. 13);

მოულოდნელი (ომის) ამბის გაგების შემდეგ ლუკაიას ნერვიულობისა და შიშის გამო მკვდრის ფერი დაედო. დედნისეული ამ გამოთქმის შესატყვისი მოძებნილია თურქულ თარგმანში. ნამდვილად, ამ დროს ზუსტად ასეთი გამოთქმა გამოიყენება თურქულში, ე.ი. შინაარსობრივად სწორია და ფორმალურად კი ამთარგმნელი ახერხებს “გამოთქმის გამოთქმად გადათარგმნას” (დ. ფეჩენეჯი).

თურქი მთარგმნელი ერიდება პირდაპირ თარგმანს, დედნისეული ფრაზის შინაარსის მიხედვით მშობლიურ ენაში ეძებს შესატყვისს და ახერხებს კიდევ, რაც მის დადებით მხარეზე მიუთითებს.

ფრაზა “*შავ ქვას ვაჭმევთ*” (გვ. 275) თარგმნილია ასე: “*ateş püskürüyoruz ona*” (მას ცეცხლს ვესვრივთ) (გვ. 85). შდრ. გერმ.: “*er bei mir oder bei anderen mit glühenden Kohlen empfangen würde*” (მას ჩემთან ან სხვებთან ცხელი ნახშირით მიიღებენ) (გვ. 82).

ქართული ფრაზეოლოგიზმი, რომლის მნიშვნელობაა *არაფერს არ ვაჭმევთ* ფორმალურად AD დარღვეულია როგორც გერმანულ, ისე თურქულ თარგმანებში. თურქულ ტექსტში მუქარისა და საყვედურის გაგებით არის აზრი გადმოცემული. “*Ateş püskürür*” (“*ცეცხლს აფრქვევს*”) – განრისხებულია, გაცოფებულია, ჭკუა არ ეკითხება; ცოფებს ყრის, თვალებიდან ცეცხლს ყრის. მაგალითად, “*Şef bugün ateş püskürüyor*” – უფროსი დღეს ცოფებს ყრის (მამულია 2006: 40).

საინტერესოა შემდეგი ფრაზის: “*დღეს ლუკმას გვართმევს პირში*” (გვ. 275) თურქული თარგმანი: “*Bugün gözü ekmeğimizde, ağzımızdan lokmamızı çalıyor*” (მისი თვალი ჩვენს პურზეა, ლუკმას გვპარავს პირიდან) (გვ. 85). *Alıyor* (ართმევს) ფორმა შეცვლილია *çalıyor* (პარავს) ზმნით, რაც გერმანული თარგმანის გავლენით იხსნება: “*Heute stiehlt er uns den letzten Bissen vom Munde*” (დღეს ის გვპარავს ბოლო ლუკმას პირიდან) (გვ. 83). *gözü ekmeğimizde* თურქულში გავრცელებული გამოთქმაა და ნიშნავს პურის/პურ-მარილის წართმევას;

დედნისეული წინადადება: “*რომ ხედავდე ახლა შენ, როგორ აბჩენს პირს, მაგის ცოდვაში არ ჩადგებოდი*” (გვ. 287) თურქულში ასეა გადათარგმნილი: “*Onun ağzını açıp nasıl yalvardığını görseydin, sen bu günahı göze almazdın ya*” (შენ რომ გენახა,

პირგაღებული როგორ გეხვეწებოდა, მაშინ ამ ცოდვას თვალში არ აიღებდი) (გვ. 101).

თურქი მთარგმნელი ქართულ გამოთქმას არ თარგმნის პირდაპირ და ეძებს მის შესატყვის ფორმას – **göze almak** (თვალში აღება = გაბედვა), რითაც ახერხებს ფრაზეოლოგიზმის შენარჩუნებას თარგმანში. აღნიშნული ფრაზები გერმანული ტექსტის მთარგმნელს უფრო კარგად აქვს გაგებული: *“Würdest du die Sünde nicht auf dich laden”* (მის ცოდვას შენ არ იტვირთებდი) (გვ. 99);

რომანში არის გამოთქმები, რომლებიც ფორმალურადაც და შინაარსობრივადაც კარგად არის თურქულად გადათარგმნილი. მაგალითად: *“მას ლოყები შეუფაკლდა”* (გვ. 303).

თურქულად: *“Yanaklarna kan dolmuştu”* (ლოყები სისხლით იყო შევსებული) (გვ. 121).

დედნისეული წინადადება თურქულ თარგმანში ფრაზეოლოგიური ფორმით არის გადმოცემული. გამოთქმის შინაარსიც შესაბამისია დედნისა. G გერმანული თარგმანი უფრო ახლოს არის ქართულთან: *“Seine Wangen röteten sich”* (მას ლოყები გაუწითლდა) (გვ. 118);

*“ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა”* (გვ. 321).

თურქულად: *“Oysa alev fıskırıyordu yanaklarından”* (თუმცა ლოყებზე ალები ამოსდიოდა) (გვ. 146). ასევე თურქული თარგმანი დედნის შესატყვისი ფორმითა და შინაარსით არის შესრულებული. შდრ. გერმ.: *“daß mir die Wangen heiß wurden”* (რომ ლოყები გამიხურდა) (გვ. 143);

*“სიხარულით ცას ვეწიეთ”* (გვ. 326).

D დედნისეული გამოთქმა თურქულ თარგმანში ადეკვატურად და ძალიან გავრცელებული გამოთქმით არის გადმოცემული: *“Sevincimizden göklere sıçrardık”* (სიხარულისგან ცაზე ავხტით) (გვ. 154);

*“გეტყობათ, ჭიპი ხერხემალზე რომ გაქვთ აკრული”* (გვ. 333).

თურქულად: *“Baksanıza kasıklarınıza yapışmış karnınız”* (ხომ ხედავთ, კუჭი საზარდულზე გაქვთ მიკრული) (გვ. 162). მოცემული გამოთქმა მშვიერი ადამიანის მიმართ ითქმება, ე.ი. დედნისეული ფრაზეოლოგიზმი სწორად არის გაგებული და

გადატანილი თურქულ თარგმანში. შდრ. გერმ.: “ *euch kleben ja die Bäuche am Rücken* ” (მუცლები ზურგზე გაქვთ მიწებებული) (გვ. 158).

ნ. დუმბაძის რომანში ვკითხულობთ: “*სამხედროს მასწავლებელს სისხლს ვუშრობდით*” (გვ. 326). აქაც ადეკვატურად არის გადათარგმნილი ქართული გავრცელებული გამოთქმა თურქულად.

**სისხლს ვუშრობდით** ნიშნავს “ვაწვალებდით.” თურქულში ამავე მნიშვნელობას გამოხატავს **ნემსის ჩარჭობა**: “*Yine de onu iğnelemekten, üzmekten zevk alıyorduk*” (მისთვის ნემსის ჩარჭობა და განერვიულება მაინც სიამოვნებას გვანიჭებდა) (გვ. 154);

“*ქვეყნის ყბაში ჩაგვავდო*” (გვ. 275). **ყბაში ჩაგდება** ნიშნავს შერცხვენას, ლაპარაკის, ჭორაობის საგნად ქცევას. თურქულად თარგმნილია ასე: “*Bizi rezil rüsva ettiği yetmiyormuş*” (ჩვენ რომ შეგვარცხვინა, არ იკმარა) (გვ. 85). შდრ. გერმ.: “*er uns vor aller Welt schande gemacht*” (მან საქვეყნოდ შეგვარცხვინა) (გვ. 82).

მსგავსი ვითარებაა სხვა მაგალითებშიც: წინადადება “*ბიჭები კბილებს კრეჭენ და ულაცებივით ხვიხვინებენ*” (გვ. 225) თურქულად ნათარგმნია ასე: “*Erler gülüyorlardı, bembeyaz dişlerini görüyordum onların*” (ჯარისკაცები იცინოდნენ, ვხედავდი მათ ქათქათა კბილებს) (გვ. 19).

დედნისეული ფრაზა **კბილებს კრეჭენ** თურქულში ჩვეულებრივი სიტყვებით არის გადათარგმნილი შინაარსობრივად არცთუ მთლად ადეკვატურად. გერმანული თარგმანი თურქულთან შედარებით უფრო ახლოს დგას დედანთან: “*die jungen Burschen lachten schallend, und ich sah ihre Zähne blitzen*” (ახალგაზრდა ბიჭები რიხიანად იცინოდნენ და მე ვხედავდი, როგორ კაშკაშებდა მათი კბილები) (გვ. 17);

საინტერესოა მომდევნო წინადადება: “\_ *მოვა ზამთარი და გამოხვალ შენც ნადირივით ტყიდან, სული ამოგხდება შიმშილით*” (გვ. 292). ქართულში **სულის ამოხდომა** ნიშნავს სიკვდილს. გამოთქმა თურქულად ასეა გადათარგმნილი: “*Kıř gelsin de bak nasıl aç bir hayvan gibi ormanda barınamayacağını anlayacaksın*” (ზამთარი დადგეს და ნახე, გაიგებ, რომ მშიერი ცხოველივით ტყეში თავს ვერ შეინახავ) (გვ. 107). აქ აღნიშნული გამოთქმა **სულის ამოხდომა** საერთოდ არ ჩანს. ამის

საფუძველიც გერმანულ თარგმანში უნდა ვეძებოთ: *“Warte nur, es wird Winter, dann treibt der Hunger dich ebenso wie die Tiere aus dem Wald!”* (დაიცადე, მოვა ზამთარი და მაშინ შიმშილი ცხოველივით ტყიდან გამოგდევნის) (გვ. 105); დედნისეული ფრაზის **სული ამოგდება** ზუსტი შესატყვისის მოძებნა თურქულში არ არის ძნელი: **canı çıkmak** იგივეა, რაც **სულის ამოსვლა**. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ჩანს არაუშუალო თარგმანის ცუდი შედეგი;

ასევე: *“სანამ დავიარები ამ ქვეყანაზე, შენს სახლს არ წავაქცევ”* (გვ. 300). თურქულად: *“ben sağ oldukça bakımsız kalmaz senin yuvan”* (სანამ ცოცხალი ვიქნები, შენი ბუდე მოუვლელი არ დარჩება) (გვ. 117). დედნისეული ფრაზეოლოგიზმი **სახლის წაქცევა** დაკარგულია თურქულში, თუმცა შინაარსი გადმოცემულია. თითქმის ადეკვატური თარგმანია გერმანული: *“Solange ich lebe, werde ich es nicht zulassen, daß dein Haus verfällt”* (სანამ მე ცოცხალი ვარ, არ დავუშვებ, რომ შენი სახლი წაიქცეს) (გვ. 114);

*“ფეხს არ ადგამდა უჩემოდ”* (გვ. 284) – ქართული გამოთქმის თურქულში შესატყვისი გამოთქმაა: **adım atmak** (ნაბიჯის გადადგმა).

თურქმა მთარგმნელმა, რომელიც გერმანული ტექსტით სარგებლობდა, ბუნებრივია, მიახლოებასა წყაროს და ასე დასცილდა დედანს: *“Birbirimizden ayrılmıyorduk”* (ერთმანეთს არ ვშორდებოდით) (გვ. 96); თურქულ თარგმანში დედნისეული აზრი გადმოცემულია, მაგრამ ფრაზეოლოგიზმის სახით არა. შდრ. გერმ.: *“immer war ich in seiner Nähe”* (მე ყოველთვის მის სიახლოვეს ვიყავი) (გვ. 95). თურქული თარგმანი ფორმალურად არის დედანს დამორებული, ხოლო ფრაზის მნიშვნელობა იგივეა.

3. ზოგჯერ თარგმანში ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა არ არის შენარჩუნებული, თარგმანი არაადეკვატურია. მაგალითად: *“მერე პირი ამარიდა და ისე მითხრა”* (გვ. 221) თურქ მთარგმნელს გადატანილი აქვს ასე: *“Dudakları arasında duyulur duyulmaz fısıldadı”* (ბაგეებს შორის გამოცრა) (გვ. 13). აქ თარგმანი განსხვავებულია გერმანულისგანაც, რომელიც შედარებით უფრო ახლოს დგას ქართულთან: *“... dann wandte er sich ab und sagte leise”* (შემდეგ შებრუნდა და თქვა ჩუმად) (გვ. 10);

A4. არის შემთხვევები, როცა მთარგმნელი არ თარგმნის ფრაზეოლოგიზმს. ამას სხვადასხვა საფუძველი აქვს: სათანადო წყაროებაში (გერმანულში) არის, მაგრამ თურქულში გამოტოვებულია ან გერმანულში არ არის და, ბუნებრივია, თურქულ თარგმანშიც არ არის. განვიხილოთ ეს შემთხვევები:

a. თურქულში გამოტოვებულია, გერმანულში არის:

“*ისე ვერაფრით ვერ ამგლეჯდა ადგილიდან*” (გვ. 218). შდრ. გერმ.: “*Daß man mich wahrscheinlich nur mitsamt dem Stuhl hätte hinausbefördern können*” (რომ მხოლოდ სკამიანად თუ გამიტანდნენ (გვ. 6); რუს.: “*...Так прочно уселся, что меня, вероятно, смогли бы вынести отсюда только вместе со стулом*” (...ისე მაგრად დავჯექი, რომ მე, ალბათ, სკამიანად თუ გამიტანდნენ აქედან) (გვ. 202);

“*დაბზარული ხმით*” (გვ. 275). შდრ. გერმ.: “*Sagte schließlich Sossime mit gepreßter Stimme*” (თქვა ბოლოს ზოსიმემ დაპრესილი ხმით) (გვ. 82).

სავარაუდოა, რომ გერმანული ტექსტის **დაპრესილი ხმა** თურქი მთარგმნელისთვის გაუგებარი აღმოჩნდა და ამიტომ თავი აარიდა ამ გამოთქმის თარგმანს;

ასევე უთარგმნელია ქართული ტექსტის ეს მონაკვეთი:

“*თქვენი ყინვა ძვალში და რბილში ატანს*” (გვ. 298). შდრ. გერმ.: “*Aber eure Kälte dringt bis auf die Knochen durch, ist eine einzige Nässe!*” (თქვენი სიცივე ძვლებში ატანს, საშინელი სინესტეა...) (გვ. 112).

ზოგჯერ მთარგმნელს მთლიანად არ გადააქვს წინადადება, გამოტოვებულია ფრაზეოლოგიზმი. ამის მიზეზი არის თვით გერმანული ტექსტის უზუსტობა: წინადადება “*ხელები ოდნავ შემითბა და უცებ სახე გამეზადრა*” (გვ. 302) თურქულ ტექსტში ასეა: “*Nemli ve soğuktan büzülmüş ellerini bacanın dumanında ısıtmaya çalıştım*” (ნესტიანი და სიცივისგან დაბუქებული ხელების გათბობაზე ვზრუნავდი) (გვ. 120). შდრ. გერმ.: “*Plötzlich nahm meine Nase einen ungewöhnlich angenehmen Duft wahr*” (უცბად ჩემმა ცხვირმა უჩვეულოდ სასიამოვნო სურნელება იგრძნო) (გვ. 117).

აროგორც ვხედავთ, აქ ფრაზა მთლიანად არ არის გამოტოვებული, მაგრამ უთარგმნელია **სახე გამეზადრა** (გამიხარდა). შდრ. რუს.: “*Руки немного согрелись.*

*Вдруг мой нос учуял нечто необычайно приятное*” (უცებ ჩემმა ცხვირმა უჩვეულოდ სასიამოვნო რამ იგრძნო) (გვ. 307)

b. არც გერმანულშია, არც – თურქულში:

“*ჰაიტ, შე ყიამყრალიო მუტრუკო, როგორ გადაუწურე წყალი ყველაფერს! – წამოხტა ქსენია ბრიგადირი*” (გვ. 238). **წყლის გადაწურვა** ნიშნავს გათავებას, ყველაფერზე უარის თქმას. ეს ფრაზა გამოტოვებულია რუსულშიც: *“Прекрати сейчас же, трусливый осел, – не выдержала Ксения”* (შეწყვიტე ახლავე, მშიშარა ვირო, – თავი ვერ შეიკავა ქსენიამ) (გვ. 226);

*“დაარღვია სიჩუმე მამიდამ, ხალხმა სული მოითქვა”* (გვ. 278). **სულის მოთქმა** ნიშნავს დასვენებას, სიღარიბიდან, გაჭირვებიდან გამოსვლას. შდრ. რუს.: *“Тромко прозвучал в тишине голос тетки”* (სიჩუმეში ხმამაღლა გაისმა მამიდას ხმა) (გვ. 275). აღნიშნული ფრაზა აქაც გამოტოვებულია;

*“წვერა ბოლოს იქნევს, პირს აბჩენს და სულს ღაფავს”* (გვ. 287). **სულის დაღაფვა** ნიშნავს სიკვდილს. შდრ. რუს.: *“Усачъ бьет хвостом, разевает рот, выпуская духъ”* (წვერა იქნევს კუდს, აღებს პირს, უშვებს სულს) (გვ. 288);

*“ცრემლები მახრჩობდა”* (გვ. 292). შდრ. რუს.: *“Меня душили слезы”* (ცრემლები მახრჩობდა) (გვ. 294).

ზოგჯერ ერთი და იგივე გამოთქმა შეიძლება შეგვხდეს თურქულ თარგმანში და შეიძლება – არა. მაგალითად: ქართულში არის: **“დათიკომ ღრმად დაარტყა ნაფაზი”** (გვ. 291). ეს ადგილი თურქულში გამოტოვებულია, თუმცა არის გერმანულში: *“Datiko drehte sich eine Zigarette”* (დათიკომ რამდენიმეჯერ გააბოლა ნაფაზი) (გვ. 104).

ზოგჯერ გამოთქმა **ნაფაზი დაარტყა** არც თურქულშია, არც გერმანულში და არც რუსულში. მაგალითად: *“ისეთი ნაფაზი დაარტყა, გული კინაღამ შემიღონდა”* (გვ. 334). სხვა შემთხვევაში თურქულ თარგმანში დასტურდება იმავე გამოთქმის შესატყვისი: *“Derin bir nefes çekti içine”* (ერთი ღრმა ნაფაზი ამოიღო) (გვ. 79).

ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” მაღალმხატვრულობას ისიც განაპირობებს, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობა (მაგალითად, გაჩუმება-დადუმება, მოსმენა, მზერა-შეხედვა...) გადმოცემულია სხვადასხვა გამოთქმებით.



თარგმანი ზოგჯერ არაადეკვატურია ფორმალურად, თუმცა შინაარსი ძირითადად შენარჩუნებულია. განვიხილავთ ღუმლის სემანტიკის გამომხატველ ფრაზათა თარგმანს. მაგალითად: “*დათიკოს ენა დაება*” (გვ. 318).

თურქულად: “*Datiko sustu, sözlerinin sonunu getiremedi*” (დათიკო გაჩუმდა, სიტყვები ბოლომდე ვერ თქვა) (გვ. 141);

მომდევნო ფრაზა თურქულ ენაზე გადათარგმნილია შინაარსობრივად, მისი ფრაზეოლოგიური ფორმა კი იკარგება. ამის მიზეზია გერმანული თარგმანი: “*Datiko stockte; er sprach den Satz nicht zu Ende*” (დათიკო გაჩუმდა, მან წინადადება ბოლომდე არ დაამთავრა) (გვ. 138). შდრ. რუს.: “*Датико занулся, не смог высказать то, что хотел*” (დათიკო გაჩუმდა, არ შეეძლო ეთქვა, რაც უნდოდა) (გვ. 328);

“*წისქვილში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა*” (გვ. 319).

თურქულად: “*Kanatlara coşkun bir şakırtıyla inen suyun sesi kesiliverdi birden. Değirmenin kocaman taşları gıcırdayarak durdu*” (დოლაბის ფრთებზე მოჩხრიალე წყლის ხმა უცბად შეწყდა. წისქვილის ვეებერთელა ქვები ჭრიალით შეჩერდა) (გვ. 142). შდრ. გერმ.: “*Dumpfe Stille erfaßte die Mühle*” (ღრმა სიჩუმემ მოიცვა წისქვილი) (გვ. 139); რუს.: “*И глухая тишина обьяла мельницу*” (სიჩუმემ მოიცვა წისქვილი) (გვ. 329);

“*დარბაზს სუნთქვა შეეკრა*” (გვ. 280).

თურქულად: “*Kimse oynamıyordu yerinden, çit yoktu*” (არავინ არ ინძრეოდა, ადგილიდან, ჩქამიც არ იყო) (გვ. 91). შდრ. გერმ.: “*Nichts regte sich in der Klasse*” (კლასში არაფერი იძვროდა) (გვ. 90). დედნისეული გამოთქმის ფრაზეოლოგიური ფორმა დარღვეულია გერმანულსა და თურქულ თარგმანებში. შინაარსობრივად ორივე თარგმანი დაცულია, მაგრამ გერმანულში იკარგება დედნისეული ელფერი და ძალიან ჩვეულებრივ სახეს იღებს, ხოლო თურქულში უკეთესი სიტუაციაა: **çit yoktu** (ჩქამიც არ იყო). შდრ. რუს.: “*Зал замер*” (დარბაზი გაირინდა) (გვ. 279);

საბედნიეროდ, სხვა ფრაზეოლოგიზმები თურქულში გადათარგმნილია ფრაზეოლოგიური ფორმებით: მაგალითად, ქართული ფრაზა: “*მე და ხატიას სუნთქვა შეგვეკრა*” (გვ. 217) თურქულად ასე ჟღერს: “*Matya'yla ikimiz donup*

*kalmıştık*” (მე და ხატია გავიყინეთ) (გვ. 81). შდრ. გერმ.: *“Chatia und ich erstarren*” (მე და ხატია გავშეშდი) (გვ. 78). აქ მეორდება წინა ფრაზა, რომლის გერმანული (გავოგნდი) და თურქული (გავიყინეთ) თარგმანები შედარებით უკეთ არის გადმოცემული და დაცულია შინაარსობრივი და ფრაზეოლოგიური ერთიანობა;

*“ენას მოუკელი, ბიჭო შენ თორემ ჩაგამხობ ამ ჭაში თავით”* (გვ. 344).

თურქულად: *“Kapat çeneni yoksa başaşağı kuyuya sarkıtırım görürsün“* (მოკეტე ნიკაპი, თორემ ჭაში ჩაგაგდებ თავით ) (გვ. 175). შდრ. გერმ.: *“Hüte deine Zunge, Freundchen, oder ich stecke dich mit dem Kopf in den Brunnen!”* (შენს ენას მოუარე, თორემ თავით ჭაში ჩაგაყუდებ) (გვ. 170). შინაარსობრივად ადეკვატურია თურქული თარგმანი (მოკეტე ნიკაპი), თანაც აღნიშნული ფრაზა თურქეთში ძალიან გავრცელებულია.

ზოგჯერ თარგმანში სრულიად საპირისპირო აზრია გადმოცემული: *“ძაღლის ყოველ დაყეფებაზე წამოხტებოდა (მამიდა) და სულს განაზავდა”* (გვ. 233).

თურქულად: *“Köpek bir iki havlasa kısa kısa, hemen heyecanlanıyor, ortalığı kolaçan ediyordu”* (ძაღლი ერთ-ორს რომ დაიყეფებდა, მაშინვე ნერვიულობდა, იქაურობას დიდი ყურადღებით უთვალთვალეზდა) (გვ. 28). შდრ. გერმ.: *“Nachts brauchte nur der Hund kurz anzuschlagen oder eine Diele zu knarren, dann sprang sie schon aus dem bett und lauschte erregt”* (ღამით ძაღლი მოკლედ რომ დაიყეფებდა, წამოხტებოდა ის საწოლიდან და აყურადებდა აღელვებული) (გვ. 26);

რუს.: *“Стоило заворчать собаке или заскрипеть половице, она вскакивала с постели и настороженно прислушивалас”* (დაიყეფებდა თუ არა ძაღლი, იგი წამოხტებოდა და ფრთხილად მიაყურადებდა) (გვ. 220).

ზოგჯერ თარგმანში ფრაზა საერთოდ არის გამოტოვებული, თუმცა გერმანულში თარგმნილია. მაგალითად: *“კოწიას ხმა ჩაუწყდა”* (გვ. 280). შდრ. გერმ.: *“Kotias Stimme hebt”* (კოსტიას ხმა უკანკალებდა) (გვ. 90).

საინტერესოა აგრეთვე მოსმენის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების თარგმანი:

1. ფორმა განსხვავებული, შინაარსი მსგავსი:

“*ყური დამიგდე*” (გვ. 293).

თურქულად: “*Kulaklarını aç dinle sözlerimi*“ (ყურები გახსენი და მოისმინე ჩემი სიტყვები) (გვ. 107). შდრ. გერმ.: “*Hör zu...*” (მომისმინე) (გვ. 105). აქ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა პირდაპირ არის გადათარგმნილი. თურქული თარგმანი უფრო ახლოს დგას დედანთან, ვიდრე – გერმანული. შდრ. რუს.: “*Слушай меня*” (მომისმინე) (გვ. 294);

“*სმენად ვიქეცი*” (231).

თურქულად: “*Kulağımı dayadım kapıya*” (ყური კედელზე მივადე) (გვ. 26). შდრ. გერმ.: “*legte neugierig das Ohr an die Tür*” (ცნობისმოყვარედ მივადე ყური კარს) (გვ. 24). გერმანული თარგმანი უფრო ახლოს დგას დედანთან, ვიდრე – თურქული, და ფორმალურადაც ადეკვატურია.

2. ფორმაც განსხვავებულია და შინაარსიც:

“*დაფლეთილ რადიოს უგდებდა ყურს*” (გვ. 221).

თურქულად: “*Dikmişlerdi bakışlarını*” (თვალებშიშტერებული უყურებდნენ რადიოს) (გვ. 13). შდრ. გერმ.: “*Alle... blickten zu dem Lautsprecher hinauf*” (ყველა უყურებდა მაღლა დაკიდებულ რადიოს) (გვ. 10);

რუს.: “*Смотрели на столб, где висел старий, потрепанный репродуктор*” (უყურებდნენ ბოძს, რომელზეც ეკიდა ძველი, დაშლილი რეპროდუქტორი) (გვ. 206).

არის შემთხვევა, როცა დედნისეული ფრაზა თურქულ თარგმანში გამოტოვებულია, გერმანულში კი არის. მაგალითად: “*ჩვენ სულგანაბული ვუგდებდით ყურს*” (259). შდრ. გერმ.: “*Mit angehaltenem Atem warteten wir, ob er noch mehr sagen würde*” (სუნთქვაშეკრული ვიცდიდით, იტყოდა თუ არა ის კიდევ რამეს) (გვ. 61).

ზოგჯერ ქართული წინადადება არც გერმანულშია გადათარგმნილი და, შესაბამისად, არც თურქულში: “*მერე აღარ ვუგდებ ყურს*” (გვ. 299). შდრ. რუს.: “*Я не слушаю его больше*” (მე მას მეტად აღარ ვუსმენ) (გვ. 304).

ანალოგიური ვითარებაა მზერა-შეხედვის სემანტიკის გამომხატველი ფრაზების თარგმნასთან დაკავშირებითაც:

1. შინაარსი მსგავსია, ფორმა \_ განსხვავებული:

“**იგი თვალს არ მაცილებდა**” (გვ. 224).

თურქულად: *“Başını kaldırıp baktı, büyük bir ilgi vardı bakışlarında”* (თავი ასწია და შემომხედა, დიდი ინტერესით მიყურებდა) (გვ. 16). შდრ. გერმ.: *“Unverwandt blickte sie mich an”* (განუწყვეტლივ მიყურებდა ის მე) (გვ. 14);

რუს.: *“Она не отрывала от меня глаз”* (ის თვალს არ მაშორებდა) (გვ. 209).

“**დარბაზს ჩააშტერდა**” (გვ. 279).

თურქულად: *“Yüzü kalabalığa dönük”* (ხალხმრავლობისკენ არის მიმართული) (გვ. 89). შდრ. გერმ.: *“Er.. richtete den Blick seiner nicht ganz klaren Augen auf die Menschen in der Klasse”* (მან თავისი არცთუ სუფთა თვალების მზერა მიაპყრო კლასში მყოფ ხალხს) (გვ. 88);

რუს.: *“Обратил на зал свои не очень-то ясные очи”* (დარბაზს მიაპყრო თავისი არც ისე ნათელი თვალები) (გვ. 277);

“**მერე ვამჩნევ, რომ მამიდაც უცქერის ანატოლის ქურდულად, ჩემგან დაფარვით. ანატოლი ქერაა, გამხდარი და ლამაზი**” (გვ. 299).

თურქულად: *“Birden halamın da bu ince, uzun, sarışın adamı kolladığını farkettim”* (მერე უცბად შევამჩნიე, რომ მამიდაჩემიც უცქერდა გამხდარ, მაღალ, ქერა კაცს) (გვ. 115). შდრ. გერმ.: *“Mir fiel auf, daß Anatoli meine Tante ansah, unverwandt”* (მე შევამჩნიე, რომ ანატოლი თვალმოუშორებლად უყურებდა მამიდაჩემს) (გვ. 113); რუს.: *“Я замечаю, что Анатолий смотрит на тетку”* (მე ვამჩნევ, რომ ანატოლი უყურებს მამიდას) (გვ. 303);

“**თვალს არ გვაცილებდა**” (გვ. 302).

თურქულად: *“Üzgün üzgün bakıyordun bize”* (შეწუხებული სახით გვიყურებდა) (გვ. 120). შდრ. გერმ.: *“sah uns mit traurigen Augen an”* (გვიყურებდა ჩვენ ნაღვლიანი თვალებით) (გვ. 117);

რუს.: *“Глядит на нас печальными черными глазами”* (გვიყურებს სევდიანი შავი თვალებით) (გვ. 307).

2. ფორმაც განსხვავებულია, შინაარსიც:

“**თქვა გერასიმე ბიძიამ და ხალხს თვალი მოავლო**” (გვ. 274).

თურქულად: *“Gerasime amca kafasını salladı iki yana”* (თავი ორივე მხარეს მოატრიალა) (გვ. 84). შდრ. გერმ.: *“Onkel Gerassim schüttelte zweifelnd den Kopf”* (ბიძია გერასიმემ სკეპტიკურად გაააქნია თავი) (გვ. 81);

რუს.: *“С сомнением покачал головой дядя Герасимэ”* (დაეჭვებულმა ბიძია გერასიმემ გადააქნია თავი) (გვ. 271);

*“თვალს არ აშორებდნენ დათიკოს”* (გვ. 316).

თურქულად: *“Kimse onun suratına bakmıyordu başını kaldırıp”* (არავინ თავაწეული არ უყურებდა მას) (გვ. 138). შდრ. გერმ.: *“Ohne ihn aus den Augen zu lassen”* (ისე რომ თვალს არ აშორებდნენ მას) (გვ. 136);

თურქულ თარგმანში გამოტოვებულია დედნისეული წინადადება: *“გაკვირვებული მივაშტერდი”* (გვ. 274), გერმანულში კი არის: *“Am erstauntesten – ich”* (ყველაზე გაკვირვებული კი მე) (გვ. 81).

ნ. დუმბაძე ახერხებს ჩვეულებრივი სიტყვისა თუ წინადადების მხატვრულად გაფორმებას, შელამაზებას. მაგალითად, თუ შევაჯამებდით ზემოთ მოცემულ გამოთქმებს, მოვუსმინეს მაგივრად ამბობს – მივუგდე ყური, ვუყურებ ზმნის მაგივრად – მივაშტერდი, გაჩუმდა-ს მაგივრად – სუნთქვა შეეკრა და ა.შ. მწერალი როგორც სხვა მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით, ასევე ხატოვან სიტყვათა, კერძოდ, ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით, გაცილებით ღირშესანიშნავს ხდის თავის რომანს. ამით მას საკუთარი წვლილი შეაქვს ქართული მწერლობის განვითარებაში.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიზმების თარგმანს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფრაზეოლოგიზმების თარგმნა შესაძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, ადეკვატური თარგმანი იშვიათია. ხშირ შემთხვევაში თარგმნისას ფრაზეოლოგიზმი დარღვეულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შინაარსის შენარჩუნება შეუძლებელია. ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ აბსოლუტურად იდენტური გამოთქმის შენარჩუნება არც ისე იოლია.

**2.2.2. დიალექტიზმები.** მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება, ამასთან, ფართოდ იყენებს საერთო-სახალხო ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა ელემენტებს. ისინი მხატვრულ ტექსტში დამოუკიდებლად კი არ ცოცხლობენ, არამედ სრულიად ახალ მიმართულებათა სისტემაში განაგრძობენ სიცოცხლეს, ექვემდებარებიან მხატვრულ სტილს, როგორც დაბალი მაღალს და იქცევიან გამომსახველობით საშუალებად.

M”მხატვრული ნაწარმოების ენა შეიძლება დაესესხოს საერთო-სახალხო ენის ისეთ შრეებსა და ელემენტებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენის მიღმა დგანან (ეს არის დიალექტი, ჟარგონი, არგო...), აიყვანოს ეს ენობრივი საშუალებები ესთეტიკურ ხარისხში და ერთსა და იმავე დროს შეასრულოს კომუნიკაციური, შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია. ამიტომ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ მხატვრული ლიტერატურის სტილზე, არა როგორც სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკურ ნარევეზე, არამედ როგორც დამოუკიდებელ, თვისობრივად განუმეორებელ კატეგორიაზე” (ფანჯიკიძე 1980: 16).

სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს დიალექტი. ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის კუთვნილი სიტყვების ხმარებას სალიტერატურო ენით დაწერილ თხზულებაში დიალექტიზმი ეწოდება. იგი გაჩენილია სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასთან ერთად და მას შემდეგ თავს იჩენს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ წერილობითს ძეგლებში.

ქართულ მხატვრულ მწერლობაში დიალექტიზმებმა განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰპოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სსაქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოსულ მწერალთა ლიტერატურულ თხზულებებში გზა გაიკაფა ქართლიზმებმა, ფშავიზმებმა, იმერიზმებმა, გურიიზმებმა... პროზაულსა და დრამატულ თხზულებებში წესად შემოიღეს პერსონაჟთა მეტყველება საკუთარ დიალექტებზე. დიალოგები და მონოლოგები კილოური და ჟარგონული ლექსიკური მასალით დაიტვირთა.

დიალექტიზმების საკითხი მწერლობაში დღემდე სადისკუსიო პრობლემად რჩება. აქ უნდა გაიმიჯნოს მწერლის ენა და პერსონაჟის მეტყველება. “დიალექტიზმები საერთოდ უარსაყოფი არ არის, პირიქით, დიალექტური ლექსიკა

სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების ამოუწყავი სალაროა, მაგრამ მისი ხმარების დროს მწერალმა დიდი ზომიერება უნდა გამოიჩინოს” (ღლონტი 1984: 92).

რაც შეეხება დიალექტიზმების თარგმნას, ენის სხვადასხვა ფორმების გამოყენების თვალსაზრისით თარგმანსა და ორიგინალურ მწერლობას შორის არის ერთი პრინციპული სხვაობა. კერძოდ, თუ მწერლობას შეუძლია გამოიყენოს დიალექტიზმები და ღრმა ეროვნულობით შეფერილი სხვა ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თარგმანი მოკლებულია ამ შესაძლებლობას. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით დ. ფანჯიკიძის მოსაზრება: “თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენის საშუალებებით აგებულ ფორმას შორის დაძაბულობის ძირითად მატარებლად ნაციონალური სპეციფიკა გვევლინება... დიალექტის, როგორც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელი მხატვრული ხერხის, გამოყენების სფერო თარგმანის ენაში უქველად მკაცრად შეზღუდული აღმოჩნდება” (ფანჯიკიძე 1980: 20).

თუ თარგმანში მთლიანად მოიხსნება დიალექტიზმის უცხო ენაზე გადატანის საკითხი, მაშინ გაჩნდება მეორე პრობლემა – დაირღვევა პერსონაჟის ენობრივი პორტრეტი. აქ, დ. ფანჯიკიძის აზრით, შეიძლება მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდეს: “დიალექტით გამოწვეული სტილისტური ეფექტი უნდა აღსდგეს იმ ზოგადი დიალექტური ნიშნების ზომიერი გამოყენებით, რომლებიც დიალექტზე მიგვანიშნებენ, მაგრამ ფაქტიურად არც ერთი ქართული კუთხის ასოციაციებს არ იწვევენ” (იქვე).

მთარგმნელი იძულებულია, თითქმის მთლიანად უარი თქვას ენის ისეთ ლექსიკურ და სინტაქსურ ფორმებზე, რომლებიც დედნისეული ენის ჩარჩოშია ჩაკეტილი. თარგმანს მხოლოდ ენის ლიტერატურულ ფორმებზე შეუძლია ორიენტაციის აღება. ეს თავისებურ დაღად ემჩნევა თარგმანის ენას, მთარგმნელის მუშაობას. ასეთ ვითარებაში, მთარგმნელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული ენის ნასვენ, გაუცვეთავ ფორმებს, რომლებიც თარგმანში ავტორის ენობრივი სილადისა და მრავალფეროვნების კომპენსაციის უმთავრესი საშუალებაა. “მართალია, თარგმანი ზოგჯერ იყენებს დიალექტიზმებს, ხალხურ

ფრთიან სიტყვა-თქმებს, ეთნოგრაფიზმებსაც კი, მაგრამ მხოლოდ მაქსიმალურად ნეიტრალურ სიტუაციაში, ისეთ კონტექსტებში, სადაც მათი ეროვნული ხმიანება ნაკლებ რადიაციას ახდენს მთელ ტექსტზე” (იაშვილი 1990: 73).

ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” საინტერესოა ადიალექტიზმების თარგმანის თვალსაზრისითაც.

ნნ. დუმბაძე, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – გურიის შვილი, თავის შემოქმედებაში, კერძოდ, პერსონაჟთა მეტყველებაში, უხვად იყენებს გურული კილოსთვის დამახასიათებელ გამოთქმებს.

“გურიას სამხრეთით ესაზღვრება აჭარა და ნაწილობრივ – სამცხე (მესხეთი), ჩრდილოეთით – სამეგრელო და იმერეთი, აღმოსავლეთით – იმერეთი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. გურული კილო შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული. მიუხედავად ამისა, ენობრივი თვალსაზრისით იგი საკმაოდ მრავალფეროვანია” (ჯორბენაძე 1989: 515), რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კონტაქტი სხვა კილოებთან (აღმოსავლეთით – ქვემოიმერულთან, დასავლეთით – აჭარულთან), მეორე მხრივ, თითქმის სრული იზოლაცია სხვა კილო-თქმათაგან.

ნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” არის გურული კილოსთვის დამახასიათებელი გამოთქმები: **დაბოლათება**: “*ფერისცვალების შემდეგ, სუფსაში რომ სიცივე ჩავარდება, წვერამ, ტობმა და ქაშაყმა დაბოლათება იცის*” (გვ. 286).

**ბოლათი** (თევზაობა) – 1. თევზის შესადრომი ღრუ მდინარესა ან ტბაში. 2. ქვაში ან ხის ძირში ერთად თავმოყრილი თევზის გროვა (დლონტი 1974: 80).

აღნიშნული წინადადების თურქული თარგმანი ასეთია: “*Supsa vadisini soğuklar bastırıp ağaçlar yaprağını dökmeye başlayınca balıklar da uykularına çekilirler*” (სუფსაში სიცივე რომ დაარტყამს და ფოთოლცვენა დაიწყება, თევზებიც თავიანთ ადგილს უბრუნდებიან დასაძინებლად) (გვ. 99).

გურული გამოთქმები, თუ ერთ-ორ გამონაკლისს არ გავითვალისწინებთ, თურქულ ენაზე გადათარგმნილია სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი სიტყვებით. არის ისეთი ფორმებიც, რომელთა შესატყვისების მოძებნა შეუძლებოდა თურქულში, მაგრამ **ბოლათის** კუთხური შესატყვისი ნამდვილად არ



არის თურქულში და არც თევზის სინონიმია დაფიქსირებული. მაშასადამე, სიტყვა **ბოლათი** კარგი მაგალითია გურული კილოს დამახასიათებელი გამოთქმების საჩვენებლად. იგი დედანში სათაურადაც კი არის გამოყენებული;

ქართულ ტექსტში არის სიტყვა **ფაცერი**: “*რამდენი ფაცერი დგას ახლა*” (გვ. 385).

**ფაცარი** (გურ.) – ფაცერი, წნელით დაწნული ძარი თევზის დასაჭერად, დგამენ წყალში (დლონტი 1984: 538).

თურქულ ტექსტში ეს სიტყვაც სალიტერატურო შესატყვისით არის თარგმნილი: “*Ne yani ağımızı biraz yukarı çekin dedikse yer yerinden oynamadı ya!*” (მერე რა, რომ გითხარით, ბადე ცოტა ზევით წაიღეთ და ქვეყანა ხომ არ დაიქცა!) (გვ. 215).

გერმანულ ტექსტში სიტყვა **ფაცერი** გადათარგმნილია, როგორც **ბადე**: “*Aber die Netze*” (გვ. 213);

გურულისთვის დამახასიათებელი გამოთქმაა **ყაძახი** – გლეხი; მამაკაცი; ქმარი (გ. შარაშ.; ე. ნინ.; თ. კიკვ.; ა. ლ.): “*ქსენია, წამოდი და წამოიძღვანე შენი დაფეხვილი ყაძახი...*” (გვ. 267).

თურქულად: “*İksenya, haydi davran, kocanı da getirmeyi unutma*“ (ქსენია მიდი, გაინძერი, ქმრის მოყვანაც არ დაგავიწყდეს) (გვ. 75). შდრ.გერმ.: “*Xenia, beeil dich und bring deinen Mann mit!*” (ქსენია, იჩქარე და შენი ქმარიც თან წამოიყვანე) (გვ. 72).

გმართალია, გერმანულსა და თურქულში შინაარსი კარგად არის გადმოცემული, მაგრამ დედნისეული იუმორი, შეიძლება ითქვას, დაჩრდილულია.

სხვა შემთხვევაშიც გერმანულსა და თურქულ თარგმანებში დედნისეული შინაარსი გადარიბებულია. მაგალითად, გურულისთვის დამახასიათებელი გამოთქმებია: **ციცე/ციცა-ი** (გურ., აჭარ.) – ქალიშვილი, ქალი, გოგონა (ე. ნინ., თ. კიკვ., ს. ჟდ.; ა. ლ.); **ყაზილარი**: – ახალგაზრდა, ცეტი ბიჭი (ს. ჟდ.): “*მე, შენ, აგი ბესარიონის უსინათლო ციცე, იგი ყაზილარი და იგი ქალები*” (გვ. 236).

თურქულად: “*Besariyon'un kör kızı bütün bu çocuklar bütün bu kadınlar*” (ბესარიონის ბრმა გოგო, მთელი ეს ბავშვები და ყველა ეს ქალი) (გვ. 33). შდრ. გერმ.: “*Ich, du, Bessarions blindes Töchterchen, dieser Junge und diese Frauen*” (მე, შენ,

ბესარიონის ბრმა პატარა გოგო, ეს ბიჭი და ეს ქალები) (გვ. 32). მართალია, ბესარიონის ქალიშვილი ხატია ბრმაა, მაგრამ დედნის ავტორი მას არასდროს არ უწოდებს **ბრმას**, ამის ნაცვლად იყენებს სიტყვა **უსინათლოს**. **ბრმა** უხეში გამოთქმაა და ეს ამ ნაზ, გულიან პერსონაჟს არ უხდება. მზუნებრივია, ამგვარი თარგმანი მკითხველზეც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამ პერსონაჟის მიმართ ნ. დუმბაძის განსაკუთრებული დამოკიდებულება რომანის არც ერთ ეპიზოდში არ იცვლება. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის გერმანულსა და თურქულ თარგმანებში.

ნ. დუმბაძე თავის რომანში იყენებს გურულში გავრცელებულ სიტყვა **კალანდას**, რომელიც ლათინური წარმოშობისაა (**Calandae**) და DAქცეულია დიალექტიზმად: *“ქეთოს უთხარი, ან ეს რუსი გააგდოს სახლიდან ან ღორივით დავუკლავ საკალანდოდ”* (გვ. 292).

**კალანდა** (გურ.) – ახალი წელი (ე. ნინ., თ. კიკვ., ს. ჟღ., ა. ლლ.).

გურული სიტყვა **კალანდა** გერმანულად გადათარგმნილია, როგორც “ახალი წელი”. გერმანულ ტექსტში დედნის შინაარსი შენარჩუნებულია, თურქულში კი საერთოდ არ არის ნახსენები არც “ახალი წელი”, არც **კალანდა**, თუმცა სიტყვა **კალანდა** თურქული სამყაროსთვის სულაც არ არის უცხო. ძველებური კალენდარი **Rumi Takvimi** (გრიგორიანული კალენდარი) მიღებულია 1840 წელს (დასაწყისი მუჰამედის მექადან მედინაში გადასვლის თარიღი – 622წ.). ეს კალენდარი იხმარებოდა 1925 წლამდე. მძერე შემოღებულ იქნა ევროპული **miladi takvim** (დასაწყისი ქრისტეს დაბადებიდან). გრიგორიანული კალენდრის ხმარების დროს ხალხში გავრცელებული იყო თვეების სახელები: იანვარი (kalandar/galandar), თებერვალი (Küçük ayı – პატარა თვე), მარტი (Mart), აპრილი (April/Abril), მაისი (Mayıs ayı), ივნისი (Kiraz ayı/Kirez ayı – ბლის თვე), ივლისი (Orak ayı – ნამგლის თვე), აგვისტო (Ağustos), სექტემბერი (İstavrit ayı – ერთ-ერთი თევზის, სტავრიდას, თვე), ოქტომბერი (Koç ayı – ვერძის თვე), ნოემბერი (Üzüm ayı – ყურძნის თვე), დეკემბერი (Histiyandar), თუმცა შავი ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებში დღესაც არის შემორჩენილი ძველებური კალენდარი, რომელსაც უფრო მეტად ხანდაზმული ხალხი იყენებს (<http://Sozluk.sourtimes.org/show.asp?+=rumi+takvim>). როგორც აქედან ჩანს, წლის

დასაწყისი იანვრის თვე იყო **kalandar/galandar**. დღეს არა მარტო ამ სიტყვას, ასევე სხვა თვეების სახელებსაც იხსენიებენ ძველებური სახით;

დიალექტიზმია **ღინღლი**, რაც იმერულსა და აგურულში ნიშნავს ბუმბულს (ვ. ბერ.): “წვერი კი არა, **ღინღლია**, – ვუთხარი და ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა” (გვ. 321).

თურქულად თარგმნილია ასე: “*Daha neler, sen buna sakal mı diyorsun? bunlar incecik tüyler daha*” *diyordum, oysa alev fışkırıyordu yanaklarımdan*” (რას ამბობ! შენ ამას წვერს ეძახი? ესენი ჯერ თხელი ბეწვებია, – ასე ვეუბნებოდი, თუმცა ლოყებზე ცეცხლი მასხამდა) (გვ. 146).

ნ. დუმბაძის რომანის პერსონაჟს სოსოიას ამით იმის ახსნა უნდოდა, რომ ის ჯერ არ იყო დავაჟკაცებული. ის ხატიას სიყვარულისა და ინტერესის გამო გამოხატავდა მორიდებას, მაგრამ ნამდვილად მთლად ბავშვი რომ არ იყო, იმიტომაც წაეკიდა ლოყაზე ცეცხლი (შერცხვა). დედნისეული ეს ეპიზოდი კარგად და ადეკვატურად არის გადმოცემული თურქულ თარგმანშიც.

ანალოგიურად არის გადათარგმნილი სხვა დიალექტიზმები გერმანულსა და თურქულ ენებზე. მაგალითად, ქართულ ტექსტში ნახსენებია **შუკა**: “*მე და ხატია გადავედით ეზოდან და შუკას გავუყევით*” (გვ. 263).

**შუკა** (გურ., იმერ., ლეჩხ.) – სასოფლო გზა, ორღობე (ა. ლლ., მ. ალაგ.).

თურქულ თარგმანში ეს სიტყვა ჩვეულებრივი გაგებით არის ნახსენები, გადათარგმნილია, როგორც გზა: “*Hatia'yla birlikte indik avluya, oradan da yola*” (ხატიასთან ერთად ჩავედით ეზოში, იქიდან კი – გზაში) (გვ. 69). გმდრ. გერმ.: “*Chatia und ich gingen in den Hof und traten auf die Straße*” (ხატია და მე ეზოში ჩავედით და ქუჩაში გავედით) (გვ. 66). დღეს ეს სიტყვა უკვე საერთო სალიტერატუროა;

დიალექტიზმია **ბაღანა/ე** (იმერ., გურ., აჭარ., ფშ.) – ბავშვი, ბალდი, უწლოვანი (ვ. ბერ.; ა. ლლ.): “*მათხოვე, მაკა, შენი ბაღანე*” (გვ. 251).

დედანში სიტყვა **ბაღანე** ხშირად არის ნახსენები. ალ. ლლონტის ლექსიკონის მიხედვითაც აღნიშნული სიტყვა ეკუთვნის იმერულ, გურულ და აჭარულ დიალექტებს.

თურქულად: “*Çocuğunuzla biraz oynayayım mı?*“ (შეიძლება შენს პატარასთან ერთად ცოტა ვითამაშოთ?) (გვ. 53). შდრ. გერმ.: “*Darf ich mit deinem Kleinen spielen?*” (შეიძლება შენს პატარასთან ვითამაშო?) (გვ. 51);

ხშირ შემთხვევაში გერმანულსა და თურქულში აზრი ადეკვატურად არის გადმოცემული, მაგრამ დიალექტიზმების სიზუსტე არ არის დაცული ანდა თურქულში საერთოდ არის გამოტოვებული. მაგალითად, დედანში არის სიტყვა **მინდი** (ქართლ.) – დაფქვის საფასური მარცვლის სახით (დიალექტ., 639; ღლონტი 1984: 364): “*რამდენი მინდი აულია ბეგლარას*” (გვ. 309).

თურქულ ტექსტში **მინდი** გამოტოვებულია. შდრ. გერმ.: “*Über Beglar und seine Mühle waren so viel Redensarten und Schnurren im Umlauf, wie er in seinem Leben Minda\* eingenommen hat*” (ბეგლარსა და მის წისქვილზე იმდენი ხუმრობა და თქმულება არის, რამდენი მინდიც მას თავის სიცოცხლეში აულია) (გვ. 126). გერმანულ თარგმანში პირდაპირ არის დაწერილი **mind** და დართული აქვს ახსნა-განმარტება: “შრომის საფასური ხორბლის ფორმით”. საინტერესოა, რუსული თარგმანი: “*О Бегларе и его мельнице ходит столько же поговорок и присказок, сколько минди – платы зерном за помол – взял он за свою жизнь*” (ბეგლარზე და მის წისქვილზე იმდენი ანდაზა და თქმულება დადის, რამდენი მინდიც აულია მას თავის სიცოცხლეში) (გვ. 316). თურქული სოფლების წისქვილში ამ სიტყვასთან დაკავშირებით არსებობს სპეციალური ტერმინი **hak**, რაც ნიშნავს განკუთვნილს, უფლებას, წილს... ძველად თურქულ სოფლებში მეწისქვილე საფქვავის პატრონს ართმევდა მინდის სახით გარკვეული რაოდენობის ფქვილს. დღეს მინდის მაგივრად უფრო ფულს იხდიან. აადრე გლეხს ფულის პრობლემა უფრო ჰქონდა, ვიდრე დღეს. **მინდი** სხვა სიტყვებთან შედარებით ნაკლებად ნაცნობი სიტყვაა;

დიალექტიზმია **D კოთხო** (გურ., ზ. აჭარ.) – საოჯახო ჭურჭელი ხისა, გაკეთებული ხელით (შ. ნიჟარ.): “\_ *გადაირბინე, ბიჭო, მინასთან და თხოვე ამ ორშაბათამდე კიდევ გვასესხოს ერთი კოთხო ფქვილი, – მთხოვა მამიდამ*” (გვ. 372).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანულად ეს ფრაზა გადათარგმნილია: *“Junge, lauf zu Mina und bitte sie bis Montag um ein Maß Mehl! – sagte Tante Keto”* (ბიჭო, გაიქეცი მინასთან და ორშაბათამდე ერთი საწყაო ფქვილი სთხოვე) (გვ. 197). თურქულად არ არის მოცემული ადეკვატური თარგმანი: *“Koş Minaya un iste”* (გაიქეცი, მინას ფქვილი სთხოვე) (გვ. 202). თურქულ ტექსტში კოთხო გამოტოვებულია, თუმცა დედნისეული აზრი მაინც არ იკარგება და, ვფიქრობთ, მთარგმნელი კმაყოფილდება აზრის გადმოცემით;

დიალექტიზმია **ჯანჯუხა** (გურ.) – ჩურჩხელა (ს. ჟღ.): *“როგორ ჩამიდო კალთაში ორი ჯანჯუხა”* (გვ. 306).

თურქულ ტექსტში სიტყვა **ჯანჯუხა** საერთოდ არის გამოტოვებული, გერმანულში კი გადათარგმნილია სალიტერატურო ქართულით: *“Aus dem Nebenzimmer herauskam, sich zu mir setzte und mir zwei Tschurtschchelas\* auf die Knie legt”* (მეზობელი ოთახიდან გამოვიდა, გვერდით მომიჯდა და მუხლებზე ორი ჩურჩხელა დამიდო) (გვ. 122). ამასთანავე, გერმანული ტექსტის მთარგმნელს სქოლიოში განმარტებული აქვს **ჩურჩხელა**: *“Tschurtschchelas“ – orientalische Süßigkeit* (აღმოსავლური ტკბილეულობა).

საყურადღებოა, რომ თურქ მთარგმნელს ხშირად გამოტოვებული აქვს ის სიტყვები, რომლებიც გერმანული ტექსტის სქოლიოში არის განმარტებული. ეს სიტყვები უმეტეს შემთხვევაში ქართული ეროვნული ხასიათისაა. ასეთია ზემოთ აღნიშნული **მინდიც**.

საინტერესოა ნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” არსებული **ზმნური დიალექტიზმების** თურქული თარგმანი. განმარტების სიზუსტის თვალსაზრისით წარმოვადგენთ მასდარულ ფორმებსაც:

**მმოჯაყვა** (გურ.) – საქვეყნოდ სირცხვილის ჭამა, თავის შერცხვენა (ლლონტი 1984: 389): *“დათიკო... ის არ ეყო, რომ მოგვჯაყვა”* (გვ. 275).

თურქულად: *“Bizi rezil rüsva ettiği yetmiyormuş gibi yeni dertler açıyor başımıza”* (ჩვენ რომ შეგვარცხვინა, ეს არ ეყოფოდა, რომ კიდევ ახალ დარდებს გვიმატებს) (გვ. 85). შდრ.გერმ.: *“Ihm genügt es noch nicht, daß er uns vor aller Welt Schande*

*gemacht, uns entehrt hat*” (არ ეყოფოდა, რომ მთელს ქვეყანაზე შეგვარცხვინა და პატივი აგვხადა) (გვ. 82);

**მოჯაყვა** თურქულად გადათარგმნილია სალიტერატურო თურქულ ზეპირ მეტყველებაში ხშირად გამოყენებული გამოთქმით – **rezil rüsva etmek** (შერცხვა);

**ამოპწკვნა** = ამოგლეჯა. შდრ.: **პწკ(ვ)ნა-ი** (გურ.) – ქავილია ერთგვარი. “*უუტყდა პწკნაი თელ ტანში და თლა იგლეჯს ყორიფელს*” (გ. შარაშ.); “*კაპუეტივით კი არა, ენას ამოგპწკვნი, ლუკაია ფოცხიშვილო, – გაიქაჩა ქსენია*” (გვ. 238).

თურქულად: “*Bana bak o papuç kadar dilini çeker koparırsam görürsün kuduz köpek nasıl olur? Luka domuzu*” (შემომხედე, იმ ქოშისხელა ენას რომ ამოგგლეჯ, გაჩვენებ მერე, ცოფიანი ძაღლი როგორია!) (გვ. 35). შდრ. გერმ.: “*Ich werde dir schon zeigen, was ein Hund ist, wenn ich dir deine dämliche Zunge herausreiße, Luka Pozchischwili!*” – *rief Xenia*” (ძაღლს გიჩვენებ მე შენ, რომ ამოგგლეჯ მაგ საჯანდაბე ენას, ლუკა ფოცხიშვილო! – იყვირა ქსენიამ) (გვ. 34).

ათურქულში არსებობს გამოთქმა **dilini koparmak** (ენის ამოგლეჯა), რომელიც გაბრაზების შემთხვევაში ითქმება საყვედურის სახით. ასე რომ, გურული მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვა **ამოპწკვნა** თურქულ თარგმანში, მართალია, გადატანილია სალიტერატურო ენით, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით აზრი ზუსტად არის გადმოცემული, რაც თავისთავად თარგმანის ხარისხზე მიუთითებს;

**დაცხიკვება** (იმერ., გურ.) – სახელი დააცხიკვებს ზმნის მოქმედებისა, – იგივეა, რაც ცხვირის დაცემინება (ქეგლ, ტ. III, გვ. 998): “*დაცხიკვება თუ შეიძლება საზოგადოებაში?*” (გვ. 369). დაქ ზმნის საწყისი ფორმაა გამოყენებული. თურქულში ეს ადგილი გამოტოვებულია;

**გამოლეჭვა** (გურ.) – ძუძუს გამოწოვა (ალ. ლლ., გვ. 127): “*გამოდით გარეთ, თხა გამოლეჭია ვილაცას*” (გვ. 265).

თარგმანში აზრი გადმოცემულია ჩვეულებრივი სიტყვით, “მოწველას” თურქული შესატყვისით: “*Benim keçileri sağıp, memeciklerindeki sütü tüketmiş*” (ჩემი თხა მოწველეს და ძუძუებში რძე გაათავეს) (გვ. 73);

**ბაყუნი** (იმერ.) – ლონივრად დარტყმა (ქეგლ, ტ. III, გვ. 160): “*ბიჭი უმაღლესში უნდა მოეწყოს წელს და თოხი ვაზაყუნებით ყანაში?*” (გვ. 222).

თურქულად: “*Bu yıl yüksek okula başlıyor bizimki. Eline çapa alacak toprağı eşeleyecek zamanı yok onun*” (წელს უმაღლესში შედის ჩვენი (ბიჭი) და მას არა აქვს დრო, რომ ხელში აიღოს თოხი და მიწა ჩიჩქნოს) (გვ. 14). შდრ. გერმ.: “*Aber mein Sohn fängt dieses Jahr an zu studieren und hat wohl kaum Zeit, mit der Hacke in der Erde zu buddeln*” (ჩემი ბიჭი წელს უნივერსიტეტში იწყებს სწავლას და დრო არ ექნება, რომ თოხით მიწაში იჩიჩქნოს) (გვ. 13).

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის მნიშვნელობა აქაც სალიტერატურო თურქული ენით არის გადმოცემული, დედნის შინაარსი მაინც არ დარღვეულა;

**ახიკვა** (იმერ.) – აკრეფა, პირწმინდად, სულ ერთიანად აღება, მოგროვება, ახვეტა (ალ. ლლ., გვ. 51): “*აი, ხომ ხედავ, ახიკე შენი ძონძები!*” (გვ. 260).

თურქულად: “*Topla pilini pirtini, duracak zaman değil*” (ჩაალაგე შენი ძველმანები, გასაცდენი დრო არა გვაქვს!) (გვ. 65). აქაც თურქულ თარგმანში სალიტერატურო ენისთვის დამახასიათებელი პოპულარული გამოთქმას გამოყენებული (**Topla pilini pirtini**); შდრ. გერმ.: “*Pack deinen Krimskrams zusammen und los, beeil dich!*” (აკრიბე შენი ძველმანები და აქედან მოუსვი, ჩქარა!) (გვ. 62);

**გამოდვანიება** = წამოღება (რაღაცასთან ერთად): “*ნავთს და საპონს ვეღარ მოვერთე, ხვალ გამევიძვანიებ*” (გვ. 236). შდრ.: ძვ. ქართ. “*მიუძღუანოა ხუცეს?*” (“შუმ. წამ.”).

თურქულად: “*Yarın onları da alır gelirim*” (ხვალ იმათაც წამოვიღებ) (გვ. 32).

დედნისეული აზრი თარგმანში ჩვეულებრივი სიტყვებით არის გადმოცემული. სხვაგვარად არც იყო შესაძლებელი.

დედანში არის ისეთი ზმნური დიალექტიზმიც, რომელიც გამოტოვებულია თურქულში იმის გამო, რომ არ არის იგი თარგმნილი გერმანულად. ამაგალითად:

**გადელება** – “*ნამეტანს თუ გააჭირვებთ საქმეს, გავდელდები ახლა და მიყარეთ მერე კაკალი!*” (გვ. 278). D

**დელი** (აჭარ., გურ.) – გიჟი, სულელი, გადარეული (შ. ნიჭარ.; ს. ჟღ.; ა. ლლ.).

სიტყვა **deli** უცხო არ არის თურქი მთარგმნელისთვის, რადგან ის დამკვიდრებულია თურქულ ლექსიკაში და ნიშნავს გიჟს, სულელს (მასდარი **delirmek** – გაგიჟება). გერმანულ ტექსტში რომ ყოფილიყო აღნიშნული სიტყვა ან უშუალოდ დედნიდან რომ ეთარგმნა მთარგმნელს, იგი არ გამოტოვებდა მას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” არსებული დიალექტიზმები თურქულ ენაზე გადათარგმნილია სალიტერატურო ენით. მიუხედავად ამისა, თარგმანის შინაარსობრივი მხარე ამ თვალსაზრისითაც არ არის დარღვეული. იგი თითქმის ადეკვატურია დედნისა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი თურქული მასალის დედანთან შედარება იძლევა საშუალებას, გავიზიაროთ ზემოთ აღნიშნული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დიალექტიზმების, როგორც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელი ენობრივი ერთეულების, გამოყენების სფერო თარგმანის ენაში მკაცრად არის შეზღუდული.

### 2.2.3. ნასესხები სიტყვები.

ქართული ენის ლექსიკის მარაგში გარკვეულ ადგილს იჭერს ნასესხები, სხვა ენობრივი სამყაროდან შემოსული სიტყვები. სესხება ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. სიტყვის სესხებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ის ბუნებრივია არა მარტო ქართული ენისათვის, არამედ მას დედამიწაზე არსებული ყველა ენა მიმართავს, ამასთან ზოგი მეტად, ზოგი – ნაკლებად.

ქართულ ენას უძველესი დროიდან შეუთვისებია უცხოური სიტყვები ბერძნული, ლათინური, სპარსული, არაბული, თურქული, მოგვიანებით – ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური... ენების სამყაროდან (სარჯველაძე 1984: 157).

ორი ქვეყნის მეზობლური ურთიერთობის შედეგად უშუალოდ ან არაპირდაპირ (თურქულის გზით) ქართულში, განსაკუთრებით აჭარულსა და გურულში, შემოვიდა წარმოშობით არაბული, სპარსული ლექსიკა. ამის შესახებ არსებობს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი. ჩვენ ამ საკითხს აქ ვრცლად არ ვეხებით,



სიტყვათა სესხებას განვიხილავთ მხოლოდ თარგმანის ხარისხის გარკვევის თვალსაზრისით.

ქართულში თურქულიდან (და მისი დიალექტებიდან) შემოსულად ითვლება: **ბულა, თეფში, იარაღი, ლეში, ოთახი, ყაბალახი** (//კაბალახი), **ყავარი, ჩაბუხი ყაჩაღი, ჩოხა...** თურქული ენიდან შემოსული ლექსიკა, თურქული ლექსიკა გვხვდება აგრეთვე აჭარულ, გურულ, მესხურ დიალექტებში (ჯორბენაძე 1995: 313).

ნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” დასტურდება ნასესხები ანუ საერთო გამოყენების სიტყვები, როგორცაა:

**ჭრაქი** – “*ჭრაქიანი მამაკაცი გამოვიდა*”(გვ. 345).

თურქულად: “*Elinde lamba tutan bir adam çıktı alkona*” (ხელში ლამპის დამჭერი ერთი კაცი გამოვიდა აივანზე) (გვ. 176). შდრ. გერმ.: “*Auf den Balkon trat ein Mann mit einer Lampe*” (აივანზე ერთი კაცი გამოვიდა ლამპით) (გვ. 172).

**Çırağ** – 1) **ჭრაქი, ჩირაღი, სანთელი, ლამპარი, სანათი**; 2) სინათლე (ჩლაიძე 2001: 273).

**ჭრაქი** თავის დროზე ძალიან პოპულარული განათების საშუალება იყო და ხშირად იხმარებოდა, მაგრამ დღეს მის ფუნქციას ასრულებს თანამედროვე ათასნაირი საშუალებები და ზუსტად ამის გამო იგი უკვე არც იხსენიება. მხატვრულ ნაწარმოებში ამგვარი სიტყვების გამოყენება, ვფიქრობ, ნოსტალგიურია, მაგრამ ამ რომანის შექმნის ხანაში არც იქნებოდა ნოსტალგიური. ეს სიტყვა თურქულ ტექსტში შედარებით უფრო თანამედროვე ტერმინით (**lamba**) არის გადმოცემული, რისი წყაროც არის გერმანული. თურქული უშუალო თარგმანი რომ ყოფილიყო, მთარგმნელი, ალბათ, გადაიტანდა მისთვის ნაცნობ სიტყვას;

**ხეირი** – “*კი მაგრამ, სიცოცხლე და ხეირიო, ასე რომ ეუბნებიან*”(გვ. 369).

**Hayır** – სიკეთე, ბედნიერება, კეთილდღეობა, ღმერთის გულისთვის უანგაროდ გაკეთებული საქმე, სიკეთის გაკეთება... (ჩლაიძე 2001: 600).

წარმოშობით არაბული სიტყვა **Hayır** თურქულშიც არის და მისი გამოყენების სფერო ძალზე გავრცელებულია.

სიტყვა **ხიერი** ნახსენებია რომანის ერთ-ერთ თავში, რომლის სათაურია “ზრდილობა”. ამ თავის გერმანული და თურქული ტექსტები შემცირებულად არის გადმოცემული. ამის გამო სიტყვა **ხიერი** გამოტოვებულია გერმანულში და თავისთავად თურქულშიც.

ნასესხებ სიტყვათაგან ზოგი დიალექტიზმად, კერძოდ, გურული დიალექტისთვის დამახასიათებელ გამოთქმად, არის ქცეული. საინტერესოა მათი შესატყვისები თურქულ თარგმანში. ასეთია:

**ოდა** – “*მობრძანდით ოდაში*” (გვ. 301).

**ოდა** (გურ.) – ჭერ-იატაკიანი, ფანჯრიანი და ბუხრიანი ფიცრული სახლი. უმეტწილად ხის ან ქვის ბოდებზე დგას. თურქ. **oda** (დლონტი 1984: 425).

**oda** – 1) ოთახი; 2) კამერა, კაბინა; 3) (სასტუმროსა და მისთ.) ნომერი; 4) სოფლის სასტუმრო; 5) ბიურო; პალატა..... (ჩლაიძე 2001: 1080).

თურქულად: “*İçeri girin, evimize buyurun*” (შიგნით, ჩვენს სახლში შემობრძანდით) (გვ. 19). შდრ. გერმ.: “*Bitte, kommt ins Haus*” (გთხოვთ, შემოდით სახლში) (გვ. 116).

თურქულ ენაში არის სიტყვა **oda** და ქართულისაგან განსხვავებით ნიშნავს სახლის ოთახს. ეს სიტყვა გერმანულში გადათარგმნილია, როგორც სახლი. გერმანული და თურქული თარგმანები შინაარსობრივად ადეკვატურია;

**დუნია** – “*ავი დუნია პატარა ნუ გგონიათ...*” (გვ. 239).

**დუნია** – არაბ. (ძვ. საუბ.) ქვეყანა, ქვეყნიერება, მსოფლიო. გგადატ. Dძალიან ბევრი (ქეგლ, 469).

**Dünya** – არაბ. სამყარო, ქვეყნიერება, მსოფლიო; დედამიწა (ჩლაიძე 2001: 393).

თურქულად: “*Bizim ülkemiz avuç içi kadar yer değil ya, koskoca bir ülke...*” (ჩვენი ქვეყანა ხელისგულისხელა ადგილი კი არაა, უზარმაზარი ქვეყანაა) (გვ. 36). შდრ. გერმ.: “*Unser Land ist schließlich nicht klein*” (ჩვენი ქვეყანა ბოლოსდაბოლოს პატარა არაა) (გვ. 35).

ასიტყვა **დუნია** ქართულში იშვიათად მაინც იხმარება და მისი თანამედროვე შესატყვისი არის “მსოფლიო”, მაგრამ ქართულ ტექსტში სიტყვა

დუნია გამოყენებულია “ქვეყნის” გაგებით, ასევეა გერმანულსა და თურქულში. მაშასადამე, თარგმანში აზრი ადეკვატურად არის გადმოცემული.

**მილეთი** – “*ნუ ამბლავლებ ამ მილეთის ხალხში*” (გვ. 271). G

**მილეთი** (გურ.) ბევრი ხალხი, მთელი ქვეყანა, სამყარო (დ. ჩუბ.; ქეგლ, გვ. 657); არაბ., თურქ. **millet** (დლონტი 1984: 363).

**millet** – არაბ. 1) ერი, ეროვნება; ხალხი; 2) ხალხი, ადამიანები, საზოგადოება; 3) თემი, გვარი, მოდგმა...” (ჩლაიძე 2001: 988).

თურქულად: “*Bu kanayan yürekle beni öne sürme Allah aşkına, milletin önünde ağlatma beni*” (თუ ღმერთი გიყვარს, ამ სისხლიანი გულით ხალხის წინ ნუ მაყენებ და ნუ მატირებ) (გვ. 80). შდრ. გგერმ.: “*Reiß die alte Wunde nicht auf und bring mich nicht vor allen Leuten zum Weinen!*” (ძველ ჭრილობას ნუ გამიღიზიანებ და ამდენი ხალხის წინ ნუ ამატირებ) (გვ. 77).

სიტყვა **millet** – დედანში სწორი გაგებითაა გამოყენებული. ათურქული ტექსტიც ადეკვატურად არის გადათარგმნილი;

**ნენა** – “*ხატია, ხატია, ნენა, ხატია მოვიდა!*” (გვ. 263). G

**ნენა/ე, -ი** (გურ.) დედა (დლონტი 1984: 420);

**ნენეი** (ზ. აჭარ.) ბებია, დიდედა; (ქვ. აჭარ.) დედა (იქვე);

**ნენა** (კუთხ.) დედა (შვილი იტყვის თავის დედაზე) (ქეგლ, გვ. 785);

**Nine** – თურქ. ბებია, ბებო, ბაბო (ჩლაიძე 2001: 1070).

თურქულად: “*Anne bak Matya geldi*” (დედა, ნახე, ხატია მოვიდა) (გვ. 70). შდრ. გგერმ.: “*Chatia ist gekommen, Mama! Chatia!*” (ხატია მოვიდა, დედა, ხატია!) (გვ. 67).

**Nine** თურქულში ნიშნავს “ბებიას”, მაგრამ მთარგმნელმა სწორად გაიგო გერმანული თარგმანი და იმ გაგებით გადაიტანა იგი თავის ენაზე, როგორადაც არის გამოყენებული დედანში. ეს მთარგმნელის ღირსებად უნდა ჩაითვალოს;

**აბდალა** – “*შე აბდალა!*” (გვ. 253).

**გაბდალი** (გურ.) სულელი (დლონტი 1984: 20). შდრ. ქეგლ: სულელი, ჩერჩეტი (გვ. 24);

**Aptal** \_ არაბ. სულელი, ბრიყვი; 2) იხ. abdal; 2. სულელურად (ჩლაიძე 2001: 65).

თურქულად: *“Koca aptal”* (ვეებერთელა სულელი) (გვ. 56). შდრ. გერმ.: *“Du Blödian!”* (დებილი, შტერი!) (გვ. 53).

სიტყვა **Aptal** თურქულში საკმაოდ არის გავრცელებული და ნიშნავს სულელს. შინაარსობრივად ადეკვატურია გერმანული და თურქული თარგმანები;

**საინი** \_ *“ძმარი ჩამომართვა, ღრმა საინზე დაასხა, წყალი გაურია...”* (გვ. 255).

თურქულად: *“Mendilini sirkeli suda ıslattı bir güzel, ıslak mendilini hastanın alnına yerleştirdi”*... (ცხვირსახოცი ძმრიან წყალში კარგად დაასველა, მერე შუბლზე დაადო) (გვ. 59). შდრ. გერმ.: *“...tränkte sie ihr Tuch in Essigwasser und legte es ihm auf die Stirn”* (თავისი ცხვირსახოცი ძმრიან წყალში დაასველა და შუბლზე დაადო) (გვ. 56).

**საინი** \_ იგივეა, რაც თეფში (ქეგლ, გვ. 844);

**Sahan (sahn)** \_ არაბ. 1) Yemek pişirmeğe veya koymağa yarayan derinliği az, madeni kap (საჭმლის შესაწვავი ან ჩასადები ოდნავ ღრმა ჯამი); 2) Büyük kase (დიდი ჯამი) (Milli Eğitim bakanlığı Örnekleriyle Türkçe sözlük, cilt IV, S. 2412).

სიტყვა **საინი** თურქულ ენაში არის, მაგრამ ძალიან იშვიათად იხმარება. იგი არ არის გერმანულში და, შესაბამისად, თურქულ თარგმანშიც.

ნ. დუმბაძე გამოირჩევა არა მარტო იუმორისტული თავისებურებით, არამედ იმ უნართაც, რომ იგი ოსტატურად იყენებს რომანში დიალექტიზმებს, კერძოდ, გურულ გამოთქმებს, აგრეთვე ნასესხებ ლექსიკას.

**2.2.4. საკუთარი სახელები.** ნ. დუმბაძის რომანში გვხვდება საკუთარი სახელები: ადამიანის სახელები ანუ ანთროპონიმები, გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმები, ჰიდრონიმები...). საინტერესოა, როგორ არის გადათარგმნილი ეს სახელები და რამდენად არის შენარჩუნებული ორიგინალურობა თურქულ თარგმანში.

პიროვნებათა ერთმანეთისაგან განსხვავებისათვის მიღებულია სახელდების ისეთი ფორმები, როგორცაა გვარი, სახელი, მამის სახელი, ფსევდონიმი, მეტსახელი... სიტყვათა ამ ჯგუფს ეწოდება ანთროპონიმისა.

“ონომასტიკური ლექსიკა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ისტორიულად ცვალებადია. ყველა ხალხს რაღაც თავისებური აქვს. თუმცა ისტორიული ურთიერთობის შედეგად ამ სიტყვების, განსაკუთრებით საკუთარი სახელების, სესხებაც ხდებოდა” (წიბახაშვილი 2000: 73).

ნ. დუმბადის რომანში მთავარი გმირი მეტწილად მოხსენიებულია **სოსოიას** სახელით. იშვიათად გვხვდება **სოსო**: “*სოსო, სოსოია, ბიჭო!*” (გვ. 217). ასევეა თურქულ ტექსტში: “*Soso, hey Sosoya*” (გვ. 7); გერმანულში: “*Sosso, he, Sossoja!*” (გვ. 5); რუსულში: “*Coco, әң Cocoïa!*” (გვ. 201).

მოცემულ მიმართვის ფორმაში ორივე ვარიანტია დასახელებული. თარგმანის ენები მიჰყვება დედანს, მაგრამ მთლიან ტექსტს რომ დავაკვირდებით, ეს ყველგან ასე არ არის, განსაკუთრებით თურქულ თარგმანში, რომელშიც **სოსოს** მაგივრად ტრადიციულად არის **სოსოია**: “*Sosoya, sen nasılsın?*” (გვ. 226). შდრ. გერმ.: “*Wie geht es dir, Sosso?*” (გვ. 223); რუს.: “*Как мы, Coco?*” (როგორა ხარ, სოსო?) (გვ. 420);

ხანდახან არის პირიქით: G “*გეტყობა ძალიან გიყვარს შენი სოსოიე*” (გვ. 348). თურქულად: G “*Anlaşılan Soso'yu çok seviyorsun ha*” (როგორც ჩანს, სოსო ძალიან გიყვარს ხომ) (გვ. 181). მოცემულ შემთხვევაში გერმანული თარგმანი მიჰყვება დედნისეულ სახელს – **სოსოს**, მაგალითად: “*Du scheinst deinen Sosso sehr gern zu haben*” (ჩანს, ძალიან გიყვარს შენი სოსო) (გვ. 177), თურქული კი – არა. ასეა რუსულ ტექსტშიც: “*Видно, очень любишь ты своего Cocoïю*” (ჩანს, ძალიან გიყვარს შენი სოსოია) (გვ. 366).

თურქ მთარგმნელს შეეძლო, გაჰყოლოდა გერმანულ ტექსტს, მაგრამ ამჯობინა **სოსოია** და არა **სოსო**, ორგანო შემდეგი ეპიზოდი სრულყოფილების მაგალითია სამივე ენისთვის:

“*სოსო! – თქვა წყნარად ხატია*” (გვ. 393).

თურქულად: “*Soso, dedi Matya duyulur duyulmaz bir sesle*” (სოსო, – თქვა ხატია მღივს გასაგონი ხმით) (გვ. 225). შდრ. გერმ.: “*Sosso! sagte Chatia leise*” (სოსო! თქვა წყნარად ხატია) (გვ. 223); რუს.: “*Coco! Тихо сказала Хатиа*” (სოსო! ჩუმად თქვა ხატია) (გვ. 419).

მაშასადამე, თურქულ თარგმანში ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი **სოსოია** გასაგებად არის გადმოცემული.

დედანში სხვა კნინობითი სახელებიც არის. ასეთია **ბეჟანა, ბეგლარა, ნოდარა**. თურქულში ისინი სალიტერატურო ენით არის გადატანილი, რაც განპირობებულია წყაროების მონაცემებით: *“Bejan”* (გვ. 52). შდრ.: გერმ. *“Beshan”* (გვ. 50) და რუს. *“Бежан”* (გვ. 242); *“ბეგლარას წისქვილი”* (გვ. 308) – თურქ. *“Beglar’ın Değirmeni”* (გვ. 129). შდრ.: გერმ. *“Beglars Mühle”* (გვ. 126) და რუს. *“Мельница Беглара”* (გვ. 308). ვფიქრობთ, ქართული ტექსტის რუსულად მთარგმნელმა ზ. ახვლედიანმა რომანის გმირებს ააცილა დედნისეული კნინობითი ფორმები და ყველა სახელი მოგვცა სალიტერატურო ენის სახით: **ბეგლარ, ბეჟან, ნოდარ**. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გ. წიბახაშვილის მოსაზრება: “ქართული სახელების რუსულად გადაცემის რთულ პროცესში ხშირად გვხვდება გავრცელებული შეცდომა, რომლის დაცვის მცდელობა უვიცობის დემონსტრაციაა მხოლოდ. ლაპარაკია ქართული ხმოვანფუძიანი სახელების გადატანაზე Нодари, Гурами, Левანი, Зураби და სხვა. ამ ტიპის სახელებში ბოლოკიდური, როგორც ბეჟანას, ბეგლარას, ლუკაიას და მრავალ საკუთარ სახელებთან, “И” სრულიად ზედმეტია, რასაც თვით ქართული ენა ამტკიცებს. გვაქვს: ნოდარ დუმბაძე, გურამ რჩეულიშვილი, ლევან სანიკიძე, ზურაბ ქაფიანიძე. ამ სახელების საწყისი ფორმა სწორედ ასეთია და ასევე უნდა გადავიდეს სხვა ენაზე: Нодари, Гурами, Левანი და იბრუნოს კიდევაც Нодара, Нодару, Нодаром და ა.შ.” (წიბახაშვილი 2000: 76). A

მაშასადამე, თუ გავითვალისწინებთ გ. წიბახაშვილის შეხედულებას, რომანში “მე ვხედავ მზეს” არსებული სახელები, განსაკუთრებით “ბეგლარა, ბეჟანა” და სხვა ანთროპონიმები, კარგად არის გადათარგმნილი, თუმცა ეს საკითხი შეიძლება სადავო იყოს.

ზოგჯერ დედნისეული სახელი, კერძოდ, ანთროპონიმი, თურქულ თარგმანში არაადეკვატურად არის გადატანილი. ამის მაგალითია ნ. დუმბაძის რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის სახელი **ხატია**. იგი სათაურადაც არის მოცემული: *“ხატია”* (გვ. 229); *“Katya”* (გვ. 24); *“Chatia”* (გვ. 22); *“Xamua”* (გვ. 216).

ამნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ **ხატის** შესახებ რუსული და გერმანული ტექსტების სქოლიოებში მოცემულია განმარტებები: რუს.: \* Хатиа – от грузинского слова “хати” – икона, светлая, прекрасная, как икона (გვ. 366); გერმ.: “Von dem georgischen Wort “Chati” = “Ikone”, die wie eine alte Ikone Lichte und Schöne” (გვ. 176). **ხატი** წარმოშობით არაბული სიტყვაა და შემოსულია თურქულშიც, ნიშნავს ხატვას, ხაზვას. მაგალითად: **hat sanati** (ხატვის ხელოვნება). რუსულსა და გერმანულში ხატის სახელი ადეკვატურად არის თარგმნილი. სამწუხაროდ, თურქულში ასე არ არის. ამ მთავარი გმირის ხატის სახელი თურქ მთარგმნელს რატომღაც გაურუსულებია, მაშინ როდესაც რუსულსა და გერმანულში არის ორიგინალის იდენტური **ხატია**.

თურქული თარგმანის სათაურსა და ტექსტში ხატის სახელი არ ემთხვევა ერთმანეთს და არც ერთი არ შეესაბამება დედანს: **KKatya**-თი დაწყებული თურქული სათაური **Matya**-თი გრძელდება ტექსტში. მხოლოდ ერთგან დასტურდება **Katya**. შესაძლებელია, აქ კორექტურას ჰქონდეს ადგილი. მათია ქართულში მამაკაცის სახელია, ხოლო **Katya** არ არსებობს საერთოდ;

ანალოგიური ვითარებაა სხვა პერსონაჟების სახელების – **ცუცასა** და **კოწიას** თარგმნის შემთხვევაშიც: თურქულად არის **Zuza** (გვ. 145). შდრ.: გერმ. **Zuza** (გვ. 140) და რუს. **Цуца** (გვ. 330); აგრეთვე: *“ომი ჰიტლერმა დაიწყო, კოწია”* (გვ. 279) – თურქ. *“Savaşı başlatan Hitler’dir Kotia”* (გვ. 90). შდრ. გერმ.: *“Kotia, Hitler hat den Krieg angefangen”* (გვ. 89) და რუს.: *“Войну Гитлер начал, Котиа”* (გვ. 278). ბუნებრივია, რომ ქართული ენის აფრიკატი **ც** თურქულში შეცვლილია და ანთროპონიმი **ცუცა** მოცემულია **ზუზა**-ს ფორმით, მაგრამ უფრო ადეკვატური იქნებოდა მთარგმნელს დაეწერა **tsusa**. არაადეკვატურობის სათავე არის გერმანული თარგმანი, სადაც **ცუცა ზუზად** არის ქცეული;

არაადეკვატური თარგმანის მაგალითია დედნისეული სახელი **რაისა**, რომელიც თურქულ თარგმანში გადმოცემულია სახელით **ნათელა**. ეს რუსული თარგმანისაგან მომდინარეობს და ასეა გადატანილი გერმანულში. **რაისა** არაქართული სახელია, საფიქრებელია, რომ რუსი მთარგმნელი შეეცადა ქართული სამყაროს ამსახველი თარგმანი მოეცა. ამიტომ შემოიტანა ლექსში სახელი **ნათელა**;

ნ. დუმბაძის რომანში მთავარი პერსონაჟის – სოსოიას მამიდა ხშირად არის მოხსიენებული, როგორც ქეთო, ძალიან იშვიათად კი – ქეთევანი: “*მამიდა ღვთისმშობელს ჰგავს, მარიამს და ქეთევანი ჰქვია*” (გვ. 219). თურქულ თარგმანში არის: “*Halamin adı Keto 'ydu*” (გვ. 10). შდრ.: გერმ. “*Tante Keto*” (გვ. 8) და რუს. “*Тетку Кетеван*” (გვ. 204).

სხვადასხვაგვარად არის თარგმნილი აგრეთვე სათაური “*მამიდა*” (გვ. 217): “*Тетя Кето*” (გვ. 201); “*Tante Keto*” (გვ. 5); “*Keto Hala*” (გვ. 7).

ააქ ჩანს, რომ რუსული, გერმანული და თურქული თარგმანები არ შეესაბამება ქართულს. დედანში პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ, როცა ავტორი მასზე საუბრობს, როგორც მესამე პირზე, მაშინ ახსენებს ქეთევანს. ტექსტში ეს სახელი არ დასტურდება მიმართვის ფორმით, E.ი. დაუსწრებლად სრული სახელით იხსენიება მამიდა და ეს ნიუანსი დაკარგულია გერმანულსა და თურქულ თარგმანებში, თუმცა ეს არ ქმნის აზრობრივ გაუგებრობას. საინტერესოა ისიც, რომ ქეთო მამიდა საკუთარ თავზე საუბრისას სრულყოფილად ახსენებს თავის სახელს, რომელიც შემოკლებულ ფორმასთან შედარებით გაცილებით უკეთ ჟღერს. საერთოდ, ადამიანი საკუთარ სახელს ზედმეტი ან შემოკლებული ფორმით არ ახსენებს. ამის კარგი მაჩვენებელია შემდეგი ეპიზოდი: “*ქეთევანი ვარ, – გაიმეორა მამიდამ*” (გვ. 307). თურქულად: “*Ben Keto 'yum*” (გვ. 127). შდრ. გერმ.: “*Ich bin Keto*” (გვ. 125); რუსული მიჰყვება დედანს: “*Я Кетеван*” (გვ. 314), მაგრამ გერმანული და, აქედან გამომდინარე, თურქული აქაც არღვევს წესს.

იშვიათად ანთროპონიმის თარგმნისას დაცულია დედნისეული სიზუსტე. მაგალითად: დედანში ერთ-ერთ პერსონაჟს ჰქვია **დათიკო**. ეს სახელი არის სათაურშიც: “*დათიკო ბრიგადირი*” (გვ. 245), თუმცა თურქულ თარგმანში სათაურში იგი ნახსენები არ არის: “*Gece Ziyareti*” (ღამის ვიზიტი) (გვ. 43); ასეა გერმანულში: “*Nächtlicher Besuch*” (ღამეული სტუმარი) (გვ. 43) და რუსულშიც: “*Возвращение*” (დაბრუნება) (გვ. 235). სხვა შემთხვევაში დათიკოს სახელი სამივე თარგმანში შეესაბამება დედანს: თურქ. **Datiko**, გერმ. **Datiko** და რუს. **Датико**. ანალოგიურად არის თარგმნილი **კუკურაც**, რომელსაც უფრო დიალექტური



ელფერი დაჰკრავს: თურქ. **Kukura** (გვ. 117), გერმ. **Kukura** (გვ. 114) და რუს. **Кукура** (გვ. 304);

ასევე ადეკვატურად არის თურქულად გადათარგმნილი ანთროპონიმი **შუქრია (Şukriya)**, რომელიც თურქი მკითხველისთვისაც არის ნაცნობი. იგი თურქეთში ტრადიციული, ძალიან გავრცელებული ქალის სახელია, თუმცა თურქულში დამკვიდრებულია ამ სახით: **Şükriye**.

თარგმანის სიზუსტის თვალსაზრისით საინტერესოა დედნისეული ანთროპონიმები **ქესკინა** და **ალმასხანი**. აარც ერთი მათგანი თურქულ თარგმანში არ დასტურდება. **ქესკინა** არ არის გადათარგმნილი თურქულად, რადგან იგი გამოტოვებულია გერმანულშიც, თუმცა არის რუსულში: *“Кескина, у-у-у!...”* (გვ. 217). საინტერესო იქნებოდა თურქი მკითხველისთვის, თუ მთარგმნელს მიეცემოდა ამ ანთროპონიმის თარგმნის საშუალება, რადგან ეს სახელი ნაცნობია თურქი ხალხისთვისაც. **Keskin** თურქული სიტყვაა და ნიშნავს *“მჭრელს”, “ბასრს”*. იგი იშვიათად გვხვდება ქალისა და მამაკაცის სახელად, მაგრამ ძალიან გავრცელებული გვარია თურქეთში;

რაც შეეხება **ალმასხანს**, ეს სახელიც არ არის გადათარგმნილი თურქულად, მიუხედავად იმისა, რომ იგი დასტურდება წყაროებში: გერმ. *“Mein Almaßchan ist auch an der Front”* (გვ. 90); რუს. *“Мой Алмасхан тоже на войне”* (გვ. 279). საერთოდ, რაც უფრო ანაცნობი სიტყვები შეხვდება მკითხველს თარგმანში, მით უფრო მიუახლოვდება ის დედანს და უფრო გაითავისებს მას.

დედანში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეტსახელებიც. ამათგან ერთ-ერთია **შავი მაშიკო** (გვ. 224). ძალიან საინტერესოა მისი თურქული თარგმანი: *“Arap Maşiko”* (გვ. 17). გერმანულსა და რუსულ თარგმანებში “შავი” პირდაპირ არის გადათარგმნილი: გერმ. *“...schwarze Maschiko”* (გვ. 15) და რუს. *“Черная Машико”* (გვ. 210). თურქეთში შავგვრემან ადამიანზე მოფერებით ან დაცინვის მიზნით ითქმება **არაბი** (სახელის წინ). აქ მთარგმნელს მშობლიური ენის ეს მომენტი კარგად აქვს დაჭერილი;

დედნისეული მეტსახელი **ნოდარა თავა** (*“მოწინააღმდეგის ბანაკიდან პირველი ნოდარა თავა ამოდვრა”* – გვ. 330) თურქულში მეტსახელად არის

გადატანილი: *“Düşmanın bulunduğu yakada ilk kıpırdayan Kocakafa Nodar oldu”* (მტრის ბანაკიდან პირველი გაინძრა დიდთავა ნოდარი) (გვ. 159). ასევე: გერმ. *“Als erster Feind erhob sich Nodar”* (მტერივით პირველი წამოიმართა ნოდარი) (გვ. 154) და რუს. *“Нодар-Баука”* (გვ. 342), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თურქმა მთარგმნელმა მცირეოდენი ცვლილება მაინც შეიტანა ამ მეტსახელში და თარგმნა ასე: **დიდთავა ნოდარი** (*Kocakafa Nodar*).

მმეტსახელის თარგმნასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებები: გ. წიბახაშვილს მიაჩნია, რომ “მეტსახელი უნდა ითარგმნოს, რათა შენარჩუნებულ იქნეს ის ინფორმაცია, რასაც იგი შეიცავს პერსონაჟის დასახასიათებლად. ასეც არის დამკვიდრებული პრაქტიკაში” (წიბახაშვილი 2000: 77); თურქი მეცნიერის ა. ერტენის აზრით კი, პირიქით, ანთროპონიმს უნდა შეუნარჩუნდეს დედნისეული ფორმა: “შეიძლება თარგმანის მკითხველს უნდოდეს ტექსტში უცხო სახელებთან შეხვედრა. შეიძლება მკითხველი ამა თუ იმ ქვეყნის ნაწარმოების მოყვარულია და მზად არის თარგმანში უცხო სახელების ან ელემენტების მისაღებად... მით უფრო, თუ დედნის გმირები დაკავშირებულია იმ ქვეყნის ტრადიციებთან, ფოლკლორთან და ეროვნულ ხასიათს ატარებს, მაშინ მათი სახელების თარგმნა, ცვლილების შეტანა არ შეიძლება” (Erten 1988: 155).

მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და შეიმუშაოს ისეთი მეთოდი, რომ ან ტექსტი მიუახლოვოს მკითხველს, ან პირიქით. ხშირ შემთხვევაში ეს შეუძლებელია. ჯობია ამ ორი მეთოდის შერწყმა.

ამრიგად, დედანში მოცემული მთავარი თუ არამთავარი პერსონაჟების სახელები მეტწილად სრულყოფილად არის გადათარგმნილი თურქულად.

ნ. დუმბაძის რომანში დასტურდება ასევე გვარებიც. მაგალითად: *“ლუკაია ფოცხიშვილი”* (გვ. 222). იგი ზუსტად არის გადატანილი როგორც თურქულში (*“Luka Potşişvili”* – გვ. 13), ასევე გერმანულსა (*“Luka Pozchischwili”* – გვ. 12) და რუსულშიც (*“Лука Поцхишвили”* – გვ. 207).

საინტერესოა ანატოლის გვარის თურქული თარგმანი. ანატოლის სახელი და გვარი თურქულ თარგმანში უკუღმაა თარგმნილი: *“Köyde herkes yaralıya*

*Sosoya'nın Rusu diyordu. Yalnız halam, ben ve Matya, adıyla çağırıyorduk onu. Güzel bir soyadı vardı: Anatoli, küçük adı da fena değildi ya: Romanof. \_ Romanof Anatoli...*” (სოფელში დაჭრილს ყველა სოსოიას რუსს ეძახდა. მშობლოდ მამიდა, მე და ხატია სახელით ვეძახდით მას. ლამაზი გვარიც ჰქონდა: ანატოლი, პატარა სახელიც ცუდი არ იყო: რომანოვი – რომანოვ ანატოლი) (გვ. 94).

თურქულ თარგმანში ანატოლის გვარის **რომანოვის** ნაცვლად სახელდება მისი სახელი **ანატოლი**, ხოლო გვარი **რომანოვი** აღქმულია მეტსახელად. ასეთი რამ არ არის არც გერმანულ და არც რუსულ თარგმანებში: გერმ.: *“Unser Verwundeter hatte einen großartigen Vornamen, Anatoli, und sein Familienname war geradezu wie der eines Zaren, Romanow”* (ჩვენს დაჭრილს დიდებული სახელი ჰქონდა, ანატოლი და ნამდვილად რომ მეფური იყო მისი გვარი, რომანოვი) (გვ. 92); რუს.: *“У нашего раненого имя \_ Анатоли, а фамилия вообще царская \_ Романов”* (ჩვენი დაჭრილის სახელია ანატოლი, გვარი კი საერთოდ მეფური \_ რომანოვი) (გვ. 281). გერმანული შეესაბამება დედანს. მაშასადამე, ზემოაღნიშნული გაუგებრობის მიზეზი თვით თურქული თარგმანია. თურქულში სათაური “ანატოლიც” გამოტოვებულია და პირდაპირ არის გაგრძელებული წინა თავი.

ასევე არაადეკვატურად არის თარგმნილი კაჟურას გვარი **გაგუა**: *“გამაფრთხილა კაჟურა გაგუამ”* (გვ. 331). თურქულ თარგმანში: *“Uyarmaya kalkti Kaşura Gajya”* (გაფრთხილება დააპირა კაჟურა გაჯიამ) (გვ. 160). შდრ. გერმ.: *“Warnte mich Kashura Gagua”* (გვ. 155); რუს.: *“Предостерег меня Кажура Гагуа”* (გვ. 345). გვარი **გაგუა** მხოლოდ თურქულ თარგმანშია დარღვეული. ამის მიზეზს ვერ მოვძებნით წყაროებში.

ანთროპონიმებისაგან განსხვავდება ტოპონიმები, გეოგრაფიულ ადგილთა სახელები. G”გეოგრაფიულ სახელებს გადატანითი ანუ მეორადი მნიშვნელობა არა აქვს ანუ ეს სახელები ეკუთვნიან რუკას და არა ლექსიკას, რის გამოც არ ითარგმნება სხვა ენაზე და არც უნდა გადაითარგმნოს, პირდაპირ უნდა გადავიდეს თარგმანში. მაგრამ მთარგმნელები ფიქრობენ, რომ გეოგრაფიული სახელების თარგმანით მკითხველი უფრო უახლოვდება დედანს და ამიტომ თარგმნიან კიდევ” (Erten 2003: 157).

ნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” იხსენიება ცნობილი მდინარე სუფსა: “*გერიცვალეების შემდეგ, სუფსაში რომ სიცივე ჩავარდება...*” (გვ. 286). თურქულ თარგმანშიც იგივე არის: “*Supsa vadisini soğuklar bastırıp ağaçlar yaprağını dökmeye başlayınca...*” (სუფსაში რომ სიცივე ჩამოვარდება და ფოთოლცვენა რომ დაიწყება...) (გვ. 97). შდრ. გერმ. “*Wenn die Blätter fallen und die Kälte in das Supsatl einzieht...*” (როცა ფოთლები ჩამოცვივდება და სიცივე შემოვა სუფსის ხეობაში...) (გვ. 97); რუს.: “*Когда падают листья и в долину Супсы спускаются*” (როცა ფოთლები ცვივა და სუფსის სიღრმეში ეშვება) (გვ. 286).

Plიტყვასიტყვით არის თურქულად (გერმანულად და რუსულადაც) გადათარგმნილი ჰიდრონიმი **დათვის ღელე**: “*ნასადილევს კოჩია ფოსტალიონმა დათვის ღელეზე გამოიარა*” (გვ. 235).

თურქულად: “*Ayideresi'nin karşı kıyısında yükselen tepenin eteğinde çalışıyorduk*” (დათვის ღელეს მოპირდაპირე ნაპირზე შემადლებული მწვერვალის კალთაზე ვმუშაობდით) (გვ. 32). შდრ. გერმ.: “*Eines Tages arbeiteten wir am Hang des Hügels der sich jenseits des Bärentals erhebt*” (ერთ დღეს ვმუშაობდით მთის კალთაზე, რომელიც აღმართულია დათვის ხეობის მეორე მხარეს...) (გვ. 30); რუს.: “*Как-то раз мы работали на склоне холма, что за Медвежьей лощиной*” (ერთხელაც ვმუშაობდით მთის კალთაზე, რომელიც დათვის ღელესთანაა) (გვ. 223);

არაუშუალო თარგმანის გამო კიდევ დააკლდა თურქ მკითხველს ნაცნობი გეოგრაფიული ადგილის სახელი:

“*მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან*” (გვ. 244);

თურქულად: “*Şassanzi'de bir zaman benim gözlerim de görmemişti*” (შასსანზიდეში ერთ დროს ჩემი თვალებით ვერ იხეებოდა) (გვ. 44). შდრ. გერმ.: “*Ich bin am Chassansee auch für einige Zeit erblindet*” (მეც დავბრმავდი ცოტა ხნით ჰასანის ტბასთან) (გვ. 42); რუს.: “*Я тоже ослеп на озере Хасан*” (მეც ჰასანის ტბასთან დავბრმავდი) (გვ. 234).

დედანში ხსენებული შემდეგი გეოგრაფიული ადგილის (მთის) სახელი: “*სურების მთებთან უზარმაზარი ყვითელი, ბაჯაღლო მზე ამოდიოდა*” (გვ. 362) ადეკვატურად არის გადატანილი თურქულში: “*Surebi 'nin güzel dağlarının ardından*

*güneş yükseliyordu*” (სურების ლამაზი მთების უკან მზე ამოდიოდა) (გვ. 199), თუმცა გამოტოვებულია დედნისეული ეპითეტი **ბაჯალლო** და წყაროების **ოქროსფერი**. შდრ. გგერმ.: *“Hinter den Bergen des Surebi ging groß und golden die Sonne auf”* (სურების მთების უკან ამოდიოდა დიდი და ოქროსფერი მზე) (გვ. 195);

რუს.: *“Из-за гор Суреби поднималос огромное золотое солнце”* (სურების მთიდან ამოდიოდა დიდი ოქროსფერი მზე) (გვ. 384).

ასაკუთარია იმ არსების სახელი, რომლის მსგავსის მოძებნა შეუძლებელია. სულიერი არსებისა თუ საგნის მთელი შინაარსი პირდაპირ დაკავშირებულია მის სახელთან და მისი რაობაც მთელი დეტალებით გამოსახულია მასში. ალბათ, ამიტომ ცდილობს ყველა ადამიანი, საუკეთესო სახელი დაარქვას, პირველ ყოვლისა, თავის შვილს, ასევე იმ არსებებს ან საგნებს, რაც მის ინტერესებში შედის. ბროგორც ჩანს, ნ. დუმბაძემ რომანის პერსონაჟების სახელები საუკეთესო სახელებიდან ამოარჩია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი თარგმანიც. შეიძლება დედნისეული უნიკალური სიტყვა ზოგჯერ დამახინჯებულად გამოიყურებოდეს თარგმანში, საკუთარი სახელები კი იშვიათად ითარგმნება და გამოირჩევა დედნისეული ფორმითა და სილამაზით. საბედნიეროდ, ქართული ტექსტის საკუთარი სახელები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (ვგულისხმობთ, განსაკუთრებით, **ხატას** სახელის თარგმანს), კარგად არის გადმოცემული თურქულ თარგმანში.

მხატვრული ნაწარმოები ფასდება მასში გამოყენებული ხატოვანი სიტყვა-თქმებით, რითაც მწერალი გამოხატავს თავის სტილს, ენობრივ შესაძლებლობებს და ა. შ. ფრაზეოლოგიზმებისა და დიალექტიზმების უხვად გამოყენებით ავტორი პირველ რიგში ემსახურება თავისი შემოქმედების გაძლიერებას, ხელს უწყობს ენაში ფრაზეოლოგიზმებისა თუ დიალექტიზმების მარაგის შენარჩუნებას. დედნის ავტორი ასევე პირდაპირ თუ ირიბად ემსახურება თარგმანის ენის განვითარებასაც, იმიტომ რომ დედნისა და თარგმანის შედარების პროცესში მკვლევარი ვრცლად ეხება საერთოდ ორივე ენის მარაგში დამკვიდრებულ ათას სხვადასხვა ენობრივ საშუალებას. ყოველივე ეს ბუნებრივად მიუთითებს ადეკვატური თარგმანის მნიშვნელობაზე.

სამ ასპექტით მ. ქარაორენის თურქული თარგმანის ენა შედარებით სადა და დახვეწილია. ტექსტი მკითხველისთვის ადვილად გასაგები და სასიამოვნოდ წასაკითხი რომ ყოფილიყო, ამისათვის მთარგმნელი დიდ ყურადღებას აქცევდა წინადადებების აგებულებას. იგი მოკლედ, მარტივი წინადადებებით გადმოსცემს დედნისეულ ეპიზოდებს.

**სათაურები.** მხატვრულ ნაწარმოებში სათაურს (როგორც მთლიანი ტექსტისას, ისე ცალკეული თავებისას) მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. იგი წარმოადგენს გასაღებს როგორც მწერლის, ისე მკითხველის ხელში. სათაური, პირველ ყოვლისა, მკითხველს ნაწარმოების წაკითხვის, მასში გადმოცემული ამბის გაცნობის სურვილსა და ინტერესს აღუძრავს. აქედან გამომდინარე, სათაურის თარგმანსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” ოცი თავისაგან შედგება. თითოეულში მოთხრობილია საინტერესო ამბები. ნაწარმოებში მთავარი თემა არის ომი. მოვლენების პარალელურად, ვითარების მიხედვით აღწერილია სხვადასხვა საკითხები, რომლებიც სათაურების სახითაც არის გამოხატული. და მაინც, ყველაფერი პირდაპირ ან ირიბად ომის განცდებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მწერლისა და მკითხველის ყურადღების ცენტრში დგას ომი, მისი სისასტიკით გამოწვეული მწარე შედეგები. ამ ფონზე შესანიშნავად არის გამოხატული ქართული სამყარო, საზოგადოდ, ნაჩვენებია საგანგებო სიტუაციაში ადამიანის ხასიათი, მისი ფსიქოლოგია, რეაქცია მოვლენებზე, ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, ახლობლებთან, უცხოებთან... ეს ყველაფერი ვლინდება რომანის სათაურებში. მაგალითად, პირველი თავის სათაური არის “**მამიდა**”, მაგრამ მისი სახელი თითქმის მთელ რომანში იხსენიება და არა მარტო ამ თავში. ჩემი აზრით, ქეთევანი წარმოადგენს ქართველი ქალის განზოგადებულ სახეს. ამიტომ ავტორი მის სახელს სიმბოლურად იღებს და სათაურად აქცევს. ანალოგიურად შეიძლება ვიფიქროთ ხატიაზეც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ის, რომ ყველა სათაურს თავისი ფუნქცია და დატვირთვა აქვს, რაც ტექსტთან ერთად საინტერესო, მრავალფეროვან სურათს ქმნის.

რომანში ომის ამბებზე საუბარი იწყება პირველივე თავის – “მამიდა” (გვ. 217) ბოლო ეპიზოდებიდან და თითქმის მთელი ნაწარმოების ბოლომდე გრძელდება. ამ თავის პირდაპირი თარგმანი გამართლებული არ იქნებოდა. ქართულ ენაში ამ სიტყვის ეტიმოლოგია უფრო ნათელია (მამის და), ვიდრე თურქულში, სადაც **Hala** უფრო მიმართვის ფორმაა. **Амицом М**სათაურად იგი ვერ გამოდგებოდა. ალბათ, ეს გაითვალისწინა მთარგმნელმა და ტექსტის შინაარსის მიხედვით გადაიტანა სათაური “**Keto Hala**” (ქეთო მამიდა) (გვ. 7) (დაწვრილებით იხ. საკუთარი სახელები). შდრ.: გერმ. “**Tante Keto**” (მამიდა ქეთო) (გვ. 5); რუს. “**Тётя**” (მამიდა) (გვ. 201);

ახალგაზრდები ფრონტზე მიდიან სამშობლოს გადასარჩენად. სოფელში დარჩენილები კი ბრძოლას სხვანაირად აგრძელებენ. ამ გაჭირვებაშიც მიმდინარეობს სწავლა-განათლება. სკოლებში საჭირო გახდა სამხედრო საქმის სწავლება. არავინ იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს უბედურება. ალბათ, ბავშვებსაც მალე მოუწევდათ ომში წასვლა და ზუსტად ამ გაკვეთილებზე სწავლობდნენ ისინი სამხედრო საქმეს და ემზადებოდნენ ომისთვის. მომდევნო სათაურიც ზუსტად გამოხატავს ომის ამბებს:

“სამხედრო გაკვეთილი” (გვ. 240).

თურქულად: “**Askeri Ders**” (სამხედრო გაკვეთილი) (გვ. 39).

გერმ.: “**Vormilitärischer Unterricht**” (სამხედრო გაკვეთილი) (გვ. 36).

რუს.: “**Урок военного дела**” (სამხედრო საქმის გაკვეთილი) (გვ. 229);

საინტერესოა, რამდენად ზუსტად არის გადმოცემული სხვა თავების დასათაურება თურქულ თარგმანში.

გამოვყოფთ ადეკვატური თარგმანის ნიმუშებს:

აბსოლუტურად ადეკვატურად არის გადათარგმნილი შემდეგი სათაურები როგორც თურქულ, ასევე გერმანულსა და რუსულ ენებზე:

დედანში ზამთრის სცენა ვრცლად არის გადმოცემული. თოვლის გამო გადაადგილება და პროდუქტის შოვნა სოფლის მცხოვრებლებისათვის

განსაკუთრებით ომის დროს იყო პრობლემატური. ეს ყველაფერი დეტალურად არის მოთხრობილი და გაშიფრული რომანის ერთ-ერთ თავში “თოვლი” (გვ. 298).

სამივე ენაზე იგი უცვლელად არის გადათარგმნილი: თურქულად: “**Kar**” (თოვლი) (გვ. 114); გერმ.: “**Shnee**” (თოვლი) (გვ. 110); რუს.: “**Снег**” (თოვლი) (გვ. 301);

ომის დამთავრების შემდეგ ავტორი იხსენებს ბავშვობას, სხვა ბავშვებთან ურთიერთობას, მოსახლეობის ამბავს. ახლო წარსულსა და მის თანამედროვეობას ადარებს ერთმანეთს, ე.ი. ცხოვრებისეულ ზოგად მიმოხილვას აკეთებს და ამ ყველაფერს ათავსებს ერთ ფრაზაში, კერძოდ, სათაურში “**ასეთია ცხოვრება**” (გვ. 339).

თურქულად: “**Yaşamak Budur**” (ცხოვრება ეს არის) (გვ. 167).

გერმ.: “**So ist das beeben**” (ასეთია ცხოვრება) (გვ. 162).

რუს.: “**Такова жизнь**” (ასეთია ცხოვრება) (გვ. 353);

მწერალი ახალგაზრდების ომში წასვლის სცენას ადარებს ზღვის უკუქცევას. ავტორი წყლის გარეშე მყოფ თევზსა და უმამოდ დარჩენილ ბავშვს ადარებს ერთმანეთს და ამ გზით გვიჩვენებს, რომ იგი მთელი არსებით განიცდის ომის მავნებლობას. აქედან გამომდინარე, არჩეული აქვს ტექსტის სათაურად: “**ზღვის უკუქცევა**” (გვ. 224). იგი მეტ-ნაკლებად ადეკვატურად არის გადათარგმნილი: თურქულად: “**Gelgit**” (ზღვის უკუქცევა) (გვ. 17). შდრ. გერმ.: “**Die Ebbe**” (მიქცევა) (გვ. 15); რუს.: “**Отлив**” (მიქცევა) (გვ. 210);

ომის დროს რაიონში 200-მდე გერმანელი ტყვე იყო მოყვანილი. მათ შორის ზოგი ხანდახან ხალხშიც ჩნდებოდა. ერთ დღეს სოსოიასა და მამიდას კართან აღმოჩნდა ერთი გერმანელი ტყვე, რომელმაც არ იცოდა ქართული, სოსოიამ კი – გერმანული. სოსოია და მამიდა მას მაინც ეკითხებოდნენ: “\_ რა გინდა?” გერმანელი რუსულად პასუხობდა: “\_ ხლებ და პაპიროს”. მამიდამ თავისი მჭადითა და სოსოიამ თუთუნით უმასპინძლეს გერმანელს. ის კი მაღლიერების გამოსახატავად გერმანულად მაინც ამბობდა: “\_ ო, დანკე შონ, ფრაუ, დანკე შონ”, რაც სათაურადაც იქცა: “**დანკე შონ!**” (გვ. 372). იგი ქართულად მაღლობას ნიშნავს. საინტერესოა მისი თარგმანი. თურქულად გადატანილია პირდაპირ,



უთარგმნელად: **“Danke Schön”** (დანკე შონ) (გვ. 202); გერმანულად, რასაკვირველია, ზუსტი თარგმანია: **“Danke schön”** (გვ. 197); ასეა რუსულ ენაზეც: **“Данке шон”** (გვ. 395).

ერთ-ერთი მთავარი გმირის – ხატის მხედველობა რომანში თავიდან ბოლომდე აწუხებს პერსონაჟებს და განსაკუთრებით სოსოიას. მიუხედავად ამისა, ისინი არ აკლებენ ხატის ყურადღებას და იმედიანად არიან განწყობილი. ყველას სჯერა, რომ მას დაუბრუნდება მხედველობა. რაც მთავარია, ეს დანაკლისი არ აბოროტებს ხატის და მასაც სრული იმედი აქვს მხედველობის აღდგენისა. მართალია, ნაწარმოების ბოლოსაც ვერ ხედავს ხატია, მაგრამ ის წინ აყენებს ადამიანის მორალურსა და ჰუმანურ ბუნებას და არა ფიზიკურ მდგომარეობას. ამიტომ ამბობს: **“მე გხედავთ, ხალხო!”** (გვ. 390). ამ თავის სათაური თურქულად გადათარგმნილია ასე: **“Sizi Görüyorum İnsanlar”** (თქვენ გხედავთ, ადამიანებო!) (გვ. 223). შდრ. გერმ.: **“Ihr Menschen, ich sehe euch”** (ხალხო, მე გხედავთ თქვენ!) (გვ. 219); რუს.: **“Я вижу вас, люди!”** (მე გხედავთ თქვენ, ხალხო!) (გვ. 416).

მხოლოდ ერთი განსხვავებული რამ არის თურქულ ტექსტში: **ხალხის** ნაცვლად დასტურდება **ადამიანები**. არც იქნებოდა სწორი, სიტყვა **ხალხი** პირდაპირ რომ გადათარგმნილიყო. ავტორი მიმართავს ხალხს. თურქულად არ ჟღერს კარგად: *მე გხედავთ, ხალხო!* ამიტომ შეცვალა ეს სიტყვა მთარგმნელმა.

რომანის სათაურების თითქმის მესამედი შედგება პერსონაჟთა სახელებისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი ნაწარმოების გმირებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

რომანში ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია ბეჟანა. იგი, როგორც სასაცილო, ხუმარა, ოდნავ გონებაშეზღუდული, დადის ფეხშიშველი და ღიმილით, ხან ბავშვებს ეთამაშება, ხან მეზობლებს ეხმარება ფიზიკურად. ბეჟანა შეყვარებულია მინადორაზე და სიმღერებსაც უძღვნის მას. ამ ყველაფრით იგი ბავშვივით გამოიყურება. ეს ამბავი შესაბამისად არის დასათაურებული: **“ბეჟანა”** (გვ. 250), რაც ადეკვატურად არის გადათარგმნილი სამივე ენაზე: თურქულად: **“Bejan”** (გვ. 52). შდრ. გერმ.: **“Beshan”** (გვ. 50); რუს.: **“Бежан”** (გვ. 242), თუმცა უნდა

აღინიშნოს, რომ აქ ა- დაბოლოებიანი საკუთარი სახელის ნიუანსი იკარგება თარგმანში.

ომში დაღუპულთაგან ერთ-ერთი კაცი იყო კუკურა, რომლის მშობლები ლუკა ფოცხიშვილი და ვარვარა ბიცოლა მწარედ განიცდიდნენ შვილის დაღუპვას. კუკურას სურათი კედელზე იყო გაკრული. სოსოია და სოსოიას რუსი ამშვიდებდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ დაღუპულის მშობლებს, მაგრამ ისინი ისე განიცდიდნენ, რომ მათ მწუხარებაში თავს იყრიდა ომში დაღუპული ყველა ოჯახის მწუხარება. ამ ამბავსაც შესაბამისი სათაური აქვს: “კუკურა” (გვ. 300). ისიც თურქულ ენაზე ადეკვატურად არის გადათარგმნილი: “Kukura” (კუკურა) (გვ. 117). ასევეა წყაროებშიც: გერმ.: “Kukura” (კუკურა) (გვ. 114); რუს.: “Кукура” (კუკურა) (გვ. 304);

ბეგლარას წისქვილი იყო სოფლის ცხოვრების ამსახველი და ომში უქონლობისგან შეჭირვებული ხალხის იმედი. ბეგლარა და წისქვილი ერთმანეთის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ. მათი ერთმანეთის გარეშე წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ტექსტში ვრცლად მოთხრობილი ეს ყველაფერი სათაურად არის ქცეული: “ბეგლარას წისქვილი” (გვ. 308). ეს სათაური თურქულ თარგმანში დედნისეული სიზუსტით გამოიყურება: “**Beglar’ın Değirmeni**” (ბეგლარის წისქვილი) (გვ. 129). შდრ. გერმ.: “**Beglars Müble**” (ბეგლარის წისქვილი) (გვ. 126); რუს.: “**Мельница Беглара**” (ბეგლარის წისქვილი) (გვ. 315).

სათაურებად წარმოდგენილი ანთროპონიმები: ბეჟანა, კუკურა, ბეგლარა კნინობითი სახელებია. ისინი სამივე ენაზე გადათარგმნილია ა- დაბოლოების გარეშე (ამის შესახებ ვრცლად იხ. საკუთარი სახელები).

შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განხილული ანთროპონიმებით გადმოცემულ სათაურთა თარგმანი ადეკვატურია. მათგან განსხვავებით დასტურდება არაადეკვატური თარგმანის ნიმუშებიც:

რომანის მთავარი პერსონაჟი ხატია მთელ ტექსტში გამოირჩევა ღვთისმშობლის მსგავსი სილამაზითა და მაღალადამიანური ხასიათით. სამწუხაროდ, როგორც უკვე ბევრჯერ აღინიშნა, სათაურად ქცეული ხატიას სახელი (“ხატია” – გვ. 229) არ არის კარგად გადათარგმნილი თურქულ ენაზე:

“**Katya**” (გვ. 24). თურქული ტექსტის სათაურში სახელი (**Katya**) თითქმის ყველგან იხსენიება სრულიად სხვა ფორმით – **Matya**. შდრ. გერმ.: “**Chatia**” (გვ. 22); რუს.: “**Хатиа**” (გვ. 216);

ასევე არაადეკვატურად არის გადატანილი თურქულ თარგმანში სათაურად ქცეული ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი “**ცუცა**” (გვ. 219): “**Zuza**” (გვ. 144), მიუხედავად იმისა, რომ იგი გერმანულსა და რუსულ ტექსტებში ადეკვატურად არის გადათარგმნილი (დაწვრილებით იხ. საკუთარი სახელები). შდრ. გერმ.: “**Zuza**” (გვ. 140); რუს.: “**Цуца**” (გვ. 330).

რომანში სათაურად მოცემული ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი – “**ანატოლი**” (გვ. 282) რატომღაც გამოტოვებულია თურქულ თარგმანში, სათაურის გარეშე არის წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც ებმის წინა თავს “რას გვეკითხება ამოცანა” (გვ. 94). შდრ. გერმ.: “**Anatoli**” (გვ. 92); რუს.: “**Анатоли**” (გვ. 281).

უნდა აღინიშნოს, რომ მეტწილად არაადეკვატურია ქვემოთ მოცემულ სათაურთა თარგმანი:

ომის დაწყების შემდეგ სოფელში ფრონტიდან წერილებიც მოდიოდა ომის მდგომარეობის შესახებ. ერთ დღეს ფოსტალიონმა კოწიამ მოიტანა წერილი და სოსოიამ დაიწყო ხმამაღლა მისი წაკითხვა. ხალხი დიდი ყურადღებითა და განცდით უსმენდა მას. ამ წერილიდან გაიგეს, რომ საბჭოთა ჯარები უკვე ტოვებდნენ ქალაქებს. მერე გლეხმა დაიწყო ომზე მსჯელობა და საუბრობდნენ იმაზე, რომ მთელი ევროპა ჰიტლერს უჭერდა მხარს. ეს კი გერმანელების გამარჯვებას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ხალხი, თითოეული ჯარისკაცი და სოფლის მაცხოვრებელი იმედიანად იყო განწყობილი და ყველა გამოთქვამდა საკუთარ შეხედულებას. მათ შორის ბესარიონ შალიკიშვილმაც გამოხატა აზრი და თქვა: “**ასე კი არაა საქმე**”, რაც ამ თავის სათაურად იქცა (გვ. 235).

აღნიშნული სათაურის თურქული თარგმანი არ არის ადეკვატური: “**Hiçbir Şey Olmadır**” (არაფერი არ მოხდა) (გვ. 32). გერმანულსა და რუსულში კი ადეკვატურია: გერმ.: “**So einfach ist das alles nicht**” (ყველაფერი ასე ადვილი არ არის) (გვ. 30); რუს.: “**Всё это не так просто**” (ყველაფერი ასე ადვილი არ არის) (გვ. 222).

ომის პერიოდში სოფელში იმართებოდა კოლმეურნეობის კრება, სადაც სოფლის მაცხოვრებლები მსჯელობდნენ პრობლემებზე. ერთხელ კრებაზე წამოჭრეს საკითხი, რომელიც ეხებოდა ედემიკას თხის რძის ფარულად მოწველას. რძის მომპარავის დასადგენად კრების თავმჯდომარემ – ზოსიმემ დასვა კითხვა: “რას გვეკითხება ამოცანა?” (გვ. 266). სწორედ ეს არის გამოყენებული სათაურად. მისი თურქული თარგმანი არაადეკვატურია: **”Okulda Olağanüstü Bir Saat”** (სკოლის ერთი საგანგებო საათი) (გვ. 75). ამის საფუძველია გერმანული თარგმანი: **”Eine ungewöhnliche Schulstunde”** (ერთი უჩვეულო სასკოლო გაკვეთილი) (გვ. 72). შდრ. რუს.: **”Что спрашивается в задаче”** (რას გვეკითხება ამოცანა) (გვ. 262);

რომანის ერთ-ერთი თავის სათაურია **”ბოლატი”** (გვ. 286). სიტყვა **ბოლატი**, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეკუთვნის გურულ ლექსიკას. იგი სამივე ენაზე გადათარგმნილია მისი სალიტერატურო შესატყვისით (იხ. დიალექტიზმები): თურქულად: **”Balıkçılık”** (თევზაობა) (გვ. 99). შდრ. გერმ.: **”Der Fishfang”** (თევზაობა) (გვ. 97); რუს.: **”Рыбалка”** (თევზაობა) (გვ. 286);

სათაური **”ტრიუმფალური შეტევა”** (გვ. 326) ნაწილობრივ ადეკვატურად არის გადათარგმნილი სამივე ენაზე: თურქულად: **”Saldırı”** (თავდასხმა) (გვ. 154). შდრ. გერმ.: **”Der Sturmangriff”** (შეტევა) (გვ. 149); რუს.: **”Атака”** (შეტევა) (გვ. 339);

ზოგიერთი თავის სათაური, მაგალითად, **”ზრდილობა”** (გვ. 364), გამოტოვებულია გერმანულ თარგმანში (რუსულში არის: **”Вежливость”** – გვ. 384); ამიტომ, ბუნებრივია, იგი არ არის არც თურქულში, თუმცა აღნიშნული სათაურის შესაბამისი ტექსტი შემცირებული სახით მიბმულია წინა თავზე (**”ასეთია ცხოვრება”**).

სოსოიას, ხატიასა და სხვების სუფსაში ფაცერით თევზაობის დროს დაიწყო **ლანქრობა** (**ლანქერი** – დამდნარი თოვლი, ღვარად წამოსული – ქეგლ, გვ. 595). ხატიას, სახიფათო ადგილზე მოხვედრილს, დახრჩობა ემუქრებოდა. მისთვის დახმარების გაწევა სარისკო იყო. ატყდა პანიკა და წივილ-კივილი. ამ დროს მოულოდნელად უცნობი ვიღაც გადაეშვა წყალში ხატიას საშველად. მიუახლოვდა მას და ნაპირზე გამოიყვანა. ხატია გადარჩა. ხალხმა ამოიოხრა, მაგრამ ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ეს თავდახრილი კაცი. ის იყო დათიკო ბრიგადირი,

რომელსაც სახეზე ემჩნეოდა დანაშაულის გრძნობა და, ასევე, ამ საქციელის გამო ხალხისგან მადლიერების გამოხატვის მოლოდინში იყო. მაგრამ არავინ არ ამოილო ხმა. მართალია, დათიკო ბრიგადირი დეზერტირი იყო, მაგრამ თვითონაც ესმოდა, რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და ამიტომ, როგორც კი მომენტი ნახა, გამოიყენა ხატიას გადასარჩენად, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ეს ყველაფერი დაწვრილებით არის გადმოცემული სათაურში: **“ლანქრობა”** (გვ. 380). აღნიშნული თავი თურქულად ასე გამოიყურება: **“Su Baskını”** (წყლის შეტევა) (გვ. 212). შდრ. გერმ.: **“Hochwasser”** (წყალდიდობა) (გვ. 207); რუს.: **“Паводок”** (წყალდიდობა) (გვ. 405);

ერთ-ერთი სათაური – **“დათიკო ბრიგადირი”** (გვ. 245) უკავშირდება დეზერტირ დათიკო ბრიგადირს, რომელსაც უყვარდა ქეთევანი (მამიდა) და ერთი სული ჰქონდა, როგორმე მისულიყო ფარულად ქეთევანთან. რომ არ გამოჩენილიყო, გადაწყვიტა, ღამე მისულიყო და ასეც მოიქცა. იგი ტექსტის შინაარსის მიხედვით არის გადათარგმნილი თურქულად და ამ თვალსაზრისით შეესაბამება დედნისეულ სათაურს: **“Gece Ziyareti”** (ღამის ვიზიტი) (გვ. 45). ეს მომდინარეობს გერმანული თარგმანიდან: **“Nächtliche Besuch”** (ღამის ვიზიტი) (გვ. 43). აღნიშნული თავის სათაური რუსულშიც არ არის დედნის ადეკვატური. თურქულის მსგავსად, აქაც დედნისეული შინაარსიდან გამომდინარე არის გადათარგმნილი: **“Возвращение”** (დაბრუნება) (გვ. 235);

ამრიგად, ნ. დუმბაძის რომანის ოცი თავის სათაურისაგან თურქულად გადათარგმნილია თვრამეტი. გამოტოვებულია ორი – **“ანატოლი”** და **“ზრდილობა”**. ეს უკანასკნელი არ არის გერმანულშიც, თუმცა ტექსტი გადმოცემულია როგორც თურქულ, ისე გერმანულ თარგმანშიც. რაც შეეხება რუსულს, აქ ოცივე სათაური სრულყოფილად არის გადმოცემული.

რომანის სათაურების დიდი ნაწილი ადეკვატურად არის გადათარგმნილი თურქულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ დედნისეული სათაურები წყაროებში პირდაპირ არ არის გადატანილი. როგორც ჩანს, სათაურების დარქმევის დროს მთარგმნელებს გათვალისწინებული აქვთ ტექსტის შინაარსი და არა ორიგინალის სიზუსტე.

**ილუსტრაციები.** ცსაინტერესოა დედანსა თუ თარგმანებში წარმოდგენილი ილუსტრაციებიც. მხატვრული ნაწარმოების ილუსტრირებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. იგი ქმნის განწყობას, შეჰყავს მკითხველი ტექსტის სამყაროში, ეხმარება შინაარსის უკეთ აღქმაში. კითხვის პროცესში სურათს განტვირთვის ფუნქციაც აკისრია... ამ თვალსაზრისით ნ. დუმბადის რომანის თარგმანებში განსხვავებული ვითარებაა: ქართულ ტექსტში ილუსტრაცია ახლავს მხოლოდ წიგნის სათაურს. აქ ილუსტრირების საფუძველს წარმოადგენს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – ხატია. წიგნის სათაურის ქვეშ სწორედ მისი სურათია წარმოდგენილი. მხატვარი ხატიას სახეში აქსოვს მის კეთილშობილებასა და სათნოებას ანუ გვიხატავს ისეთს, როგორც არის აღწერილი ეს პერსონაჟი ტექსტში.

რაც შეეხება რუსულ თარგმანს, აქაც ილუსტრაცია მხოლოდ წიგნის სათაურს ახლავს. სურათიც სათაურიდან გამომდინარეა შექმნილი: შემადღებულ ადგილას შეფენილ სოფელს ზედ დაჰყურებს ღრუბლებით გარშემორტყმული მზე. სოფლის განაპირას კი ერთად მოჩანან რომანის მთავარი პერსონაჟები – ხატია და სოსოია. სურათში აღნიშნულია ნაწარმოების ის ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც ხატია და სოსოია სიმინდის საშოვნელად გაემართნენ.

ქართულისა და რუსულისაგან განსხვავებით გერმანული ტექსტი ილუსტრირებულია – მხატვარი: გიუნთერ შთაინი (Gunter Stein). სწორედ ასეა თურქულ თარგმანშიც – მხატვარი: ნურალ ბირდენი (Nural Birden). განსხვავება ისაა, რომ გერმანულ თარგმანში სურათები ჩართულია ტექსტში (თითო თავში თითო ილუსტრაცია მაინც არის), ხოლო თურქულში თითქმის ყველა თავს უძღვის ილუსტრაცია. ტექსტში სურათები არ არის. განსხვავებაა ილუსტრაციებშიც. ამაში ჩანს, როგორ აღიქვამენ გერმანელი თუ თურქი მთარგმნელები ეპიზოდის შინაარსს. ამით უნდა აიხსნას თურქულ თარგმანში წარმოდგენილი ილუსტრაციების განსხვავებულობა. მთარგმნელი გაეცნო გერმანული ტექსტის ილუსტრაციებს, ძირითადად შეცვალა ილუსტრირების პრინციპიცა და ზოგჯერ შინაარსიც, ზოგჯერ დატოვა იგივე, თუმცა მცირეოდენი ცვლილებებით.

მაგალითად: თურქულ თარგმანში პირველი თავის სათაურის – “ქეთო მამიდა” ზევით წარმოდგენილია ამ თავის ერთ-ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია: სოფლის მოსახლეობა შეკრებილია ფოსტის წინ და თოხებზე დაყრდნობილი შეჰყურებს რაღაცას. ტექსტის მიხედვით ისინი უსმენენ რეპროდუქტორს, რომელიც ომის დაწყებას აუწყებს ხალხს. ეს სურათი ნამდვილად გადმოსცემს ამ ეპიზოდში აღწერილ სიტუაციას; აგრეთვე XV თავში – “ასეთია ცხოვრება” – ილუსტრირება სხვადასხვაგვარია: გერმანულ ტექსტში სურათზე გამოსახული არიან ხატია და სოსოია ვირითა და ჩექმებით; თურქული ტექსტის ილუსტრაცია კი ასახავს ბაბილოსა და კაჭანოს სახეებს და მათკენ შორიდან მომავალ ხატიასა და სოსოიას. მაშასადამე, გერმანული ტექსტის ილუსტრაცია უფრო გამოხატავს დედნისეულ შინაარსს, ვიდრე თურქული.

აბსოლუტურად იდენტური ილუსტრაციები თურქულსა და გერმანულ ტექსტებში არ დასტურდება.

მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს გერმანულ თარგმანში წარმოდგენილი გადაწყვეტა ილუსტრირებისა. მკითხველი ჯერ ეცნობა ეპიზოდს, შემდეგ უკეთ გაიაზრებს ნაწარმოების შინაარსს ილუსტრაციის თანხლებით. თურქ მთარგმნელს კი წინასწარ, სათაურშივე აქვს მოცემული იმის ამსახველი სურათი, რაზეც შემდეგ იქნება საუბარი. შესაძლებელია, ეს იმით აიხსნას, რომ მთარგმნელს სურს განაწყოს, დააინტერესოს მკითხველი გადმოსაცემი აზრის წასაკითხად და შესაცნობად.

თურქულ თარგმანში ილუსტრირებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ გერმანულში თერთმეტი სურათია, თურქულში წარმოდგენილია ჩვიდმეტი. ყველა ილუსტრაცია ორივე თარგმანში “განსხვავებულია”. თურქულსა და გერმანულ ტექსტებში ილუსტრირებული არ არის შემდეგი თავები: XIV – “ანატოლი”, XVI – “ზრდილობა”, XVII – “დანკე შონ”, მხოლოდ გერმანულში კი: IV – “ასე კი არაა საქმე”, VI – “დათიკო ბრიგადირი”, IX – “ბოლათი”, X – “თოვლი”, XI – “კუკურა”, XII – “ბეგლარას წისქვილი”, XIII – “ცუცა”.

თურქ მთარგმნელს შეეძლო პირდაპირ გადაეტანა გერმანული ილუსტრაცია თურქული ტექსტისთვის, მაგრამ მან დამოუკიდებლად, საკუთარი გემოვნებით

შეუკვეთა მხატვარს ილუსტრაცია. საინტერესოა ისიც, რომ გერმანულ ტექსტში არაილუსტრირებული რამდენიმე თავი თურქულ ტექსტში ილუსტრირებულია. გერმანული ხომ თურქულისთვის წყაროენაა, ე.ი. ესეც თურქი მთარგმნელის დამოუკიდებელ შემოქმედებით მიდგომაზე მეტყველებს.

გასაგებია, რომ მხატვრული ნაწარმოების ილუსტრაციებს გარკვეული დატვირთვა და აზრი აქვს, მაგრამ მაინც გაუგებარია, თუ რატომ ჩათვალეს საჭიროდ თურქმა და გერმანელმა მთარგმნელებმა დედნისგან განსხვავებული ილუსტრაციების ჩართვა. ვფიქრობთ, რომ ეს მათ გემოვნებასთან არის დაკავშირებული.

### **თავი III. Qქართველი და თურქი ხალხების კულტურათა ურთიერთმიმართება რომანის თარგმანის მიხედვით**

ყოველ ერს აქვს საკუთარი სარწმუნოება, კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები და ა. შ., რაც სხვა ხალხის კულტურას ან შეესაბამება, ან \_ არა. სამყაროში ადამიანი არის ყველაზე ღირსეული ქმნილება. ამ წინადადებას ბიბლიური



საფუძველიც აქვს: ღმერთმა შექმნა ადამიანი, თანვე განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან. მოკლედ, ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ამა თუ იმ ერის კულტურას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს განსაზღვრავს რელიგია. რელიგიას გამაერთიანებელი ძალა აქვს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მ. ჩიტეიშვილის მოსაზრება: “რელიგიის ისტორიის კვლევამ გვიჩვენა, რომ რელიგიებმა გარკვეული როლი (ზოგჯერ გადამწყვეტიც) ითამაშეს ხალხების ისტორიაში. ესა თუ ის რელიგიური მოძღვრება თუ მიმდინარეობა ამა თუ იმ ეპოქაში ხალხებისათვის გათიშვისა თუ გაერთიანების საფუძველი გახდა. ასე, მაგალითად, ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოს აერთიანებდა ერთი რელიგიური რწმენა, ქრისტეს რწმენა” (ჩიტეიშვილი 2001: 6).

სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ერის ყოფა-ცხოვრება, რასაკვირველია, განსხვავებული შეიძლება იყოს, თუმცა ხშირად ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ისლამი და ქრისტიანობა \_ ორივე ქადაგებს სიკეთეს, სიწმინდეს, ადამიანის კეთილდღეობასა და ა. შ. ამიტომ ადამიანი მაქსიმალურად ზრუნავს, რომ შექმნას მისთვის სასურველი ცხოვრება. აქედან გამომდინარე, სხვა ერის ტრადიციების საკუთარ ტრადიციებთან შეუსაბამობის გამო ზოგჯერ, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ადამიანთა შორის შეუთანხმებლობასა და განხეთქილებას. ეს არ უნდა ხდებოდეს, რადგან ეს სამყარო, საერთოდ, ყველაფერი, ღმერთმა შექმნა ადამიანისთვის და მან უნდა იცოდეს ამის ფასი.

### 3.1. რელიგიური წარმოდგენები და ტრადიციები

რელიგია იმ ღვთაებრივი პრინციპების ნაკრებია, რომელთაც ადამიანებისათვის მოაქვს სიკეთე. ვინც ამ პრინციპებით ცხოვრობს, რწმენას,

სულიერ სიმშვიდესა და უსაფრთხოებას მოიპოვებს: “ვისაც ალაჰისა და საიქიოს რწმენა აქვს და სასარგებლო საქმეს აკეთებს, მას ღმერთი დააჯილდოვებს. მას ვერაფერი ვერ შეაშინებს, ღმერთი დაიცავს” (ყურანი, 2, 62). სარწმუნოება ადამიანს სწორი გზით ატარებს და ბედნიერების კარიბჭესთან მიიყვანს.

ნებისმიერი რელიგია ჯანსაღ აზრს, სიბრძნეს ეყრდნობა. ტრადიციები, ადათ-წესები ცვალებადია, ხოლო რელიგია, კერძოდ, რელიგიის დებულებები, უფრო მყარია. მაგალითად, ტრადიცია (მოდა) შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, რელიგიის კანონები კი უცვლელია. სახელდობრ, კაცის კვლა ისლამსა და ქრისტიანობაში იმთავითვე იყო აკრძალული, ასეა დღესაც და ასე იქნება მომავალშიც.

ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქულ ენაზე შესრულებულ თარგმანში ასახულია ქართველი და თურქი ხალხების რელიგიურ წარმოდგენათა საერთო და განსხვავებული მხარეები.

დედანში ხშირად არის ნახსენები ღმერთის სახელი, თურქულ თარგმანში კი შესატყვისი ხან არის და ხან – არა (გარკვეული მოტივაციის შესაბამისად). მაგალითები: “ღმერთი არ გწამს, ქიშვარდია?.. ღმერთო, შენ მაინც არ გეცოდები?” (გვ. 281).

თურქულად: “*Kişvardi, sende hiç Allah korkusu yok mu?*” (ქიშვარდი, შენ სულ არა გაქვს ღმერთის შიში?) (გვ. 92).

ამ შემთხვევაში თარგმანი არ არის ადეკვატური, ბოლო ფრაზა გამოტოვებულია. მთარგმნელი ღმერთის საყვედურს არიდებს თავს. შდრ. გერმ.: “*Kischwardi, hast du gar keine Gottesfurcht?.. Gott, hab du wenigstens Mitleid mit mir!*” (ქიშვარდი, სულ არა გაქვს ღმერთის შიში? ღმერთო, ცოტათი მაინც არ გეცოდები?) (იქვე).

ასე გრძელდება შემდეგაც: ფოსტალიონი კოწია, სულ ავი ამბის მაუწყებელი წერილები რომ მოაქვს, წუხს და ამბობს: “(ღმერთო), ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ დაურიგე ამ ხალხს ავი ცნობები” (იქვე).

თურქულად: “*Al bakalım bu işi kendi sırtına, bütün bu haberleri sen taşı bakalım*” (აბა, იკისრე ეს საქმე შენს საკუთარ თავზე, მთელი ეს ამბები შენ ატარე) (იქვე).

შდრ. გერმ.: *“Komm herab zu uns und trag du alle diese Nachrichten aus”* (ჩამოდი და მთელი ეს ამბები შენ დაარიგე) (გვ. 90).

ვნახოთ, როგორ გრძელდება ეს დიალოგი ქართულ და თურქულ ტექსტში:

– *შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მე კაცი ვარ, კაცი, მეტი აღარ შემიძლია*” (იქვე).

თურქულად: *“Sen ki bir Tanrısın, her şeye gücün yeter”* (შენ ხომ ღმერთი ხარ და ყველაფერს უძლებ) (იქვე). შდრ. გერმ.: *“du bist der Gott und erträgst alles...”* (შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს აიტან...) (იქვე).

ტექსტის ამ მონაკვეთში მთარგმნელი ახსენებს ღმერთს, მაგრამ არ თარგმნის ფრაზას: *“მე კაცი ვარ, კაცი”*. ალბათ, იმიტომ არ თარგმნის, რომ ღმერთის მაგივრად დასახელებული ქიშვარდიც კაცია და გაუგებრობა სწორედ თურქული ტექსტის პირველივე სტრიქონიდან იჩენს თავს: *“Kışvardi, sende hiç Allah korkusu yok mu?”* (ქიშვარდი, შენ სულ არა გაქვს ღმერთის შიში?). ეს ყველაფერი ეჭვს იწვევს თურქ მკითხველში. გერმ.: *“Kischwardi, hast du gar keine Gottesangst?”* (ქიშვარდი, შენ ღმერთის შიში არა გაქვს?) (გვ. 90).

შეიძლება არ გავიზიაროთ ღმერთის მიმართ საყვედური ავტორისა. ღმერთის ნაცვლად მხოლოდ ქიშვარდის დასახელებაც ჩვენთვის მთლად მისაღები არ არის, რომელიც თურქი მკითხველისთვისაც ქცეულა შენიშვნის საგნად (იხ. 3. 2.). მაგალითად:

– *გეყურება შენ, ღმერთო, რას დამუნჯებულხარ, ამოიღე ხმა*... (გვ. 281).

თურქულად: *“Hey ulu Tanrım, dedi. Hey koca Tanrı, beni duyuyor musun? Niye susuyorsun, hadi konuş!”* (ჰეი, შენს დიდებას, უფალო ღმერთო, ჩემი არ გესმის? რატომ ხარ გაჩუმებული?) (გვ. 92). გერმ.: *“Hörst du mich, Gott?! Warum bleibst du stumm? Sag doch wenigstens ein Wort!”* (გესმის ჩემი, ღმერთო, რატომ ხარ გაჩუმებული? მითხარი რამდენიმე სიტყვა!) (იქვე).

მართალია, ღმერთის მიმართ საყვედური არ არის მიღებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანი გამოსავალს ღმერთის რწმენაში ხედავს და მას მიმართავს. მიმართვის ფორმა ჩვეულებრივი მოკვდავის სისუსტეზე უფრო მეტყველებს.

ღმერთი ადამიანს არ აკისრებს ისეთ ტვირთს, რის ზიდვასაც იგი ვერ შეძლებს. ადამიანს აქვს ნებისყოფა და იმის გამოყენების უნარი, რაც მიანიჭა ღმერთმა. ააი, რას წერს თურქი მკითხველი ამის შესახებ: “არ მიმაჩნია სწორად, როდესაც კოლმეურნეების კრებაზე ერთი ამბობს: “უფალო, თუ დაინახე, ვინც მოიპარა რძე, ჩვენც მიგვანიშნეო”. უფალი ყველაფერს ხედავს და ამაში ეჭვის შეტანა დაუშვებელია. მწერალმა ყურადღება უნდა მიაქციოს ყველაფერს, რაც სარწმუნოებას ეხება” (ჰ. იალჩინი – დიასახლისი, 33 წლის, ქ. ჰათაი).

ჩვენც ვეთანხმებით თურქ მკითხველს. “ღმერთის რწმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ღმერთი ყოვლად სრული უმაღლესი არსებია. ის მარადიული, ყოვლად ბრძენი შემოქმედია არსებული სინამდვილისა” (ჩიტეიშვილი 2005: 17). ააქვე ჩნდება ადეკვატური თარგმანის პრობლემა. მთარგმნელმა ორმაგი ყურადღება უნდა გამოიჩინოს და სათანადოდ გაიაზროს ავტორის ჩანაფიქრი. მკითხველი არ ითვალისწინებს იმას, რომ ის თარგმანს კითხულობს, არამედ პირდაპირ შინაარსზე ფიქრობს და შესაბამისად გამოაქვს დადებითი ან უარყოფითი დასკვნა დედნის ავტორისა თუ მასში ასახული ხალხის შესახებ. ასე რომ, დედანსა და თარგმანს შორის დიდ როლს ასრულებს მთარგმნელი, ხალხებს შორის კი – მკვლევარი.

ნ. დუმბაძის რომანში არის სხვა ისეთი მაგალითებიც, ორივე ხალხისთვის რომ არ არის მისაღები. მაგალითად, ბეჟანა ეუბნება დათიკოს: “\_ რას შვები, შე უღმერთო! \_ დაიღრიალა უცებ ბეჟანამ” (გვ. 294).

თურქულად: “*Ulan Allahsız herif*”, dedi Bejan, “*Ne yapıyorsun?*” (შე უღმერთო კაცო, რას შვრები? \_ თქვა ბეჟანმა) (გვ. 109). გერმ.: “*Was tust du, du du Gottloser!*” \_ *schrie Beshan*” (რას აკეთებ, შე უღმერთო! \_ იყვირა ბეჟანმა) (გვ. 107).

როცა ადამიანი ბრაზდება მეორე ადამიანზე, მაშინ მიმართავს მას ასე: “შე უღმერთო...” ეს მაშინაც ითქმება, როცა ადამიანი უღვთო საქციელს ჩაიდენს. ამგვარი გამოთქმა პირობითია, ემოციის ნიადაგზე გაჩენილი, რადგან უღმერთო ადამიანი არ არსებობს.

დაახლოებით ამდაგვარია შემდეგი მაგალითიც: კრებაზე ედემიკას შენიშვნას აძლევენ: “\_ ღმერთი არ გწამს მერე, ინვალიდ თხას რომ წველი?” (გვ.

273). ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთის რწმენის მქონე ადამიანს არა აქვს ცხოველის წვალეების უფლება.

თურქულ თარგმანში დედნის შინაარსი გადმოცემულია, მაგრამ არ არის ნახსენები ღმერთი, რადგან აქ რწმენის საკითხი დგას და ამას თავს არიდებს თურქი მთარგმნელი: *“Sakat bir keçiyi sağmaktan utanmaz mısın?”* (არ გრცხვენია, ინვალიდ თხას რომ წველი?) (გვ. 82). შდრ. გერმ.: *“Schämst du dich nicht, du Frevler, eine invalide Zeige zu melken?”* (არ გრცხვენია, შე ნაძირალა, ინვალიდ თხას რომ წველი?) (გვ. 79).

სხვა შემთხვევაშიც არიდებს თავს მთარგმნელი ღმერთის ხსენებას: საშურას, რომელიც რძის მოპარვას აბრალებს დათიკოს, ვასასი აფრთხილებს:

*“ \_ ცოდვა არ თქვა, საშურა! \_ გააფრთხილა ვასასიმ.*

*\_ ნუ გეშინია, ამ ცოდვას როგორმე მაპატიებს ღმერთი, \_ დაამშვიდა საშურამ”* (გვ. 275).

ამ ეპიზოდებიდან ჩანს, რომ დაბრალება აკრძალულია და ცოდვად ითვლება. საშურას გვერდით მყოფი ვასასი ღმერთის რწმენითა და ადამიანური მოვალეობის გრძნობით აფრთხილებს საშურას. აქ ვლინდება რელიგიის როლი ადამიანთა ურთიერთობაშიც. საშურა ხვდება, რომ ცოდვა ჩაიდინა და ღმერთის პატიებაზე საუბრობს. იგი ღვთის მოიმედეა. ამ ელემენტარულ მაგალითშიც ვლინდება ქართველი ხალხის რწმენა, ღვთისადმი დამოკიდებულება.

ასეა ეს ისლამშიც (დაბრალება ცოდვად ითვლება. ადამიანმა ჯერ ადამიანს უნდა მოუბოდიშოს და შემდეგ ღმერთს უნდა სთხოვოს პატიება). სპეციალური გამოთქმაც კი არსებობს: **Tövbe etmek** (მონანიება). ცოდვის თაობაზე ყურანში უამრავი დებულებაა: *“Nisa/31. Eğer yasaklandığınız büyük günahlardan kaçarsanız, sizin küçük günahlarınızı örteriz ve sizi şerefli bir yere sokarız”* (თუ ჩვენ მიერ აკრძალულ დიდ ცოდვებს თავს მოარიდებთ, მაშინ თქვენს პატარა ცოდვებსაც დავფარავთ და ღირსეულ ადგილზე დაგაყენებთ) (Aslan, Demir 2002: 934).

მონანიება ისე მნიშვნელოვანია მუსლიმებისათვის, რომ მუჰამედის ორმოცი ჰადისიდან (გადმოცემები მუჰამედის სიტყვათა და საქმეთა შესახებ) ერთ-ერთი მას ეხება: *“Kulunun tövbe etmesinden dolayı Allah Teala'nın duyduğu memnuniyet, sizden*

birinin ıssız çölde kaybettiği devesini bulduğu zamanki sevincinden çok daha fazladır” (ღმერთი მისი მსახურის მონანიების გამო იმაზე მეტ სიამოვნებას განიცდის, რასაც თქვენ უდაბნოში დაკარგული აქლემის პოვნა განიჭებთ) (40 Hadis Tercüme ve Şerhi: 2008: 46);

ყურანში მოცემული ლოცვაც ამაზე მიუთითებს: *“Ey Rabbimiz, (sana) inanıyoruz, bizi affet, günahlarımızı bağışla ve bizi ateşin azabından emin kıl”* (ეი, უფალო, შენი გვწამს, ჩვენ შეგვიწყალებ, ჩვენი ცოდვები გვაპატიე და ცეცხლის ტანჯვისაგან დაგვიფარე) – Kur’an-ı Kerim, 3/16 (Yalsızuçanlar 2004: 40).

საინტერესოა, ზემოთ აღნიშნული ეპიზოდი როგორ არის გადათარგმნილი თურქულად: *“\_ Eh suçu attın üstünden Şaşura”, dedi Vassari. “Suçu atıp rahatladın ha?\_ Günahı vebali benim boynuma”, dedi Şaşura”* (ეჰ, ბრალი უკვე მოიხსენი კისრიდან, \_ თქვა ვასასიმ, \_ ბრალი მოიხსენი და ამოისუნთქე ხომ? ჩემს ცოდვაზე მე ვაგებ პასუხს, \_ თქვა საშურამ) (გვ. 85). შდრ. გერმ.: *“Lädst du dir auch keine Schuld auf die Seele, Saschura? fragte Wassassi. Keine Angst, diese Sünde würde der liebe Gott mir verzeihen!” versicherte Saschura”* (ცოდვას ხომ არ იღებ კისერზე საშურა? \_ ჰკითხა ვასასიმ. ნუ გეშინია, ამ ცოდვას ღმერთი მაპატიებს! \_ დააიმედა საშურამ) (გვ. 82).

თარგმანი აქაც არაადეკვატურია: ვასასი არც ახსენებს საშურას, იმას, რომ მან ცოდვა ჩაიდინა და თავისთავად არც ჩანს საშურას იმედი ღმერთისგან პატიებისა. დედნისეული სინამდვილე შესაბამისად რომ ასახულიყო თარგმანში, თურქი მკითხველი უფრო გაერკვეოდა ქართველი ხალხის რწმენაში.

რომანში განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი ღვთისმშობელი, რაც არც არის გასაკვირი. ნაწარმოების ავტორი ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილია.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რა მნიშვნელობა ენიჭება ღვთისმშობელს, საერთოდ, ქრისტიანობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ჩვენ უფლება გვაქვს, იგივე ვთქვათ, საერთოდ, ისლამისა და, კერძოდ, თურქი ხალხის მიმართ. რა თქმა უნდა, ისლამში მარიამი წმინდანად არის აღიარებული, მაგრამ იგი არის ჩვეულებრივი ხორციელი დედა ქრისტესი. ამიტომ მას თურქულში ხშირად **Meryem Ana**-ს უწოდებენ. ღვთისმშობელი ისეთი

მნიშვნელოვანი და წმინდა ფიგურაა მუსლიმანებისთვის, რომ თითქმის სამი გოგონადან ერთს სახელად მარიამს (თურქულად **Meryem**) არქმევენ: “იესო წმინდა მარიამის შვილია. მარიამი სამოთხის რამდენიმე მანდილოსნიდან ერთ-ერთი ყველაზე კეთილი ქალბატონია. ზოგიერთი თეოლოგის მიხედვით ის გამორჩეულია თავისი სიწმინდით. ის სუფთა ტომის ასულია, რომელიც დაბადებიდანვე პატიოსნად იზრდებოდა“ (Yıldırım 1996: 3).

“ყურანში მე-19 სურას “მარიამი” ეწოდება. მარიამი 12 სურის 31 აიაში არის ნახსენები, აქედან სამ აიაში ორ-ორჯერ. გარდა ამისა, 11 სურას 22 აიაში (2:87, 256; 3:45; 4:157, 171; 5:17, 17, 46, 72, 75, 78, 110, 112, 114, 116; 9:31; 19:34; 23:50; 33:7; 43:57; 57:27; 61:4, 16) მარიამი გვხვდება ფრაზაში: “**იესო, ძე მარიამისა**”, მამის ხსენების გარეშე, რადგან ისლამის მიხედვით იესოს არ ჰყავდა მიწიერი მამა” (მახარაძე 2003: 192).

გ. ლობჯანიძის აზრით, მარიამი ყურანში არის არა იმდენად საკუთარი სახელი, რამდენადაც სახე-სიმბოლო, რომელიც ტიპოლოგიურად იმეორებს ისლამამდელი არაბული პოეზიის სახე-სიმბოლოთა არქიტექტონიკას და, როგორც თავისებური ალეგორიული კოდი, გარკვეულ ცნებას ანდა ქალის იდეალურ სახეებაში თავმოყრილ მნიშვნელოვან თვისებებს გამოხატავს (ლობჯანიძე 2003: 64).

პატივისცემა იმაშიც გამოიხატება, რომ მუსლიმანი ღვთისმშობლისადმი სახელით მიმართვის უფლებასაც არ აძლევს თავს, სახელის წინ ამატებენ **Hz-**ს, რაც ნიშნავს **უწმინდესს** (Hazreti Meryem). ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ასე მოიხსენიებენ მას: **Meryem Ana** (დედა მარიამი).

სამწუხაროდ, თარგმანში ეს ასე არ არის. ზოგჯერ თურქულ ტექსტში დარღვეულია ზემოთ აღნიშნული ტრადიცია და **ღვთისმშობელი** სულ სხვაგვარად არის მოხსენიებული. ჩვენ უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, რომ თურქი მთარგმნელი ხშირად არიდებს თავს პირდაპირ თარგმანს, რათა დაიცვას დედნის აზრობრივი სიზუსტე. მას აქაც შეეძლო აერიდებინა თავი პირდაპირი თარგმანისთვის:

“ \_ მამიდა ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს, მარიამს, და ქეთევანი ჰქვია” (გვ. 219).

თურქულად: *“Halam, gözüme hep, büyükbabamın sandığındaki Tanrının anasının resmine benzeyen o Madonna gibi görünüyordun”* (მამიდა, ჩემს თვალში მადონას, ღმერთის დედის, სურათს ჰგავდა და ეს სურათი ბაბუაჩემის სკივრში ინახებოდა) (გვ. 10). შდრ. გერმ.: *“Ehrenwort, sie sah aus wie die Madonna, wie die Mutter Gottes auf der Ikone in Großvaters Truhe”* (გეფიცებით, ის გამოიყურებოდა, როგორც მადონა, როგორც ღვთისმშობელი იმ ხატზე, ბაბუაჩემის სკივრში რომ ინახება) (გვ. 8).

ზოგიერთ ეპიზოდში სიტყვა “ღვთისმშობელი” არც არის გადატანილი. მაგალითად: “ \_ მამიდაჩემი დგას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთისმშობელივით ლამაზი” (გვ. 226).

თურქულად: “ \_ Keto Halam, köy kilisesinin önünde, bembeyaz gelinliğinin içinde erişilmez güzelliğiyle duruyor” (ქეთო მამიდა, სოფლის ეკლესიის წინ ქათქათა საპატარძლო ტანსაცმელში გამოწყობილი, მიუწვდომელი სილამაზით გამოიყურებოდა) (გვ. 12). აქ საერთოდ არ არის ნახსენები ღვთისმშობელი, მაგრამ ამას ვერ დავაბრალებთ თურქ მთარგმნელს, რადგან თურქეთში ქალის სილამაზე არ უკავშირდება ღვთისმშობელს.

როცა მუსლიმანები ამა თუ იმ ტექსტსა თუ ზეპირ საუბარში მოიხსენებენ **Hız Meryem**-ს (წმინდა მარიამს) ან **Meryem Ana**-ს (დედა მარიამს), მაშინვე გამოისახება ღვთისმშობლის სიწმინდე და მთელი კეთილადამიანური თვისებები. ამ გაგებას თარგმნისეული **Tanrının Anası** (ღვთისმშობელი) სრულიად მოკლებულია. დაკარგულია დედნისეული ეფექტიც.

ანალოგიურია მთარგმნელის დამოკიდებულება სიტყვა **ღმერთის** მიმართაც. ნაცვლად **Allah**-ისა იგი იყენებს **Tanrı**-ს. ჩვეულებრივ საუბარში რომ იყოს **Tanrı**, კიდევ არა უშავს, მაგრამ არის ისეთი გამოთქმები, კერძოდ, დალოცვის ფორმულები, რომელთა შეცვლა ენობრივი ლაფსუსია – იდიომური შესიტყვების დარღვევაა. მაგალითად, “*ღმერთი იყოს შენი მფარველი!*” თურქულად არის ასე: “*Allah seni korusun!*” ან “*Allah senden razı olsun!*” (ღმერთმა დაგიფაროს!).



ქრისტიანული სარწმუნოების ნაკვალევი განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართველი ხალხის დალოცვის ფორმულებში. ამ მოსაზრების ერთ-ერთი დასტურია ნ. დუმბაძის “მე ვხედავ მზეს”.

“*ღმერთმა გაცოცხლოს!*” – ასე დალოცა ნაწარმოების ერთ-ერთმა პერსონაჟმა, ლუკაიამ, ანატოლი. ღმერთის მიერ აშექმნილი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ისევ ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ დაილოცა ასე ლუკაია. როგორც ვხედავთ, რომანის პერსონაჟთა რწმენით, ადამიანი სიცოცხლითაც და სიკვდილითაც ღმერთთან არის დაკავშირებული.

ამ დალოცვის ფორმულის თურქული თარგმანიც კარგად არის შესრულებული: *“Tanrı ömrünü daha uzun etsin!”* (ღმერთმა უფრო დიდხანს გაცოცხლოს!) (გვ. 123). ისლამის მიხედვითაც ადამიანის შექმნა და მისი სულის გაცოცხლება ღმერთის ნებაა. ამიტომაც ამგვარი დალოცვა თურქი მკითხველისთვისაც სრულიად ბუნებრივია. თურქი ხალხიც ხშირად იყენებს ამ ფრაზას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დალოცვის ფორმულა არის მადლობის გადახდის ღვთიური და მხატვრული ფორმა.

ადამიანები ისევე სხვადასხვაგვარად გამოხატავენ მადლობას დალოცვის ფორმულით, როგორც სხვადასხვაგვარად იცვამენ.

ადამიანური თვისებებითა და სხვათა დახმარების უნარით გამორჩეული პერსონაჟები სოსოია და ანატოლი გაწეული სიკეთის საფასურად არაფერს ეელიან, მაგრამ მათ მშრალი მადლობაც არ ეკადრებათ. ამიტომ მიდიან ისინი ლუკაია ფოცხიშვილის ოდასთან, პირდაპირ ადიან სახურავზე გადმოსათოვლად. ამის შემდეგ მადლიერი ლუკაია მიმართავს მათ:

„*რატომ წუხდებით, შვილებო, ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს!*” (გვ. 301).

დალოცვის ფორმულა აქ ზუსტი მისამართით არის გამოყენებული. სოსოია და ანატოლი ლუკაიას ფიზიკურ დახმარებას სწორედ საკუთარი მარჯვენის წყალობით უწევენ. სწორედ მათი მარჯვენაა აქ დალოცვილი. აღნიშნული ფორმულის (“ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს!”) შესაბამისია თურქული: **Elinize sağlık!** (თქვენს ხელებს ჯანმრთელობა!). თურქეთში ეს გამოთქმა

ძირითადად ითქმის დიასახლისების მიმართ, კერძოდ, კარგად გამასპინძლების შემდეგ. თუმცა არაიშვიათად გამოიყენება ხელით შესრულებული საქმის მოწონების აღსანიშნავად. სამწუხაროდ, მთარგმნელმა გვერდი აუარა თურქეთში ძალიან გავრცელებულ ამ გამოთქმას და სულ სხვა აზრი ჩადო მის მიერ გადათარგმნილ დალოცვაში: *“Haydi Tanrı da sizi hoşnut etsin, gönlünüzce versin”* (ღმერთმა თქვენ გაგახაროთ, რაც გულით გინდათ, ის მოგცეთ!) (გვ. 119). შდრ. გერმ.: *“Oh, warum macht ihr euch soviel Umstände, Kinder? Möge der Herrgott euch Freude und Sieg bescheren!”* (ასე რატომ წუხდებით ბავშვებო? ღმერთმა დაგასაჩუქროთ სიხარულითა და გამარჯვებით!) (გვ. 116).

სარწმუნოებრივი შინაარსი დევს აგრეთვე დალოცვის ფორმულებში: *“ნუგეში ნუ მოგიშალოთ ღმერთმა!”* (გვ. 302).

თურქულად: *“Tanrı ömrünüzü artırsın, mutluluk versin, ümidinizi kaybettirmesin”* (ღმერთმა თქვენ დიდხანს გაცოცხლოთ, ბედნიერება მოგცეთ, იმედი არასდროს არ დაგეკარგოთ!) (გვ. 124);

*“\_ აგაშენა ღმერთმა!”* (გვ. 347). თურქულად: *“Hay Allah iyiliğini versin”* (აგაშენოს ღმერთმა!) (გვ. 179).

დედნისა და თარგმანის შედარებიდან ჩანს, რომ დალოცვის ფორმულები ქართულსა და თურქულში თითქმის ერთნაირია, ერთი და იმავე შინაარსითა და გაგებით, ამავე დროს ფართოდ გამოიყენება. აქედან გამომდინარე, ნ. დუმბაძის ნაწარმოები “მე ვხედავ მზეს” და მისი თურქული თარგმანი გასაგები და მისაღებია ორი ქვეყნის ხალხთა კულტურის თვალსაზრისით.

თურქულისაგან განსხვავებით, ქართულში დალოცვის ფორმულები მხოლოდ ჩვეულებრივ საუბარში კი არ გამოიყენება მადლიერებისა და კეთილი სურვილების გამოხატვის მიზნით, არამედ სადღეგრძელოებშიც.

საქართველო ღვინის კულტურის ქვეყანაა. ქართველი ხალხის ტრადიციების განუყოფელ ნაწილს შეადგენს ღვინის სმა და ამ რიტუალზე დაფუძნებული სადღეგრძელოები.

ისლამის მიხედვით ღვინო (საერთოდ, ყოველგვარი ალკოჰოლური სასმელი) აკრძალულია (თუმცა ზოგი მაინც სვამს, რადგან სახელმწიფო კანონის მიხედვით

არ იკრძალება). ამიტომ სადღეგრძელოებში ღმერთის სახელის ხსენება თურქი მკითხველისათვის ძნელი გასაგებია, მაგრამ აუცილებელია, მან იცოდეს, რომ ქართველების რწმენით, GGღვინო არის ღმერთის სისხლი და პური მისი ხორცი. ღმერთის სახელის ხსენება სადღეგრძელოში, საერთოდ, ქართველი ხალხის ღრმა რწმენის გამომხატველია. ამდენად, ამგვარ დამოკიდებულებას თურქმა მკითხველმაც უნდა სცეს პატივი.

ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ აუცილებელია სხვა ერის რელიგიის, ტრადიციების ადათ-წესების გაცნობა და დაფასება. ამაში მწერლობა უდიდეს როლს ასრულებს.

ჩვენს განსახილველ რომანში არის ბევრი ასეთი მაგალითი: “\_ დალიე, ბიძია, ღმერთმა შეგარგოს, \_ თქვა ლუკაიამ” (გვ. 303). თურქულად: “İç oğlum, iç”, dedi Luka. “İyidir, yarar insan” (დალიე, შვილო, დალიე, \_ თქვა ლუკაიამ, \_ კარგია და გამოადგება ადამიანს) (გვ. 121).

მთარგმნელი ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებას (რელიგიურ ბარიერს) და არ თარგმნის სადღეგრძელოს ნაწილს: “ღმერთმა შეგარგოს!” კიდევაც რომ მოენდომებინა მთარგმნელს მისი გადათარგმნა, მაინც ვერ გააგებინებდა იგი მკითხველს ამ დალოცვის არსს. აქედან გამომდინარე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ტრადიციულად მიუღებელი რაღაცის თარგმნა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. აქ საუბარია წინააღმდეგობრივ მიზეზ-შედეგობრიობაზე. შდრ. გერმ.: “Trink, mein Junge, laß es dir schmecken!” (დალიე, ჩემო ბიჭო, ღმერთმა შეგარგოს!) (გვ. 118).

ასევე თურქული ტრადიციების თანახმად, არ შეიძლება, რომ ადამიანმა სხვას დახმარება გაუწიოს სასმელის საფასურად. ნ. დუმბაძე თავისი პერსონაჟის \_ ბეჟანის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი “ერთი იჯრა ლობიოსთვის და ერთი ჭიქა ღვინისთვის დილიდან საღამომდე ეხმარება ყველას” (გვ. 250). თურქულად: “Bütün isteği de bir çanak lobya ile bir bardak şaraptı” (მას მხოლოდ ერთი ჩანახი ლობიო და ერთი ჭიქა ღვინო უნდოდა) (გვ. 53).

ქართულ ტრადიციებში ღვინის მოხმარების მასშტაბი ძალიან ფართოა. ეს გამოიხატება არა მარტო დალევაში, არამედ მის სამკურნალოდ გამოყენებაშიც.

მაგალითად, რომანში აღწერილია, როგორ მკურნალობენ სოფლები დაჭრილ ანატოლის. ბეჟანა ეუბნება ქეთოს: *“მაგას ძმარი კი არა, ქეთო პატარა ღვინო დააღვეიე”* (გვ. 255). კიდევ ერთი მაგალითი ღვინის სამკურნალოდ გამოყენების შესახებ: *“ \_ ღვინო დავისხი და მივუტანე. აკვირინემ ბამბა ღვინით დაასველა, მერე ცხელ ტუჩებზე გაუსვ-გამოუსვა ავადმყოფს DდაEდაელოდა”* (გვ. 256). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თურქი მკითხველის მოსაზრება: *“თურქულ ყოფით კულტურაში ჭამა და ღვინის დაღვევა არ არის მიღებული (მე ვფიქრობ, რომ ამაში რელიგიის გავლენა იგრძნობა). ქართველი ხალხისთვის საკვები რაც არ უნდა ძნელი საშოვარი იყოს, ღვინო სუფრაზე ყოველთვის აქვთ”* (დ. ეშმექაია).

როგორც უკვე აღინიშნა, ღვინის კულტურა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღმერთის რწმენასთან, სუფრასთან, მკურნალობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ნამდვილად ძნელი გასაგებია სხვა კულტურისა და რელიგიური წარმოდგენების მქონე ადამიანისთვის (კერძოდ, მუსლიმანისთვის) ღვინის დაკავშირება გარდაცვალებასთან. საქართველოში მიცვალებულის ხსოვნას სპეციალურ სადღეგრძელო-მოსაგონარს უძღვნიან: ამ ტრადიციას კარგად ასახავს ნ. დუმბაძის *“მე ვხედავ მზეს”*: *“ \_ ჩემი კუკურას ხსოვნა იყოს!... \_ ლუკა ბიძიამ დალია და ანატოლის შეხედა....”*

*\_ კუკურას ხსოვნის სადღეგრძელო იყოს, \_ ვუთხარი ანატოლის და ხელმეორედ დავეუსხი”* (გვ. 303). შვილის ხსოვნის სადღეგრძელო განსაკუთრებულია ქართველის ოჯახში:

*“ \_ ჩემს ოჯახში ყველა პირველი სადღეგრძელო ამას (ომში დაღუპულ შვილს კუკურას \_ მ. ქ.) ეკუთვნის, \_ ლუკა ბიძიამ ისევ სურათს შეხედა”* (იქვე).

*“წუთისოფელი ჭირისა და ლხინის მონაცვლეობაა. ღვინო უხსოვარი დროიდან მხარში უდგას ქართველ კაცს გუთანვივით, ხმალივით, სიმღერასავით, ლექსივით და მისი საფიქრალ-საზრუნავის ერთგული გამგრძელებელია”* (ქინქლაძე 2000: 3).

სხვათა შორის, ზემოთ ხსენებული გამოთქმა *“წუთისოფელი ჭირისა და ლხინის მონაცვლეობაა”* კარგად გვიჩვენებს ღვინის კავშირს სიკვდილთან და მიცვალებულთან.

ისლამურ სამყაროში განსხვავებული მიდგომაა საერთოდ ალკოჰოლთან დაკავშირებით. ყურანის მიხედვით ალკოჰოლური სასმელები თანდათან აიკრძალა, რადგან ისლამამდე არაბეთის ნახევარკუნძულზე სასმელის ხშირად სმას შეჩვეულები იყვნენ. ხალხისთვის უცხად გადაჩვევა თავისთავად ძნელი იქნებოდა და ისლამის მიღებაც გაუჭირდებოდათ. ამიტომ სასმელი ყურანში თანმიმდევრულად შემდეგი დებულებებით იქნა აკრძალული:

*“Hurma ve üzüm ağaçlarının meyvelerinden de hem içki, hem de güzel bir yiyecek çıkarırsınız. Şüphesiz ki, bunda aklınızı kullanan bir topluluk için kesin bir ibret vardır”* (ხურმის ხეების ნაყოფითა და ყურძნით თან სასმელს ამზადებთ, თან საჭმელად იყენებთ. რა თქმა უნდა, ეს გონიერი ხალხისთვის დამაფიქრებელია) (ყურანი, 67, 273);

*“Sana şarap ve kumardan soruyorlar. De ki: “Bu ikisinde büyük bir günah ve insanlara bazı yararlar vardır. Ancak günahları yararlarından daha büyüktür”* (შენ სასმელსა და აზარტულ თამაშზე გეკითხებიან. უთხარი, რომ ამაში ცოდვაც დევს და ადამიანისთვის სასარგებლოც. მაგრამ აქ ცოდვა უფრო მეტია, ვიდრე სასარგებლო მხარე) (Yazır, Kur’an-ı Kerim ve Yüce Meali 219, 33);

*“Ey iman edenler, sarhoşken ne söylediğinizi bilinceye kadar; cünüp iken de – yolcu olmanız hariç- guslünüzü edinceye kadar namaza yaklaşmayın”* (ეი, ადამიანებო, ნუ ლოცულობთ, როცა მთვრალეები ხართ, როცა თქვენი ნათქვამი გააზრებული არ გაქვთ) (Yazır, Kur’an-ı Kerim ve Yüce Meali 43, 84);

*“Ey iman edenler, içki, kumar, putlar ve kısmet çekilen zarlar; hep şeytan işi, murdar bir şeydir. Onun için siz ondan kaçınun ki yakayı kurtarasınız”* (ეი, მორწმუნეებო, სასმელი, აზარტული თამაშები, კერპები, მკითხაობა ეშმაკისეულია. ამათ მოერიდეთ, რომ ბედნიერები იყოთ) (Yazır, Kur’an-ı Kerim ve Yüce Meali 90, 122);

*“Şeytan, içki ve kumarla sadece aranıza kin ve düşmanlık sokmak ve sizi Allah’ı anmaktan ve namaz kılmaktan alıkoymak ister. Artık vazgeçiyorsunuz değil mi?”* (ეშმაკი სასმელისა და აზარტული თამაშების გზით თქვენს შორის სიძულვილსა და მტრობას ჩანერგავს, ლოცვაშიც ხელს შეგიშლით) (იქვე).

ამ უკანასკნელი დებულებით უკვე სასმელი კატეგორიულად არის აკრძალული. მაშასადამე, ვინც სისტემატურად ლოცულობდა, რაც დღეში ხუთჯერ იყო განსაზღვრული, ის, ბუნებრივია, არ დაღევდა სასმელს, რათა არ დაერღვია ლოცვა.

ნ. დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს“ აღწერილია ომის შედეგად გამოწვეული სიკვდილის მძაფრი განცდები, დაწყებული ფოსტალიონის მოტანილი წერილებითა და დამთავრებული ლუკა ფოცხიშვილის ოჯახში ამტყდარი წივილ-კივილით. სიკვდილის განცდა გრძელდება გლოვაში, რაც ფიზიკურად გამოიხატება ტირილსა და შავი ფერის ტანსაცმლის ტარებაში. სიკვდილი ისეთია, რომ რადიოში სიმღერასაც აჩერებს: „*კაცმა რომ თქვას, არც ჩვენს რადიოს აქვს სამღერლად საქმე*“, – *ამბობს ბეჟანა*“ (გვ. 162).

თურქულად: *“Ama bak artık radyolarımız hiç türkü söylemiyor”* (მაგრამ ნახე, უკვე ჩვენი რადიოები საერთოდ აღარ მღერიან) (გვ. 68).

„თუკი სიცოცხლე სიკვდილის სამზადისია და ეგრეცაა, ერთი უნდა ითქვას, სიკვდილზე ფიქრი უფრო აშინებს ადამიანს, ვიდრე თავად სიკვდილი, რადგან აქ, უმეტესად, ფიქრის დროც არ რჩება და შინაგანი ძალის კარნახით მოქმედებს“ (ქინქლაძე 2003: 45).

ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ სიკვდილიც ღვთის ნებაა. მისი განცდა ქართველ ხალხში მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებთან არის დაკავშირებული. ეს ჩანს ნ. დუმბაძის რომანშიც:

– *მე ეხლა გულზე უნდა მეკრიფოს მკლავები და სულს უნდა ვღაფავდე. მაგრამ სადაა მიქელ-გაბრიელი, აღარც ღმერთი სწამს და არც რჯული*“ (გვ. 270).

თურქულად: *“İki elim böğrümde kalakaldım dostlar, bekliyorum, ama ölümün geleceği yok. Ne Tanrıya uyup geliyor, ne şeytana uyup geliyor; yok işte beni alıp götürmeye niyeti yok be dostlar”* (ორი ხელი გულზე მაქვს, მეგობრებო, მაგრამ არ მოვა სიკვდილი; იგი არც ღმერთს ემორჩილება, არც ეშმაკს, მას არ აქვს განზრახული, რომ მე წამიყვანოს) (გვ. 79).

თურქულ თარგმანში არ არის ნახსენები “მიქელ-გაბრიელი”. ამის ნაცვლად არის “სიკვდილი”. ისლამის მიხედვით ღმერთის დავალებით ადამიანთან სულის

ჩასაზარებლად მიდის “Azrail” (აზრაილი), მაგრამ თარგმანში ნახსენები არ არის არც მიქელ-გაბრიელი, არც “Azrail”. თურქულ ტექსტში მათ ნაცვლად ჩნდება სიტყვა “ემმაკი” (şeytan). შდრ. გერმ.: *“Für mich ist der Krieg längst beendet. Ich müßte längst die Hände auf der Brust gefaltet haben, aber der Tod schert sich weder um Gott noch um den Teufel und holt mich nicht”* (ჩემთვის უკვე დიდი ხანია, ომი დამთავრდა. უკვე დიდი ხანია, უნდა მეწყოს ხელები მკერდზე, მაგრამ სიკვდილს არც ღმერთისა სწამს, არც ემმაკისა და არ მივყავარ) (გვ. 77).

ნ. დუმბაძის რომანი ომის პერიოდს ეხება. ომს ეწირება ყველა და ყველაფერი. როცა სოფელში კრებაზე გამოჩნდება ფოსტალიონი ომის მსხვერპლთან დაკავშირებული ამბებით, კრების ყველა მონაწილის თვალი მისკენ არის მიპყრობილი, ყველა მას აშტერდება. კოწია ხალხის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს. ის ფიქრობს, რომ ომის დამწყები სოფელში ომის დაწყების ამბის მიმტანია:

*„– ვინ დაიწყო ომი? – იკითხა მან (კოწიამ).*

*– ომი ჰიტლერმა დაიწყო, კოწია, რაო, ჩვენ ხომ არ გვაბრალებ? – გაუბედა ვიღაცამ.*

*– ტყუილია მაგ, ჰიტლერს არ დაუწყია ომი!*

*– გებელსმა!*

*– არა!*

*– გერინგმა!*

*– არა!*

*– მე, დავიწყე ომი, მე, – თქვა ჩურჩულით კოწიამ და თავი სინანულით დაიქნია”* (გვ. 280).

კოწიას თითქმის ყველა მოსვლაზე მოაქვს ერთი-ორი წერილი და თითოეულში „შავი ამბავი“ (ცნობები ომში დაღუპულთა შესახებ). ომში დაღუპულებზე ცრემლის გაშრობასაც ვერ ასწრებდა ხალხი, “შავ ამბავს” შავი არშია მოჰყვებოდა. ამგვარი მისია აწუხებს ფოსტალიონს და გაქცევას ლამობს:

„\_ რად მინდა მე თქვენი ცრემლების ყურება? რად მინდა მე სიპიტოს მყრალი არაყი? რად მინდა ცხოვრება, მეზობელს თუ ჩემი დანახვის ეშინია? არ მინდა ფოსტალიონობა, არ მინდა...“ (გვ. 281).

თურქულად: *“Neden gözlerinizde kanlı yaşlarla gçreyim sizi hep?” diye sordu Kotia. “Niçin bol ispirotolu şnaps kadehlerini boşaltayım peşpeşe. Niçin yaşıyorum komşular, niçin? Avuntu bulmak için gelir misiniz bana? Postacı olmak istemiyorum“* (რატომ გიყუროთ სულ სისხლის ცრემლებიანი თვალებით? \_ იკითხა კოწიამ, \_ რად მინდა მე სულ სპირტიანი სასმელი? რატომ ვცოცხლობ, მეზობლებო, რატომ? იმედისთვის მოხვალთ ჩემთან? არ მინდა ფოსტალიონობა) ( გვ. 92).

დედნისეული შინაარსი სრულიად გასაგებია თურქი მკითხველისთვის. საინტერესოა ერთ-ერთი მოსაზრება, რომელიც ომის მავნებლობას ეხება: “თითოეულმა ადამიანმა, რომელიც დაიბადა თურქეთში, ძალიან კარგად იცის ომის შესახებ მონათხრობი. ჩვენ წინაპრები სულ გვიყვებოდნენ ამ ამბებს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ებმებოდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომლებიც უკან აღარ დაბრუნებულან. ომის ეს ამბავი თურქი ხალხისთვის უცნაური არ არის მოთხრობაში. რომანში “მე ვხედავ მზეს” აღწერილი სოფლის მოსახლეობა იმედით იკვებებოდა. მათ სჯეროდათ, რომ ომიდან ნათესავები დაბრუნდებოდნენ, მაგრამ მიდიოდნენ და არ ბრუნდებოდნენ, იყვნენ დედები, რომლებსაც ლუკმა ყელში არ გადასდიოდათ... ამ ყველაფრის გამო ეს რომანი ჩემთვის უცხო არ არის და მე ვიგრძენი, რომ ეს რომანი ჩემი ქვეყნის ისტორიასთან ძალიან ახლოს არის” (დ. ეშმექაია).

როგორც ტექსტიდან ჩანს, ქართველ ხალხში გლოვა თურქ ხალხთან შედარებით უფრო ხანგრძლივი და ძლიერია: *“ასე, ბიძიებო, დილიდან საღამომდე, სამი წელი, არ გაუთავდა ცრემლი...“* (გვ. 353).

საქართველოში შავი გლოვის ფერია. ეს შავი ტანსაცმლის ტარებითაც გამოიხატება. ეს ასე არ არის თურქეთში, თუმცა ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ერთი ტრაგიკული შემთხვევა: 1989 წელს თურქეთის ერთ-ერთი სპორტული კლუბი “სამსუნსპორი” ფეხბურთის მატჩის ჩასატარებლად მოგზაურობისას ავარიაში მოხვდა და რამდენიმე ფეხბურთელისა და



ხელმძღვანელობის დალუპვის გამო გუნდის ფორმათა ფერებში თეთრსა და წითელს დაემატა გლოვის სიმბოლო \_ მესამე ფერი, შავი ფერი.

რომანში ჩანს, რომ ადამიანის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მასთან ურთიერთობა კი არ წყდება, არამედ სხვა სახითა და შინაარსით გრძელდება. ადამიანთა ხსოვნა ცოცხლობს მათი ნივთების, ტანსაცმელებისა და სურათების შენახვით, საფლავების მოვლით; გარდაცვლილთა ხსოვნა გრძელდება სადღეგრძელოებში, ლექსებში, სიმღერებში, ძეგლებში...

“ \_ კედლის შუაში ეკიდა უზარმაზარი სურათი, საიდანაც გულგაღელილი კუკურა იცინოდა, და ისე იცინოდა, ათასი ცნობა რომ მოსულიყო, მისი დალუპვის ამბავს მაინც ვერ დაიჯერებდი” (გვ. 302).

თურქულად: *“Kukura'nın duvarda asılı duran resmine baktı. Elinde duran şarap dolu bardağı bir dikişte içti. Kukura canlı gibiydi duvardaki fotoğrafta, canlı ve sevinçten kabına sığmayan bir hali vardı. Gülümsüyordu. İnsan onun ölüp gittiğine inanmazdı dünyada”* (კედელზე ჩამოკიდებულ კუკურას სურათს გადახედა, ღვინით სავსე ჭიქა ერთი გადაკვრით დალია, კუკურა ცოცხალივით იყო სურათზე, ცოცხალივით და თავის კალაპოტში ვერ ეტეოდა, იღიმებოდა, ადამიანი ვერაფრით ვერ დაიჯერებდა, რომ ის მოკვდა და წავიდა) (გვ. 121).

თურქულ ტრადიციებში ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, მაინცდამაინც არ არის მიღებული გარდაცვლილის სურათი, თუ ის არ არის ცნობილი პიროვნება. ასევე ითქმის გარდაცვლილის ტანსაცმლის შენახვასთან დაკავშირებითაც.

სოსოიასთვის არ იყო ჩვეულებრივი ამბავი გარდაცვლილი მამის ტანსაცმლის სკივრიდან ამოღება და სიმინდზე გასაცვლელად სახლიდან გატანა, მაგრამ გაჭირვებამ აიძულა მას ამის გაკეთება:

“ \_ სკივრში ხელი ჩავყავი და მამაჩემის ტყავის ქურქი ამოვიღე. ყოველ ზაფხულს ამომქონდა სკივრიდან გასამზებურებლად, მაგრამ არასდროს შორეული სიყვარულისა და მოკრძალების მეტი არაფერი მიგვრძნია ამ ქურქის მიმართ, ახლა კი შემეშინდა ქურქის, თითქოს ცოცხალ კაცს ძალით ვხდიდი და ისიც მორჩილად და მშვიდად მატანდა” (გვ. 341).

ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველები გარდაცვლილთა საფლავების მოვლა-პატრონობას. ეს ტრადიცია არის ასახული ქართველი მწერლის ნაწარმოებში. ბეჟანას საფლავზე მისული სოსოია ცოცხალივით ელაპარაკება მას:

*“ გამარჯობა, ჩემო ბეჟანა, მე ვარ, შენი სოსოია, არ გეკითხები, როგორ ხარ, ბეჟანა-მეთქი, იმიტომ რომ ვიცი, როგორც ხარ...”* (გვ. 300).

ახლობელთა, წინაპართა საფლავებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება უცხო არ არის თურქი ხალხისთვისაც.

**გლოვა და სამძიმარი.** თურქეთში მიცვალებულის ახლობლები სხვადასხვანაირად გამოხატავენ მწუხარებას: არ იცვამენ ღია ფერის ჩასაცმელს, ბევრს არ ჭამენ, წვერს არ იპარსავენ, არ ერთობიან, რადიოს არ უსმენენ და ტელევიზორს არ უყურებენ, ქორწილებში არ დადიან...

საგლოვო პერიოდი სოფლებში არის ერთი წელი ან მეტი, ხოლო ქალაქებში – უფრო ნაკლები.

ნნაცნობები მიცვალებულის ოჯახის უფროსებთან მიდიან, დასამშვიდებელ სიტყვებს ეუბნებიან და იზიარებენ მწუხარებას. ამ გზით ისინი მალე უბრუნდებიან ცხოვრებას.

მიცვალებულის ხსოვნა თურქეთში რელიგიურ ტრადიციებთან არის დაკავშირებული:

*ა. პირველი ღამე: მიცვალებულის დაკრძალვის პირველი ღამე ითვლება ხსოვნის ღამედ. ამ ღამეს მოდიან მიცვალებულის ახლობლები, ყურანს კითხულობენ, ლოცულობენ. ამ დროს მიცვალებულის ახლობლები სადილს არ ამზადებენ. ამ საქმეს მეზობლები კისრულობენ;*

*ბ. პირველი პარასკევი: დაკრძალვის შემდეგ პირველ ხუთშაბათს საღამოს აღინიშნება. სადილს იშვიათად მიცვალებულის ოჯახი ამზადებს. ზოგიერთი ოჯახისთვის ამ დღიდან მთავრდება გლოვა;*

*გ. კვირეული: ადამიანის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ მეორდება იგივე, რაც ზემოთ არის ნახსენები;*

*დ. ორმოცი: სხვა დღეებთან შედარებით ამ დროს ყველაფრის ორგანიზებას ახდენს მიცვალებულის ოჯახი, შედარებით უფრო ფართოდ. უმეტესობისთვის ამ დღიდან მთავრდება საგლოვო პერიოდი;*

*ე. ორმოცდათორმეტი: ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ აღინიშნება გარდაცვლილის ხსოვნა.*

*გარდაცვალების შემდეგ პირველი რელიგიური დღესასწაული (რამაზანისა და ყურბანის დღესასწაული): ამ დროს მიცვალებულის ახლობლები გარეთ არ გადიან, პირიქით, სხვები მოდიან მათთან და ულოცავენ დღესასწაულს. ამ დროს სახლში არ არის სადღესასწაულო განწყობა. მასპინძელი ჩაით ან მწარე ყავით უმასპინძლებს სტუმარს.*

*ვ. წლისთავი: ჰგავს ორმოცს. ოჯახი შედარებით თავისუფლად იქცევა და უმეტესობა ამთავრებს გლოვას (<http://turkoloji.cu.edu.tr/HALKBILIM/41.php>).*

*ნ. დუმბადის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანის დედანთან შეპირისპირების შედეგად ირკვევა, რომ ქართველი და თურქი ხალხების კულტურაში, ტრადიციებში, ადათ-წესებში ბევრი რამ არის საერთო, არის განსხვავებულიც. შეუძლებელია, არ დაეთანხმო ამ ნაწარმოების მკითხველს, რომელიც აღნიშნავს: “ადამიანთა, ხალხების ამგვარი მსგავსების დროს პატარ-პატარა განსხვავებანი იკარგება ხოლმე” (ზ. დოქმენი).*

*მწერლობა ცხოვრებას ასახავს, მხატვრულ ლიტერატურაში ვლინდება საზოგადოების კულტურა, სულიერი ღირებულებანი. ამდენად, ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნას დედანზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება.*

**ტრადიციები.** ერთმანეთთან ისტორიული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ურთიერთობის მქონე ქართველი და თურქი ხალხების კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამ თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა ნ. დუმბადის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანი. ნაწარმოებში აღწერილია მეორე მსოფლიო ომისდროინდელი (1941-1945 წწ.) ქართველი ხალხის ცხოვრება, გაჭირვება, ურთიერთდახმარება, მზრუნველობა... ომის ამბების ფონზე მწერალი გვაცნობს ქართველი ხალხის ხასიათს, ვაჟკაცობას, ნიჭიერებას,

კულტურას, ტრადიციებს. ამ რომანის თარგმანით თურქ მკითხველს თავისუფლად ეძლევა არა მარტო ქართველი ხალხის სულიერი სამყაროს გაცნობის, არამედ საკუთარ კულტურასთან, ტრადიციებთან შედარების საშუალებაც. რომანის გაცნობის შედეგად ჩანს, რომ ორ ხალხს შორის მსგავსება გაცილებით მეტია, ვიდრე – განსხვავება.

ორი ხალხის კულტურისა და ტრადიციების მსგავსების შესახებ თურქი მკითხველების მოსაზრებების განხილვაც საკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქართულ სამყაროსთან მხოლოდ ამ რომანით ამყარებენ ურთიერთობას, მაინც გარკვევით საუბრობენ ამ თემაზე (იხ. 3. 2.).

ქართველი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება არის სტუმართმოყვარეობა, ადამიანის პატივისცემა. სტუმართმოყვარეობა სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ვლინდება. სტუმარმასპინძლობის ტრადიცია საქართველოში უხსოვარი დროიდან არის ჩამოყალიბებული. ამ ტრადიციის შინაარსი კარგად ჩანს ქართულ გამოთქმაში: “სტუმარი ღვთისაა!”

საქართველოში სტუმარს გულთბილად ხვდებიან, გულუხვად უმასპინძლებიან საუკეთესო პურ-მარილით და, თუ სტუმარი რჩება, სახლში განსაკუთრებულ ადგილსაც უთმობენ დასაძინებლად. ქართულ ოჯახში სტუმარი თავს დაცულად, უსაფრთხოდ და ღირსეულად გრძნობს (Gürcistan Kültürü 2004: 111).

ყოველივე ეს ნ. დუმბაძის რომანში კარგად ვლინდება ანატოლის მაგალითზე: იგი დაჭრილი მიიყვანეს უცხო სახლში. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდნენ, ანატოლი მტერი იყო თუ მოყვარე, მაინც მიიყვანეს სახლში და დაიწყეს მკურნალობა. დაჭრილი ანატოლის გადასარჩენად ყველაფერს აკეთებდნენ, მკურნალობდნენ ხან ბალახებით, ხან – ძმრიანი წყლით. სოფლის ექიმიც მოიყვანეს. როცა რძე გახდა მისთვის საჭირო, რომელიც იმ გაჭირვებაში არც იშოვებოდა, სოსოიამ და ხატია მესაქმეც იკისრეს: მეზობლებთან კარდაკარ დადიოდნენ რძის საშოვნელად. ბბოლოს იძულებული გახდნენ, ტყეში გასულიყვნენ და ჩუმ-ჩუმად დაიწყეს სხვისი თხის მოწველა. რძე სახლამდე ისე მოჰქონდათ, რომ წვეთსაც არ აქცევდნენ. ამ საქციელისთვის ისინი

კოლმეურნეობის კრებაზე გაკიცხეს, მაგრამ მაინც გახარებული იყვნენ, რადგან ანატოლი სწორედ მათი მოტანილი რძით დადგა ფეხზე. A

ამ შემთხვევაში მსგავსება ორ ხალხს შორის აშკარაა. ანატოლიელიც უღებს უცნობს კარს, სახლში ეპატიჟება. თავად, შესაძლოა, მშვიერად დარჩეს, მაგრამ მოსულს უკანასკნელ ლუკმას გაუყოფს. გავიხსენოთ კიდევ ერთი ეპიზოდი ქართული რომანიდან: სოსოია და ხატია მეზობელ სოფელში, უცხო ოჯახში მოხვდნენ:

– *სტუმარი მომყავს, კაკანო, და მოგვხედუ, თუ ქალი ხარ.*

– *მობრძანდით, ბატონო*” (გვ. 346).

მასპინძლებმა დააპურეს ისინი, მოასვენეს, ბავშვებს გული არ დასწყვიტეს და ხელბარაქიანად გამოისტუმრეს.

ასევე ყველა ხალხისთვის არის დამახასიათებელი ურთიერთპატივისცემა და მზრუნველობა. ამიტომ ერთნაირად გასაგებია როგორც ქართველი, ისე თურქი მკითხველისთვის სოსოიასა და ხატიას ურთიერთობა. სოსოია განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მხედველობადაკარგული ხატიას მიმართ, ერთ ნაბიჯზეც კი არ ტოვებს მარტო. მაღალადამიანური თვისებებით აღჭურვილი სოსოიას ხელჩაკიდებული დაჰყავს იგი სკოლაში, თევზის დასაჭერად მდინარეზე, მეზობლებთან, მეგობრებთან. იგი არ აგრძნობინებს ხატიას, რომ მას უჭირს, რომ ის მარტოა. მეტსაც ვფიქრობთ, სოსოიას ერთგული და კეთილი დამოკიდებულება არა მხოლოდ სიხარულსა და ბედნიერებას, არამედ მხედველობის დაბრუნების იმედსაც აძლევს ხატიას. სოსოიასა და ხატიას ურთიერთობა ასახავს ქართველი მამაკაცის ერთგულებას ქალის მიმართ. ეს, საერთოდ, ქართველი ხალხის დიდი თვისებაა. საზოგადოებაში ქალს უპირატესობას ანიჭებენ. შეიძლება ძალიან ელემენტარული მაგალითია, მაგრამ ნამდვილად დასაფასებელია ის, რომ ტრანსპორტში მამაკაცი არ არჩევს, ქალი ახალგაზრდაა თუ ასაკოვანი, ყველას ერთნაირად უთმობს ადგილს. საქართველოში ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ტრადიცია ისტორიულია. ამის კარგი მაგალითია მამაკაცების ჩხუბის დროს ქალის მიერ მანდილის ჩაგდება. ამ წესს ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ გადაუხვევდა (Gürcistan Kültürü 2004: 111).

მართალია, ქალს საზოგადოებაში დიდ პატივს მიაგებენ, მაგრამ ქალი ამას ბოროტად არ იყენებს. მან იცის თავისი ადგილი, მისია და თავმდაბლობით წარმოაჩენს თავის ღირსებას.

დაჩაგრულის გამოქომაგება, დაცვა ყველა ადამიანის მოვალეობაა. ამ სულისკვეთებით ექომაგება ბეჟანა ანატოლის და დათიკოსთან ჩხუბს ეწირება კიდევ. ასევე თავგანწირვით იცავს სოსოია მამიდას უსულგულო დათიკოსაგან: *“მამიდა წინააღმდეგობას არ უწევდა, იდგა და თვალებიდან ღაპაღუპით გადმოსდიოდა ცრემლი. მმე შემეშინდა, ზურგიდან მივვარდი დათიკოს და ისე მაგრა ვუკბინე ბეჭზე, ტუჩებზე სისველე ვიგრძენი”* (გვ. 346).

ადამიანთა შორის ურთიერთობები მატერიალურით არ განისაზღვრება. ნნ. დუმბაძის რომანში “მე ვხედავ მზეს” არის ერთი საინტერესო ეპიზოდი: სოსოიამ მამისეული ქურქი და ჩექმა აიღო და ხატიასთან ერთად სხვა სოფელში წავიდა სიმინდზე გასაცვლელად. ისინი ბაბილოს ოჯახში მოხვდნენ. როცა შეიტყვეს, რომ ამ ოჯახს ორი შვილი ჰყავდა დაღუპული, სიბრალულით აევსოთ გული. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სავაჭროდ იყვნენ ჩასული, ხატია მანც უსასყიდლოდ დაუთმო თოფი ბაბილოს:

*“ \_ ხატიასია აგი თოფი და გაჩუქა, ბაბილო ბიძია. რომ არ დაიტოვო, ეწყინება... \_ ვთქვი და ხატიას შევხედე. ხატია თავი დაიქნია”* (გვ. 351).

მასწავლებელი ყველა ადამიანს ჰყვოლია. მას საზოგადოებაში ყოველთვის გამორჩეული ადგილი უჭირავს. რომანში არის მასწავლებლისადმი პატივისცემის გამომხატველი ადგილები:

*“ \_ საქმე გვაქვს ეგება რამე, მასწავლებლო, მოგეხმარები! \_ თქვა ხატიათ.*

*\_ არა, ჩემო ხატია, საშენო საქმე არაფერი მაქვს, \_ უთხრა მამიდათ.*

*\_ სიმინდი გექნება დასაფშვნელი!”* (გვ. 234).

ან კიდევ: *“ჩვენ გვაქვს სიმინდი, ქეთო მასწავლებლო, ბევრი გვაქვს, მამათ მითხრა, რომ მოვდიოდით, თუ ჭირდება, ვასესხებო”* (იქვე).

ნ. დუმბაძის რომანში თავიდან ბოლომდე იგრძნობა სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება. პატრიოტიზმის მაჩვენებელი ფაქტები ომის დაწყებამდე რაიონული კლუბის ეზოში შეკრებილი ხალხითაც დასტურდება.

ერთი-ორი ბავშვისა და მოხუცის გარდა, ყველა მიდის სამშობლოს დასაცავად. მშობლები და ახლობლები მათი ჯარში გაცილებით გამოხატავენ სამშობლოს მიმართ ერთგულებას. ისინი ენდობიან არა მარტო ჯარს, არამედ სოფელში დარჩენილ მოხუცებსა და ბავშვებსაც იმ რწმენით, რომ, ჯარი თუ ვერ გაიმარჯვებდა, მაშინ სოფლის ყველა ქალი და მამაკაცი ჯარად გადაიქცეოდა:

“ \_ მთელი ევროპა მაგენიზა მუშაობს, ბაბაია, ფრანცია გინდა, ავსტრია გინდაო...

\_ ...ჩვენდა ვინ მუშაობს?

\_ ჩვენდა ჩვენ ვმუშაობთ, \_ თქვა გერასიმე ბიძიამ” (გვ. 236).

სოფელში ომის ამბები მოდის, ფრონტზე სიტუაცია დამაბუღია. ფაშისტური გერმანიის, ჰიტლერის მოახლოების საფრთხე აფიქრებს ხალხს:

“ \_ ზამთრამდე რომ მოვიდეს, რას შვრები მერე? \_ არ ეშვებოდა ლუკაია მამიდას.

\_ არ უნდა მოუშვათ!

\_ ვინ \_ მე და შენ?

\_ მე და შენ” (გვ. 238).

მოვლემინოთ ისევ თურქ მკითხველს:

“რომანში აღწერილი მოვლენები იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი და გამარჯვებული ერისთვის სულაც არ არის უცხო. ანატოლიის დაცვისათვის ღირსეულ ბრძოლებში ჩაბმულ ადამიანებს უფრო მძიმე პირობებში უწევდა ყოფნა. სიმწარე და სიდუხჭირე ამ ხალხს ძვალ-რბილში გაუჯდა. ანატოლიის მიწას ყურს თუ დავადებთ, მოვისმენთ ამბავს იმის შესახებ, თუ გულის გამგმირავი მწარე, ბნელი დღეები როგორ გარდაქმნეს ადამიანებმა მზიან დღეებად. რომანში “მე ვხედავ მზეს” აღწერილი მოვლენებიც ისეთივე ბედისწერაა. ამიტომ, როგორ შეიძლება ისინი ჩვენ ვერ გავიგოთ და შევაფასოთ?.. ადამიანთა, ხალხების ამგვარი მსგავსების დროს პატარ-პატარა განსხვავებანი იკარგება ხოლმე” (ზ. დოქმენი \_ მათემატიკის მასწავლებელი, ქ. ბურსა) (ქირი 2008: 253).

რელიგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს რელიგიასთან დაკავშირებული პრობლემატიკა,

ვინაიდან დედნისა და თარგმანის მონაცემები არ გამოხატავს რელიგიურ საფუძვლებს. ამდენად, ჩვენი საუბარი გარკვეულწილად პირობითია. ისლამის მიხედვით სამივე რელიგია – ისლამი, ქრისტიანობა და იუდაიზმი ითვლება წმინდა რელიგიებად. ისლამში არის რწმენის პირობები: ა) ღმერთის რწმენა (მისი არსებობისა და ერთადერთობის რწმენა); ბ) მოციქულების რწმენა (მუჰამედი, იესო ქრისტე, მოსე...); გ) წმინდა წიგნების რწმენა (ყურანი, ბიბლია, თორა, თალმუდი...); დ) ანგელოზების რწმენა (მიქაელი, გაბრიელი...); ე) საიქიოს რწმენა; ვ) ბედისწერის რწმენა. აქედან ერთ-ერთის უარყოფა ექვსივეს გამორიცხვის ტოლფასია. როგორც უკვე აღინიშნა, ყურანში ქრისტეზე, ბიბლიაზე, ღვთისმშობელზე... ბევრი რამ წერია. რელიგიური რეალიები ორივე რელიგიის მიმდევრებისთვის გასაგებია. ყოველივე ეს ჩვენ მიერ განხილულ მასალაშიც კარგად ჩანს. შეიმჩნევა წვრილმანი განსხვავებაც, მაგალითად, ალკოჰოლთან დაკავშირებით: ისლამში ალკოჰოლი კატეგორიულად იკრძალება, ხოლო ქრისტიანობაში – არა, თუმცა გასათვალისწინებელია ზომიერებაც; ასევე განსხვავება შეიმჩნევა გლოვაშიც, რომელიც, ვფიქრობთ, ქართველებში თურქებთან შედარებით გადაჭარბებულია.

ერებისა თუ კუთხეების მიხედვით ტრადიციები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე – რელიგიური ცხოვრება. თურქეთი და საქართველო – ორივე აზიური ქვეყანაა, სადაც ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს. როგორც თურქი მკითხველიც აღნიშნავს, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ადამიანურ ურთიერთობებში, რისი გამოვლინებაც არის: სტუმართმოყვარეობა, პატივისცემა, ურთიერთდახმარება, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ყოფნა... ვფიქრობთ, ამ მხრივ გლობალიზებურ სამყაროში მომავალში უფრო მჭიდრო კავშირები დამყარდება. რელიგიათა და ცივილიზაციათა შორის დიალოგის თაობაზე დღეს მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოსა და თურქეთშიც, ხშირად იმართება საერთაშორისო ფორუმები, სადაც მსჯელობენ ერებს შორის დიალოგის აუცილებლობაზე.

### 3.2. ნ. დუმბაძის რომანი და თურქი მკითხველი



ნ. დუმბაძემ უცხოელებს უფრო მეტად შეაყვარა ულამაზესი საქართველო და ნიჭიერი ქართველი ხალხი. მის შემოქმედებას ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამაშია მწერლის გამარჯვება. როგორც ე. მაღრაძე წერს, ყველაზე ძალიან ნ. დუმბაძის ნაწარმოებში სხვადასხვა ჯურის ადამიანებს ის მოსწონთ, რომ ის შიშვლად კი არ მორალისტობს, დიდაქტიკურ აღმზრდელილობით მუშაობას კი არ ეწევა, არამედ უბრალოდ ხედავს ადამიანებს, რომლებსაც მისი შინაგანი სიკეთის სული უდგათ (მაღრაძე 1979: 141).

ძალზე საინტერესოა ის შთაბეჭდილება, რომელსაც ქართველი მწერლის შემოქმედება ახდენს თურქ მკითხველზე. წარმოვადგენთ მათგან მოწოდებულ ჩანაწერებს ნ. დუმბაძის რომანის შესახებ:

**1. დემეთ ეშმეჩაია**, ანკარის უნივერსიტეტის ენის შემსწავლელი კურსების პედაგოგი (37 წლის): “ნოდარ დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” სასიამოვნო წასაკითხია. მწერალი შეეცადა, თავის რომანში გადმოეცა ერთი ბავშვის თვალთ დანახული ომი, სოფლის ცხოვრება, მეგობრობა, ურთიერთდახმარება. წიგნის ენა სადა, მკაფიო და გასაგებია მკითხველთათვის. რომანში გამოყენებულია ისეთი წინადადებები, რომლებიც არც დამღლელია, არც მოსაწყენი, არამედ მიმზიდველია კიდევ.

შეიძლება ითქვას, რომ თურქი და ქართველი ხალხის ყოფითი კულტურა ახლოს არის ერთმანეთთან. ამ რომანში ბევრია ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელი ფაქტი, კერძოდ: სტუმართმოყვარეობა, ურთიერთდახმარება, პატრიოტული გრძნობა, პატივისცემა, მიცვალებულების არდავიწყება, ბოროტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. კონკრეტულად, რომანის პერსონაჟების სტუმართმოყვარეობა ვლინდება ანატოლის მაგალითზე: იგი დაჭრილი მიიყვანეს უცხო სახლში. ადამიანურ გრძნობებს აქ უპირატესობას ანიჭებენ. მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდნენ, ანატოლი მტერი იყო თუ მოყვარე, მიიყვანეს სახლში და უმკურნალეს კიდევ. დაჭრილ ანატოლს მთელი სოფელი ჰპატრონობს. ვინაობა არც გაარკვიეს, ისე მიიღეს ანატოლი. უფრო მეტიც, სოფლის მაცხოვრებლები თავიანთთვის გაჭირვებით მოპოვებულ საკვებს უმურველად უნაწილებენ მას;

ტექსტში კარგად არის ასახული მეზობლური ურთიერთობები. ადამიანები მოურიდებლად თხოულობენ ერთმანეთისაგან საკვებს და ხელცარიელი არ ბრუნდებიან, თითქმის ყველას აქვს ურთიერთდახმარების სურვილი;

ამ რომანში ბოროტების წინააღმდეგ ასახული ბრძოლის მაგალითები ისეთივეა, როგორც ეს ხდება ჩვენთან თურქეთში. ამის მაგალითია: როდესაც დეზერტირ დათიკოს მამიდა ქეთო ბებუთით აგდებს სახლიდან, ეუბნება: *“წათრიე აქედან”*. დათიკომ იცის თავისი დანაშაული და ამიტომ ხალხში ვერ ჩნდება, მას ურჩევნია ტყეში ყაჩაღვით იცხოვროს;

რომანში კარგად არის აღწერილი მიცვალებულისადმი პატივის მიგება. სოსოია სოფლის გიჟად ცნობილი ბეჟანას სასაფლაოს თოვლისგან ხშირად წმენდდა, თან უყვებოდა მას სოფლის ამბებს;

რომანში იხსენიება ზოგიერთი საბავშვო თამაშობანიც, რომლებიც თურქი ხალხისათვის ნაცნობია, მაგალითად, ვირობანა, ჯოხით თამაში...

ქალებს შეუძლიათ ომიანობის პერიოდშიც კი იჭორაონ, რაც თურქი ქალებისთვისაც არის დამახასიათებელი...

როგორც ჩვენთან, ისე ქართველებთანაც ქორწილში თოფის სროლის ტრადიცია მიღებული ყოფილა. სამწუხაროდ, ამ წესს შეეწირა ბევრი ადამიანი.

ამ წიგნის კითხვისას მე შევამჩნიე, რომ სუფრის კულტურა განსხვავებულია. თითქმის ყველა სუფრაზე სვამენ ღვინოს. ასე რომ, ქართული სუფრის კულტურა ჩვენსას არ ემთხვევა და ჩვენთვის მიუღებელია ისიც, რომ უცხო ანატოლი გაუთხოვარი ქალის სახლში დიდი ხანი ცხოვრობდა. ჩვენი ტრადიციების თანახმად, განსაკუთრებით გაუთხოვარი ქალის სახლში მამაკაცი ვერ იცხოვრებს, სოფლის მაცხოვრებელი ამას მაშინვე გაკიცხავს. მარტო მცხოვრები ადამიანი ამის შეთავაზებასაც ვერ გაბედავს, მაგრამ ამ რომანში უცხოელი კაცი ქეთოს სახლში უპრობლემოდ ცხოვრობს.

მართალია, სოსოიაც იქ არის, მაგრამ ის სახლის პატრონად არ მოიაზრება, მიუხედავად ამისა, ანატოლი მაინც ცხოვრობს ამ სახლში, თუმცა თურქმა მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ომის გარემოება.

რომანი გვიჩვენებს, რომ ინვალიდ ადამიანებს ჰპატრონობენ, ასევე სოფლის გიჟად ცნობილ ბეჟანასაც პატრონობენ და, რაც სჭირდება მას, უკეთებენ.

ნოდარ დუმბაძეს ვერ ვამსგავსებ ვერც ერთ თურქ მწერალს. კითხვის დროს მეჩვენებოდა, რომ თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილ რომანს ვკითხულობდი, ამ რომანში კარგად იგრძნობა იმედი. იმედი, რომელიც დანახულია ბავშვის თვალთ, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა”.

დ. ეშმეჟაია თურქეთში მცხოვრები მოქალაქეა, რომელსაც ქართულ სამყაროსთან არანაირი კავშირი არა აქვს. მას მხოლოდ ამ რომანის თურქული თარგმანის გაცნობით შეექმნა წარმოდგენა ქართველი ხალხის ტრადიციების, ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამ მხრივ მისი შეფასება თავისთავად სრულიად ობიექტური, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია. დ. ეშმეჟაია პირველ რიგში აფასებს ავტორს და აღნიშნავს, რომ მისი რომანი მისთვის ძალიან სასიამოვნო წასაკითხი წიგნია. მერე გადადის უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე და ყველა ნიუანსს აკვირდება. მკითხველი საქართველოში მცხოვრებ ან ჩამოსულ უცხოელებზე არანაკლებად ამჩნევს ქართველი ხალხის დამახასიათებელ ადამიანურ მხარეებს. როგორც ყველა უცხოელი, ასევე დ. ეშმეჟაიაც განსაკუთრებით გამოყოფს ქართველების სტუმართმოყვარეობას. მკითხველი საკუთარ ტრადიციებს ვერ ამსგავსებს ქართული სუფრისა და ალკოჰოლის მიღების ჩვევებს და ამას თვითონვე ხსნის რელიგიური სხვაობით, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ უცხო კაცის – ანატოლის ქეთო მამიდას სახლში ცხოვრებასთან დაკავშირებულ მისეულ მოსაზრებას ბოლომდე ვერ დავეთანხმებით, იმიტომ რომ ქალის სახლში უცხო კაცის ცხოვრება არც ქართული ტრადიციების მიხედვით არ არის მიღებული. ანატოლი დაჭრილი იყო. იგი პირველად მიიყვანეს ქეთოს სახლში და დაუწყეს მკურნალობა. ეს არის ამ ოჯახში მოსვლის ერთადერთი მიზეზი. მეორეც, დ. ეშმეჟაია ამბობს, რომ სოსოია ამ სახლის პატრონად არ ითვლება. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ის ბავშვია, მაინც, როგორც მამაკაცი, ითვლება ოჯახის უფროსად, ე.ი. ქეთევანი ამ სახლში მარტო არც იყო და ბოლოს და ბოლოს

მკითხველი თვითონაც აღიარებს, რომ ის დრო იყო ომის დრო და ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში;

**2. ქადირ დემირქირანი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ინფორმატიკის ლექტორი (35 წლის): “რომანში დეტალურად, ამავე დროს მხატვრულადაა აღწერილი კარ-მიდამო. რომანში უამრავი მაგალითია ქართველი ხალხის სიბრძნისა და ემოციურობისა, პატრიოტიზმისა, შრომისმოყვარეობისა და საკუთარი კულტურის დაფასებისა. ვრცლადაა ასახული ომში მონაწილე ოჯახების პრობლემები.

სოფელში მოსული რუსი ჯარისკაცი ანატოლი კარგად არის ცნობილი მკითხველისათვის, მაგრამ მისი რომანიდან გაქრობა თითქმის შეუმჩნეველია, რაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობით მავსებს.

რომანის მთავარი პერსონაჟი სოსოია თავის ასაკთან შედარებით დიდი კაცივით მსჯელობს და იქცევა. მამიდა ქეთოს შესახებ უფრო მეტი უნდა მოეთხრო მწერალს. მას მწერალი სრულყოფილად არ გვაცნობს. მაგალითად, რატომ გაზარდა მამიდა ქეთომ სოსოია და არა სხვამ? ნუთუ სხვა ნათესავები არ ჰყავდა სოსოიას? რატომ არ გათხოვდა მამიდა ქეთო?

რომანი, რომელიც 1940 წლის ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ძალიან სასიამოვნო წასაკითხი იყო ჩემთვის და სხვებსაც ვურჩევ მის წაკითხვას”.

ქეთო მამიდა გაუთხოვარი იყო. სოსოიას არ ჰყავდა დედ-მამა და მამიდა უვლიდა მას. მკითხველმა არ იცის ნ. დუმბაძის ავტობიოგრაფია. სოსოიას მამა რეპრესიის მსხვერპლი გახდა და ამიტომ დარჩა ობლად.

მკითხველს უკვირს ქეთოს გაუთხოვრობა, იმიტომ რომ თურქეთში ძალზე იშვიათია დაუოჯახებელი ქალი ან მამაკაცი;

**3. ბედია ჩეთინი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ლექტორი (30 წლის): “ამ რომანში მთავარი პერსონაჟის, სოსოიას შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ არის მოწოდებული. მაგალითად, ჰყავს თუ არა მშობლები? ცოცხლები არიან თუ არა? სხვა ნათესავები ჰყავს თუ არა და რატომ ცხოვრობს მამიდასთან?

1. ომში მიმავალი ჯარისკაცების მშობლების ტკივილი, სევდა, მწუხარება კარგად არის რომანში აღწერილი;
2. ომიდან მოსული დეპეშების, გაზეთების ხმამაღლა კითხვის ეპიზოდები კარგად არის გადმოცემული;
3. როგორც ქართველი, ასევე თურქი ქალებიც ამზადებენ ბალახებისაგან წამლებს;
4. ავადმყოფისთვის სიცხის დასაწევად ძმრის გამოყენება თურქეთშიცაა მიღებული;
5. სოსოიას, ქეთო მამიდასა და ხატიას სხვა ადამიანებისათვის დახმარების სურვილი რომანში კარგადაა ასახული. მაგალითად, დაჭრილის სახლში მიყვანა, მისი გამოკეთებისათვის კარდაკარ რძის მოძებნა და ა.შ.;
6. ხაზგასმულია ის ადგილი, რაც ქართველის ყოველდღიურ ყოფაში უჭირავს მჭადს, ყველსა და ღვინოს;
7. ქართველები გლოვის ნიშნად ტრადიციისამებრ შავებს იცვამენ;
8. კარგად არის გადმოცემული დეზერტირ დათიკოსადმი მტრული დამოკიდებულება. მაგალითად, მამიდა ქეთოს არ უნდა, რომ იგი მიიღოს სახლში. ასევე მეწისქვილე ბეგლარიც და ყველა სხვა მას ცუდი თვალთ უყურებს;
9. ომის პერიოდის გაჭირვება კარგად არის ასახული;
10. დაწვრილებითი ინფორმაცია არ არის იმის შესახებ, თუ სადაური იყო დაჭრილი კაცი და სად დაიკარგა მერე ის.

ვფიქრობ, რომ რომანის თარგმნისას დაშვებულია შეცდომები: მოთხრობა თითქმის დასრულებული არ არის; ზოგიერთი სიტყვის შესატყვისი არ არის მოძებნილი. ყოველ შემთხვევაში მაძლობელი ვარ, რომ ნოდარ დუმბაძის რომანმა “მე ვხედავ მზეს” ჩემს ზოგად განათლებაში რაღაც ახალი შეიტანა”.

თურქი მკითხველი ბ. ჩეთინი ყურადღებას ამახვილებს რომანის მხატვრულ მხარეზე. იგი სხვა მკითხველების მსგავსად ხაზგასმით აღნიშნავს ქართველების ურთიერთდახმარების, ადამიანის მიმართ ყურადღების გამოჩენის შესახებ. ასევე აკვირდება სუფრის კულტურას, კერძოდ, ღვინის სმას, საუბრობს, აგრეთვე, გლოვის მაჩვენებელ შავ ფერზე;

4. **ჰათიჯე იალჩინი**, ქ. Hჰათაიდან, დიასახლისი (33 წლის): “რომანში გამოყენებული უნდა იყოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ყველასთვის გასაგები იქნებოდა.

სასმელი ქართველებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, სამკურნალოდაც იყენებენ ღვინოს. მე მაინტერესებს, იკვლევენ თუ არა ღვინის უარყოფით თვისებებს.

რომანში ასახული ეპიზოდებიდან ჩანს, რომ გაჭირვებულ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა ტომის წარმომადგენელია, მთელი სოფელი ეხმარება და მე ამას დიდად ვაფასებ.

დედანში ჟარგონული გამონათქვამი ბევრია, რაც მაფიქრებს, რომ სოფლები ხშირად იგინებიან. მისი ნაწარმოები აღმზრდელობითი ხასიათისა უნდა იყოს.

სოფლები ხელგაშლილები არიან, ასეა თურქეთშიც და, მე ვფიქრობ, მთელ მსოფლიოში ასეა.

რომანში კარგად არის აღწერილი წყალდიდობის მთლიანი ეპიზოდი. ეს ნაწილი ჩემთვის ძალიან მომხიბვლელი და მოსაწონი იყო.

ნოდარ დუმბაძეს მე ვერ ვამსგავსებ ზოგიერთ თურქ მწერალს. მე პირველად წავიკითხე ქართველი მწერლის ნაწარმოები და მიმაჩნია, რომ ნოდარ დუმბაძის წიგნები სასიამოვნო და საინტერესო წასაკითხია”.

არც ჰათიჯე იალჩინის მოსაზრება არ განსხვავდება სხვა მკითხველთა შეხედულებებისაგან. ისიც ამახვილებს ყურადღებას ქართველი ხალხის ურთიერთდახმარებასა და გლეხის ხელგაშლილობაზე, ასევე აკვირდება ღვინის სამკურნალოდ გამოყენების წესს;

5. **ზექერია დოქმენი**, მათემატიკის მასწავლებელი ქ. ბურსაში (28 წლის):

“ჩემი თვალით დანახული რომანი “მე ვხედავ მზეს”: ნაწარმოების პირველად წაკითხვა, რა თქმა უნდა, მასზე სწორი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას არ მომცემს. ცნობები მწერლის შესახებ ენციკლოპედიიდანაც შეიძლება ამოვიკითხოთ. ეს ჩვენს კვლევას თავისი გზით წაიყვანს, ამიტომ უკეთესია, მწერლის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცოდეთ, სჯობს თვით

ნაწარმოებს დავაკვირდეთ და, აქედან გამომდინარე, ვიმსჯელოთ მწერლის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ.

რომანი “მე ვხედავ მზეს” ჩემს მშობლიურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებებს მაგონებს, მათ მსგავსად სიტბოთი და სიყვარულით მავსებს.

მწერალი აღწერს საკუთარი ხალხის დარდსა და სიხარულს, ცრემლსა და ღიმილს. ეს ყველაფერი გადმოცემულია გაუზვიადებლად, სადად და უბრალოდ; ცხოვრება დანახულია უბრალო სოფლელი ბიჭის – სოსოიას თვალით, მოთხრობილია მისი ენით. ამრიგად, სოსოიას სუბიექტური თვალით დანახული რეალობა უმთავრესია, ამავე დროს მნიშვნელოვანია ავტორისეული შეფასებაც. თუმცა, რადგან მოქმედება განფენილია დროის გარკვეულ მონაკვეთებში, ძალაუნებურად სოსოიასა და მწერლის აღქმაში განსხვავება იჩენს თავს. ამგვარ კონტექსტში ვლინდება ზოგი სუსტი მხარეც. მაგალითად, ხანდახან მთავარი გმირის სოსოიას ასაკთან შედარებით მეტად განვითარებულად ჩვენება მის რეალურობას ასუსტებს და რომანის გმირთან აახლოვებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რომანია... მწერალი ამ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ბუნებას ასახავს: სოსოია ხან ბავშვია, ხან კი – ზრდადასრულებული მამაკაცი. იგი ტრადიციულად არმოქცევის მომხრეა. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. გავიხსენოთ ეპიზოდები: მამიდის საწოლში მყოფი ბავშვი: *“საწოლიდან ნელ-ნელა ჩამოვედი, ფეხის წვერებზე დამდგარი მივედი და ჩავეხუტე მამიდას, ხელები მოვხვიე. იგი ყინულივით ცივი იყო...”*

მეზობელი ქალის – ცუცას მიმართ სექსუალური სურვილების გაჩენისას სოსოია ჩვენ წარმოგვიდგება ჩამოყალიბებულ, მომწიფებულ მამაკაცად: *“კარგად მომიახლოვდა და ჩამეხუტა. მე შევცბი, რა მომემოქმედა, არ ვიცოდი, იგი ისევ ჩავეხუტე, ვაკოცე ყელზე, შემდეგ ტუჩებში. მისი სხეულის თრთოლვასა და კანკალს ვგრძნობდი, მან ხელები კარგად მომხვია, ჩემი ტუჩები თავის ტუჩებს მიაწება. გაკვირვებულმა ავწიე თავი, უძლური ვიყავი. ცუცას ყელზე შემოხვეული ხელები გავითავისუფლე, იქვე ბუჩქს დავეჯახე, სწრაფად შემოვბრუნდი, ფეხზე წამოვხტი, ხელებით მხრებზე მოვხვიე, იგი გულში ჩავიკარი, მისი თავი კალთაში ჩავიდე, დავიხარე და თვალები დავუკოცნე, რბილად ვაკოცე თვალებზე, შემდეგ*

*ტუჩებში, ყელზე, ისევ ვაკოცე ტუჩებში. მთელი სხეული გამიშეშდა... იგი დაიხარა ჩემსკენ, ლოყით მომეყრდნო გულმკერდზე და ისმენდა ჩემი გულის მონოტონურ ცემას. მისი ლოყის სითბო მთელს ჩემს სხეულში ვრცელდებოდა. მე მთლად ავიბურძღლე”.*

ჩვენ რომანის კითხვისას ვიგებთ, რომ სოსოია დედიტა და მამით ობოლია და იზრდება მამიდასთან, მაგრამ ვერ გაგვიგია, როგორ დარჩა იგი ობლად; თუმცა პატარა დეტალი ჩვენს კითხვას პასუხობს: გავიხსენოთ მამისეული პიჯაკისა და ჩექმების გაყიდვის ეპიზოდი.

ზოგჯერ ასეც ხდება: გამორჩეული ადამიანების ცხოვრებიდან ცალკეული ეპიზოდები დასრულებული ამბის სახითაა გადმოცემული, მაგრამ ეს ამბები ერთმანეთს მიზეზ-შედეგობრივად არ უკავშირდება. ამიტომაც უფრო ზიგზაგოვანია და არაერთ სწორ ხაზზეა განლაგებული.

გეოგრაფიულად ერთმანეთთან მეზობლად მყოფი ქართველი და ანატოლიელი ხალხების მსგავსი ცხოვრება, ალბათ, ბუნებრივია. მათი ბედი მიწასთანაა დაკავშირებული (მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ლატაკი ხალხები საერთოდ ჰგვანან ერთმანეთს). ქართველი გლეხი ამბობს “ლობიოს”, ანატოლიელი გლეხი კი – “ლობიოს” ნაცვლად ლიტერატურულ **Fasulye**-ს. გერმანელის “კარტოფილი” (“კარტოფელ”) და ანატოლიელი გლეხის “კართოლ” ერთი და იგივეა. რაც შეეხება ყოფით კულტურას, აქ ვხედავთ შემდეგს: ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში მყოფ სოფლის ხალხს შორის ბევრი სხვაობაცაა. თუმცა რომანი “მე ვხედავ მზეს” უმეტესად არ ასახავს ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებს, ამიტომაც აქ დიდი განსხვავებანი არ იჩენს თავს.

რომანს ძირითად ლეიტმოტივად გასდევს სოფლის ცხოვრება, მიწასთან კავშირი, სიღარიბე, ომიანობა, არსებობისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ურთიერთდახმარება. ეს ყოველივე კი უცხო არ არის ჩვენი ხალხისათვის.

რომანში ზოგჯერ რაიმე მძაფრი მოვლენა არაპირდაპირ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალითაა გადმოცემული. მაგალითად, ცუცას მიერ სოსოიას შეყვარების დაუოკებელ სურვილს მკითხველი სწორედ ომის საშინელებას



უკავშირებს, მიყენებული ტკივილისა და ცრემლის ღვრის სინამდვილედ აღიქვამს, ყოველივე ამის ფონზე კი ცუცას სურვილს სამართლიანად მიიჩნევს.

განსხვავება შეინიშნება პოლიტიკურ მმართველობასთან დაკავშირებით. რომანის მიხედვით საქართველოში სოციალისტური მმართველობაა. ამის გავლენა იგრძნობა ბევრ ეპიზოდში. მაგალითად: *“მე თუ შრომის მოწინავე ვარ, ყველგან და ყველა სახლში შესვლის უფლება მაქვს, ეს დაიმახსოვრეთ კარგად”* (გვ. 9).

ასევე: *“კოლმეურნეობების კრებები ყოველ საღამოს ტარდება, სამუშაოს შემდეგ ზარები შეუჩერებლად რეკავენ, სოფლელები, რომლებსაც დადლილობისაგან განძრევის თავიც არა აქვთ, მხოლოდ ძალისძალით მოჰყავთ კრებაზე”* (გვ. 75).

ფაქტია, რომანში, ჩვენი ყოფისაგან განსხვავებით, სხვაგვარი დამოკიდებულებაა რელიგიისადმი, რწმენისადმი. ამიტომაც ზოგჯერ თავისებურია ზოგიერთი ყოფითი დეტალი, რიტუალი: *“მამიდაჩემმა დოქში ღვინო ჩაასხა, მჭადი მოტეხა, ერთი თევში ყველი დაჭრა და ეგ ყველაფერი ბეჟანას მოუტანა”* (გვ. 54). თუ თარგმანი სწორია, მაშინ უნდა ვთქვათ: ანატოლიელი გლეხი თავის ღვინოს თვითონ აყენებს, სვამს, მაგრამ საჭმელს არ მიაყოლებს. ანატოლიაში საჭმელს შარბათს აყოლებენ.

ბევრ რამეში ჰგავს ქართველი და თურქი ხალხი ერთმანეთს: სოფლური ცხოვრება, ერთმანეთის დახმარება, სილატაკე, სტუმართმოყვარეობა, კარგი მეზობლური ურთიერთობები, ომისაგან მიყენებული სიმწარე...

რომანის თემა სოფელში იშლება, ნაწარმოებში წარმოჩენილია ზოგჯერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები, რომელნიც სოფლური ყოფის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად: *“ზღმარტლის ხის ქვეშ დაგდებული თოხი ავიღე და ღელეში ჩავდე”* (გვ. 10). თოხს თუ წინასწარ წყალში არ ჩადებ, მშვიდად ვერ იმუშავებ. საჭიროა ტარი წყალში გაიჟღინთოს;

*“საჭმლის ფუთა ავიღე და სკოლის ჩანთაში მოვათავსე”* (გვ. 12): გლეხი (აქ: მოსწავლე) სამუშაო ადგილზე საუზმობს, საჭმელი თან მიაქვს;

**ურთიერთდახმარება:** ნადი (კოლექტიური დახმარება):

*“ბიძია ლუკა, ჯერ ეს თოვლი ჩამოვყაროთ, სახლში შევიდეთ და ლაპარაკით ენა მოვიფხანოთ”* (გვ. 119);

“სოსოია, ხანდახან ჩვენთან რატომ არ გამოივლი? ყველასთან მიდიხარ, ყველას ეხმარები და...” (გვ. 149);

“ქეთომ სთქვა: დღეს ყანაში უნდა წავიდე. ნეტავი სოსო შესძლებს ჩემს დახმარებას?” (გვ. 168);

“აბა, სოსოია, დაეხმარე დეიდაშენს, \_ მითხრა მამიდამ” (გვ. 168);

“გალმიდან წყალში გამომავალი კაცი დავინახე, ძლივს აპობდა ტალღებს, ხატიასთან შეძრომას ლამობდა” (გვ. 220);

“აბა, ახლავე დაადექით გზას. მე და კაკანოს ხუთნახევარი ბათმანი სიმინდი რომ დაგვაკლდა ამით ხომ არ გავლატაკდებით?” (გვ. 198).

ნადს მოჰყვება ნადიმი. ეს ყოველივე კი მატერიალური და მორალური დახმარება;

**სილატაკე:** რომანს წითელ ზოლად გასდევს სილატაკესთან ბრძოლა. ამის დამადასტურებლად, ჩემი აზრით, რამდენიმე დეტალის გახსენებაც საკმარისია:

“აბა მოდი დამეხმარე, ეს ტომარა ჩამოვიღოთ, მითხრა, როგორც კი ტომარა ზურგიდან ჩამოვულე” (გვ. 14);

“ომი ჩვენი სოფლის მალაზიებს აცარიელებდა, ჯერ თაროებიდან შაქარი, ასანთი, ცხიმი, საპონი და პური გაქრა; შოვნა ძალიან გაჭირდა” (გვ. 24);

“ერთ ზაფხულის საღამოს მამიდაჩემმა ფქვილის ბელელი გადმოაპირქვავა, იქით-აქეთ შემოკრა, ცომის გობში ძლივს მოაგროვა ორი მუჭა ფქვილი... მუჭაში რომ მოთავსდებოდა იმდენი ცომი. ყველას საქმე ცუდად არის, სოსოია. არავის არაფერი არ დარჩა, ყველა ლატაკია” (გვ. 168);

**სტუმართმოყვარეობა:** ამ შემთხვევაში მსგავსება მეტად აშკარაა. ანატოლიელი გლეხი უცნობსაც უღებს კარს, სახლში ეპატიჟება, თავად, შესაძლოა, მშვიერი დარჩეს, მაგრამ მოსულს უკანასკნელ ლუკმას გაუყოფს. რომანშიც არის ამისი მაგალითები:

“დავინახე გამვალტყავებული კაცი, სახე თეთრი ქალაღის ფერი შუქზე, ფეხის თითები ფერმკრთალი სახის ჯინაზე ვარდისფერად ბზინავდა. ერთი შეხედვით, რუსსა ჰგავდა, ხელები გულმკერდზე ჯვარედინად დაეწყო და ჩუმად იდგა. ხელები გულმკერდზე ეწყო. ...მას მივუახლოვდი, მუხლებზე დავდექი და

ყური დავადე გულზე. დიახ, ეს გული ცემდა, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უცემდა გული, ხელით შევეხე ლოყაზე. ვიგრძენი, რომ თბილი იყო” (გვ. 57).

სოფელმა ერთად მოუარა დაჭრილს, ბეჟანამ დაუნანებლად მიაწოდა მოპარული რძე, სოფლის მშვიერი ბავშვების ბოლო ლუკმა გაჭირვებულს. გავიხსენოთ ერთი ეპიზოდიც: სოსოია და ხატია მეზობელ სოფელში, უცხო ოჯახში მოხვდნენ, მასპინძელმა ისინი დააპურა, მოასვენა, ბავშვებს გული არ დასწყვიტა და ხელბარაქიანად გამოსიტუმრა:

*“თუ ნებას დაგვრთავთ, აქ სტუმრად დარჩენა გვინდოდა”* (გვ. 176);

*“მობრძანდით, ბავშვებო, შემობრძანდით”, – ლამპა მალა ასწია, ჭიშკარი გააღო, გვერდზე გაიწია და გზა დაგვითმო*” (გვ. 176).

**კეთილმეზობლური ურთიერთობები:** რომანში ადამიანთა ურთიერთობებს სათანადოდ თუ შევაფასებთ, მაშინ ქვემოთ მოხმობილი მაგალითები ამ ნაწარმოების პერსონაჟთა ცხოვრების, თანამყოფობის ნორმალურ, ჩვეულებრივ წესებად მოგვეჩვენება: *“შვილო, მიდი მინასთან და ფქვილი სთხოვე; უთხარი, რომ ორმაბათს დავუბრუნებ, – მითხრა ქეთო მამიდამ”* (გვ. 202).

საინტერესოა ერთი დეტალიც: *“ამბობს, თუ შვილი გვეყოლა, მას ჩემი სახელი დაარქვი”* (გვ. 36). აქ ლაპარაკია ვაჟის სახელზე. საერთოდ, საქართველოშიც, კერძოდ, ქართულ სოფელში, ვაჟის დაბადებით გამოწვეული სიამაყისა და უპირატესობის შეგრძნების საფუძველი სოციოლოგიური მოტივია: ვაჟი გვარის გამგრძელებელია, ხანში შესული მშობლების პატრონი და მარჩენალია. ვაჟკაცს მეტი მოვალეობები აკისრია. ვაჟკაცობის ერთ-ერთი გამოვლინება სამხედრო სამსახურია. ეს დიდი ვალია სამშობლოს წინაშე. ვინც ამ ვალს გაექცევა, ის სამართლიანად იდევენება საზოგადოებისაგან. სოფელი ამას არ ჰპატიობს, თავის წიაღში აღარ აბრუნებს და სამუდამოდ იკვეთს: *“ჩვენს ძაღლს კი შია საჭმელი, რომ მქონდეს, შენ კი არა, მას ვაჭმევდი, უთხარი...”* (გვ. 49); *“ასეთი ვაჟკაცი იყავი და რამ დაგაბრუნა ისე, რომ ტყეში იმალები?”* (გვ. 49)

საინტერესოა ბეჟანას პიროვნება. ის ანატოლიის სოფელში მცხოვრები გონებაჩლუნგი, ოდნავ შემლილი, სამართლიანი და უბოროტო ადამიანის პროტოტიპია: *“მე ამ სოფლის გიჟი ვარ, როცა მომინდება, მაშინ ვიმღერებ, რომ*

შემეკითხოთ, რატომ, იმიტომ, რომ ყველანი ძმები ვართ, მომცინარი და მოტირალი ძმები” (გვ. 68). მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები თავიანთი ნაღველისა და სიხარულის გამოსახატავად სიმღერით ტირიან, სიმღერით იცინიან და სიმღერით იკვებებიან.

ბალახებისაგან ნაირ-ნაირი წამლების დამამზადებელი, სოფლის ქალების ბებიქალი აკვირინე ბებიას მსგავსი ექიმბაში ანატოლიაშიც ბევრია.

სოფლის ბავშვებმა ყველაფერი იციან, სოფლური ცხოვრება ისე აქვთ შესისხლხორცებული, რომ დინების საწინააღმდეგოდ ცურვაც კი შეუძლიათ: “თევზი რომ დაინახონ, შეიძლება ვერ მიხვდნენ, რომ თევზია. საზანისა და ულვაშა თევზების ჩვევები თითქმის მთელი სოფლის ბავშვებმა იცის. ისიც კარგად იციან, სად ბუდობენ ისინი” (გვ. 99).

ანატოლიაშიც ჩვეულებრივი მოვლენაა ბავშვებზე პასუხისმგებლობის დაკისრება, ასაკთან შედარებით უფროსად წარმოჩენა.

ანატოლიაშიც იგივეა საბავშვო თამაშობები: “ზოგჯერ სიცივისაგან გაშეშებამდე ყბების კანკალამდე ვბანაობდით მდინარეში, ზოგჯერ ბურთს, ზოგჯერ პატიმრობანას, დაჭერობანას, გრძელ ვირს, რიკტაფელას ვთამაშობდით და რა მხიარულად ვატარებდით დღეებს...” (გვ. 167).

შავებში შემოსვა მგლოვიარობის გამოხატვაა, გავრცელებული ქცევაა: “ცუცას მეუღლე ომში დაეღუპა. თავისი მუქი ფერის თმები მთლად შავი თავშალით დაეფარა. ჩემთან ძალიან ახლოს იდგა” (გვ. 146).

როგორც ირკვევა, დეტალური განხილვის გარეშეც ორი ხალხის ქმედებებში დიდი მსგავსება შეინიშნება;

**ომის მავნებლობა:** ომი მავნებელია. ის არ არჩევს გეოგრაფიულ მდებარეობას. გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც ხელში სიცარიელე რჩება. ცოცხლად დარჩენილებს კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებათ სიღატაკე და მოუშუშებელი ტკივილები. ანატოლიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისას გამოსცადა ომის სიმწარე და იწვნია მისი დამანგრეველი ძალა. რომანშიც “მე ვხედავ მზეს” ბევრი დეტალი ასახავს სწორედ ომის საშინელებას, ომისაგან მიყენებული ტკივილები და ნაღვლიანი, უფრო მეტად მწარე განცდები

ნაწარმოებში მკვეთრადაა გამოვლენილი: ახლადდაქორწინებულთა განშორება, მშობლებთან დაცილება, პირველი მოხმარების პროდუქტების უკმარისობა, ფრონტის უკანა ხაზზე საავადმყოფოებსა და ახლად შექმნილ საველე ჰოსპიტლებში შემოსული დაჭრილების მდგომარეობა, დედების უშვილოდ, ქალების უქმროდ, ბავშვების უმამოდ დარჩენა. ეს დიდი სიმწარისა და ადამიანური გრძნობების განცდაა, ამ ადამიანებს რჩებათ მხოლოდ სურვილების შეუსრულებლობის ნაღვლიანი სინამდვილე.

ნ. დუმბაძე, შესაძლოა, მივამსგავსოთ რამდენიმე თურქ მწერალს. რომანის პრობლემები, სოფლური ცხოვრება, ბრძოლა აღმავლობისათვის, უკეთესი მომავლისათვის, ადამიანთა განცდები – ამ პრობლემების ფონზე ბევრი თურქი შემოქმედის ნაწარმოების თემატიკაცაა. მწერალს შეუძლია შეამჩნიოს არსებითი ხალხის ცხოვრებაში, გაიაზროს მოვლენები და შემდგომ ეს მხატვრულად ნიჭიერად ასახოს. თუკი ადამიანთა ცხოვრება და განცდები ერთმანეთს ჰგავს (როგორც ზემოთ აღვწერეთ), მაშინ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ნ. დუმბაძის რომანის მსგავსი თურქულ ლიტერატურაშიც მოვიძიოთ, მით უმეტეს, რომ თურქეთში არიან განმანათლებლები, რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწორედ სოფლის ყოფას და რეალურად იბრძვიან კიდევაც ამ ყოფაში შემჩნეული პრობლემების აღმოსაფხვრელად. ზოგიერთი მათგანი უშუალოდ თვით სოფლის წიაღიდანაა გამოსული. ამათ სათავეში უდგას სოფლის ცხოვრების დეტალურად აღმწერელი, პროფესიით პედაგოგი, ფაქირ ბაიქურთი. მისი მიმბაძველი მწერლები ორჰან ქემალი, იაშარ ქემალი, ქემალ ბილბაშარი”.

ნ. დუმბაძის რომანის თურქული თარგმანის ზ. დოქმენისეული შეფასება საკმაოდ ვრცელი და სერიოზულია. დ. ეშმეჟაიას მსგავსად ზ. დოქმენსაც ძალიან შინაურულად, კერძოდ, მშობლიური ქვეყნის მწერლის ნაწარმოებივით ეჩვენება რომანი. მკითხველი დადებითად აფასებს ქართულ ყოფა-ცხოვრებას, ყურადღებას ამახვილებს სოსოიას უნარზე, მისი ობლად დარჩენის მიზეზზე, კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, სტუმართმოყვარეობაზე, ომის მავნებლობაზე და ა. შ. როგორც თითქმის ყველა თურქი მკითხველის, ასევე ზ. დოქმენის ყურადღების ცენტრში ექცევა ქართველების სმის კულტურა.

თითქმის ყველა თურქი მკითხველი ერთნაირად დადებითად აფასებს ნ. დუმბაძის რომანის თურქულ თარგმანს და მის საფუძველზე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ რომანის მთავარ პერსონაჟთა – ხატასა და სოსოს ურთიერთობაზე თურქ მკითხველთაგან არავინ არ ამახვილებს ყურადღებას, მაშინ როცა, ალბათ, ყველაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს სწორედ ამ გმირების უაღრესად თბილი ადამიანური დამოკიდებულებები. ასეთი არსებითი წმინდა ადამიანური ურთიერთობის გამომხატველი ფაქტები თურქი მკითხველის ყურადღების მიღმა დარჩა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის არის, რომ მათი შეფასება თარგმანისა უფრო ზოგადი ხასიათისაა.

თურქ მკითხველთა შეხედულებებში აგრეთვე იშვიათად ჩანს უმნიშვნელო უარყოფითი დამოკიდებულება ზოგიერთი დეტალისადმი. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ განსხვავებული რელიგიური შეხედულებები, ტრადიციები, ჩვევები... სხვა შემთხვევაში ყველა ხაზგასმით საუბრობს ისეთ სოციალურ-საზოგადოებრივ რეალიებზე, როგორცაა: სტუმართმოყვარეობა, კეთილმეზობლური ურთიერთობა, ურთიერთდახმარება, პატრიოტული გრძნობა, პატივისცემა, მიცვალებულების არდავიწყება, ბოროტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება... სხვადასხვა ადამიანთა მსგავსი შეფასებები მწერლისეული აზრის სიზუსტეზე მიუთითებს.

აქედანაც კარგად ჩანს, რომ თარგმანი არის საკომუნიკაციო კავშირი სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის. იგი გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და აძლევს მას საშუალებას, რომ ტექსტის საფუძველზე შეაფასოს ორიგინალის ავტორის მიერ გამოხატული მთელი დედნისეული სამყარო. მაშასადამე, დიდი გამოცდის წინაშე დგას თვით ნაწარმოების ავტორი. ასევე არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრება მთარგმნელს, რომელმაც მაქსიმალური ყურადღებით უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მისია. ამ მხრივ თამამად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დედნის ავტორსა და თურქული ვარიანტის მთარგმნელს პასუხისმგებლობის გრძნობით აქვთ საქმე შესრულებული, რითაც თითოეული მათგანი ემსახურება საკუთარი ქვეყნის ინტერესებს.

## დასკვნითი დებულებები:

1. ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გერმანული და რუსული ტექსტები თურქულთან შედარებით უფრო სიტყვასიტყვითი თარგმანია. თურქი მთარგმნელი იშვიათად, მაგრამ მაინც ადეკვატურად არ თარგმნის ორიგინალის ამა თუ იმ ადგილს. მას ტექსტის ზოგიერთი ნაწილი კარგად ესმის, ზოგიერთს კი შინაარსის მიხედვით ინტუიციით ასრულებს. ანალოგიური დარღვევა არ ფიქსირდება გერმანულსა და რუსულ თარგმანებში.

ზოგ შემთხვევაში შეპირისპირების გარეშე იგრძნობა თარგმანის ნაკლი. მართალია, თურქი მთარგმნელი ხშირად შორდება დედანს ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ მთავარია, რომ შინაარსი მაინც ადეკვატურია, რასაც განაპირობებს ორი რამ: 1) მთარგმნელი ეძებს დედნისეულ შესატყვისს თურქულში; 2) მთარგმნელი ცდილობს, შეალამაზოს, მხატვრულად გადმოსცეს სათქმელი და ამით თავიდან აიცილოს დარიბული თარგმანი... ეს ყველაფერი მიუთითებს მის ოსტატობაზე, დამოუკიდებლობაზე, გემოვნებაზე. ყველაზე მთავარი, რაც ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქულ ენაზე მთარგმნელის ღირსებაზე მეტყველებს, ის არის, რომ იგი ითვალისწინებს მკითხველის ინტერესებს.

2. ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს” უნიკალურია მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების (იუმორი, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება...) თვალსაზრისით. ავტორი ამ ხერხებს შესანიშნავად, მიზანშეწონილად იყენებს. განსაკუთრებით მოვლენებისა თუ საგნების სხვა მოვლენებთან და საგნებთან შედარების დროს მკითხველში ქმნის განწყობას, თითქოს იგი პერსონაჟია. ამიტომ სარგებლობს რომანი დიდი მოწონებით.

თურქულ თარგმანში არის ადეკვატური და, იშვიათად, არაადეკვატური ადგილებიც. მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები თითქმის დედნის ტოლფასია, მაგრამ იუმორის თვალსაზრისით იმავეს ვერ ვიტყვით. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის არაუშუალო თარგმანი. ამ შემთხვევაში მთარგმნელს რთული

პროცესი ელოდა. იგი ბუნებრივად მოხვდა რთულ სიტუაციაში და, გამოუცდელი მთარგმნელი რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა მეორე უბედურება. ეს ხარვეზი თუ დანაკლისი ანაზღაურდა მთარგმნელის გამოცდილების წყალობით.

3. თურქული თარგმანის ენა შედარებით სადა და დახვეწილია, არ არის გადატვირთული უცხო, ხელოვნური, რთული, ძნელად გასააზრებელი ტერმინებითა და გამოთქმებით. მთარგმნელი იყენებს ხალხში გავრცელებულ ფრაზებს. ტექსტი მკითხველისთვის ადვილად გასაგები და სასიამოვნოდ წასაკითხი რომ ყოფილიყო, ამისათვის იგი დიდ ყურადღებას აქცევდა წინადადებების აგებულებას. დედნისეული ეპიზოდები გადმოცემულია მოკლე, მარტივი წინადადებებით.

4. ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” მაღალმხატვრულობას ისიც განაპირობებს, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობა (მაგალითად, გაჩუმება-დადუმება, მოსმენა, მზერა-შეხედვა...) გადმოცემულია სხვადასხვა გამოთქმებით, იდიომებით (სუნთქვა შეეკრა = გაჩუმდა, მივუგდე ყური = მოვუსმინე...). ამით მწერალი ახერხებს ჩვეულებრივი სიტყვისა თუ წინადადების მხატვრულად გაფორმებას, შელამაზებას. ხატოვან სიტყვათა, ფრაზეოლოგიზმთა თარგმანი ზოგჯერ არაადეკვატურია ფორმალურად, თუმცა შინაარსი ძირითადად შენარჩუნებულია. ყოველივე ეს მიუთითებს ფრაზეოლოგიზმების თარგმნის შესაძლებლობაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, აბსოლუტურად ადეკვატური თარგმანი იშვიათია.

5. დიალექტიზმების, როგორც მკვეთრად გამოხატული ნაციონალური სპეციფიკის მატარებელი ენობრივი ერთეულების, გამოყენების სფერო თარგმანის ენაში მკაცრად არის შეზღუდული. ნ. დუმბაძის რომანში არსებული დიალექტიზმებიც თურქულ ენაზე გადათარგმნილია სალიტერატურო ენით. მიუხედავად ამისა, თარგმანის შინაარსობრივი მხარე ამ თვალსაზრისითაც არ არის დარღვეული. იგი თითქმის ადეკვატურია დედნისა.

6. ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი სახელების (ადამიანის სახელების, გვარების, გეოგრაფიული სახელებისა და სხვ.) თარგმანიც. ზოგჯერ დედნისეული სიტყვა არაადეკვატურად გამოიყურება თარგმანში, ზოგჯერ კი დაცულია



ორიგინალის სიზუსტე. საერთოდ, ქართული ტექსტის საკუთარი სახელები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (ვგულისხმობთ, განსაკუთრებით, ხატის სახელს), კარგად არის გადმოცემული თურქულ თარგმანში.

7. ნ. დუმბაძის რომანის ოცი თავის სათაურისაგან თურქულად გადათარგმნილია თვრამეტი. გამოტოვებულია ორი – “ანატოლი” და “ზრდილობა”. ეს უკანასკნელი არ არის გერმანულშიც, თუმცა ტექსტი გადმოცემულია როგორც თურქულ, ისე გერმანულ თარგმანშიც. რაც შეეხება რუსულს, აქ ოცივე სათაური შენარჩუნებულია.

სათაურების დიდი ნაწილი ადეკვატურად არის გადათარგმნილი თურქულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ დედნისეული სათაურები წყაროებში პირდაპირ არ არის გადატანილი. როგორც ჩანს, სათაურების დარქმევის დროს მთარგმნელებს გათვალისწინებული ჰქონდათ ტექსტის შინაარსი და არა ორიგინალის სიზუსტე.

8. ნ. დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს” თურქული თარგმანის დედანთან შეპირისპირების შედეგად ირკვევა, რომ ქართველი და თურქი ხალხის კულტურაში, ტრადიციებში, ადათ-წესებში ბევრი რამ არის საერთო, არის განსხვავებულებაც.

თურქულ თარგმანში დედნისეული რელიგიური რეალიები კარგად არის ასახული. შეიმჩნევა წვრილმანი განსხვავებაც, მაგალითად, ალკოჰოლთან დაკავშირებით: ისლამში კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლური სასმელების მიღება, ხოლო ქრისტიანობაში – არა, თუმცა გასათვალისწინებელია ზომიერებაც; ასევე განსხვავება შეიმჩნევა გლოვაშიც.

ტრადიციები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე – რელიგიასთან დაკავშირებული რიტუალები. თურქეთი და საქართველო – ორივე აზიური ქვეყანაა, სადაც ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ადამიანურ ურთიერთობებში, რისი გამოვლინებაც არის: სტუმართმოყვარეობა, პატივისცემა, ურთიერთდახმარება, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ყოფნა...

9. ნ. დუმბაძის რომანის თურქული თარგმანით დაინტერესებული თურქი მკითხველი ამ თარგმანის მეშვეობით თავისუფლად აფასებს ქართულ კულტურას,

ყოფა-ცხოვრებასა და ა. შ. მათ შეხედულებებში იშვიათად ჩანს უმნიშვნელო უარყოფითი დამოკიდებულება ზოგიერთი დეტალისადმი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს განსხვავებული რელიგიური შეხედულებები, ტრადიციები, ჩვევები... სხვა შემთხვევაში ყველა ხაზგასმით საუბრობს ისეთ სოციალურ-საზოგადოებრივ რეალიებზე, როგორცაა: სტუმართმოყვარეობა, კეთილმეზობლური ურთიერთობა, ურთიერთდახმარება, პატრიოტული გრძნობა, პატივისცემა, გარდაცვლილის არდავიწყება, ბოროტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება...

სხვადასხვა ადამიანის მსგავსი შეფასებები მწერლისეული აზრის სიმართლეზე მიუთითებს. თითქმის ყველა თურქი მკითხველი ერთნაირად დადებითად აფასებს ნ. დუმბაძის რომანის თურქულ თარგმანს და მის საფუძველზე ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, თუმცა მათი შეფასება თარგმანისა უფრო ზოგადი ხასიათისაა.

10. საანალიზო მასალიდან ჩანს, რომ თარგმანი მართლაც არის საკომუნიკაციო კავშირი სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის. იგი გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და აძლევს მას საშუალებას, რომ ტექსტის საფუძველზე შეაფასოს ორიგინალის ავტორის მიერ გამოხატული მთელი დედნისეული სამყარო. მაშასადამე, დიდი გამოცდის წინაშე დგას თვით ნაწარმოების ავტორი. ამ მხრივ თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ დედნის ავტორსა და თურქული ვარიანტის მთარგმნელს პასუხისმგებლობის გრძნობით აქვთ საქმე შესრულებული. მთარგმნელის მსოფლმხედველობაც შეესაბამება ქართულ კულტურას და ის საკუთარი საქმისა და მკითხველის ერთგულია.

11. ქართულ ტექსტსა და თურქულ თარგმანს შორის არის ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სტრუქტურის ენა. რა თქმა უნდა, დედანი სულ სხვაა და იგი მართლაც დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს, მაგრამ ასევე არანაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს თურქული თარგმანიც. ამას მოწმობს ამ რომანით დაინტერესებული თურქი მკითხველის თვალსაზრისი, აგრეთვე, საერთო პასაჟები ქართულსა და თურქულში: ბეჟანას სიკვდილის მომენტი,

სამხედრო გაკვეთილზე ლევან გურულიძისა და ხატიას საუბარი ხატიას მხედველობაზე და სხვა.

12. მიუხედავად იმისა, რომ ნ. დუმბაძის რომანის თურქული თარგმანის წყარო არის არა ქართული დედანი, არამედ რუსულიდან მომდინარე გერმანული, სხვა ფაქტორებთან ერთად ქალბატონი მეჰჯურე ქარაორენის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არ კარგავს დედნისეული ტექსტის ხიბლს. სამ ენაში გატარებული რომანი მეტ-ნაკლებად ავტორისეულის ჩანაფიქრთან მიახლოებული აღიქვა თურქმა მკითხველმა. იგი ექვსჯერ არის გამოქვეყნებული თურქულ ენაზე. არსებობს ელექტრონული ვერსიაც.

## ბიბლიოგრაფია

### ა) წყაროები:

1. დუმბაძე ნ. თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი პირველი, *მე, ბებია, ილიკო და ილარიონი; მე ვხედავ მზეს; მზიანი ღამე*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1988.
2. Думбадзе Н. Я вижу солнце, Мерани, Тбилиси, 1975.
3. Dumbadze, N. *Ich sehe die Sonne*. Berlin: Verlag Neues Leben, 1968.
4. Dumbadze, N. *Güneşi Görüyorum* (Çevr.: Mehçure Karaören), İstanbul: 1982.

### ბ) გამოყენებული ლიტერატურა:

5. ასათიანი გ. *თანამდევნი სულები*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1983.
6. ბაიძე ვ. *თვალსაჩინო*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1978.
7. ბარამიძე გ. *სცენისა და ეკრანის პოეზია*. თბილისი: გამომცემლობა “ხელოვნება”, 1976.
8. ბოჩკოვა ლ. *ლიტერატურული წერილები*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1983.
9. გაჩეჩილაძე გ. *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1966.

10. დარასელია მ. *პუბლიცისტური დისკურსი, მეტაფორა და მისი ფუნქციების განსაზღვრის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: 2005.
11. დოღონაძე ლ. *გმირი და ცხოვრება*. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1982.
12. დუმბაძე ნ. *თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი პირველი, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი; მე ვხედავ მზეს; მზიანი ღამე*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1988.
13. ვარდოსანიძე გ. *წერილები* თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1974.
14. თაყაიშვილი ა. *ქართული ფრაზეოლოგიზმების საკითხისათვის*. თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1961.
15. თითმერია ჯ. *დდრო. ფვიქრი. სიტყვა*. თბილისი: 1979.
16. *თურქულ – ქართული ლექსიკონი* (რედ.: ლია ჩლაიძე). სტამბოლი: 2001.
17. იაშვილი პ. *მხატვრული სტილი და თარგმანი* (შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი). თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1990.
18. იოვაშვილი დ. *სინათლით სავსე სამყარო*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1984.
19. კეკელია მ. *ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია*. თბილისი, 1989.
20. კვანჭილაშვილი ტ. *ათი მწერალი*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1989.
21. - - - *მმწერალი ლიტერატურა დრო*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1985.
22. ლობჯანიძე გ. *მარიამთან დაკავშირებული ნარატივი ყურანში, პერსპექტივა – XXI, კ. წერეთელი (რედ. ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აკად. გგ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი*. თბილისი: 2003.
23. მაკალათია ს. *მესხეთ – ჯავახეთი (ისტორიულ – ეთნოგრაფიული ნარკვევი) ხევსურეთი*, 1938.
24. მანიჟაშვილი, *სუბსტანციური ფრაზეოლოგიური ერთეულები ფრანგულ და ქართულ ენებში*, თბილისი: 2003.
25. მაკალათია სერგი, *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია*. თბილისი: გამომცემლობა “ნაკადული”, 2006.
26. მამულია ე. *თურქულ – ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა “ცისარტყელა”, 2006.
27. მაღრაძე ე. *გულითა მართლით*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1979.
28. მახარაძე ი. *მმარიამის სახე ყურანში*, სემიოლოგიური ძიებანი VI, კ. წერეთელი (რედ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი: 2003.
29. მერაბიშვილი ი. *პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა*. თბილისი: გამომცემლობა “საქართველოს ბაირონის საზოგადოება”, 2005.

30. მზიანი გულის მწერალი (მოგონებები გარდასულ დღეთა – წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძეზე). თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1986.
31. მიშველაძე რ. *სუახლოესი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: “თბილ. უნ-ის გამ.”, 1990.
32. ნაიდა ი. ა. *თარგმნის ხელოვნებისათვის*, გაზ. “ლიტ. საქართველო”, 10/IX, თბილისი: 1982.
33. ნიკოლეიშვილი ა....*მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები*. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
34. სახოკია თ. *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1979.
35. ფანჯიკიძე დ. *ენა თარგმანი მკითხველი*. თბილისი: გამომცემლობა “საგამომცემლო სახლი თბილისში”, 2002.
36. - - - *თარგმანის თეორია და პრაქტიკა*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1988.
37. - - - *წერილები*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1980.
38. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. რვატომეული, თბილისი: “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა”, 1950-1956.
39. ქართული ენა – ენციკლოპედია, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი: გამომცემლობა “ეროვნული მწერლობა”, 2008.
40. ქინქლაძე ზ. *ქართული სადღეგრძელოები*. თბილისი: 2003.
41. ქირი მ. *როგორ აღიქვა თურქმა მკითხველმა ნ. დუმბაძის რომანი “მე ვხედავ მზეს*. ქუთაისის უნივ. ჰუმ. ფაკ. შრომები. ნ. ჩიხლაძე (რედ.). 2008.
42. ქირი მ. *დიდი ჰუმანისტი ნ. დუმბაძე*, “ახალი ხიდი” (სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ყოველკვარტალური ჟურნალი). აბესალომ იმედაშვილი, ფატიჰ დემირი (რედ.). თბილისი: 2006.
43. ჟღენტი ს. *გურული კილო*. თბილისი: 1936.
44. ღლონტი ა. *ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1984.
45. ღლონტი ალ. *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*. თბილისი: გამომცემლობა “განათლება”, 1988.
46. შავიშვილი თ. *ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა მწერალი”, 1957.
47. ჩიტეიშვილი მ. *ქართული ქრისტიანული ხელოვნების საკითხები*. ქუთაისი: “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2005.
48. ჩიტეიშვილი მ. *რელიგიის ისტორიის საკითხები* (დამხმარე სახელმძღვანელო). ქუთაისი: “ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2001.
49. ციაშვილი ს. *მარადიული სახეები*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1981.
50. წიბახაშვილი გ. *თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2000.

51. ხუციშვილი მ. *ქართული პოეზიის რუსულ ენაზე თარგმანების პრობლემები*. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1989.
52. ჯიბუტი ვ. *მძწერალი და დრო*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1979.
53. ჯორბენაძე ბ. *ქართული ენის დიალექტოლოგია*, I. თბილისი: გამომცემლობა “მეცნიერება”, 1989.
54. - - - ჯორბენაძე ბ. *ქართველურ ენათა დიალექტები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1995.
55. ჭუმბურიძე ზ. *მზადლი დედაენისა*. თბილისი: გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, 1982.
56. - - - *ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა*. თბილისი: გამომცემლობა “მერანი”, 1988.
57. Akademi Araştırma Heyeti, 40 Hadis Tercüme ve Şerhi, Işık Yayınları, İstanbul, 2008.
58. Akıncı M. Açıklamalı Edebiyat Terimleri Sözlüğü/Açıklamalı Deyimler Sözlüğü. Türkçe/Türk Dili Edebiyatı Kaynak Sitesi [on-line Yayın], 2007. Adres: [http://www.turkceciler.com/deyimler/deyimler\\_sozlugu\\_b.html](http://www.turkceciler.com/deyimler/deyimler_sozlugu_b.html)
59. Aksoy B. *Geçmişten Günümüze Yazın Çevirisi*. Ankara: 2002.
60. Aksoy, Ö. A. *Atasözler ve Deyimler Sözlüğü*. İstanbul: İmge Kitabevi Yayınları, 1988.
61. Aslan H., Demir İbrahim. *Menba* (2. Cilt), Ankara: Afşar Matbaacılık, 2002.
62. A.Ü. TÖMER Bursa Şubesi. *Kuramsal ve Uygulamalı Çeviri Sorunları* (3 – 4 Kasım Sempozyum Bildirileri), 2002.
63. Barlak M. M. *Çeviriye Zamanın Getirdiği Farklılık: Saadet ve Bülent Bozkurt’un Shakespeare Sone Çevirilerine Kronolojik Bir Bakış*. İzmir: Çeviribilim, Dilbilim ve Dil Eğitimi Araştırmaları, s. 245, İzmir Ekonomi Üniversitesi Yayınları, 2009.
64. Çimke H. *Gürcistan Kültürü*. Tiflis: GİEV, 2004.
65. Ersoy R. Türklerde Ölüm ve Ölü ile İlgili Rit ve Ritüeller (Milli Folklor). Çukurova Üniversitesi Türkoloji Araştırmaları Merkezi [on-line Yayın], Siteye Kayıt Tarihi: 27.01.2006. Adres: <http://turkoloji.cu.edu.tr/Halkbilim/41.php>.
66. Göktürk A. *Çeviri: Dillerin Dili* (6. baskı), İstanbul: Yapı Kredi Yayınları, 1989.
67. Köksal D. *Çeviri Eğitimi Kuram ve Uygulama*. Ankara: Nobel Yayın Dağıtım, 2005.
68. Örnekleriyle Türkçe Sözlük 2000.
69. Yalsızuçanlar S. *Tövbe ve İstiğfar Günlüğü*. İstanbul: Timaş Yayınları, 2004.
70. Yazıcı M. *Çeviri Etkinliği*. İstanbul: 2004.
71. Yazıcı M. *Çeviribilimin Temel Kavram ve Kuramları*. İstanbul: Multilingual, 2005.
72. Yazır E. H. *Kur’an-ı Kerim ve Yüce Meali*. Cağaloğlu-İstanbul: Huzur Yayınevi, 1994.
73. Yıldırım F. *Mevcut Kaynaklara Göre Hıristiyanlık*. İzmir: Işık Yayınları, 1996.
74. B. C. Binogradov: *Лексические вопросы перевода художественной прозы*, М., 1978.
75. <http://www.kesfetkendini.com/icerik.aspx?id=10433>
76. <http://Sozluk.sourtimes.org/show.asp?+=rumi+takvim>